

ქართველური ენათმეცნიერების მაგისტრი სალომე გეგეჭკორი

ქართული და მეგრული გამოცანების მონაცემთა ბაზა

მასალა მოძიებული და კლასიფიცირებულია პროექტის – „ქართული და მეგრული გამოცანების თემატურ-შინაარსობრივი მონაცემთა ბაზა და ძირითადი ენობრივი მახასიათებლები“ – ფარგლებში. სამეცნიერო პროექტი [MR-18-3142] განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით.

- ცხრილი №1.1 – ერთმანეთის პარალელურად, თემატურ-შინაარსობრივად დალაგებული ქართული და მეგრული გამოცანები
- ცხრილი №2.1 – ერთმანეთის პარალელურად, ანბანის რიგზე დალაგებული ქართული და მეგრული გამოცანები

სამაგისტრო სადიპლომო ნაშრომის ხელმძღვანელი მაია ლომია
(ფილოლოგიის დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი)

გამოცანების თემატურ-შინაარსობრივი ჯგუფები		
ქართული	მეგრული	მეგრული
	თემატურ-შინაარსობრივად იდენტური ან თითქმის იდენტური	მხოლოდ თემატურად იდენტური ან საკუთრივ მეგრულში დადასტურებული
ცა და ციური სხეულები		
<ul style="list-style-type: none"> • „აღი-აღებთანო, ჩიბუხტარებთანო, დღე იმაღებთანო, ღამე გამოდიანო“ (ვარსკვლავები) [ჯ. სონღულაშვილი 1991:89]. • „ვთვალე, ვთვალე, ვერ დავთვალე“ (ვარსკვლავები) [ჯ. სონღულაშვილი 1991:94]. • „მაღენ, მაღენ, მაღენი, კაცნი ჩიბუხტარენი. დღისით გარეთ არ გამოვლენ, ღამე შინ არ შემოვლენ (ვარსკვლავები)“ [ექსპედიცია 2019]. • „იანო, ბიანო, ჩიბუხტარებთანო, დღე იმაღებთანო, ღამე გამოდიანო (ვარსკვლავები)“ [ექსპედიცია 2019]. • „აჯამეთით წამოსულა, აჯამეთს არ ეკიდება; ცეცხლია და ნაპერწკალი, აბედსა არ ეკიდება (ვარსკვლავები)“ [ექსპედიცია 2019]. • „ღამე შევდგი ცხრილითა, აღარ იყო დილითა (ვარსკვლავები)“ [ექსპედიცია 2019]. • „ცაში მიდგან კიდობანი, ელვისანი-გელვისანი, შიგა სხედან ქორნი, კვერნი, თხისანი და ვერძისანი (ვარსკვლავები)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:449]. • „აზლი-ანაზბაღენი, კაცნი ჩიბუხ-ტარენი, დღე კარში არ გამოვლენ, ღამე შინ არ შემოვლენ (ვარსკვლავები)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:449]. • „ელა არი, მელა არი, კარებს უკან კერა არი; კვიცი გაკრეჭილია, კალო მოჭედილია (ვარსკვლავები)“ [„ხალხური სიბრძნე“ 	–	–

<p>1965:449].</p> <ul style="list-style-type: none"> • „პატარა ბოსტანი მეონდა, ვკენჭე, ვკენჭე, ვერ ავკენჭე (ვარსკვლავები)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:449]. • „კიკი-კიკი, კიკი-ვაშლი, ზედ ასხია წვრილი ვაშლი, არც იჭმევა, არც ისმევა, არცა ზედა გაისვლება (ვარსკვლავები)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:450]. • „ერთი ციხე, ჩემი ციხე, ქვის კენჭით გამოჭიხტული (ვარსკვლავები)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:450]. 		
<ul style="list-style-type: none"> • „უსაზღვრო ყანა, უთვალავი ძნა“ (ცა და ვარსკვლავები) [ჯ. სონლულაშვილი 1991:100]. • „დიდ გუმბათში აქა-იქ ცეცხლი ანთია (ცა და ვარსკვლავები)“ [ექსპედიცია 2019]. • „უმძღვრო ყანაო და უთვალავ თესლიო (ცა და ვარსკვლავები)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:451]. • „ხალიჩა მაქვს, არ დაიბერტყება, ოქროები მაქვს, არ დაითვლება (ცა და ვარსკვლავები)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:451]. 	-	-
<ul style="list-style-type: none"> • „ერთი რამცა, თეთრი რამცა, თეთრად გადაპენტელამცა; ვინც ამას ვერ გამოიცნობს, ცეტიც არის, ბენტერამცა“ (ცა) [ჯ. სონლულაშვილი 1991:93]. • „ერთი ხეა ხერხოვანი, ზედ ასხია ცერცოვანი; არც იჭმება, არც ისმება, არცა ზედა გაისვლება“ (ცა) [ჯ. სონლულაშვილი 1991:93]. • „თავს გვაფარია ბანივით, მსუბუქია და ვრცელია; რაც უნდა მაღალი იყვე, ვერ მოგიწვდება ხელია; არც უნდა ბოძი, კედელი, ფანჯარა, მასთან კარია, აბა, თუ გამოიცანი, მზად არის საჩუქარია“ (ცა) [ჯ. სონლულაშვილი 1991:95]. • „იქნებ წამში მიმიხვდე, არ დაგჭირდეს წვალება: დღისით ცალთვალაა და ღამით – ათასთვალეა (ცა)“ [ექსპედიცია 2019]. • „თავს გვაფარია ბანივით, მსუბუქია და ვრცელია, რაც უნდა მაღალი იყო, არ 	-	-

<p>მივიწვდება ხელია (ცა)“ [ექსპედიცია 2019].</p> <ul style="list-style-type: none"> • „ერთი რამცა, თეთრი რამცა, თეთრად გადამტვიცილამცა; ვინც ამას ვერ გამოიცნობს, თხაც არის და ბევი რამცა (ცა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:451]. • „თუმცა, თუმცა, სამჯერ თუმცა, კიდევ გეტყვი, გოგო ნუცა, მეხუთედაც მოგახსენებ, ვერც ახლა სცნობ, გოგო, თუმცა (ცა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:451]. • „ერთი ჭურჭელი მაქვს, ნაპერწკლებით სავსეა (ცა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:452]. 		
<ul style="list-style-type: none"> • „დროდადრო ცაზე ჰკიდია ხან მრუდე, ხანაც სწორი. ცეცხლოვანი და საზარი უცხო სტუმარი შორი. ფრინველი არვის გეგონოთ და ერთსაც გეტყვით მხოლოდ: მუდამ მზისკენ აქვს გაწვდილი უზარმაზარი ბოლო (კომეტა)“ [ექსპედიცია 2019]. 	-	-
<ul style="list-style-type: none"> • „რაც ქვეყნიერება დაარსებულა, მაშინ დაბადებულა და ჯერ წელიწადი არ შესრულებია“ (მთვარე) [ჯ. სონღულაშვილი 1991:99]. • „ყოველ თვისა და თვის თავზე ვარდი იშლება კლდის თავზე“ (მთვარე) [ჯ. სონღულაშვილი 1991:101]. • „როცა ადამი და ევა დაიბადა, ისიც მაშინ დაიბადა, ჯერ ერთი წლისაც არ არის (მთვარე)“ [ექსპედიცია 2019]. • „ხან ძველია, ხან ახალი, ხან ბურთია, ხან ნამგალი (მთვარე)“ [ექსპედიცია 2019]. • „ადამის დროს დაბადებული, ჯერ ერთი წლისაც არ არის (მთვარე)“ [ექსპედიცია 2019]. • „ადამის წინ დაბადებული, ჯერ ერთი თვისა არ არი (მთვარე)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:450]. • „ერთ გოდორ თხილში ერთი ბია ურევია (მთვარე)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:451]. • „შუალამე, ელეულ-ვარდი, მოგოგავდა 	-	-

<p>ბინდისასა, ყავარჯენსა მოიქნედა, ტანმოკლესა, გიშრისასა (მთვარე)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:451].</p> <ul style="list-style-type: none"> • „ერთი რამე ქვეყანაზე, ყოველს თვეზე იბადება, მინამ სხვა თვე დადგებოდეს, იგი კიდევაცა კვდება (მთვარე)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:451]. • ყოველ თვისა და თვის თავზედ, ვარდი ამოდის კლდის თავზედ (მთვარე)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:451]. • „ჩვენი ბუხრის უკან ერთი ხმიადი აყუდია (მთვარე)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:451]. • „თოთხმეტი დღე მეფობდა, მეთხუთმეტეს ავად გახდა, ოცდამერვებს მოკვდა და ისევ გაცოცხლდა (მთვარე)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:451]. 		
<ul style="list-style-type: none"> • „ამიდან და რაიან, ჩვენს რო ქანდარაიან (მთვარის შუქი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:451]. 	-	-
<ul style="list-style-type: none"> • „ერთ სოფელში ორსა კაცსა, ორსავ ერთი ფერი აქვსო; ერთი მუდამ სიყრმეზე დგა, ერთს სიბერე ახლო აქვსო; ერთსა – ჯარი უთვალავი, ერთს მარტოკა ტახტი აქვსო“ (მზე და მთვარე) [ჯ. სონლულაშვილი 1991:94]. • „ერთსა ახსნას მოგახსენებ, გამოიცნობ, სიბრძნე გაქვსო, ერთს ქვეყანას ორთა ძმათა, ორთავ ერთი ფერი აქვსო, ერთი მუდამ სიყრმეზე დგას, ერთს სიბერე ახლო აქვსო, ერთს ჯარი ჰყავს უთვალავი, ერთსა მარტო ტახტი აქვსო (მზე და მთვარე)“ [ექსპედიცია 2019]. 	-	-

<ul style="list-style-type: none"> • „ორი ხშირი მაქვს – ერთი თბილია, ერთი ცივია (მზე და მთვარე)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:450]. • „გამოცანას მოგახსენებ, გამოიცნობ – სიბრძნე გაქვსო, ერთ სოფელში ორთა ძმათა, ერთმანეთის ფერი აქვსო, ერთს ჯარი ჰყავს უთვალავი, ერთსა მარტო ტახტი აქვსო, ერთი მუდამ სიყრმეზე სდგას, ერთს სიბერე ახლო აქვსო (მზე და მთვარე)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:450]. • „ორნი არიან, ტოლნი არიან, ერთ ტახტზე სხედან, ერთად სამეფოდ (მზე და მთვარე)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:450]. 		
<ul style="list-style-type: none"> • „ის რა არის, წყალში ჩააგდებ არ სველდება, ცეცხლში არ დაიწვება, ხმელეთზე იწყვერება (მზე)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:450]. • „ჩემი საცერი ქედ და ქედ გადმოდიოდა (მზე)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:450]. • „ერთი რამ არის, ზეცაში იცის: ზამთარს და ზაფხულს უცეცხლოდ იწვის (მზე)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:450]. • „წავალ – მნატრობენ, მოვალ – მემალეებიან (მზე)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:450]. • „ვდგები ადრე ადრიანად, პირსა ვიბან ნამითაო; ოქროს თმასა გადავიშლი, ვიდგამ ოქროს გვირგვინსაო, მაღლიდან რომ გადმოვხედავ, ყველა მიძღვნის ღიმილსაო (მზე)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:450]. • „ღამე ქრება, დღე ენთება (მზე)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:450]. 	-	<ul style="list-style-type: none"> • „ორბი, ორბი კვარკვანტია, ორბიში კუდელი ანარკია. – ორბი, ორბი ბურთივითა, ორბის კუდი ანაკლიაში (მზე და მისი სხივები)“ [კ. დანელია 1991:468].
დედამიწა		
<ul style="list-style-type: none"> • „დავკარ ხმალი, არ დაეტყო კვალი“ (წყალი) [ჯ. სონღულაშვილი 1991:91]. • „ვჭერი, ვჭერი, ვერ გავჭერი“ (წყალი) [ჯ. სონღულაშვილი 1991:94]. • „არც გემო აქვს და არც ფერი, ჩვენვის არის კაი ფერი, ქვეყანაზე რომ არ იყოს, მოისპობა ყველაფერი (წყალი)“ [ექსპედიცია 2019]. 	<ul style="list-style-type: none"> • „ირო ქოუხვენთქუანდე , დღას ვე გიოდოხოდ. – რამდენიც უნდა ურტყა, არ დაემჩნევა 	-

<ul style="list-style-type: none"> • „დავკარ ხმალი, არ დააჩნდა კვალი“ (წყალი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:453]. 	<p>(წყალი)“ [კ. დანელია 1991:467].</p> <ul style="list-style-type: none"> • „ვჭკირი, ვჭკირი, ვამაჭკირუ“ – ვჭკერი, ვჭკერი, ვერ გავჭკერი (წყალი) [ექსპედიცია 2019]. 	
<ul style="list-style-type: none"> • „ჩვენს იქითა გორაზედა, კუპრი ამოდენაზედა (ვედა, მყავე წყალი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:452]. 	–	–
<ul style="list-style-type: none"> • „ხმალი დავკარ, ვერ გავკვეთე (ჰაერი)“ [ექსპედიცია 1019]. • „არც გემო აქვს და არც ფერი, ჩვენთვის არის კაი ფერი, ქვეყანაზე რომ არ იყოს მოისპობა ყველაფერი (ჰაერი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:453]. 	–	–
<ul style="list-style-type: none"> • „გრძელსა გზასა ქვიშიანსა, ლომი გარბის ღრიალითა. რაც კი გზაში რამ შეხვდება, თან წაიღებს სრიალითა (მდინარე)“ [ექსპედიცია 2019]. • „უფეხო ვარ, მივცინცილობ, უენო ვარ – მივიმღერი, ზამთარ-ზამთარ დაწუნებულს ზაფხულში კი არ მყავს მტერი (მდინარე)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:452]. • „ერთი რამ ვნახე უსულო, ხან თბილია, ხანაც გრილი, ზოგან დგას გაჩერებული, ზოგან ხმით იცის სირბილი, რასაც ხელს მოჰკრავს გადანთქავს, არ უნდა პირი და კბილი (მდინარე)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:453]. • „ამიცანდი, ცანდი, ჭალას გამიქანდი, ხეს მამიხვდი, ქვას მამიხვდი, შინ მოდი და იქ მამიკვდი (მდინარე)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:453]. 	–	–
<ul style="list-style-type: none"> • „ორი ძმა წყალს ჩასჩერებია, ერთიმეორეს უცქერიან და ერთმანეთს კი ვერ ეკარებინან 	–	–

<p><i>(მდინარის ნაპირები)</i>“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:453].</p> <ul style="list-style-type: none"> • „ურემი მირბის, ხელნები დგანან (<i>წყალი და წყლის ნაპირები</i>)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:453]. 		
<ul style="list-style-type: none"> • „ეს ჩემი თეთრი ქათამი ღელე-ღელე დაკირკიტობს (<i>ქაფი</i>)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:453]. 	<ul style="list-style-type: none"> • „ჩემი ჩე ქოთომი ღაღეს ელაქვაქვალუნი. – ჩემი თეთრი ქათამი რუზე თამაშობს (<i>წყლის ქაფი</i>)“ [კ. დანელია 1991:467]. 	–
<ul style="list-style-type: none"> • „გამოცანას მოგახსენებთ, დიდი არაფერია. ზოგან წითელ, ზოგან ყვითელ, ზოგან ალისფერია (<i>ცისარტყელა</i>)“ [ექსპედიცია 2019]. • „აი, ეს საჩუქარი, მშვენიერი რამ არის, მზემ გამოჭედა დედისთვის, შვიდი ფერის ქამარი (<i>ცისარტყელა</i>)“ [ექსპედიცია 2019]. • „შვიდი ფერი მმოსია, ვჩნდები წვიმის შემდეგ, ცას და მიწას ვაერთებ, ნელა ვქრები მერე (<i>ცისარტყელა</i>)“ [ექსპედიცია 2019]. • „ეწერს ცეცხლი უკიდია, მუხას ეპრიალება, თუმცა არ სწვავს, მიდამოს ნათლად ეპრიალება (<i>ცისარტყელა</i>)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:460]. • „ნეტა რა არის მისთანა, ამომავალი მზისთანა, წყალში რომ ფეხი უდგია იმ ოქროს ჩარდახისთანა (<i>ცისარტყელა</i>)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:460]. • „იხვი – წყალში, კუდი – ცაში (<i>ცისარტყელა</i>)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:460]. • „გამოცანას მოგახსენებთ, დიდი არაფერია. ალაგ წითელ, ალაგ ყვითელ, ალაგ ალისფერიაო (<i>ცისარტყელა</i>)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:460]. 	–	–

<ul style="list-style-type: none"> • „დედამ დაზარდა შვილები, დიდრონები და წვრილები, დაჯდა და თვითონ შეჭამა, დააკრეჭინა კბილები“ (დედამიწა) [ჯ. სონლულაშვილი 1991:92]. • „ერთი დედა ზრდის შვილებსა: დიდსა, პატარას, წვრილებსა, გაზრდის და თვითონვე შესჭამს, კიდევ ილესავს კბილებსა“ (დედამიწა) [ჯ. სონლულაშვილი 1991:92]. • „დედამ გაზარდა შვილები, წვრილ-წვრილნი, ზოგნი მსხვილები, დაჯდა და თვითონ შეჭამა, სისხლში იღება კბილები (დედამიწა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:452]. • „ერთი კვერცხი ხელთ მიჭირავს, ნახე როგორ ტკბილიაო; ნახევარი ცივი არის, ნახევარი თბილიაო (დედამიწა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:453]. 	<p>–</p>	<p>–</p>
<ul style="list-style-type: none"> • „დედამ თოკი გამიშალა, ვკეცე, ვკეცე ვერ დავკეცე“ (გზა) [ჯ. სონლულაშვილი 1991:92]. • „ერთი სარტყელი მქონდა, ვკეცე, ვკეცე ვერ დავკეცე“ (გზა) [ჯ. სონლულაშვილი 1991:93]. • „ვკეცე, ვკეცე ვერ დავკეცე“ (გზა) [ჯ. სონლულაშვილი 1991:94]. • „ბებერი და გრძელია, ქათმის ფეხს კი ვერ ასწვდება (გზა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:452]. • „ერთი პირსახოცი მაქვს, ვკეცე, ვკეცე ვერ დავკეცე (გზა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:452]. • „თუ ადგება ცას აწვდება (გზა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:452]. 	<ul style="list-style-type: none"> • „ართი ჩქიმი ბაწარია ვხეშე, ვხეშე – დღასი ვამახეშულ.“ – ერთი ჩემი თოკი ვკეცე, ვკეცე ვერ დავკეცე (გზა)“ [კ. დანელია 1991:467]. • „კვიჩი, კვიჩი, ვამაკვიჩუ“ – ვკეცე, ვკეცე, ვერ დავკეცე (გზა) [ექსპედიცია 2019]. • „ართი გინძე მათრახი რე, ვართ დუდ ულუ დო ვართი ბოლო.“ – ერთი გრძელი მათრახია, არც 	<ul style="list-style-type: none"> • „ფხუშე, ფხუშე, ვამახუშუ“ – ვაგროვე, ვაგროვე, ვერ შევაგროვე (გზა) [ექსპედიცია 2019].

	თავი აქვს და არც ბოლო (გზა)“ [კ. დანელია 1991:464].	
<ul style="list-style-type: none"> „ამვლეღია თუ ჩამვლეღი, მთელავს და მთელავს ფეხებით, მაგრამ არა მწყინს – ამით ხომ თანდათან ვუკეთესდები (ბილიკი)“ [ექსპედიცია 2019]. 	–	–
<ul style="list-style-type: none"> „ერთი რამ, უცხოდ მავალი, ორი ჩნდა, გამიკვირდაო; თუ გავიქეცი, გამომყვა, თუ დავდექ, დადგა ისაო; თუ ხელში რამე ავიღე, მან ბარგი აიკიდაო. თქვენი ჭირიმე, მიშველეთ, ეს რა გადამეკიდაო“ (ჩრდილი) [ჯ. სონლულაშვილი 1991:93]. „მოველ, ჯოხი მივაყუდე კარსა ვენახისასაო; მოსულიყო მოეპარნა ქალსა ეშმაკისასაო“ (ჩრდილი) [ჯ. სონლულაშვილი 1991:97]. „დღისით გრძელია, შუადღე – მოკლე, საღამოს ისევ გრძელია (ჩრდილი)“ [ექსპედიცია 2019]. „მეც კი მაქვს, შენც კი გაქვს და გარუჯულ ჯირკსაც (ჩრდილი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:453]. „ერთი რამე ვნახე, ეშმაკისა სახე, გარშემო შემოვლარე, კვალი ვერა ვნახე (ჩრდილი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:453]. „მე ძმა მყავა შვი სახისა, არა ჩემი დედ-მამისა, ხან კვდება და ხან ცოცხლდება, არის სხვადასხვა ტანისა (ლანდი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:489]. „შავია მოლოზანსა ჰგავს, ტყეში გადაყუდებულსა, არც რას გეტყვის მართალსა, არც არას გამრუდებულსა, თითო ყოველ კაცს თან ახლავს, ყოველ სულს დაბადებულსა (ლანდი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:489]. „არც ძმა არის, არც და არის, საცა წავალ ჩემთან არი, არცა შველის მას გაწყრომა, არცა ძლიერ მჭრელი ხმარი (ლანდი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 	–	<ul style="list-style-type: none"> „სკანიჯგუა მიკაატუნს, ვართი ჭკომუნს, ვართი შუნს, მუნაფიი დლას ვაძირუნქ დო ჩხანაის გილარუნს“ – შენნაირი აცვია, არც ჭამს, არც სვამს, მოღრუბლულ დღეს ვერ ნახავ, მზიან დღეს დაგყვება (ჩრდილი) [ექსპედიცია 2019].

<p>1965:490].</p> <ul style="list-style-type: none"> • „ამედეგდა, არ მშორდება, ყველაფერში მევე მზადავს, ტყუპის ცალი თუმც არ არის, მაგრამ მეტისმეტად კი მგავს (ლანდი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:490]. • „უსულო და უსხეულო, ხორციელი სახე არის, რასაც იზამ, იმას იზამს, უცნაური რამე არის (ლანდი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:490]. • „ეს ჩემი ელეყუდაო, კლდეზე აეყუდაო (ლანდი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:490]. • „გავიქეც – გამომეკიდა, გამოვბრუნდი – გამოვბრუნდა, დავწეხი და – გაქრა (ლანდი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:490]. 		
დრო		
<ul style="list-style-type: none"> • „ერთსა ალვისა ხეზედა თორმეტი ტოტი აბია; სცვივა და სცვივა ფოთოლი, ისევ იმდენი ასხია“ (წელიწადი) [ჯ. სონდულაშვილი 1991:94]. • „ზამთრით მოვალ, ზამთრით მივალ, ვინ გინახავთ ჩემისთანა, შარშან ამ დროს ახალგაზრდა – დღეს უძღური ბებრუხანა (ძველი და ახალი წელიწადი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:454]. • „თორმეტმა არწივმა, ორმოცდარვა კაჭკაჭმა, სამას სამოცდახუთმა ჩიტმა ერთი კვერცხი დასდო (თვეები, კვირეები, დღეები, წელიწადი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:455]. • „ერთი ხე მიდგა, თორმეტი ტოტი და სამას სამოცდახუთი ფოთოლი აქვს (წელიწადი, თვეები და დღეები)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:455]. • „ერთსა ალვის ხეზედა თორმეტი ტოტი აბია, სცვივა და სცვივა ფურცელი, ისევ იმდენი ასხია (წელიწადი და თორმეტი თვე)“ [ექსპედიცია 2019]. • „ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, იქნა შვიდი, კვლავ თორმეტი, დასაბამით არის ხიდი განაკიდი, ვინც რომ ამას გამოიცნობს, 	<ul style="list-style-type: none"> • „ვითოჟირი კაჭკაჭი, ოთხი არწივი – არწივი – ართი კვერცხის სქუნც. – თორმეტი კაჭკაჭი და ოთხი არწივი ერთ კვერცხს დებს. (წელიწადი)“ [ვ. დანელია 1991:468]. • „ვითოჟირი ჯიმალენს ართი ორთუმალი მეუძენა. – თორმეტ ძმას ერთი სასთუმალი უდევს (წელიწადი და თორმეტი თვე)“ [ვ. დანელია 1991:469]. 	–

<p>მასთან არის ჭკუა დიდი (კვირა, თორმეტი თვე და წელიწადი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:454].</p> <ul style="list-style-type: none"> • „არასოდეს მოიშლება, ჩარხივითა მბრუნავია, ოთხ ნაწილად იყოფება, ყველას ჰქვიან სახელია, სამი მეტად მშვენიერი, სამი ოქრო, ბრწყინვალეა, სამი მეტად ნოყიერი, სამი მეტად მძვინვარია (წელიწადის ოთხი დრო)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:455]. • „ერთსა აღვის ხეზედა თორმეტი ტოტი გრძელია, ოთხ-ოთხი თხილი აბია, გამოსაცნობი მნელია, შვიდ-შვიდი კურკა შიგ უდევს, ახალია და ძველია, ამისი გამომცნობელი ჰქვიანია და ბრძენია (წელიწადი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:455]. 		
<ul style="list-style-type: none"> • „გონიერი ბავშვი სწრაფად უნდა მიხვდეს: სულ წინ მიდის, უკან არასოდეს იხევს (დრო)“ [ექსპედიცია 2019]. • „არც კვდება, არც ბერდება (დრო)“ [ექსპედიცია 2019]. 	-	-
<ul style="list-style-type: none"> • „თავი ოქრო, ბოლო ვერცხლი, შუა წელი რკინა, ეს თუ ვერ გამოიცანი დამპატიჟე შინა (შემოდგომა, ზამთარი და ზაფხული)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:454]. • „ჭალაშია შავ-თეთრ თხორიკან ჩამორბიანო (ზამთარ-ზაფხული)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:454]. • „მობრძანდება ბეგსავითა, წაეთრევა ძალსავითა (ზამთარი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:454]. 	-	-
<ul style="list-style-type: none"> • „ოთხი – ოქრო, ოთხი – ვერცხლი, ოთხი – ბოლო დროს რკინაო; ამის გამომცნობი კაცი აბა, წამოდგეს წინაო; ან ჩამოასხი ხელადა, ან დამპატიჟე შინაო.“ (თვეები) [ჯ. სონლულაშვილი 1991:98]. • „ოცდაათმა ჩიტმა ერთი კვერცხი დასდო (თვე)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:454]. 	-	-
<ul style="list-style-type: none"> • „ისე არის ნათელი, არ სჭირდება სანთელი“ (დღე) [ჯ. სონლულაშვილი 1991:96]. 	-	-

<ul style="list-style-type: none"> • „იქ, ჰორიზონტზე რომ მოჩანს იმ შორეული მთებიდან, თეთრი არწივი აფრინდა, ფართოდ გაშალა ფრთები და შავი არწივი იფრინა და გამოცლილი ყანწივით ტრამალზე გადაისროლა ის შავფრთიანი არწივი (დღე)“ [ექსპედიცია 2019]. • „ზამთარში – მოკლე, ზაფხულში – გრძელი, გამოსაცნობად არ არის ძნელი (დღე)“ [ექსპედიცია 2019]. • „რა იქნება ხვალ, რა იყო გუშინ? (დღე)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:454]. 		
<ul style="list-style-type: none"> • „მოვიდა შავი მოზვერი, წაიქცა მთელი სოფელი (ღამე)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:454]. 	-	-
<ul style="list-style-type: none"> • „მოვიდა თეთრი მოზვერი, გააგდო შავი მოზვერი“ (დღე და ღამე) [ჯ. სონღულაშვილი 1991:97]. • „ხან არის მოკლე, ხან არის გრძელი, გამოსაცნობად არ არის ძნელი“ (დღე და ღამე) [ჯ. სონღულაშვილი 1991:104]. • „აბლი ბაბლი, ოქროს ტახტი, მზით ავიღე, მთვარით დავდგი (დღე და ღამე)“ [ექსპედიცია 2019]. 	<ul style="list-style-type: none"> • „უჩა ჯაკელა მეზუმინუნც, ჩე ჯაკელა მოზუმინუნც. – შავი ფური მიზმუის, თეთრი ფური მოზმუის (დღე და ღამე)“ [კ. დანელია 1991:468]. 	-
ბუნების მოვლენები		
<ul style="list-style-type: none"> • „აბლი, ბაბლი, ოქროს ტახტი, მზით ავიღე, მთვარით დავდგი“ (ყინული) [ჯ. სონღულაშვილი 1991:89]. • „ღამით ტბას და გუბურას სად იყო და სად არა, ვიღაც უჩინმაჩინმა სარკე გადააფარა (ყინული)“ [ექსპედიცია 2019]. • „წყალია და წყალში არ იძირება (ყინული)“ [ექსპედიცია 2019]. • „ჩურჩხელა ვნახე კახური, თეთრად უჩანდა სახეო, ავიღე ხელში, დამიდნა, ნამცეციც ვერარ ვნახეო (ყინულის ლოღო)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:460]. 	-	-
<ul style="list-style-type: none"> • „ერთმა ვინმემ ფანჯრის მინა მორთო უცხო 	-	-

<p>ფიგურებით, თბილი ქუდი დამახურა და ჩამაცვა ციგურები. აღმა-დაღმა მასრიალებს, დავქრი, ყინჩად ვიყურები (ყინვა)“ [ექსპედიცია 2019].</p> <ul style="list-style-type: none"> • „ალი არა აქვს, ცეცხლი არ არის, ხელ-ფეხს კი დამწვავს, ნეტა რა არის? (ყინვა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:459]. • „მალლა ცამან მოიწმინდა, მოისკამურ-სკამურაო. ძირს მელიამ ფეხი ჩაჰკრა, ჩაჰკრა, ჩააწვარუნაო (ყინვა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:460]. • „ჩვენი მოხუცი ბერია, იმისი საქმე ძნელია, გარეთ მამაცობს, შინ შევა, ცრემლები სცვივა ბევრია (ყინვა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:460]. 		
<ul style="list-style-type: none"> • „მთაზე ჩამოწოლილა გავაზ-გავაზი გველიო, ჩამოხედავდა ჭალასა, ეგ არის ჩემი ველიო (ზგავი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:452]. 	-	-
<ul style="list-style-type: none"> • „ავიარე, ავლესაო, თხა დაეკლა პავლესაო, ხორცი ვთხოვე ნებითაო, გამომიდგა ქვებითაო“ (სეტყვა) [ჯ. სონლულაშვილი 1991:89]. • „ზეიდანა გამორბოდა ერთი ვინმე ჭრელოსანი, იმას ყველა დაემალაქვეითი და ცხენოსანი“ (სეტყვა) [ჯ. სონლულაშვილი 1991:95]. • „მალლიდანა წამოვიდა უთვალავი ბჟირივითა, ნაყოფი მიწას დააგო, შემოგვიხტა ჭირივითა, ვხედავდით და ვერ ვშველოდით, ყველა დაგვსვა ტირილითა (სეტყვა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:457]. • „ზევიდანა წამოვიდა კაბა-კაბა თხილოსანი, ყველა იმას ერიდებდა ქვეითი და ცხენოსანი (სეტყვა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:457]. • „გაზაფხულდება თუ არა, მოვალ პატარა, მრგვალიო; სუყველას კარგად ჩავრეგვავ, მიჰყეთ და იღეთ ვალიო (სეტყვა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:457]. • „აველი ცაში, დავუკარი ტაში; ჩამოვარდა ვერცხლი, გასკდა ხუთი კვერცხი (სეტყვა)“ 	-	-

<p>[„ხალხური სიბრძნე“ 1965:457].</p> <ul style="list-style-type: none"> • „ავიარე ავლასა, თხა დაეკლა შაღვასა. ხორცი ვთხოვე ნებითა, გამომიდგა ქვებითა (სეტყვა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:457]. • „მანზე ციკნები დახტიან (სეტყვა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:457]. 		
<ul style="list-style-type: none"> • „გავიხედე, თვალი მიყო, მივედი და აღარ იყო“ (ელვა) [ჯ. სონღულაშვილი 1991:91]. • „შავი მოდის შავითაო, შავი ბრაგა-ბრუგითაო, წითლად თვალი აეხვია შავი აბრეშუმითაო (ელვა, ქუხილი, მეხი)“ [ჯ. სონღულაშვილი 1991:95]. • „აქ დავკარ ხმალიო და ისპაჰანში გავიდა კვალიო (ელვა)“ [ჯ. სონღულაშვილი 1991:95]. • „ხან გაჩნდება, ხან გაქრება, ხან აღარსად არარ არი, სხვა დროში თუ გამოჩნდება, თორემ ზამთარში არ არის (ელვა)“ [ჯ. სონღულაშვილი 1991:95]. • „კიკლი-კიკლი კიბესაო, ხორასტულა ციხესაო, იქ რომ ლომი ბრდღვინავდა, ნაჟინულები ცვიოდა (ელვა და ქუხილი)“ [ჯ. სონღულაშვილი 1991:95]. • „ხმა აქვს თოფსავით, ცეცხლიც მასავით, რასაც მოხვდება, აქცევს ფერფლსავით (მეხი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:456]. • „მალლიდანა წამოვიდა კუდმოჭრილი მელა, ქვეყანა იმას დაედვა, ვერვინ შეაჩერა (მეხი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:457]. • „ხმა ისმის და თვითონ არ ჩანს (ქუხილი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:459]. • „კუნტა პაპას წამოუსხამს თავის ძველი ახალუხი, ქვევით მიაქვს რახარუხი (ქუხილი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:459]. 	<p>–</p>	<ul style="list-style-type: none"> • „უდირგნს დორინს (დგრინს), უსირინს – სირინს, ორბიში კუდელი მენათნც. – უდირგნს – დორინს, უსირინს – სირინს, ორბის კუდი ანათებს (ელვა და გრგვინვა)“ [კ. დანელია 1991:464].
<ul style="list-style-type: none"> • „გულით მნატრობენ, ყველგან მელიან, როცა კი მოვალ, იმალებიან“ (წვიმა) [ჯ. სონღულაშვილი 1991:91]. • „მალლიდანა წამოვიდა მაიშხუმი, შხამარა, დაბლიდანა მიეგება მაისკუმის კამარა“ (წვიმა) 	<p>–</p>	<p>–</p>

<p>[ჯ. სონლულაშვილი 1991:97].</p> <ul style="list-style-type: none"> • „ტყეში ფიჩხი გადავუშვი (წვიმა)“ [ექსპედიცია 2019]. • „მოვდივარ მომელოდიან, მოვალ და მემალეობიან (წვიმა)“ [ექსპედიცია 2019]. • „ბალახს მძივად ჰკივია, სახურავზე ბრწყინავს, ასუფთავებს მიდამოს, რა არის და (წვიმა)“ [ექსპედიცია 2019]. • „მალიდანა წამოვიდა, ნაბადმა ვერ დამფარო, დამასველა ფეხებამდე, მიტხარ რაა, მასხარაო? (წვიმა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:460]. 		
<ul style="list-style-type: none"> • „აბელი ბელი, საბელი გრძელი, ბამბის გული უგრეხელი (ნისლი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:457]. 	-	-
<ul style="list-style-type: none"> • „შავმა დედაბერმა ცრემლები დაჰყარა, მთვარემ დახედა და მზემ მოიპარა (ნამი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:457]. • „ღამდამობით მოვფრინდები და დავგოგავ მიწაზეო, დილით იმწამს გავფრინდები, როგორც გამოჩნდება მზეო (ნამი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:457]. • „დილის რიჟრაჟზე მოვდივარ, მინდვრად ვახარებ ყვავილებს, ჩქარავე ვერები, რაი ვქნა, მზის სხივი მაკრთობს, მაშინებს (ნამი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:457]. 	-	-
<ul style="list-style-type: none"> • „თავზე ბურბუშელა, ფეხზე ფუნტრუშელა“ (თოვლი) [ჯ. სონლულაშვილი 1991:95]. • „შორით მოსულსა სტუმარსა თეთრი აცვია ტანზედა. თუ ხელი ახლე – გაწყრება, გაიპარება წამზედა (თოვლი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:456]. • „ჩუმად მოფრინდება, ჩუმად დაჯდება, დალპება და აყვირდება (თოვლი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:456]. • „იღება კარი, შემოდის ქალი, თეთრი ნარ-ნარი, ცივი, ლამაზი (თოვლი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:456]. 	-	<ul style="list-style-type: none"> • „გილვოფურინი ჩიტიცალო, გთვავგავგი ჩიკიცალო. – შევაფრინდი ჩიტევით, ჩამოვვარდი ჩირკევით (თოვლი)“ [კ. დანელია 1991:467]. • „მოიზოჯ პატონიცალო,

<ul style="list-style-type: none"> • „თეთრად მოვიდა და წყნარად წავიდა (თოვლი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:456]. • „თეთრმა სუფრამ მთელი ქვეყანა დაფარა (თოვლი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:456]. • „მთას გასცდა, ბარს გასცდა, წყალს ვერ გასცდა (თოვლი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:456]. • გადმოვდგებოდი, გეჩვენებოდი, რად არ იცოდი, გესტუმრებოდი (თოვლი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:456]. • „ზამთარში მოდის, გაზაფხულზე მიდის, ზაფხულში კვდება და შემოდგომაზე ცოცხლდება (თოვლი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:456]. • „ყარაბული ბამბაო, დილით კარს მოგვადგაო, არც რა ჰქონდა მარხილი, არც რას გამოგვადგაო (თოვლი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:456]. • „მოვა ქაჯსავითა, დაჯდება მეფესავითა, წავა წყალსავითა (თოვლი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:456]. • „თეთრი პეპელა მოფრინდა თვალთ მიუწვდომელ ცაშია, ძირს დაჯდა, ფეხი მოირთხა, ველარ გავედით კარშია (თოვლი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:456]. 		<p>მიდამაგვე ჯოლორიცალო. – ბატონივით მობრძანებულხარ, ძალლივით წაძუნძულდი (თოვლი)“ [კ. დანელია 1991:467].</p>
<ul style="list-style-type: none"> • „უპიროა, საჭმელს არ ჰამს, მაგრამ იგი ხარბად წყალს სვამს“ (ღრუბელი) [ჯ. სონღულაშვილი 1991:100]. • „არა სჭამს, მხოლოდ წყალს სვამს, გულხარბი ყოვლის მხრითაო, თუ ხელი ვინმემ მოჰკიდა, იტირებს ცრემლის ღვრითაო (ღრუბელი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:459]. • „თვალში დიდი და ხელში არაფერი (ღრუბელი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:459]. • „შავი მოდის შავითა, შავი რახარუხითა, შავსა თვალი ავუხვიე თეთრი აბრეშუმითა (ღრუბელი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:459]. • „ჯირკის ძირიდან თეთრი კვერცხი გამოგორდა (ღრუბელი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 	–	–

<p>1965:459].</p> <ul style="list-style-type: none"> • „ასმუცლიანი ბებერი, სულაც არა ჭამს საჭმელსა, ლოთი კი ისეთი არი, ვერ მოაჭარბებ სასმელსა (ღრუბელი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:459]. • „ერთი ცხენი მყავს სოსანი, სოსანზედ უფრო სოსანი, წავა ისპანაჰს წყალს დაღევს, ისევ შინ მოვა ცოცხალი (ღრუბელი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:459]. 		
<ul style="list-style-type: none"> • „მალლიდანა წამოვიდა, შავითა და ბნელითაო, ზოგსა გული შეუწუხდა, ზოგი ელის ლხენითაო (ღრუბელი და წვიმა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:459]. • „ზევიდანა წამოვიდა კაბა-კუბა ჭრელოსანი, სულერთიან თან წამოჰყვა ქვეითი და ცხენოსანი (ღრუბელი და წვიმა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:459]. 	-	-
<ul style="list-style-type: none"> • „ცა ქუდად აქვს და დედამიწა – ქალამნად (ავდარი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:455]. 	-	-
<ul style="list-style-type: none"> • „უჩინარია თვალითა, შემოვარდება ძალითა“ (ქარი) [ჯ. სონდულაშვილი 1991:100]. • „უსახლკაროა ამ ქვეყნად დაეხეტება მწირივით. ხან იდუმალი ჩურჩულით, ხან ჟინიანი წივილით (ქარი)“ [ექსპედიცია 2019]. • „მირბის, მიჰქროლავს უჩინრად, მიჰკვივის, როგორც მთვრალია, კლდეებზე დადის უვნებლად, ვერ შეაყენებს წყალია, იმისი წესი ეს არის, მოხვედრა თქვენი ვალია (ქარი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:458]. • „უფერო ვარ მივცინცილობ, უგონო ვარ მივიმღერი, ზამთარშია დაწუნებულს ზაფხულშია არ მყავს მტერი (ქარი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:458]. • ერთ სულიერსა ამბობენ, უჩინარსა და ხმიანსა, ზღვასა და ხმელეთს დაივლის და შინ მოიტანს გრიალსა (ქარი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:458]. • „ერთი რამ უცხო ფრინველი ბუდიდან არის 	-	-

<p>ბორისა, მას სანავარდოდ უყვარდა ქედები მაღლა გორისა (ქარი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:458].</p> <ul style="list-style-type: none"> • „ცხოვრობს უსხეულოდ, ლაპარაკობს უენოდ, არავინ მას არ ხედავს, ყველას კი ესმის (ქარი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:458]. • „ერთი რამ არის ხმიანი, უჩინარი და ფრთიანი, ზღვასა და ხმელსა დაივლის, რომ მოუნდება ტრიალი, მას კაცი ვერ დააკავებს ამოღებული ხმლიანი (ქარი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:458]. • „ასახსნელსა მოგახსენებ, აკვირ-მაკვირს საკვირველსა; უღელს გავთლი სანთლისასა, შიგ შევაბამ უღელ დევსა, ზღვაში ქვიშას ვახვნევიანებ, ცაში მივადევნებ სტვირსა (ქარი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:458]. • „ჩემი რქადაგრეხილი ჭედილა მაღლა ქედზე ტრიალებდა (ქარი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:458]. • „უხელოდ, უფეხოდ კარებს ალებს (ქარი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:458]. 		
<ul style="list-style-type: none"> • „უხილავია, ვერ ხედავს თვალი, ისე კი მეტად დიდი აქვს ძალი, ზოგჯერ სახლს ანგრევს და არხევს ტყეებს, ძირფესვიანად თხრის დიდრონ ხეებს, ხშირად მოჰყვება წვიმა, ავდარი, აბა ვინ მიხვდა, გვითხარ, რა არი? (ქარიშხალი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:458-459]. 	-	-
<ul style="list-style-type: none"> • „დასწერეთ სამი ასოთი ზაფხულის გრილი ჰაერი (სიო)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:458]. 	-	-
<ul style="list-style-type: none"> • „ჩემი ციკან-ბატკანი ბანზე კუნტრუმობენ“ (ხორხოშელა) [ჯ. სონლულაშვილი 1991:102]. 	-	-
მცენარეები		
ნაყოფის მომცემი (ციტრუსი, კენკრა, ხილი, კაკლისებრნი...)		
<ul style="list-style-type: none"> • „აკიბესა, ჩაკიბესა, კარტი-კურტით გაჰკიდესა; ჰკურეს ჯობი და ჩამოაგდეს, გული გამოუსინჯეს“ (კაკალი) [ჯ. სონლულაშვილი 1991:89]. 	<ul style="list-style-type: none"> • „ჩემი ჭიჭე კოლოფიშა ჟირი ხატი ინომსვანჯ. – ჩემს პატარა 	<ul style="list-style-type: none"> • „ჩემი ჭიჭე ჩუვანიაშე ჟირი ჩოგანი ღუმუს ეშუვოგანჯ.

<ul style="list-style-type: none"> • „მალლიდანა წამოვიდა... ვაი, დედა, ქული, ჩაჩი!“ (კაკალი) [ჯ. სონლულაშვილი 1991:97]. • „მალლიდანა წამოვიდა თავში გიშით გიშერაო, იყრენა ტყავ-ნაბადი გამოვარდა მიშველაო“ (კაკალი) [ჯ. სონლულაშვილი 1991:97]. • „ამ ჩემს პატარა საყდარში ორი ხატი ასვენია (კაკლის გული)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:502]. • „ქვეყნის ჯარი ლაშქარს მიდის, შენ რას შვები, კინკარაო? ჩოხა, ჩაჩი მივატოვე, გადმოვვარდი ტვლიპანაო (კაკალი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:502]. • „მალა ვარ, ფეხნი ძირს მისხენ, ვარსკვლავთა ვემუდარები, მწარე ვარ შესახედავად, გულით – მზეს გავედარები (კაკალი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:502]. 	<p>კოლოფში ორი ხატი მისვენია (კაკალი)“ [კ. დანელია 1991:469].</p> <ul style="list-style-type: none"> • „ჟირი ჯიმა – კათა ართი კუბოს ინოდ. – ორი ძმაკაცი ერთ კუბოში ასვენია (კაკლის ლებნები)“ [კ. დანელია 1991:469]. 	<p>– ჩემი პატარა ქვაბიდან ორი ჩოგანი ღომი ამომაქვს (კაკალი)“ [კ. დანელია 1991:469].</p> <ul style="list-style-type: none"> • „ოთხი ჯიმაღეფი ართი ოთახუს მიარენა დო ართიანს ვაარწყენა“ – ოთხი ძმა ერთ ოთახში ცხოვრობენ და ერთმანეთს ვერ ხედავენ (ნიგვზის გული) [ექსპედიცია 2019].
<ul style="list-style-type: none"> • „ცა ვდრიკე და ვარსკვლავი ვკრიფე (თხილი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:462]. • „ტყეში ხარი შემვივარდა: – გამო, გამო, გიშერაო! – ნაბდის ძველა იქ დააგდო, გამოვარდა შიშველაო (თხილი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:462]. • „ცასა მოუწმენდიაო, მოუკანკრაჩებიაო, მელას კული გადუგდია, გადუჯინჯილეზიაო (თხილი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:462]. 	<ul style="list-style-type: none"> • „მოვდირიკი ცა, მოვკორობი მურიცხეფი. – მოვდრიკე ცა, მოვკრიფე ვარსკვლავები (თხილი)“ [კ. დანელია 1991:469]. 	<p>–</p>
<ul style="list-style-type: none"> • „ერთი ქათამი მყავს: ფეხებით წყალს სვამს, თავით კვერცხსა სდებს (მცენარე)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:468]. 	<p>–</p>	<p>–</p>
<ul style="list-style-type: none"> • „გომურში ხარი შევაგდე, კული ხელში შემრჩა“ (მსხალი) [ჯ. სონლულაშვილი 1991:91]. • „ხარი ბოსელში შევაგდე, კული ხელში შემრჩა (მსხალი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:468]. • „აგერ, იქითა ლელაზე, ციცა კულითა კიდა (მსხალი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:468]. 	<p>–</p>	<ul style="list-style-type: none"> • „ქვარა – გოდორი, დუდი ქოჩორი, ბორკი – სოსორო. – მუცელ – გაბერილი, თავ – ქოჩრიანი, ფეხ – წვრილი (კეჟერა მსხალი)“ [კ. დანელია 1991:464].

<ul style="list-style-type: none"> • „აი, მაღლა გორაზედა დათვი კუდითა აბია, ვინც გაივლის, გაჰკრავს ხელსა; თუ არა, ისევ აბია (პანტა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:462]. 	-	-
<ul style="list-style-type: none"> • „აგერ, იმ გორას რა არის? ამწვანებული მთა არის, შიგ უსხედს ოქროს კბილები, ვერ გამოიცინობ რა არის“ (მარწყვი) [ჯ. სონლულაშვილი 1991:89]. • „ეგერ, გაღმა გორაკზე, შილაია აფენია (მარწყვი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:462]. • „ჩირგვთან ვცხოვრობთ ჯგუფადა, ბავშვები გვყავს სტუმრადა (მარწყვი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:462]. 	-	-
<ul style="list-style-type: none"> • „ქათამი შავი, ავგლიჯე თავი, შევჭამე მხარი, აბა ვინ არი?“ (ყურძენი) [ჯ. სონლულაშვილი 1991:101]. • „ალავი ავი, ქათამი შავი, ავგლიჯე მხარი, შევჭამე თავი (ყურძენი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:472]. • „ხე მრუდი და ხე მართალი, წვერში ება ცხრა მარცვალი (ყურძენი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:472]. • „მასხარაშვილთ ქალი ვიყავ, მაჭარაშვილის პატარძალი; კამის, კუმის კაბა მეცვა, ღილი მქონდა ასი ცალი (ყურძენი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:472]. • უსულო მამა დედაცემს მხარში შეუდგა, უშველა, დედამა მშობა ტირილით, მემოყვრებიან სუყველა (ყურძენი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:472]. • „ასიანისა ქალი ვარ, ასისა ვაჭრის რძალი ვარ, ყარყუმის კაბა მაცვია, ზედ ოქროს ღილი მაბია (ყურძენი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:472]. • „ასი ხევი ავიარე, ასი ბუდე ავშალე, ქალსა მძივი ავყარე, კალათაში ჩავყარე (ყურძენი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:472]. • „ადამი დარი, ქათამი მწვარი, ავართვი მხარი, შევჭამე თვალი (ყურძენი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:472]. 	-	<ul style="list-style-type: none"> • „ჩე ქუდუორშვე, ჭითა ქიშვოში, უჩათ გეკვოფში. – თეთრი დავქსელე, წითელი ჩავაქსოვე, შავით გავავსე (ყურძენი იზაბელა)“ [კ. დანელია 1991:471].

<ul style="list-style-type: none"> „დედას ვჭამთ, შვილს კი ვსვამთ, ორივე გემრიელია: დედა ახალი სჯობია, შვილი – რაც უფრო ძველია (ყურძენი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:472]. 		
<ul style="list-style-type: none"> „მამა – მიგრებილ-მოგრებილი, დედა – არც თუ ნაზი, შვილი – სულ გადარეული, თქვი რა ქვია (ვაზი)“ [ექსპედიცია 2019]. „ღობეს იქით წინ საბიჯგით, მის წვენს სვამს ჭინკა ბიჭი (ვაზი)“ [ექსპედიცია 2019]. 	–	–
<ul style="list-style-type: none"> „ბატონი გრძელლუკურიანი (ვენახი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:466]. „შეიქნა გრიალ-გრიალი, კატა გამობტა რქიანი, ანთიმოზ ჩექმებიანი, ზოსიმე ხანჯალიანი და ვირი ნალეზიანი (ვენახი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:466]. 	–	–
<ul style="list-style-type: none"> „კუტი მამა, მარგალიტი დედა და გიჟი შვილი (ვაზი, ყურძენი და ღვინო)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:465]. 	–	–
<ul style="list-style-type: none"> „კუნწულეზად ხეებზე ბრწყინავს როგორც ლალი, ზოგან წითლად მწიფდება, ზოგან შავიც არის. აბა კარგად დაფიქრდი, თქვი რა ქვია (ბალი)“ [ექსპედიცია 2019]. 	–	<ul style="list-style-type: none"> „ართი ბორკამი – ნაბადამი. – ერთფეხა და ნაბდიანი (ბლის ხე)“ [კ. დანელია 1991:469].
<ul style="list-style-type: none"> „გარეთ – ატლასი, შიგნით – ათასი“ (ბროწეული) [ჯ. სონღულაშვილი 1991:91]. „მალლა კიდობანი შევკარ აკნისაო, ბაკნისაო; კურტუმები ჩავალაგე ციკნისა და ბატკნისაო“ (ბროწეული) [ჯ. სონღულაშვილი 1991:97]. „შიგნით გული გურგუმელი, გარეთ კანი ატლასისა, რაც იმაში ჯარი არის, თუ არ მეტი ათასისა“ (ბროწეული) [ჯ. სონღულაშვილი 1991:102]. „ცას ვკიდე ხელი, ვერ ვკიდე, ვარსკვლავებს დავედარები; ქერქი მაქვს მეტად მწარე და ფერით ლალს დავედარები; თასი მიბოძეთ, დავეყარო იაგუნდი და ლალები“ (ბროწეული) 	<ul style="list-style-type: none"> „გალე ატლასი, დინახალე ანთასი. – გარეთ ატლასი, შიგნით – ათასი (ბროწეული)“ [კ. დანელია 1991:467]. 	<ul style="list-style-type: none"> „არა მარა, არა მარა, სისხლი აქვს და ხორცი არა (ბროწეული)“ [კ. დანელია 1991:465].

<p>[ჯ. სონლულაშვილი 1991:103].</p> <ul style="list-style-type: none"> • „ცას კოკროჭინა ჰკიდია სიგრძითა და სიგანითა, პირტამდისინ სავსე არის თხილითა და ციკანითა“ (ბროჩეული) [ჯ. სონლულაშვილი 1991:103]. • „წითელ ჭურში წითელი კენჭები აწყვია (ბროჩეული)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:465]. 		
<ul style="list-style-type: none"> • „აიქითა ველშია წუწიანი კაცები გამოიციკირებინ“ (ზღმარტლი) [ჯ. სონლულაშვილი 1991:89]. • „ტყიდან წუწიანი ბებერი იყურება“ (ზღმარტლი) [ჯ. სონლულაშვილი 1991:100]. • „ხუთი რქა აქვს, ხუთი ძვალი (ზღმარტლი)“ [ექსპედიცია 2019]. • „ჩლიტიანი, ბლიტიანი, ტყეში გამოიყურება (ზღმარტლი)“ [ექსპედიცია 2019]. • „ტყეში წირპლიანი დედაბერი იდგა (ზღმარტლი)“ [ექსპედიცია 2019]. 	-	-
<ul style="list-style-type: none"> • „ხეს ვაშლი აბია, სახელს ვამზობ – აგია (ზია)“ [ექსპედიცია 2019]. • „ასახსნელსა მოგახსენებ ანი, ბანი, ინითაო (ზია, კომში)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:464]. • „ჩემო ძმაო, ოხოზია, რაღაც მომიბარებია, არც შესვა და არც შეჭამო, ისე მომიბარებია (ზია)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:464]. • „მკვახეს შევჭამ – დაგახრჩობ, მწიფე წამლად დაგედები (ზია)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:465]. 	-	-
<ul style="list-style-type: none"> • „რძისფერი სისხლი ჩამოსდის გაკაწრულს ანდა გაპობილს. ბუერა ფოთლები აქვს და თაფლივით ტკბილი ნაყოფი (ლეღვი)“ [ექსპედიცია 2019]. • „თუმცა ვყვავი სიმორცხვისგან, არ გინახავს ყვავილი, მაგრამ ბევრჯერ იტკბარუნებ პირს (ლეღვი)“ [ექსპედიცია 2019]. • „უყვავილო ხილი მიდგა ბატონთან გამოსაჩენი, ვინც ამას ვერ გამოიცნობს, ის არის გამოსარჩევი (ლეღვი)“ [„ხალხური 	-	-

<p>სიბრძნე“ 1965:467].</p> <ul style="list-style-type: none"> • „ხე ვარ, ხე მრუდად გაზრდილი, ვერ შემომწვდება ნადირი, შენ მოდი ენკენისთვეში, თუ ვერ გაჭამო სადილი (ლელვი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:467]. • „ხეზე ფეტვის ბუდეა (ლელვი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:467]. 		
<p>–</p>	<p>–</p>	<ul style="list-style-type: none"> • „აძგა-ბაძგა, ჯორიმ ხარგა. – აძგა-ბაძგა, ჯორის ასაკიდებელი (ხურმა)“ [კ. დანელია 1991:468].
<ul style="list-style-type: none"> • „ასი ხევი ავიარე, ასი ხევი ავშალე, ქალსა მძივი ავყარე, კალათაში ჩავყარე“ (შინდი) [ჯ. სონლულაშვილი 1991:90]. • „ტყეში წითელხალათა ბიჭი დგას (შინდი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:463]. 	<p>–</p>	<p>–</p>
<ul style="list-style-type: none"> • „გარედან პარკი, შიგნიდან ფევილი, შუაში უდევს მოგრძო რამ ჩხირი“ (ფშატი) [ჯ. სონლულაშვილი 1991:91]. • „გაუთლელი ჩხირი, შეუკერავი პარკი, დაუფქველი ფევილი“ (ფშატი) [ჯ. სონლულაშვილი 1991:91]. • „პარკში – ფევილი, ფევილში – ჩხირი (ფშატი)“ [ექსპედიცია 2019]. • „გაუთლელი ჩხირი, დაუფქველი ფევილი, შეუკერავი ტომარა (ფშატი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:462]. • „ერთი პატარა ქილა არის, შიგ ხორხოშელა ყრია (ფშატი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:463]. • „ჩხირია გაყიდულიო, ფევილია დაუფქველიო, გუდა შეუკერავიო (ფშატი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:463]. 	<p>–</p>	<p>–</p>
<ul style="list-style-type: none"> • „წიწვი, წიწვი ვაშლი, ზედ ასხია წვრილი ვაშლი; არც იჭმება, არც ისმება, არცა ზედა შეისვლება“ (ანწლი) [ჯ. სონლულაშვილი 1991:104]. 	<p>–</p>	<p>–</p>

<ul style="list-style-type: none"> • „ხე, ხე, ხერევიანი, ზედ ასხია სერევიანი. არც იჭმევა, არც ისმევა, არც ზედ ხეზე აისვლება (ანწლი)“ [ექსპედიცია 2019]. • „ხეა, ხეა, ხეა მბალი, ზედ ასხია კახა მბალი, არც იჭმევა, არც ისმევა, არცა ზედა გაისვლება (ანწლი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:461]. 		
<ul style="list-style-type: none"> • „დილით თეთრი ვარ, საღამოს შავ კუპრად გადავიქცევი; თუ თვალი მომკარ, უთუოდ საჭმელად გამოიქცევი“ (მაცვალი) [ჯ. სონლულაშვილი 1991:92]. • „ვესელე, დავესელე, თეთრად დავესელე, წითლად შევღებე, შავად ამოვჭერ“ (მაცვალი) [ჯ. სონლულაშვილი 1991:94]. • „თეთრად დავიბადე, წითლად გავიზარდე, შავად დავბერდი“ (მაცვალი) [ჯ. სონლულაშვილი 1991:95]. • „სულ ბუჩქებად იზრდება, თავს ნიავი დაჰხარის. გზის პირებზე მწიფდება, შავ კუნწულად (მაცვალი)“ [ექსპედიცია 2019]. • „თეთრად გაეჩნდი, წითლად გავიზარდე, შავად დავბერდი (მაცვალი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:462]. • „თეთრად დავესელე, წითლად მოვესოვე, შავად შევღებე“ (მაცვალი) [„ხალხური სიბრძნე“ 1965:462]. • „შავი არის შაშვივითა, იკბინება ძაღლივითა, საჭმელია თაფლივითა (მაცვალი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:462]. 	-	-
<ul style="list-style-type: none"> • „ტყეში ხარი შემვიარდა; გამო, გამო, გიმერაო, ნაბდის ძველა იქ დააგდო, გამოვარდა შიშველაო“ (წაბლი) [ჯ. სონლულაშვილი 1991:100]. • „ტყეში ხარი შემვიარდა, გამო-გამო გიმერაო. ნაბდის ქურქი იქ დააგდო, გამოვარდა შიშველაო (წაბლი)“ [ექსპედიცია 2019]. 	<ul style="list-style-type: none"> • „სუმბი ჯიმა კოს ათასი შტიკამი ყარაული გურე. – სამ ძმაკაცს ათასი ხიმტიანი ყარაული უდგას (წაბლი)“ [კ. 	-

<ul style="list-style-type: none"> • „გარედან ეკალია, შიგნიდან საჭმელია (წაბლი)“ [ექსპედიცია 2019]. • „ტყეში ხარი შემივარდა, გამო, გამო გიშერაო, ნაბდის ქუდი იქ დააგდო, გამოვარდა შიშველაო (წაბლი)“ [ექსპედიცია 2019]. • „ტყეში ხარი შემივარდა, გამო, გამო გიშერაო, ნაბდის ჩულოქი იქ დააგდო, გამოვარდა შიშველაო (წაბლი)“ [ექსპედიცია 2019]. • „შიგნით გული, გურგუმელი, გარეთ კანი ატლასია, მას რომ ჯარი ახვევია, შუბოსანი ათასია (წაბლი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:463]. • „ველის პერანგი მაცვია, გავიხდი, აზნაური ვარ, ქალაქში წავალ სავაჭროდ, არ ვიცი სადაური ვარ (წაბლი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:463]. 	<p>დანელია 1991:469].</p>	
<ul style="list-style-type: none"> • „ხის ტოტებზე შემომსხდარან ქართი ნანანავები, პაწაწინა ბიჭები, სვანურქუდიანები (რკო)“ [ექსპედიცია 2019] • „ალხაია, მალხაია, თავს აცვია ხალთაია, ვინც ამას ვერ გამოიცნობს, პილწია და გლახაია (რკო)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:462]. • „თავზე ქუდი ახურია, თვითონა ჰგავს კაკალსა; შენ ამას ვერ გამოიცნობ, ნუ დაიწყებ კაკანსა (რკო)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:463]. 	<p>–</p>	<p>–</p>
<p>ბოსტნეული</p>		
<ul style="list-style-type: none"> • „ბოსელში ვაცი წევს, წვერი მზეში აქვს“ (გოგრა) [ჯ. სონდულაშვილი 1991:90]. • „თოკი სვამს და ტიკი იბერება“ (გოგრა) [ჯ. სონდულაშვილი 1991:95]. • „წყალს სვამს და მუცელი ებერება (კვახი)“ [ექსპედიცია 2019]. • „ჩავაგდე ფრჩხილის ოდენა, მოვწყვიტე დერგის ოდენა (გოგრა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:465]. • „საბელმა წყალი დალია და ზაქი გაიბერაო (გოგრა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:465]. • „დაკეტილია, არც კარები აქვს, არც ფანჯრები, 	<p>–</p>	<p>–</p>

<p>შიგ მრავალი ხალხია (გოგრა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:465].</p> <ul style="list-style-type: none"> • „გავაგდე მარცვალი, გამოება ბაწარი, ზედ მოება გოდორი (გოგრა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:465]. 		
<ul style="list-style-type: none"> • „გაღმიდან იხვი, ხოხობი გამოლმა გამოჩანჩქარობდა, კვერცხი დაედო ოქროსი, შუა ბაზარზე ვაჭრობდა“ (კიტრი) [ჯ. სონდულაშვილი 1991:91]. • „ერთს მინდორზე თესლი ვთესე, მწვანედ იყო ამოსული; შევყავ ხელი, ამოვიღე, ეკლით იყო შემოსილი“ (კიტრი) [ჯ. სონდულაშვილი 1991:94]. • „მკვახეს ჭამენ, მწიფეს – არა (კიტრი)“ [ექსპედიცია 2019]. • „მკვახეს ჭამენ, მწიფეს – არა. ეტანება დიდ-პატარა (კიტრი)“ [ექსპედიცია 2019]. • „სანამ მწვანეა ვჭამთ და კარგად რომ გაყვითლდება, აღარ ვარგა (კიტრი)“ [ექსპედიცია 2019]. • „დედა სამი თვისაა, შვილი ბაზარში ვაჭრობს (კიტრი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:467]. • „შავს მიწასა მაყრიან, მწვანედ ამოუვა ძირი, შტო მრავალი დაბერდება, ფოთოლი აქვს მეტად ხშირი, მწვანე, მკვახე ხილი იცის, საჭმელია მეტად გრილი (კიტრი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:467]. • „ერთს ადგილსა თესლი ვთესე, იყო მწვანე ამოსული, აქეთ-იქით გადაშლილი და ყვითლად აყვავებული. ერთს კვირას უკანა ვნახე, იყო საკნატუნებელი (კიტრი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:467]. 	-	-
<ul style="list-style-type: none"> • „ეს ჩემი პატარა ვარია მიწაში კვერცხის მდებია“ (კარტოფილი) [ჯ. სონდულაშვილი 1991:94]. • „უკურტუმო ქათამი ღობეს უკან ჩავფალი (კარტოფილი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:467]. 	-	-
<ul style="list-style-type: none"> • „კაცი თეთრ ცხვარს ჰკლავს; ცხვარი არ ტირის, 	-	-

<p>კაცი ტირის“ <i>(ხახვი)</i> [ჯ. სონლულაშვილი 1991:96].</p> <ul style="list-style-type: none"> • „ცხრა ახალუხი აცვია, მის გახდას ის არ აპირებს, ვინც გახდის თვალებს აუწევას, ცხარე ცრემლებით ატირებს <i>(ხახვი)</i>“ [ექსპედიცია 2019]. • „ერთი კაცი ცხვარსა ჰკლავს, ცხვარი არ ტირის, კაცი კი ტირის <i>(ხახვი)</i>“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:471]. 		
<ul style="list-style-type: none"> • „ბოსტნეული ხახვივითა, კუდიანი თავივითა <i>(ბოლოკი)</i>“ [ექსპედიცია 2019]. • „ჩავაგდე ოსპის ოდენი, ამოჯდა კოჭბის ოდენი <i>(ბოლოკი)</i>“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:465]. • „რწყილმა კეჟო დაბადა <i>(ბოლოკი)</i>“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:465]. • „შავია – ყვავი არ არი, თეთრია – ყველი არ არი, კუდი აქვს – თავი არ არი <i>(ბოლოკი)</i>“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:465]. • „თავი ბურბუშელა, ბოლო ფუნტრუშელა, თუ ამას ვერ გამოიცნობ, უჭკუო ხარ შენა <i>(ბოლოკი)</i>“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:465]. 	<ul style="list-style-type: none"> • „ჩე რენდო კვერცხი ვარე, უჩა რე დო ზესქვი ვარე, კუდელი ჩანც – ჩიტი ვარე. – თეთრია და კვერცხი არ არის, შავია და შაშვი არ არის, კუდი აქვს და ჩიტი არ არის <i>(ბოლოკი)</i>“ [კ. დანელია 1991:468]. 	<p>–</p>
<ul style="list-style-type: none"> • „ნორჩი იყო – მივირთმევედი თავის მწვანე კაბიანად. გახმა, კაბა გავხადე და ეზო დამინაგვიანა. ვხარშე, ვხარშე, ძლივს მოვხარშე, რა ჰქვიან და რა ჰქვიანა <i>(ლობიო)</i>“ [ექსპედიცია 2019]. 	<p>–</p>	<ul style="list-style-type: none"> • „დანთხ ჭანდარქ, გემორთ მარგატელქ. – დაეცა ჭადარი, დასცვივდა მაკრატელი <i>(ლობიოს პარკი)</i>“ [კ. დანელია 1991:471].
<ul style="list-style-type: none"> • „ძირს თავი, მაღლა ფეხები <i>(პრასი)</i>“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:469]. • „ბაბუს სძინავს, ბაბუს ღვიძავს, ბაბუს წვერი მიწაშია <i>(პრასი)</i>“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:469]. • „ანაკეცი, მანაკეცი, ქალი იჯდა თმანაკეცი, არცა უნდა პირსა წყალი, არცა სარკე. 	<p>–</p>	<p>–</p>

<p>სავარცხელი (პრასი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:469].</p> <ul style="list-style-type: none"> • „თავი დაღმა, ფეხი აღმა და ფურცელი გარდიგარდმო (პრასი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:469]. 		
<ul style="list-style-type: none"> • „უფანჯრო და უკარებო, შიგ ხალხითა სავსე“ (საზამთრო) [ჯ. სონღულაშვილი 1991:100]. • „მწვანე ზღვა, წითელი წყალი, შიგ შავი თევზები (საზამთრო)“ [ექსპედიცია 2019]. • „კედელი გავარღვიე, შიგნული ვჭამე, კენჭები კი გადავყარე (საზამთრო)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:470]. • „თუმცა სუსტი ციხე ვიყავ, მაგრამ ბევრი ჯარი მყავდა; როცა მტერმა დამანგრია ყველა ერთად დამეფანტა (საზამთრო)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:470]. • „ერთი გზა მარცხნივ მიდის, მეორე მარჯვნივ, დედა აკვანში წევს, შვილი ბაზარში დადის (საზამთრო)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:470]. • „გარედანაც ჭრელია, შიგნიდანაც ჭრელია (საზამთრო)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:470]. 	-	-
<ul style="list-style-type: none"> • „ავიარე, ჩავიარე, ტურფა ვნახე მწოლიარე, თავი ვთხოვე, არ მათხოვა, ძმაზე იყო მგლოვიარე (ნესვი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:469]. 	-	-
<ul style="list-style-type: none"> • „ჩემი თეთრი ქათამი ღობის უკან ჩავფალი“ (ნიორი) [ჯ. სონღულაშვილი 1991:102]. • „თეთრი ქუჩუ-ქუჩუბელა გარეთ ბუდეს იბუდებდა (ნიორი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:468]. • „ერთი თეთრი ქათამი მყავდა სულ მიწა-მიწა ძვრებოდა (ნიორი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:468]. • „ერთი ქოჩორა მამალი მიწაში თავუყრელად ვერ ცხოვრობს (ნიორი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:469]. • „მთას იქით კაცი მარხია, მთას აქეთ სუნი გადმოდის (ნიორი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:469]. 	-	-

1965:469].		
<ul style="list-style-type: none"> • „ჩვენებიანათ ბაღშია ჯამი ჯამზე ამხია, ვინც ამას ვერ გამოიცინობს, თავზე ლაფი ასხია“ (კომბოსტო) [ჯ. სონლულაშვილი 1991:102]. • „კოჭდაბაღს და გაბერილსა ტანთ ჩაუცვამს ასი კაბა (კომბოსტო)“ [ექსპედიცია 2019]. 	–	–
<ul style="list-style-type: none"> • „ჩემი ბებოს ბაღაში, სადაც ეზოს ბოლოა, მზეზე ბრწყინავს ათასი ალისფერი ლოლუა (წიწკა)“ [ექსპედიცია 2019]. 	–	<ul style="list-style-type: none"> • „ჩემი ორტვინს ჭითა მუშუ დიაყვიანს“ – ჩემს ბოსტანში წითელი მამალი ყივის (წიწკა) [ექსპედიცია 2019].
სოკოები		
<ul style="list-style-type: none"> • „ტყეში ცალფება სკამია“ (სოკო) [ჯ. სონლულაშვილი 1991:100]. • „ტყეში ცალფება დედაბერი დგას (სოკო)“ [ექსპედიცია 2019]. • „ცალფება სკამი მაქვს ტყეში (სოკო)“ [ექსპედიცია 2019]. • „ის ცალფება კაცუნა, იბადება ტყეში, თავზე ქოლგა ახურავს, უყვარს წვიმა თქეში (სოკო)“ [ექსპედიცია 2019]. • „ერთ ფეხზე შეკუნტულია, ქუდი ჰხურავს თავზე, ტყეში უთვალავს შეხვდები, უფრო – ნაწვიმარზე (სოკო)“ [ექსპედიცია 2019]. • „ეგერ, ეგერ, გორაზე წითელი თასი ამხვია (სოკო, ნიყვი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:464]. • „უხნავ-უთესად მოსული, ზამთარს მიწაში სძინავსო, თეთრი პერანგი აცვია, თავი მიუგავს ინასო (სოკო, ნიყვი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:464]. • „წადი, ისეთი ხორცი მომიტანე, არც იყვეს დედლის, არც მამლისა (სოკო)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:464]. • „კლდეზე ცალფება სახლი მიდგა (სოკო)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:464]. 	–	–

<ul style="list-style-type: none"> „თეთრი პერანგი აცვია, თავი მიუგავს სინასა, მამაც-მამაცი კაცები მასზე გაწევენ ლხინასა (სოკო, მიქელა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:464]. 		
<p>მარცვლეული</p>		
<ul style="list-style-type: none"> „ასი, ასი,ასლამაზი, ასი კაბა მაცვია, აბრეშუმის ქოჩორი თავზე გადმივარცხნია“ (სიმინდი) [ჯ. სონლულაშვილი 1991:90]. „ასლა-მასლა მერქვა, ასი ტყავი მეცვა, აბრეშუმის ქოჩორი თავზე გადამესხა“ (სიმინდის ტარო) [ჯ. სონლულაშვილი 1991:90]. „დამაცალე, ყიყო, ნახე, შენ რა გიყო: პერანგი შემოგახიო, თავი ცეცხლში გიყო“ (სიმინდის ტარო) [ჯ. სონლულაშვილი 1991:92]. „ერთი რამე ასე იქმნა, ხილნარშია ისი მინდა. მრავალფერად შეფუთული, ტყაოსანად ისი მინდა. მარგალიტად ჩაწყობილი, ჯილოსანად ისი მინდა. ვინც რომ ამას გამოიცნობს, მეცნიერად ისი მინდა (სიმინდი)“ [ექსპედიცია 2019]. „გამო ჩემო ყიყო, მე რა საქმე გიყო, ტანისამოსი გაგხადო, თავი ცეცხლში გიყო (სიმინდი)“ [ექსპედიცია 2019]. „ესე კაცი რა კაცია, ცხრა ნაბადი რომ ასხია (სიმინდი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:470]. „ოქრო, ოქრო ვერცხლია, ბიმბილები ასხია, ვინც ამას არ მიხვდება, თავზე ლაფი ასხია (სიმინდი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:470]. „არაშვილო, თარაშვილო, დაო ბოსტოდანაშვილი, იფინჯი რომ წამოგისხამს, გინდა მაგით შემაშინო? (სიმინდი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:470]. „შევხედე: ყანაში არის ლამაზი, ულვაშიანი (სიმინდი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:470]. „ფაჩაფუჩი, მიქელაო, გამოვარდა ტიტველაო (სიმინდი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:470]. „უსულოსა, უგულოსა, ცხრა პერანგი აცვია (სიმინდი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:471]. 	<p>–</p>	<ul style="list-style-type: none"> „ბადიდ კოჩქ დოღურუნი მიჩქედუ დო დარიგებას იჩინანდუ. მიკოჯინინ, კარს ქეგირიჩინანდუ. – მოხუცი კაცი, მკვდარი რომ მეგონა, დარიგებას იბარებდა (იძლეოდა), შევხედე და კარებთან ჩახჩახებდა (სიმინდი)“ [კ. დანელია 1991:467]. „შარას ოსური გილარენი – ფურჩაში კაბა მუკაქუნცუ – (მუკანწყუმალო თინა მოკო). ოქროში ძუბუეფი მიკოჩანც, – (მუკაჭკომალო თინა მოკო). – გზაზე რომ ქალი დგას – ფუჩეჩის კაბა აცვია – (გასახდელად ის მინდა), ოქროს ძუბუეფი ასხია –

<ul style="list-style-type: none"> • „ოქრო ვარ, ოქროსფრად ვბზინავ, ოქროდ შესხმული ღერზედა; დიდს და პატარას ვუყვარვარ შეწითლებული ცეცხლზედა (სიმინდი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:471]. • „იგი კაცი რა კაცია, ცხრაი ჩოხა რომ აცვია? (სიმინდის ტარო)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:471]. • „ასი, ასი, ასლამაზი, ასი კაბა აცვიაო, აბრეშუმის ქოჩორი გვერდზე გადაუვარცხნიაო (სიმინდის ტარო)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:471]. • „მე ჩემი ნიყვი, ბატონის კარს ვიყვი, ნიყვი შინ შევიპატიყეს, მე კი დავრჩი ბრიყვი. აცან ნიყო, მე რა გიყო, თავი ცეცხლშია წაგიყო (სიმინდის ტარო)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:471]. • „დედა მყავდა მოლუნული, მამა რკინით შეჭედილი, ცოლი მყავდა კუდიანი, არც მე ვიყავ ქრისტიანი (სიმინდის ტარო)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:471]. 		<p>(მოსაკბეჩად ის მინდა) (სიმინდის ტარო)“ [კ. დანელია 1991:464].</p>
<ul style="list-style-type: none"> • „წელში წვრილი, ტანმალაღი, თავზე ასხია კაკალი (შვრია, ჯიქურა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:471]. 	-	-
<ul style="list-style-type: none"> • „ჩვენს იქითი გორაზედა კატა ჰკიდავ კუდითაო“ (ხორბლის თავთავი) [ჯ. სონლულაშვილი 1991:103]. • „თეთრი ქათამი, ბოლო კურტუმ, ნარიყალას ედებოდა, ხესა ესხა მარგალიტი, იქროს წვეთი ვარდებოდა (პურის თავთავი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:469]. • „ძირი მიწას, შუა საბძელს, თავი მკვდარსა და ცოცხალსა (პურის თავთავი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:469]. 	-	<ul style="list-style-type: none"> • „უტა, ჩუტა, უტა, ჩუტა, ზოგი სავსე, ზოგი ფშუტა (პურის თავთავი)“ [კ. დანელია 1991:465].
<ul style="list-style-type: none"> • „ჩემს იქითი გორაზედა, ციცა ჰკიდავ კუდითაო (სვილი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:463]. 	-	-
<ul style="list-style-type: none"> • „ეს რა არის? მასრა არის; მასრას უკან კალო არის; კალო გაჭედილი არის; კვიცი გაკრეჭილი არის“ (ყანა და ძნა) [ჯ. სონლულაშვილი 	-	-

1991:94].		
<ul style="list-style-type: none"> • „ძირი – მიწასა, ტანი – ბაგასა, თავი – შენს ყველაყას“ (ყანა) [ჯ. სონდულაშვილი 1991:103]. • „თავს ანძრევს, ბოლოს არ არყევს, შუაში ჩაბალახობსა, ასხია ბევრი თვალეზი, პატრონმა დაინახოსა (პურის ყანა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:469]. • „ზაფხულში კარავს დაიცემს, ზამთარი შინაურია, ხშირად ასხია ეკალი, გასცვივა ბროწეულია (პურის ყანა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:469]. • „ჭკვიანო, შენ მეცნიერო, ეს გამოცანა რააო: ერთი რამ მკვდარი ქონება, ორსავ სოფელსა კმარაო, გაზრდის და გაადიდკაცებს, წახდენაზედაც მზააო (პურის ყანა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:469]. • „ზამთრით მთასა ვარ, ბარსა ვარ, ზაფხულით შინაური ვარ, ეკლის ბუსუსი მასხია, გამბერტყავ, აზნაური ვარ (ყანა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:471]. 	–	–
• მკვდარია და ცოცხალია (თესლი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:466].	–	–
<ul style="list-style-type: none"> • „მკვდარსა ვჭამ და კუბოსა ვყრი“ (მზესუმზირა) [ჯ. სონდულაშვილი 1991:97]. • „თავი უგავს სავსე მთვარეს, მარცვლები აქვს ერთობ ხშირი, დგას ამაყად და მთელი დღე მიუპყრია მზისკენ პირი (მზესუმზირა)“ [ექსპედიცია 2019]. • „კუბოს ფიცარს ვაგლიჯავთ, გულსა ვჭამთ, თანა ვაფურთხებთ (მზესუმზირა)“ [ექსპედიცია 2019]. • „შავ კუბოში თეთრი კაცი წევს (მზესუმზირა)“ [ექსპედიცია 2019]. • „მკვდარსა ვჭამ და კუბოს ვაგდებ (მზესუმზირა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:467]. 	–	–
ბალახოვანი მცენარეები და ხეები (ყვავილოვანნი, ბუჩქისებრნი, წიწვოვანნი, ფოთლოვანნი...)		
• „ლობეში ხელი შევყავი, ავმა ძალღმა მიკბინა“	–	–

<p>(ჭინჭარი) [ჯ. სონღულაშვილი 1991:101].</p> <ul style="list-style-type: none"> • „ლობეში ხელი შევყავი, ბომბორა ძაღლმა მიკბინა (ჭინჭარი)“ [ექსპედიცია 2019]. • „კავკავ ლობეს ხელი შევყავ, კაპასმა ძაღლმა მიკბინა (ჭინჭარი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:463]. • „შემოვუარე კერიას, ხელი მოვკიდე ღრენიას (ჭინჭარი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:463]. • „ლობერ, ლობერ – უჰ, უჰ! (ჭინჭარი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:463]. 		
<ul style="list-style-type: none"> • „მარად მწვანე ბუჩქი არის, ხის ტოტზე ზის არხენად, იმ ხეს სისხლი ამოსწოვა, გაჩენის დღე აწყველინა. არც ფოთოლი შეარჩინა, არც ნაყოფი ახეირა (ფითრი)“ [ექსპედიცია 2019]. 	–	–
<ul style="list-style-type: none"> • „ითესება, იმარგლება, იწევა და არ იჭმევა (თამბაქო)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:466]. • „რა არის: თესვენ, მარგვლიან და მერე განამტკიცებენ, სმენ და არ სჭამენ, ფიცს სდებენ, პატარა ჭურჭლით ხმარობენ, ვინც ითხოვს, ყველას მისცემენ (თუთუნი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:466]. 	–	<ul style="list-style-type: none"> • „გეურსუნი, ტყა რე, დიიჭუნი, ტუტა რე, სარგებელი მუთა რე“ – რომ ამოვა, ტყე არის, რომ დაიწვება, ფერფლი არიას, სასარგებლო არაფერია (თამბაქო) [ექსპედიცია 2019].
<ul style="list-style-type: none"> • „უდედოდ დაბადებული, უჭმელად გამოზრდილია, ზაფხულში ბევრი ვინატრე მისი საამო ჩრდილია (ხე)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:464]. 	–	–
<ul style="list-style-type: none"> • „უსულოსა, უგულოსა ზურგზე მოსვლია ბალანი (ხეზე ხავსი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:464]. 	–	–
<ul style="list-style-type: none"> • „სივაჟკაციო მობუნძლული, სიბერეში გამართული (გვიძრა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:461]. 	<ul style="list-style-type: none"> • „ჭიჭე ვორდინი, პუხა ვორდი, მიბრდინი – გიბთინი. – პატარაობისას კუზიანი ვიყავ, გავიზარდე და – 	–

	გავიმართე (გვიმრა)“ [კ. დანელია 1991:469].	
<ul style="list-style-type: none"> • „წითელი ქვევრი, შავი სარქველი, შიგნითა ყრია ხაშარ-ხუშარი“ (ასკილი) [ჯ. სონღულაშვილი 1991:104]. • „წითელი ქვევრი, შავი სარქველი, შიგ ხომორ-ხომორი“ (ასკილი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:461]. • „წითელი ქვევრი, შავი სარქველი, შიგ რაღაც ყრია ხაზარ-ხუზარი“ (ასკილი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:461]. • „წითელი მუცელი, შავი პირსაკრავი (ასკილი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:461]. 	–	–
<ul style="list-style-type: none"> • „მგონი ყველა მისია, ქვეყნად ნემსი რაც კია. ზოგი მიწას მოჰფინა, ზოგიც ზედვე ასხია (ფიჭვი)“ [ექსპედიცია 2019]. 	–	–
<ul style="list-style-type: none"> • „მუხა ნათე ლაშაფლა, ენაძვირ-მოლაპარაკე. ხელმწიფე ლამაზად ვნახე (მუხა, თელა, ნაძვი და წიფელა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:462]. 	–	–
<ul style="list-style-type: none"> • „რომელი ბალახია, რომ ბრმაც კი გამოიცნობს? (ეკალი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:461]. 	–	–
<ul style="list-style-type: none"> • „მე აქაური არა ვარ, ცხელი ქვეყნიდან მოვედი. ტანი და ფეხი ერთი მაქვს, ხელეზად – მარაოები (პალმა)“ [ექსპედიცია 2019]. 	–	–
<ul style="list-style-type: none"> • „უმი არ იჭმევა, მოვხარშავთ და ვაგდებთ (დაფნა)“ [ექსპედიცია 2019]. • „იხარშება და არ იჭმევა (დაფნის ფოთოლი)“ [ექსპედიცია 2019]. 	–	–
<ul style="list-style-type: none"> • „ავიჭრელე ლალისფერი კაბა შავი ხალებით, ყელი კობტად მოვიღერე დავამშვენე ყანები (ყაყაჩო)“ [ექსპედიცია 2019]. • „ასლანთან ქალი ვიყავ, ასი კაბა მეცვა, ქარი რო შემომიბერავს, ერთიც აღარ მაცვია (ყაყაჩო)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:463]. 	–	–

<ul style="list-style-type: none"> • „აბა, რა მქვიან სახელად, მეც ყვავილი ვარ ველისა, მიყვარს წითელი სამოსი, კობტად დაჭერა წელისა (ყაყაჩო)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:463]. 		
<ul style="list-style-type: none"> • „ყვავილი ვარ ყვითელგულა, სხვა ყვავილებს არ ვედრები, რა ვუყოთ რომ სუნი არ მაქვს, წამლად მაინც გამოვდგები (გვირილა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:461]. 	–	–
<ul style="list-style-type: none"> • „ერთ პატარა მინდორზე გრილი სიო ქრის, შიგ ლამაზი ქალი ზის, სისხლის ღვარი სდის (ვარდი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:461]. • „ერთსა რამ უცხო საჭვრეტსა უდიან ტურფა სულეში, ფერი მიუგავს ლალებსა, ყვითელ იაგუნდს – გულეში, ზურმუხტის ფერი ფურცლები გარსა აქვს შემორგულები (ვარდი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:461]. • „ერთი ხე მიდგა ეკლისა, წითელ და თეთრი ფერისა (ვარდი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:461]. 	–	–
<ul style="list-style-type: none"> • „წითელი ხარი აბია, ორთავ ფეხებით კავშია, ვინც ამას ვერ გამოიცნობს, ადგეს, გავიდეს კარშია (ენდრო)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:461]. 	–	–
<ul style="list-style-type: none"> • „ოთხი ასოთი დასწერე ხმელი ბალახის სახელი (თივა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:466]. • „ას კაცს ერთი ქუდი ახურავს (თივის ზვინი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:466]. 	–	–
ცხოველები		
გარეული ცხოველები		
<ul style="list-style-type: none"> • „ავიდოდა, ჩავიდოდა, აზამბალი რქანიო, ახყებოდა, ჩახყებოდა მწყემსი თექიანიო“ (ჯიხვი) [ჯ. სონღულაშვილი 1991:89]. 	–	–

<ul style="list-style-type: none"> • „ჩვენს შინაურ თხას წააგავს, ბინადარია მთისა, მაღალ კლდეებზე ნავარდობს, ბარში აქვს შიში მტრისა (ჯიხვი)“ [ექსპედიცია 2019]. 		
<ul style="list-style-type: none"> • „ერთი რამე სულიერი მთაში დადის მწყრალივითა; ცეცხლსა ძლიერ ერიდება, შეშა დააქვს ძვალივითა; მე მინახავს დახვეოდნენ ბატონები ყმანივითა“ (ირემი) [ჯ. სონდულაშვილი 1991:93]. • „ხან ტყიან ფერდს აივლის, ხან ცაივლის ხევს. რა მოსვლია? – ზედ შუბლზე ამოსვლია ხე (ირემი)“ [ექსპედიცია 2019]. • „გაგასუქე, გაგალაღე, რქანი დიდი გამოგაბი, კვირა ძალი შემოვიდა — კუდი ველარ გამოგაბი (ირემი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:473]. 	–	–
<ul style="list-style-type: none"> • „თვალეზბრიალა, ავი ძუნძულეებს შიშისმგვრელი, ბეწვი რუხი და შავი აქვს, რა ჰქვია? (მგელი)“ [ექსპედიცია 2019]. 		
<ul style="list-style-type: none"> • „ერთი რამე სულიერი მიწა მიწა მძრომელია, კაი ვაჟიკაცისთვისა თავზე წამომდგომელია; სამჯერ ვითხარ მის სახელი, აბა მითხარ, რომელია?“ (მელია) [ჯ. სონდულაშვილი 1991:93]. • „ყველამ იცის ქათმის გემო, უჰ, რა გემრიელია. ეშმაკი და მატყუარა ვინ ვიქნები (მელია)“ [ექსპედიცია 2019]. • „ერთი რამე სულიერი საქათმეში მძრომელია, ყველამ იცის მისი საქმე გამოიცან რომელია (მელია)“ [ექსპედიცია 2019]. • „ტყავი ფასობს, ხორცი — არა, ქათმებს დასდევს წარა-მარა (მელია)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:474]. • „ხრუკია ხურხუმელია, მიწა-მიწა მძრომელია (მელია)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:474]. • „ერთი რამე სულიერი მიწა-მიწა მძრომელია, მეფისა და დედოფლისა თავზე წამომჯდომელია, სამჯერ გეტყვი მის სახელსა, 	–	–

<p>აბა, მითხარ, რომელია? (მელია)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:474].</p>		
<ul style="list-style-type: none"> • „ერთ მინდორზე დახტოდა ერთი უკუდო კატაო, რაც საკუდეზე დააკლდა ყურებზე მოემატაო (კურდღელი)“ [ექსპედიცია 2019]. • „რა არის ჩემი სახელი, გამოიცანით, ბავშვებო. კუდმოკლე ვარ და ყურგრძელი, კომბოსტოც მიყვარს, სტაფილოც (კურდღელი)“ [ექსპედიცია 2019]. • „ძილში ფხიზლობს, თვალს არ ხუჭავს. ყურები აქვს მეტად დიდი. თუ კომბოსტო გითესია, არ შეჭამოს გაუფრთხილდი (კურდღელი)“ [ექსპედიცია 2019]. • „კუდი მოკლე, ყური გრძელი, უყვარს დილა ნამით სველი, ჩავარდება განსაცდელში, არავინ ყავს მშველელი (კურდღელი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:473]. • „თავი ბუს უგავს, ფეხი — ჩალასა, უცებ გადირბენს დევის ყანასა (კურდღელი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:473]. • „თვალები ფრთხილად მიჭირავს, დაცქვეტილი მაქვს ყურები, რაჩამს გავიგებ მტრის მოსვლას, მოვკუცხლავ, გავემურები (კურდღელი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:473]. 	–	–
<ul style="list-style-type: none"> • „საბძელს უკან კვახია, დედამიწა გახია“ (თხუნელა) [ჯ. სონდულაშვილი 1991:99]. • „მიწის გულში ცხოვრობს ცოლითა და შვილით. მემალაროეა სახელობხვეჭილი (თხუნელა)“ [ექსპედიცია 2019]. • „თავი აქვს, თვალი – არა (თხუნელა)“ [ექსპედიცია 2019]. • „საბძელს უკან ტახია, დედამიწა გახია (თხუნელა)“ [ექსპედიცია 2019]. 	–	–

<ul style="list-style-type: none"> • „ერთ პატარა თავუნას თავზე ქოლოგა ახურავს, სულ ღამ-ღამე დაფრინავს, თქვი რა ჰქვია (ღამურა)“ [ექსპედიცია 2019]. • „დღით წევს და სძინავს, ღამით ფრინავს და დადის (ღამურა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:480]. • „ერთი რამ არის ფრინველი უცხვირო, უყუროსანი, უკვერცხოდ შვილის მშობელი, ვითა ირემი ხბოსანი (ღამურა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:480]. 	-	-
<ul style="list-style-type: none"> • „ტანშიშველი, ფეხშიშველი, სახელს გეტყვი, ვერ აიცილო“ (შველი) [ჯ. სონდულაშვილი 1991:100]. • „ტანშიშველი, ფეხშიშველი, სახელს გეტყვი, ვერ გიშველი (შველი)“ [ექსპედიცია 2019]. • „ფეხშიშველი, ტანშიშველი, სახელს გეტყვი, ვერ მიხვდები“ (შველი) [ჯ. სონდულაშვილი 1991:101]. 	-	-
<ul style="list-style-type: none"> • „მიწაში ცხოვრობს, მიწას თხრის მთაში არის თუ ბარშია. ფრთხილი, მშიშარა, მსუქანი, გოჭს რომ ჩამოჰგავს რა ჰქვია? (მაჩვი)“ [ექსპედიცია 2019]. 	-	-
<ul style="list-style-type: none"> • „ის რომელი ცხოველია, ჩუმად რომ დაიარება, კატის კნავილს თუ გაიგებს, იმწამსვე დაიმალება (თაგვი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:473]. 	-	-
<ul style="list-style-type: none"> • „არის ცხოველი ქაცვია, ტანზე ეკალი აცვია (ზღარბი)“ [ექსპედიცია 2019]. • „ტანი მაცეს ეკლიანიო, გული კი — ეშხიანიო (ზღარბი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:473]. 	-	<ul style="list-style-type: none"> • „ე მუ ორე, მუ ორე; ოში მათრახი გიაშქეენი, დღას ვაგანჯანს თოლემსია? – ეს რა არის, რა არის, ასი მათრახიც რომ დაჰკრა, თვალს მაინც არ გააღებს? (ზღარბი)“ [ვ. დანელია

		1991:464].
<ul style="list-style-type: none"> • „ხეზე ცხოვრობს და ხანდახან დაფრინავს, როგორც ჩიტი, ფრთები არა აქვს რითი? არის ნაზი და პაწია, ტანზე ქათიბი აცვია, არა უბრალო ჩიტი (ციყვი)“ [ექსპედიცია 2019]. 	–	–
<ul style="list-style-type: none"> • „უწყლოდ, უმიწოდ ნაზარდი, ნახე, რა ტურფა ხარის“ (ირმის რეს) [ჯ. სონდულაშვილი 1991:100]. 	–	–
<ul style="list-style-type: none"> • „ცხოველია ფერად ჭრელი, უცნაური კისერ-გრძელი. სპილოზე ტანმალა და ფეხმარდი მარბენალი (ჭირაფი)“ [ექსპედიცია 2019]. 	–	–
<ul style="list-style-type: none"> • „მინდორ-მინდორ მოდიოდა ერთი უსურბელა, თავი ბურბუშელა, ფეხი კუნტრუშელა. დაიზუკებს კაცს შეისვამს, ზურგი კოკოშელა (აქლემი)“ [ექსპედიცია 2019]. • „გამძლეა და ტანმალა, შესახედად საზარი, თუ შორსა აქვს სავალი, კუზით მიაქვს საგზალი (აქლემი)“ [ექსპედიცია 2019]. • „მინდვრიდან მოდიოდა დიდი უსარბელა, თავი ბურბუშელა, ფეხი კუნტრუშელა, დაიჩოქებს, კაცს შეისვამს, ზურგი კოკოშელა (აქლემი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:472]. • „უდაბნოს გემს უწოდებენ, ცხოველია ტანმალა, უშნო, უსწორ-მასწორია, არ სჭირდება „ფეხზე ნალი. იშვიათი ამტანია, უცნაური აქვს თვისება, უჭმელ-უსმელ შეუძლია რამდენიმე დღეს გაძლება (აქლემი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:473]. • „დიდ მინდორში დავინახე დიდი ოზურშაო, თავით ღმერთსა ეხვეწება, კუდით კვანტრუშაო (აქლემი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:473]. 	–	–
<ul style="list-style-type: none"> • „მანჭიას და მიმბაძველს მხარული აქვს ბუნება, ზოოპარკში რომ მივდივართ, გვიყვარს იმისი ყურება (მაიმუნნი)“ [ექსპედიცია 2019]. 	–	–
შინაური ცხოველები		

<ul style="list-style-type: none"> • „ამტანია გასაკვირი, ყვირის როგორც საყვირი“ (ვირი) [ჯ. სონდულაშვილი 1991:89]. • „ჩვენს კარებზე ბევრი მოვა მათიტელა, ღრინჭოლაო, წამოდგება, დაიყვირებს გაბერილი ტიკჭორაო“ (სახედარი) [ჯ. სონდულაშვილი 1991:103]. • „ტვირთმში დავი ცხოველია, ხან რძე დააქვს, ხან მაწონი. დინჯად დადის მაგრამ საწყალს ჭკუა არ აქვს მოსაწონი (ვირი)“ [ექსპედიცია 2019]. • „რა არი — გვარი არა შობს, არც ოდეს გადაშენდება, რა სხვა-სხვა გვარსა მიუდგეს, მით იშვეს, მითი შენდება, რაზომც პატივი მიაპყრა, მამა არ დაუმშვენდება, რომ გაიზრდება, მაშინა ზურგი არ შეუსვენდება! (ჯორი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:476]. 	-	-
<ul style="list-style-type: none"> • „ბოძი, ბოძი, ბოძანდარი, ზედ გუდა და მოსართავი“ (შეკაზმული ცხენი) [ჯ. სონდულაშვილი 1991:90]. • „საიმედო ცხოველია ლხინშიც, გასაჭირშიც. ხან ბალახობს იალაღზე, ხან რკინა აქვს პირში (ცხენი)“ [ექსპედიცია 2019]. • „თავგიდელა , კუდკანაფა (ცხენი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:476]. • „მაღალ სერზე გამდგარიყო დიდი უზუმბერა, კუდით პირჯვარსა იწერდა, ღმერთმა არ უშველა (ცხენი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:476]. • „ასიაო, ბასიაო, ბოძანდარი, ზედ გუდა და მოსართავი (ცხენი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:476]. 	-	-
<ul style="list-style-type: none"> • „ერთი კონა ჩალა მთაზე ჰკიდიაო (ცხენის კუდი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:476]. 	<ul style="list-style-type: none"> • „ე მუ ორე, მუ ორე: ართი კილი ისირი გოლას მიკიფაფალუნი.“ 	-

	<p>– ეს რა არის, რა არის, ერთი კონა ისლი მთაზე დაფარფატებს? (ცხენის კუდი)“ [კ. დანელია 1991:470].</p> <ul style="list-style-type: none"> • „ჩქიმი ართი კიი ჭა გოლას მიკიფაფალი“ – ჩემი ერთი შეკვრა ჩალა მთაზე მიფრიალებს (ცხენის კუდი) [ექსპედიცია 2019]. 	
<ul style="list-style-type: none"> • „კვნესის არა სტკივა რა; ეძებს, არა დაჰკარგვია რა“ (ღორი) [ჯ. სონლულაშვილი 1991:96]. • „ერთი რამე სულიერი აზარ-ფაშას დაჰკარგვია, მიდის, მოდის, კვნესის, ხვნეშის, ჰკითხე, თუ რა დაჰკარგვია, მამამისის ავკაცობით შვილსა გვარი დაჰკარგვია, ცოცხალი ულამაზოა, მოკვდება და, რა კარგია! (ღორი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:474-475]. 	<ul style="list-style-type: none"> • „კუსანს დო მუთუნ ვააჭუ, გორუნს დო მუთუნ ვადინაფუ“ – კვნესის და არაფერი არ ტკივა, ეძებს და არაფერი არ დაჰკარგვია (ღორი) [ექსპედიცია 2019]. 	–
<ul style="list-style-type: none"> • „წაიქცევა წიფელაო, დაეხვევა ჭინჭველაო (ღორი გოჭებით)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:475]. • „დედა წლისა, მამა ნახევარი წლისა, შვილები საბარავად მიდიოდნენ (გოჭები)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:474]. 	<ul style="list-style-type: none"> • „იკირთ ჯიკუტიაქ, ქუცუ ჭკიჭკიტიაქ. – წაიქცა ჯირკი, დაესია ჭიანჭველა (ღორი და გოჭები)“ [კ. დანელია 	–

	1991:466].	
<ul style="list-style-type: none"> • „ბავშვებისთვის საყვარელი კულეცინა სულდგმულია, დღე და ღამე სახლს დარაჯობს, ჭკვიანი და ერთგულია (ძაღლი)“ [ექსპედიცია 2019]. • „სამსახურს კარგად ასრულებს, ჯამაგირს კი არ ვაძლევო, სამაგიეროდ ხან და ხან ვაჭმევ და კიდევ ვასმევო, არც არის ტიტველ-შიშველი, თუმცა ტანზე არას ვაცმევო (ძაღლი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:476]. 	–	–
<ul style="list-style-type: none"> • „მიდის, მიდის, მირაკურაკებს მინდორს გავა, გაიშლება; ვინც იმას არ გამოიცნობს, სულ ჭკუიდან შეიშლება“ (ცხვარი) [ჯ. სონღულაშვილი 1991:97]. • „ოთხო ბოძო, ზედადგარო, ქვევით წყაროვ, სადინარო, ზევით, ველო, სათიბველო“ (ცხვარი) [ჯ. სონღულაშვილი 1991:98]. • „ოთლო-თოთლო, ოთხო ბოძო, ზევით მთაო სათიბაო, ქვევით წყარო სადინარო (ცხვარი)“ [ექსპედიცია 2019]. • „მთას მიდის მირაკურაკებს, დადგება და გაიშლება (ფარა)“ [ექსპედიცია 2019]. • „მიდის, მიდის, მირაკურაკებს, დადგება და გაიშლება (ცხვრის ფარა)“ [ექსპედიცია 2019]. • „აჯინჯალი, მაჯინჯალი, ოთხი ფეხით მამიჯარი. ქვეშა წყალი სადიდარი, ზევით კარგი სათიბარი (ცხვარი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:475]. • „ერთი რამა სულიერი, მიწას დადის მკალივითა, ერთმანეთს რო დაინახვენ, ხმას მისცემენ ზარივითა (ცხვარი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:475]. • „გავალ, გავალ, გავიშლები ხმას გავიღებ ზარივითა, გლებკაცს ასე შევინახავ — აზნაურიშვილივითა (ცხვარი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:475]. • „რადო-რადო, მუცელ-ტაშტო, ფეხ-ტაიჭო, ზურგ-საბადო (ცხვარი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 	–	–

<p>1965:475].</p> <ul style="list-style-type: none"> • „ტირის, ტირის ქლაქი, არა მოქლაქენი, ღმერთო, მიეც ზარბაზი, დააჩუმე ქლაქი (ცხვარი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:475]. • „ერთი რამე სულიერი მინდორს გავა მალოვითა, ფარაჯასა წამოისხამს, ხმას გაუშვებს ზარივითა, გლებიკაცი შეინახავს მარგალიტის თვალივითა (ცხვარი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:475]. 		
<ul style="list-style-type: none"> • „მისი გაცნობა შენთვისაც მსურდა ამდენი ხანია... დედა არის თუ მამა, ორივე წვეროსანია (თხა)“ [ექსპედიცია 2019]. • „წვერი აქვს, კაცი არ არის; ბალახს ძოვს, ცხენი არ არის; რქები აქვს, ხარი არ არის (თხა)“ [ექსპედიცია 2019]. • „წვერ ულვაშიანი ვინ იბადება? (თხა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:474]. 	<p>–</p>	<ul style="list-style-type: none"> • „დუდი ლეკურამი. – თავხანჯლიანი (თხა)“ [კ. დანელია 1991:470]. • „წოხოლე ლეკური, უკახალე საფანტი. – წინ ხმალი (ლეკური), უკან ტყვია (თხა)“ [კ. დანელია 1991:465]. • „მეურს დო უკახაე იჯინე“ – მიდის და უკან იყურება (თხის რქა) [ექსპედიცია 2019]. • „წოხოლე მეურს დო უკახაე იჯინე“ – წინ მიდის და უკან იყურება (თხის რქა) [ექსპედიცია 2019]. • „ე მუ ორე, მუ ორე, ოწოხოლე მეურს დო უკახაე იჯინე“ – ეს რა არის, რა არის, წინ მიდის და უკან იყურება (თხის რქა) [ექსპედიცია 2019].

<ul style="list-style-type: none"> • „თან დასდევენ ყოველთვის, აქ არის თუ იქ არის. ცხვარსა – მისი ბატკანი, თხას კი თავის (ციკანი)“ [ექსპედიცია 2019]. 	-	-
<ul style="list-style-type: none"> • „ბაზი მობაზუნობდაო, ბაზი ბარაქიანიო, კუდი ჯორსა მიუგავდა, კუდი ტალახიანიო (კამეჩი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:474]. 	-	-
<ul style="list-style-type: none"> • „მკვდარია, ჰყავს ორი, ქვეყანას კვებავს (ულელი და ორი ხარი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:474]. 	-	-
<ul style="list-style-type: none"> • „ოთხი დანია, ჩადიან, ჩაიმღერიან ჩარბასა“ (ძროხის ძუძუები) [ჯ. სონლულაშვილი 1991:98]. • „ოთხი ძმანი არიან, ერთ ქვაბში ჩაიმღერიან“ (ძროხის ძუძუები) [ჯ. სონლულაშვილი 1991:98]. • „ოთხნი არიან, ძმანი არიან, ბაღჩას ჩადიან, ჩაიმღერიან (ძროხის ძუძუები და ვედრო)“ [ექსპედიცია 2019]. • „ოთხნი არიან, ტოლნი არიან, ერთად ჩადიან, ჩაიმღერიან (ძროხის ძუძუები)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:476]. 	<ul style="list-style-type: none"> • „ოთხი ჯიმა კოც ართი სამარეშა დუდი ონუჭოფუ. – ოთხ ძმაკაცს ერთ სამარეში აქვთ თავი ჩაყოფილი (ძროხის ძუძუები და კათხა)“ [კ. დანელია 1991:470]. • „ე მუ ორე, მუ ორე, ოთხი ჯიმაკოჩს ართი ქუდი გიოთუნა, ხეს ქუმუნქირანქინ ი, ბუა მუურსია“ – ეს რა არის, რა არის, ოთხ ძმაკაცს ერთი ქუდი ახურავს, ხელს რომ მოუჭერ, რძე მოდისო (ძროხის ძუძუები) [ექსპედიცია 2019]. 	-
<ul style="list-style-type: none"> • „ორი – ოლოლსა, ოთხი – კოლოლსა, არც 	-	-

<p>ერთი – აჩლატუნესა“ (ძუძუები ძროხის, ცხვრის და არა აქვს ქათამს) [ჯ. სონლულაშვილი 1991:98].</p> <ul style="list-style-type: none"> • „ორი – ონანასო, ოთხი – ჩაბარ კონასაო, არც ერთი კიკილ – ბატსაო“ (ძუძუები ცხვრის, ძროხის და არ აქვს ბატს) [ჯ. სონლულაშვილი 1991:98]. • „ორი – ოროლასა, ოთხი – ტოროლასა, თორმეტი – დასტადანსა, არცერთი – ყაზანდარსა (ცხვრის, ძროხის, ღორის ძუძუები და ქათამს არ აქვს)“ [ექსპედიცია 2019]. • „ორი არენას, ოთხი კორენას, თორმეტი ყანჭაპურას, არცერთი კირკიტელას (ძუძუები: 2 თხას, 4 ძროხას, 12 ღორს, ქათამს არცერთი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:476]. 		
<ul style="list-style-type: none"> • „ორნი არიან, ტოლნი არიან, დარბაზს ჩადიან, ჩაიმღერაიან“ (ცხვრის ძუძუები) [ჯ. სონლულაშვილი 1991:98]. 	-	-
<ul style="list-style-type: none"> • თეთრებს ისრებს ისვრიანო“ (რძის მოწველა) [ჯ. სონლულაშვილი 1991:100]. 	-	-
<ul style="list-style-type: none"> • „თვინიერი, ცოტაც მორცხვი, წინ – ფიწალი, უკან – ცოცხი (ძროხა)“ [ექსპედიცია 2019]. 	-	-
<ul style="list-style-type: none"> • „ყველა ხე აღმა იზრდება და ერთი ხე თავვეე იზრდება (ძროხის კუდი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:476]. 	-	-
<ul style="list-style-type: none"> • „ძიამ ცხოველი მაჩუქა წაბლისფერბეწვებიანი, თვალდიდა, სახელამაზი, ბაკუნა, თვალეზწყლიანი (ზოჩოლა)“ [ექსპედიცია 2019]. 	-	-
ფრინველები		
გარეული ფრინველები		
<ul style="list-style-type: none"> • „არის ფრინველი ღამისა, მტერია მინდვრის თავვისა“ (ზუ) [ჯ. სონლულაშვილი 1991:90]. • „ფრინველია ღამისა, მინდორს წმენდავს თავვისგან“ (ზუ) [ჯ. სონლულაშვილი 1991:101]. • „ქედი-ქედ ჩამოწოლილა გავაზ-გავაზა გველიო; ქვეითკენ ჩაიციჩრება, იქ არის ჩემი ველიო“ (ზუ) [ჯ. სონლულაშვილი 1991:101]. 	-	-

<ul style="list-style-type: none"> • „შეხედავ – ფრინველია, დაჯდება – კატა არი (ბუ)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:477]. 		
<ul style="list-style-type: none"> • „ერთი პატარა მანანა სახლსა და კარსა ჰგალობდა; შავი ჩოხანი ჩაეცვა, წვივსა კი არა ფარავდა“ (შაშვი) [ჯ. სონლულაშვილი 1991:92]. • „ხეზე ზის შავჩოხიანი, ოქროსნისკარტა ფრენია, სიმღერა იცის, ზოგ-ზოგი ბულბული შემირცხვენია“ (შაშვი) [ექსპედიცია 2019]. • „ერთი პატარა მანანა საყდრისა კარსა გალობდა, თავზე მოესხა მაზარა, კოჭამდის არა ჰფარავდა“ (შაშვი) [„ხალხური სიბრძნე“ 1965:480]. 	–	–
<ul style="list-style-type: none"> • „ცაში დავფრინავ ხშირად, მიწაზეც დავიარები, წყალზედაც კარგად დავცურავ, არა მჭირდება ნავეები (გელი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:477]. 	–	–
<ul style="list-style-type: none"> • „პატარა ვარ, უჩინარი, ყველასათვის უწყინარი, ჩემი სტვენა ყველას მოსწონს, ღარიბია თუ მდიდარი (ბულბული)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:477]. 	–	–
<ul style="list-style-type: none"> • „თუმცა მეფე არა მეჯია, არც ხმატკბილი მგოსანი, მომხიბლავი ჩიტუნა ვარ, ლამაზგვირგვინოსანი (ოფოფი)“ [ექსპედიცია 2019]. • „თავსავარცხელა, ლამაზი თავს ირჩენს მწერით, ობობით, ბუდე კი სუნიანი აქვს, ამ ფრინველს ჰქვია? (ოფოფი)“ [ექსპედიცია 2019]. • „წისქვილის კარზე ჩხუბობდნენ ჭავი, ჭუვი და ჭიკარტი, ყვავი საშველად გარბოდა, წინ გაეშვირა ნისკარტი (ოფოფი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:479]. 	–	–
<ul style="list-style-type: none"> • „დავალ ანუ დავფრინავ, ფეხით ანუ რაშითა, მაგრამ ხშირად მიჭერენ პაწაწინა მარცვლითა (ბელურა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:477]. 	–	–
<ul style="list-style-type: none"> • „ორბი-ორბი ორასი, ფრთა გაშალა სამასი, ნისკარტი სცხო ოთხასი, კლდე გააპო ხუთასი (არწივი)“ [ექსპედიცია 2019]. 	–	–
<ul style="list-style-type: none"> • „შაშვს ბოლო შავი მიაქვს (ბოლოშავი)“ 	–	–

[„ხალხური სიბრძნე“ 1965:477].		
<ul style="list-style-type: none"> • „ერთი ცხენი მყავს სოსანი, სოსანზე კიდევ სოსანი; ინდოეთს წავა წყალს დაღევს, აქავ მომივა მგოსანი“ (მერცხალი) [ჯ. სონღულაშვილი 1991:93]. • „გაზაფხულზე გადმოფრინდა, გადმოლაზა ზღვა და მთები, სახურავქვეშ ბუდეს იდგამს, უყვარს სახლის აივნები (მერცხალი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:479]. • „ეს ჩემი ცხენი სოსანი, სოსანზე უფრო სოსანი, წავა ინდოეთს წყალს დაღევს, ისევ მომივა ცოცხალი (მერცხალი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:479]. • „ბოლომაკრატელა მქვიან, გვერდზე ფრთები მასხიაო, ჩვენი ტანი სამშობლოში ხშირად არა მარხიაო (მერცხალი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:479]. • „ერთსა რამ უცხო ფრინველსა, აქა და ყოველ კიდესა, ბოძალი აქვს და ვერ ისვრის, ზურგს უკან აიკიდებსა, მიწას თხრის, მაღლა აიტანს, შვილთათვის დაიუნჯებსა, მისი ხმა ყოველ სულიერს აქებს და განადიდებსა (მერცხალი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:479]. 	-	-
<ul style="list-style-type: none"> • „წყობ-წყობისად დადიან, წყობა ბარაქიანნი. წყლის პირას ჩამოსხდებიან ციხე-ქალაქიანნი (წეროები)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:481]. 	-	-
<ul style="list-style-type: none"> • „სიმბოლოა მშვიდობის, სათნოა და მეტად მშვიდი, ზოგჯერ როგორც ფოსტის შიკრიკს სარგებლობა მოაქვს დიდი (მტრედი)“ [ექსპედიცია 2019]. 	-	-
<ul style="list-style-type: none"> • „შედგება ლომი ხის წვერსა, შეაყრევინებს ჩინჩხლებსა (კოდალა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:478]. • „ერთი რამე სულიერი ხეს მიადგება მტრულადა, ხმელსა სცემს, ნედლი გამოაქვს და საზრდოს ხმარობს ტლობილადა (კოდალა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:478]. • „აკიბულისა კიბესა, მაღლა როსტომის ციხესა, 	-	-

<p>შევა ლომი და შესძახებს, შეაყრევინებს ჩინჩხლებსა (კოდალა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:478].</p>		
<ul style="list-style-type: none"> • „ფრინველია გრძელკუდა, ჭარტალა, ქურდბაცაცა“ (კაჭკაჭი) [ჯ. სონლულაშვილი 1991:101]. • „შავი არის შაშვივითა, თეთრი არის თოვლივითა, მრგვალი არის კვერცხივითა, გრძელი არის ბუზივითა (კაჭკაჭი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:477]. • „ერთი რამე სულიერი, კუდიანი და ჭრელია, ქათმის პატარა შვილათავის სინსილ გამწყვეტელია (კაჭკაჭი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:477]. 	-	-
<p>შინაური ფრინველები</p>		
<ul style="list-style-type: none"> • „აბურძგნულმა სიპი შობა, სიპმა აბურძგნული შობა“ (ქათამი და კვერცხი) [ჯ. სონლულაშვილი 1991:89]. • „ეგრეც ვიყავ, ესრეც ვარ; ისე გაგხდი, როგორც მე ვარ“ (ქათამი და კვერცხი) [ჯ. სონლულაშვილი 1991:92]. • „უსულო ვნახე ორსული, სულიერითა მშობელი, შვილსა შობს — დედა მოკვდება, ვინ არის გამომცნობელი (კვერცხი და ქათამი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:478]. • „აბურძგალამ სიპი შობა, სიპმა აბურძგალა შობა (ქათამი და კვერცხი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:479]. 	-	-
<ul style="list-style-type: none"> • „ორჯერ შობილი, ერთხელ მკვდარი“ (ქათამი) [ჯ. სონლულაშვილი 1991:98]. • „ორჯერ შობილი ერთხელა კვდება (ქათამი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:479]. • „ერთი რამა სულიერი ნელა-ნელა კრუსუნს იწყებს, როცა შვილებს ყველასა შობს, ორსულობას მაშინ იწყებს (ქათამი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:479]. • „ძირი – ხმელი, შუა – ნედლი, კატარწაპირპილებული (ქათამი)“ [„ხალხური 	<ul style="list-style-type: none"> • „ჟირიშა იბადებუ, ართიშა ღურუ. – ორჯერ იბადება, ერთხელ კვდება (ქათამი)“ [კ. დანელია 1991:466]. 	<ul style="list-style-type: none"> • „ითაახუ, მინაახუ, მიირვიე დო მიკოკუნნი“ – [ქვემოდან რომ] აფარია, [ზემოდან რომ აფარია, მირბის და მიკოხტაობს (ქათამი)]

<p>სიბრძნე“ 1965:480].</p>		<p>[ექსპედიცია 2019].</p> <ul style="list-style-type: none"> • „ანახუნი, მინახუნი, მეურსულო მიფახუნი“ – [ქვემოდან რომ] აფარია, [ზემოდან რომ] აფარია, მირბის და მიფახვახებს (ქათამი) [ექსპედიცია 2019].
<ul style="list-style-type: none"> • „შიგნიდან იფრცქვნება, გარედან იჭმევა (ქათმის კუჭი)“ [ექსპედიცია 2019]. • „შიგნიდან საფრცქვნელი, გარედან საჭმელი (ქათმის კუჭი)“ [ექსპედიცია 2019]. • „შიგნით ტყავი – გარეთ ხორცი (ქათმის კუჭი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:502]. 	<p>–</p>	<p>–</p>
<ul style="list-style-type: none"> • „აქედან გავკარ ისარი, მცხეთას გავხვრიტე ფიცარი“ (მამლის ყივილი) [ჯ. სონლულაშვილი 1991:90]. 	<p>–</p>	<p>–</p>
<ul style="list-style-type: none"> • „თავი – მაღალი, ბოლო – ნამგალი“ (მამალი) [ჯ. სონლულაშვილი 1991:95]. • „თავხერხა, ბოლო ნამგალა“ (მამალი) [ჯ. სონლულაშვილი 1991:95]. • „დადის მუნდიროსანი დეზით და მუზარადით, დღისით ჩხუბისთავია, ალიონზე – საათი (მამალი)“ [ექსპედიცია 2019]. • „თავზედ გვირგვინი ადგია, მორთული მეფესავითა, ფეხებზედა აქვს დეზები, ცხენზედ მჯდომ მხედარსავითა (მამალი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:478]. • „თავს ხერხი, ბოლოს ნამგალი (მამალი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:478]. • „ის ვინ არის: ორჯერ იბადება, გალობა იცის, არა ფასდება, როცა მოკვდება – არ იმარხება (მამალი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:478]. • „ეგინჩარი ეგინჩრულად მოკაზმული, თავს 	<ul style="list-style-type: none"> • „დუს ხორხი დო უკახალე მაგანა. ქოთქვი სი ბორო ბაღანა. – თავს ხერხი, ბოლოს – ნამგალი. თქვი, შე სულელო ბავშვო (თუ რა არი) (მამალი)“ [კ. დანელია 1991:464]. • „დუს – ხორხი დო უკახალე – მაგანა“ – თავზე – ხერხი, ბოლოზე – 	<p>–</p>

<p>კაუხი ჩამოუსხამს, საფერავი ღვინოს ფერი მიწას ქექავს, ცას მუქარას ეუბნება (მამალი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:478-479].</p> <ul style="list-style-type: none"> • „ორი ორბისოდენა, თავი კაკლისოდენა, შემოჰკრავს და დაიმახებს. მე ვარ ქვეყნისოდენა (მამალი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:479]. 	<p>ნამგალი (მამალი) [ექსპედიცია 2019].</p>	
<ul style="list-style-type: none"> • „ქორქოლამ დაიქორქოლა, გარს შემოესხა შვილები, არც იყო მისი შვილები, არც მისი შვილიშვილები (ყვერულა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:480]. • „ბიჭი ვიყავი და ქალად გავხდი, ჩემი არ მყავდა — სხვისი გავზარდე (ყვერულა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:48]. 	<ul style="list-style-type: none"> • „ქომოლი ვორდი, ოსურო გოვრთი, ჩქიმი ვაპუნდუ, შხვაში მოვრდი. – კაცი ვიყავ, ქალად ვიქეც, ჩემი არ მყავდა, სხვისი გავზარდე (ყვერული)“ [კ. დანელია 1991:466]. 	<ul style="list-style-type: none"> • „იშო მეურც მეხიცალო, აშო მუურც ლეხიცალო, წყარიში ინანთხეფიცალო. – იქით მიდის მეხივით, აქეთ მოდის ავადმყოფივით, – წყალში ჩავარდნილივით (ყვერული)“ [კ. დანელია 1991:466].
<ul style="list-style-type: none"> • „თავი ხელიკს უგავს, ტანი – ბორბალსა. ვინც ამას ვერ გამოიცნობს, ტყუილად დაიწყებს ბოდვასა (ინდაური)“ [ექსპედიცია 2019]. • „ერთი რამე სულიერი დიდი ორბისა მსგავსია, თავზე ბალანი არა აქვს, გულზე ჯაგარი ასხია; ბოლო მოუგავს ბორბალსა, აგრე აქვს იმის მოდგმასა (ინდაური)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:477]. 	<p>–</p>	<ul style="list-style-type: none"> • „დიდი ტურტურუა, კუდელი ქვაჩილერი, კოჩი თინარე, თეშა გური აჩინენი. – დიდი როჭოსავით, კუდგაშლილი (დაფანჩული). კაცი ისაა, ვინც ამას მიხვდება (ინდაური)“ [კ. დანელია 1991:464].
<ul style="list-style-type: none"> • „გამოცანა ცანიაო, თეთრი კაბა მაცვიაო, ხან გავიხდი, ხან ჩავიცმევ, ისევ მთელი მაცვიაო“ (ბატი) [ჯ. სონლულაშვილი 1991:91]. 	<p>–</p>	<p>–</p>

<ul style="list-style-type: none"> • „ერუმ-მარუმელა, ფეხი-ბანდრუმელა, მინდორ-მინდორ დაყიალობს, თავი კვანტრუმელა (ზატი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:477]. • „გამოცანა ცანია, თეთრი კაბა მაცვია, ხან გავიხდი, ხან ჩავიცვამ, ისევ თეთრი მაცვია (ზატი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:477]. 		
<ul style="list-style-type: none"> • „ერთი რამე სულიერი იჯდა ბროლსა და ნადარსა, ას სულ მკვდარსა გააცოცხლებს, სამი კვირის დანაყარსა“ (კრუხი) [ჯ. სონღულაშვილი 1991:93]. • „ერთი რამე სულიერი, აზის ბროლის დანადარსა, სამ კვირესა და სამ დღესა, გამოიყვანს მთელ ლაშქარსა (კრუხი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:478]. 	-	-
<ul style="list-style-type: none"> • „ტირის, ტირის ქლაქიო, მთელ მოქლაქენიო, წავაფარე ზარათიო, გავაჩუმე ქლაქიო (კრუხ-წიწილა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:478]. • „ჩახტა ბებერი, ჩაჰყვა ლაშქარი (კრუხ-წიწილა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:478]. • „წინ ფანფალი, უკან ლაშქარი (კრუხ-წიწილა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:478]. • „ერთი რამე სულიერი ანადირე დანადარსა, სამ დღესა და სამ კვირასა გააცოცხლებს გადამკვდარსა (ქათამი და წიწილები)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:480]. 	-	-
-	-	<ul style="list-style-type: none"> • „ე მოორე, მოორე, კატუ ღვათ მიკობუნნი? - ეს რა არის, რა არის, კატა რომ ლაწვით ჰკიდია? (კრუხის ჩასასმელი, მოწნული კალათი, „ოგვაჯე“)“ [კ. დანელია 1991:470].
<ul style="list-style-type: none"> • „სახლი ასეთი, აგეთი, კალწიბახურათ ნაგები, შიგა ქალი ზის ლამაზი, არა აქვს კარი საღები“ 	-	-

<p>(კვერცხი და წიწილა) [ჯ. სონდულაშვილი 1991:99].</p>		
<ul style="list-style-type: none"> • „სახელი მაქვს აგეთ-მაგეთი, ოქროს ყაჭ-ყაჭით ნაგები, შიგა ვზივარ და ვიძახი, კარი არცა აქვს საღებო“ (წიწილა) [ჯ. სონდულაშვილი 1991:99]. • „უნდა მიცნობდეს კარგად კრუხი სცნობია ვისაც, ჩემი სახელი ჰქვია, უხსენებელის შვილსაც (წიწილა)“ [ექსპედიცია 2019]. • „ერთი სულიერია, უკარო ციხიდან გამოდის (წიწილა)“ [ექსპედიცია 2019]. • „რომელი სულიერია — უკარო ციხიდან რო გამოდის? (წიწილა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:480]. 	-	-
<ul style="list-style-type: none"> • „ბელტი დევს – მიწა არ არი, ბალახს ჭამს – ძროხა არ არის, კვერცხს დებს –ქათამი არ არი, გასაკვირველი რა არი? (ციცარი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:480]. 	-	-
თევზები, ამფიბიები		
<ul style="list-style-type: none"> • „სირის, სირის ქათამო, სველი ფრთები გასხია, ბუდიდან რომ გამოხვალ, ფიცხლავ სული გაგცვივა“ (თევზი) [ჯ. სონდულაშვილი 1991:99]. • „გამოიცანით, რა არის, გამრავლებული მრავალი. დღემდე არავის უნახავს, იგი მიწაზე მავალი (თევზი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:482]. • „ფრთები აქვს და არა ფრინავს, პირი აქვს და არა გმინავს, უფეხოა, მაგრამ დარბის (თევზი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:482]. • „ოქრო, ოქრო — ვერცხლიაო, ტანს ფარფლები ასხიაო; მის ქვეყანას მოშორდება, მუხლი აღას ასხიაო (თევზი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:482]. 	<ul style="list-style-type: none"> • „კუჩხი ვაჩანს – გილუურცუ, ფსუა ჩანც დო ვაფურინე. – ფეხი არა აქვს – დადის, ფრთა აქვს და – ვერ ფრენს (თევზი)“ [ვ. დანელია 1991:469]. 	-
<ul style="list-style-type: none"> • „ჭაობებში ბინადრობს, დღე და ღამე ბობოქრობს“ (ბაყაყი) [ჯ. სონდულაშვილი 1991:104]. • „ხმელეთზეც ცხოვრობს, წყალშიაც – ასეთი ჯიში მოსდგამს. პატარობისას თევზსა ჰგავს, 	<ul style="list-style-type: none"> • „წყარს იხორე – ჩხომი ვარე, იდიარს – ჩხოუ ვარე, ლულუნუნს – ტორონჯი ვარე. 	-

<p>თავი მიუგავს კომბალს (ზაყაყი)“ [ექსპედიცია 2019].</p> <ul style="list-style-type: none"> • „ერთი რამე სულიერი უფეროსა უფეროა, ზურგი მიუგავს მაისსა, თებერვალსა მუცელია (ზაყაყი)“ [ექსპედიცია 2019]. • „ჭაობების ბინადარი, ყიყინა და ამაყი, იბერება, თვალებს კარკლავს, თქვი ვინ არის (ზაყაყი)“ [ექსპედიცია 2019]. • „წყალში ზის, მაგრამ თევზი არ არის (ზაყაყი)“ [ექსპედიცია 2019]. • „წყალში ზის – თევზი არ არის, ბალახს ძოვს – ძროხა არ არის. ღულუნებს – მტრედი არ არის, გამოიცანი, რა არის? (ზაყაყი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:481]. • „ყელი ევისა, ფერი დევისა, ხტომა ვერძისა, ხმა ზურაბისა (ზაყაყი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:481]. • „ოთლო, თოთლო, ფეხბაკუკა, თავქარქაშა (ზაყაყი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:481]. • „ხმამალა ყვირილი იცის და დახტის როგორც კალია, კურდღელივით აქვს თვაები, ცხოვრობს იქ, სადაც წყალია (ზაყაყი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:481]. 	<p>– წყალშია – თევზი არ არის, ბალახობს – ძროხა არ არის, ღულუნებს – მტრედი არ არის. (ზაყაყი)“ [კ. დანელია 1991:469].</p>	
ქვეწარმავლები, უხერხემლოები		
<ul style="list-style-type: none"> • „ანაკეცი, შენაკეცი, ქალი მოდის თმანაკეცი. არცა უნდა პირსა წყალი, არცა თავსა სავარცხალი“ (გველი) [ჯ. სონლულაშვილი 1991:90]. • „თევზი არ არის — დაცურავს, კაცს არ ჰგავს, იგი, ბრძენია, პირველად ღმერთმა დასწყევლა მისი ჯიშში და ძენია (გველი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:483]. 	<p>–</p>	<p>–</p>
<ul style="list-style-type: none"> • „თბილი წყლების ცხოველია, იგი კუდიტ იკბინება. არც მტერს ზოგავს, არც მოყვარეს, სულერთია ვინც იქნება (მორიელი)“ [ექსპედიცია 2019]. 	<p>–</p>	<p>–</p>
<ul style="list-style-type: none"> • „გული ქვა ზურგი ფიცარი, ორი თავი და რვა ფეხი (კიბო)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:83]. 	<p>–</p>	<p>–</p>

<ul style="list-style-type: none"> • „შევა შავად, გამოვა წითლად (კიბო)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:483]. • „თვალი აქვს და თავი არა, მუა აქვს და კუდი არა (კიბო)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:483]. • „ზოგჯერ მუცელტამტი, თვალკაჟი, ფეხტაიჭი (კიბორჩხალა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:483]. 		
<ul style="list-style-type: none"> • „ახაია, მახაია, თავს ადგია კვახაია; ვინც ამას არ გამოიცნობს ფინთია და გლახაია“ (ლოკოკინა) [ჯ. სონღულაშვილი 1991:90]. • „ზაქარია კორკოტაი სახლიანად მორბოდაო (ლოკოკინა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:483]. • „ერთსა რამეს სულიერსა ჯიხური ზურგით დააქვსო, თავისსა წილადობაზე ყველაზე დიდი რქა აქვსო (ლოკოკინა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:483]. • „ხარი არ არის – რქები აქვს, ვირი არ არის – კურტანი (ლოკოკინა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:483]. 	–	<ul style="list-style-type: none"> • „მეურც დო მეჭარუნც. – მიდის და წერს (ლოკოკინა)“ [კ. დანელია 1991:469]. • „ქა გედგუ დო ოჩი ვარე. ჯას გორუნს დო კოჩი ვარე. – რქა აქვს და ვაცი არ არის, ხეს დაედებს და კაცი არ არის (ლოკოკინა)“ [კ. დანელია 1991:465]. • „ჯაშა ეშურც, კოჩი ვარე, ქალეფი გედგუ, ხოჯი ვარე, ჭარუნც დო მწერალი ვარე. – ხეზე ადის – კაცი არ არის, რქები აქვს – ხარი არ არის, წერს და მწერალი არ არის (ლოკოკინა)“ [კ. დანელია 1991:469].
<ul style="list-style-type: none"> • „კვერცხსა სდებს – ქათამი არ არის; ბალახს სძოვს – ძროხა არ არის; წყალშია – თევზი არ არის“ (კუ) [ჯ. სონღულაშვილი 1991:96]. • „კვერცხსა დებს, ქათამი არ არის (კუ)“ [ექსპედიცია 2019]. • „ბალახს ძოვს – ძროხა არ არის, კვერცხსა დებს 	<ul style="list-style-type: none"> • „ართი შარაშა გინიბლინი, ეშმაკიში სახე ბძირი, ვაბჭოფინი – ქუაჯგუა, 	–

<p>– ქათამი არ არის, წყალშია და თევზი არ არის, მაშ რა არის? (კუ)“ [ექსპედიცია 2019].</p> <ul style="list-style-type: none"> • „ერთნაირი ცხოველია, სიარული იცის ნელი, მტრისგან თავის დასაცავად, ჯავშანი აქვს სქელი (კუ)“ [ექსპედიცია 2019]. • „გადავაბრუნე, შევხედე, ქვაბია, აბა რაია? ზევით დავდევი, კვერცხსა დებს, ქათამია, მაშ რაია? გარეთ გავუშვი, ბალახს ძოვს, ძროხაა, აბა რაია? (კუ)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:483]. • „გარედან ძვალი, შიგნიდან ხორცი (კუ)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:483]. 	<p>ქუდუოცოთინი – იდიარს, ჩხოლუ ვარე, ცხენი ვარე, მიდგას არაგადენი, საფარსაკო იცუაფუ.</p> <p>– ერთ გზაზე მივდიოდი, ეშმაკის სახე ვნახე: ავიღე და ქვა იყო, დავაგდე და – ბალახსა ძოვს, ძროხა არ არის, ცხენი არ არის, ვინც ამას გამოიცნობს, საარაკო იქნება (კუ)“ [კ. დანელია 1991:469].</p>	
<ul style="list-style-type: none"> • „უფხო, უძვლო, წყლის ნადირი, ვინც იმას არ გამოიცნობს, გამართოს ერთი სადილი“ (წურბელა) [ჯ. სონლულაშვილი 1991:100]. • „მოდგა და მოდგა ლაშქარი, მოდგა და მოიყარაო, უომრად სისხლმა იდინა, უჩხუბრად გაიყარაო (წურბელა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:485]. • „წყალში დაიბადა, წყალში გაიზარდა, როცა ამოვიდა — ექიმი გახდა (წურბელა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:485]. • „უძვლო, უფხო, წყლის ნადირი (წურბელა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:485]. • „ჩვენსა ბერძნები მოვიდნენ, დაღვინიანდნენ, წავიდნენ, წყალში უნაოდ გავიდნენ (წურბელა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:485]. • „შავი არის შაშვივითა, იკბინება ძალღვივითა, გაძღება და გაგორდება კუდა მეძებარვითა (წურბელა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:485]. 	<ul style="list-style-type: none"> • „წყარს დებად, წყარს დესახ, ეშელ დო დოხტურობა ქიდიჭყუ. – წყალში დაიბადა, წყალში ჩაისახა, ამოვიდა და ექიმობა დაიწყო (წურბელი)“ [კ. დანელია 1991:469]. 	<ul style="list-style-type: none"> • „ართი სუმარქ ქიმესურ, ღვინი გემუ, წყარ გენჩურუ. – ერთი სტუმარი მესტუმრა, ღვინო დალია, წყალი გასცურა (წურბელა)“ [კ. დანელია 1991:469]. • „ლენჩეთიშე ლენჩიქ მორთუ, ვაშუნს, ვაჭკუნს დო ღვინს არწყენს. – ლენჩეთიდან ლენჩი მოვიდა, არ სვამს, არ ჭამს და ღვინოს არწყევს

<ul style="list-style-type: none"> „ერთი ექიმი მოვიდაა ინდურ ფანდურის გემითა, სისხლით კარვი დაიდგა, შიგ გორავს თავში ცემითა (წურბელა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:485]. 		<p>(წურბელი)“ [კ. დანელია 1991:464].</p> <ul style="list-style-type: none"> „უჩა რე ზესქვიცალო, წყარს მეურცუ რაშიცალო. – შავი არის შაშვივითა, წყალში ცურავს რაშივითა (წურბელი)“ [კ. დანელია 1991:469].
<ul style="list-style-type: none"> „ერთი რამა სულიერი მალლა ზის და იხრის ყელსა (აბრეშუმის ჭია)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:482]. „აცოცდა მალლა. სხვენზედა. ტკბილი საჭმლითა დამტკბარი, იქ ღმერთმა სახლი აუგო, არც ფანჯარა აქვს, არც კარი (აბრეშუმის ჭია)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:482]. „ვა რა სახლი ავაშენე, ვა რა ჭინყარიო, შიგ შევედი, დაგიძახე, ვერ გამირე კარიო! (აბრეშუმის ჭია)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:482]. „ერთი რამე სულიერი სახლს იკეთებს სადგომარსა, — თავისთვინა საკვდომარსა (აბრეშუმის ჭია)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:482]. „ერთი რამე შვენიერი ტურფად იქნევს ყელსა, იმის ნამუშევარი დაამშვენებს თემსა (აბრეშუმის ჭია)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:482]. 	–	<ul style="list-style-type: none"> „თხა პუნდუ მიარე, გოლა გეგნვოდიარე, გეკტიპონი, წყარი ქოვჩი, გოვტყაბარე – გეგიმოვჩი. – თხა მყავდა მიარე, მთა გადავაბალახებინე, ჩამოვიყვანე, წყალი ვასვი, გავატყავე (და) გავყიდე (აბრეშუმის ჭია)“ [კ. დანელია 1991:465].
<ul style="list-style-type: none"> „მიწაში ცხოვრობს, მიწას ჭამს, საკვებს არავის ართმევს. გაჭრი და ორად იქცევა თუ გადაურჩა ქათმებს (ჭიაყელა)“ [ექსპედიცია 2019]. 	–	–
მწერები		
<ul style="list-style-type: none"> „ერთი პატარა მანანა ხან გაიცინებს, ხან არა“ (ციცინათელა) [ჯ. სონლულაშვილი 1991:92]. „დღე იმალებიან, ღამე გამოდიან (ციცინათელა)“ [ექსპედიცია 2019]. 	–	–

<ul style="list-style-type: none"> • „თვალი აქვს პატიოსანი, ხაზინას არ დაედება. ცეცხლისა ნაპერწკასა ჰგავს, აბედსაც არ მოედება (ციცინათელა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:485]. • „არ მიცანა, ცანა, ცანა! ხან გაიხდის, ხან ჩაიცვამს, მაინც ცანა, ცანა, ცანა! (ციცინათელა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:485]. • „რისი ცეცხლია, რომ არაფერს არა სწვავ? (ციცინათელისა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:485]. 		
<ul style="list-style-type: none"> • „ერთი რამე სულიერი ჩიტსა ჰგავდა სოსანსაო; მისი ფინთი ჩავაყარე შენს მკვდარსა და ცოცხალსაო“ (ფუტკარი) [ჯ. სონლულაშვილი 1991:93]. • „ჭალა-ჭალა მოდიოდა უზუმბარა რქიანი, მოვიდა და დაიბერტყა ფეხი ტალახიანი“ (ფუტკარი) [ჯ. სონლულაშვილი 1991:104]. • „ერთი რამე სულიერი შორით დამკრეფი ვარდისა, ჯერ ღვთისა მოსამსახურე, მერმე ყოველის კაცისა (ფუტკარი)“ [ექსპედიცია 2019]. • „ერთმა პატარა ბზიულამ ხალხი აავსო შარბათით, და ზამთრებამდე მუშაობს, არ იცის კვირა, შაბათი (ფუტკარი)“ [ექსპედიცია 2019]. • „სახლი ავაგე ხისაო, არ არის ნაფოტისაო, შედიან და გამოდიან, ბრძანება არი ღვთისაო (ფუტკარი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:484]. • „სახლი ვიწრო, ჯალაბ დიდი, მეტად ვიწროდ აგებული, ისარს გესვრის და არა გკლავს, განძია ღვთით დიდებული (ფუტკარი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:484]. • „სუფთა მსუბუქი ფრინველი, შორით მომტანი ვარდისა, ჯერ ცისა მოსამსახურე, მერე ყოველი კაცისა (ფუტკარი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:484]. • „სულ პატარა მწერი არის, ფუფუსა და მშრომელია, სხვა დროს შრომობს ზამთარს არა 	-	-

<p>აბა მითხარი რომელია? (ფუტკარი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:484].</p> <ul style="list-style-type: none"> • „მშრომელი ავი, ნაშრომი ტკბილი, ცეცხლი მოედო, მილტვის ზეცას (ფუტკარი, თაფლი და სანთელი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:484]. • „თუმცა სუსტი ციხე ვიყავი, მაგრამ ბევრი ჯარი მყავდა, როცა მტერმა დამაქცია, ყველა ერთად გამეფანტა (ფუტკარი და სკა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:485]. 		
<ul style="list-style-type: none"> • „შხამიანი მწერია, ფუტკარავით ფრენია, იკბინება კუდიდან, ფუტკარსა ყრის ბუდიდან“ (კრაზანა) [ჯ. სონდულაშვილი 1991:102]. 	-	-
<ul style="list-style-type: none"> • „ა, იქით ველაშია, კუპრი ამოდენაშია (ჭიანჭველა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:485]. • „უფხო, უძვლო, ველის ნადირი (ჭიანჭველა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:485]. • „მივა, მოვა ქარავანი, არ უცვება ქალამანი (ჭიანჭველა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:485]. 	-	-
<ul style="list-style-type: none"> • „შავი არის შშვივითა, მაგრამ შავი არ არის, გაფრინდება ჩიტვითა, მაგრამ ჩიტი არ არის. უღელს გასწევს ხარივითა, მაგრამ ხარი არ არის (ხარაბუზა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:485]. 	-	-
<ul style="list-style-type: none"> • „თავი ბუზს უგავს, ფეხი ჩალასა, ნახტომი — დევის ქალასა, თვითონ ძლივს ჩანს — ხმა კი ისმის (კოლო)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:483]. 	-	-
<ul style="list-style-type: none"> • „ერთი რამე სულიერი ეშმაკების სახეო, ქვეით-ქვეით დადიოდა, ძირს გაეზა მახეო, პატარა ჩიტ დაეჭირა ჩემი თვალით ვნახეო.“ (ობობა) [ჯ. სონდულაშვილი 1991:93]. • „კაბად იქსოვს ბადეს, ბუზებს უგებს მახეს“ (ობობა) [ჯ. სონდულაშვილი 1991:96]. • „ჩემი პატარა იობა, წამოსულიყო თიობა, წინ – თივა, უკან – იობა, შიგა-შიგ ჩამოდიოდა“ (ობობა) [ჯ. სონდულაშვილი 1991:102]. • „ჩემი პატარა მიმინო გულით ეშმაკის მახეა, ისე მომიქსოვს წინდებსა, თვალითაც ვერა ვნახეა“ (ობობა) [ჯ. სონდულაშვილი 1991:102]. 	-	-

<ul style="list-style-type: none"> • „მალა დადის საქსოვარიტა, დაბლა დადის საცოცარიტა (ობობა)“ [ექსპედიცია 2019]. • „კოლო-ბუზთა სამულველი მწერი არის სისხლისმსმელი, კოლო-ბუზის დასაჭერად გაბმული აქვს წვრილი ქსელი (ობობა)“ [ექსპედიცია 2019]. • „ერთი რამა ვნახე – ეშმაკისა სახე, მალა-მალა დადიოდა ძირს დაედგა მახე, წვრილი ჩიტი გაბმულიყო, ჩემი თვალით ვნახე (ობობა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:484]. 		
<ul style="list-style-type: none"> • „უხელოდ წნული საცერი მალად კუთხეში კიდია, სხვისთვის მახეა, პატრონის დერეფანი და ხიდია (ობობის ქსელი)“ [ექსპედიცია 2019]. 	-	-
<ul style="list-style-type: none"> • „თავი ბუს უგავს, ფეხი – ჩალასა, ნახტომი იცის დევის ჭალასა“ (კალია) [ჯ. სონლულაშვილი 1991:95]. • „ჩვენ კალოზე იარება ერთი უზუმბარა, თავით ბურბუმელა, ფეხით კუნტრუმელა, კუდით პირჯვარს დაიწერავს, ალუხ-მალუხელა“ (კალია) [ჯ. სონლულაშვილი 1991:102]. • „ბუჩქის ძირას დაყუნცდა, გრძელკანჭება მხედარი. ნახტომისთვის მზადაა, მარჯვეა და მხნედ არი. დახედავ და ძირსაა, ახედავ და ზედ არი (კალია)“ [ექსპედიცია 2019]. 	-	-
<ul style="list-style-type: none"> • „ერთ პარიკმახერს ორი მაკორატელი უჭირავს (მახრა)“ [ექსპედიცია 2019]. 	-	-
<ul style="list-style-type: none"> • „პატარა არის საწყალი, მალა გაუდის ცანცარი“ (პეპელა) [ჯ. სონლულაშვილი 1991:98]. • „ნაირფერი კაბები მაქვს, მამკობს ნაზი ფრთები; გაზაფხულის ყვავილების სურნელებით ვტკბები; დილის მზეზე ვიბადები და ბინდისას ვკვდები (პეპელა)“ [ექსპედიცია 2019]. • „ერთი რამ არის საწყალი, მალა გაუდის ცანცალი, ნეტავი შემატყობინა, რა არის მისი საგზალი (პეპელა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:484]. 	-	-

<ul style="list-style-type: none"> • „პატარა და „უჰ!““ (რწყილი) [ჯ. სონლულაშვილი 1991:98]. • „შავი არის შაშვივითა, იკბინება ძაღლივითა; წელში ისე ათამაშებს ქამანჩა და სტვირივითა“ (რწყილი) [ჯ. სონლულაშვილი 1991:102]. • „ლამისფერი ნადირია, დახტუნაობს ნება-ნება. არც მგელია, არც ძაღლია, ძაღლივით კი იკბინება (რწყილი)“ [ექსპედიცია 2019]. • „შავი არის შაშვივითა, იკბინება ძაღლივითა (რწყილი)“ • „მალა დახტის ცხენივითა, იკბინება, არ წივისო, მისი ხორცი არ იჭმება, როგორც კვერცხი არწივისო (რწყილი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:484]. [ექსპედიცია 2019]. • „ეს შავი ცხენი ნეფისა, სწრაფად ამლები ფეხისა, ლაგამს ვერავინ ამოსდებს კაცი ამ ჩვენი ქვეყნისა (რწყილი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:484]. • „შავი არი შაშვივითა, იკბინება ძაღლივითა, პატრონს ღამით ათამაშებს ქამანჩა და სტვირივითა (რწყილი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:484]. 	-	-
<ul style="list-style-type: none"> • „შენ რომ გეზიზღება, მას უყვარხარ. შენ რომ დაეძებ, ის გემალება (ტილი)“ [ექსპედიცია 2019]. 	-	-
<ul style="list-style-type: none"> • „ერთი რამა სულიერი, ვერ გაარჩევ თხიშია, მთელი ხარი დაუჭირავს, გაუჩრია პირშია (ტკიპა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:484]. 	-	-
<ul style="list-style-type: none"> • „პაწაწინა მწერია, შალეულის მტერია“ (ჩრჩილი) [ჯ. სონლულაშვილი 1991:99]. 	-	-
<ul style="list-style-type: none"> • „სახლი ავაშენე ხისა, არ არის ნაფოტისა, შედიან და გამოდიან, ბრძანება არის ღვთისა“ (სკა) [ჯ. სონლულაშვილი 1991:99]. • „ხე გავთალე ხისაო, არა ნაფოტისაო; შედიან და გამოდიან ანგელოზნი ღვთისაო“ (სკა) [ჯ. სონლულაშვილი 1991:105]. • „სახლი ავაგე ხისა, არა – ნაფოტისა. შედიან და გამოდიან, წყალობაა ღვთისა (სკა)“ 	-	-

[ექსპედიცია 2019].		
<ul style="list-style-type: none"> „შავი არის და შავი არ არის, კბენა იცის და ძაღლი არ არის (ბუზი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:483]. 	–	–
ადამიანი		
<ul style="list-style-type: none"> „აყლასყუდა – ყუდაო, ყუდას ზევით გუდაო, გუდას ზევით მიკრიჭა, მიკრიჭს ზევით მიჭვრიტა, მიჭვრიტს ზევით ჭალა, შიგ ღორები წვანან“ (ადამიანის სხეული) [ჯ. სონღულაშვილი 1991:90]. „აყლასყუდა ყუდა, ყუდას ზევით გუდა, გუდას ზევით ტრუბა, ტრუბას ზევით ჭყიტა, ჭყიტას ზევით ჭალა, ჭალაში ღორები წვანან (ადამიანის აგებულება)“ [ექსპედიცია 2019]. „ბოძი, ბოძი, ბოძანდარი, ზედ გუდა და ზედადგარი, აქ იკრიჭი, იქ იჭყიტი, ზედ ლადალუდა ტყე არის (ადამიანი)“ [ექსპედიცია 2019]. „ორჯერ უკბილო, ერთხელ კბილიანი (ადამიანი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:486]. „აყრა იყო, მაყრა იყო, მაყრის ზევით გუდა იყო, გუდას ზევით – ფიცარი, ფიცარს ზევით – მიხრიჭი, მიხრიჭს ზევით – მისვრიტი, მისვრიტს ზევით – მიჭყიტი, მიჭყიტს ზევით ჭალა იყო, შიგ ტყე-ბარდი სავსე იყო (ადამიანი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:486]. „უტი-უტი უხტალოა, უხტალს ზევით გუდალოა, გუდალ ზევით — ფიქალოა, ფიქალ ზევით მიკრიჭია, მიკრიჭ ზევით მიჭყიტია, მიჭყიტ ზევით მთაი არის, მთაზე ტყეა (ადამიანი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:486]. „ბოძი! ბოძი, ბოძანდარი, ზედ გუდა და ზესანდარი, ზედ იკრიჭ, ზედ იჭყიტი, ზედ ჭალა-ჭულა მთა არი (ადამიანი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:486]. „დილით ოთხით დადის, შუადღისას ორითა და საღამოზედ სამითა (ადამიანი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:486]. 	–	–
<ul style="list-style-type: none"> „ჯერ ოთხი, მერე ორი, შემდეგ სამი (კაცი)“ 	<ul style="list-style-type: none"> „ოჭუმარეს ოთხი 	–

<p>[ექსპედიცია 2019].</p>	<p>კუჩხით გილურც, ონდლეს – ჟირით, ონჯუას – სუმით. – დილით ოთხი ფეხით დადის, შუადლეს – ორით, სადამოს – სამით (კაცი)“ [კ. დანელია 1991:471].</p>	
<ul style="list-style-type: none"> • „ის ვინ არის, სულ არ არის, არც თავისთვის, არც სხვისთვისა, რასაც იშოვის ინახავს, იმ ერთი შავი დღისთვისა, გადაბრუნდება, მოკვდება, დარჩება ეშმაკისათვისა (ტუნწი კაცი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:492]. 	<p>–</p>	<p>–</p>
<ul style="list-style-type: none"> • „ამ ჩემი ორი გოხითა ქვეყანა გავზომე (ფეხები)“ [ექსპედიცია 2019]. 	<p>–</p>	<p>–</p>
<ul style="list-style-type: none"> • „ღმერთი ვერ ხედავს, მეფე – ხანდახან, ჩვენ – ყოველთვის (ტოლი, ამხანაგი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:491] 	<p>–</p>	<p>–</p>
<ul style="list-style-type: none"> • „რაც ჩვენთვის ძვირფასია, არ ვაფასებთ მას. დავკარგავთ და... ფაფუ (ჯანმრთელობა)“ [ექსპედიცია 2019]. 	<p>–</p>	<p>–</p>
<ul style="list-style-type: none"> • „ერთი მოლაპარაკე, ორი მაცქერალი და ორი მსმენელი ერთ კვახზედა სხედან (პირი, თვალეზი, ყურეზი)“ [ექსპედიცია 2019]. 	<p>–</p>	<ul style="list-style-type: none"> • „იქიქინე – ისვირთინე, ჟერი წყურგილი თიშ იქილე, უკული დიდი მინდორი რე, თიში იქილე დიდი ტყა რე, თექი მიშეეკაჩაღინი თინა მუ რე? – გაპობილს (და) გრძელის იქით ორი წყაროა, შემდეგ დიდი მინდორია, იმის იქით დიდი ტყეა, იქ რომ

		შრიალებს, ის რაა? (პირი, ცხვირი, თვალები, შუბლი, თმა)“ [კ. დანელია 1991:467].
–	–	• „მიშუშია, მიშუშია! მიშუშიას – მირკენჭია; მირკენჭიას – მიშვიტია; მიშვიტიას – მიფაფია; მიფაფიას – მინდორია; მინდორიას – ფარონი მატრბაია“ (პირსახე) [ი. ყიფშიძე 1914:388].
• „კაცს ერთი აქვს, ქალს – ორი (გვარი)“ [ექსპედიცია 2019].	–	–
• „მამა არ დაბადებულა, შვილი ქალაქს მიდიოდა (კომლი)“ [ექსპედიცია 2019].	–	–
–	–	• „აკაკე-ბაკაკე. გირჩქენ დო ვა გარაგადე. – აკაკე, ბაკაკე, იცი და ვერ იტყვი (ქმრის და ცოლის სახელი)“ [კ. დანელია 1991:465].
• „ლამით – ვარდი, დღისით – დარდი (ცოლი)“ [ექსპედიცია 2019].	–	–
• „ბეწვიანი ბეწვიანს ეჯახება“ (წამწამები) [ჯ. სონღულაშვილი 1991:90].	–	–
• „მოდო, ბიჭო, დავიძინოთ, ხუჭუ-ხუჭუ ვენათო, ბანჯგვლიანი-ბუნჯგვლიანი ერთმანეთსა ვკრათო“ (წამწამები) [ჯ. სონღულაშვილი 1991:97].	–	–
• „გარმაწოლილა მთაზედა ჭავალ-ჭავალი	• „ჩქიმი ჭიჭე	–

<p>გველიო; ჩამახედავდა ჭალასა, იქ არის ჩვენი ველიო“ (თვალუბი) [ჯ. სონლულაშვილი 1991:91].</p> <ul style="list-style-type: none"> • „დავკეცე ფარის ოდენა, გავშალე ქვეყნის ოდენა“ (თვალუბი) [ჯ. სონლულაშვილი 1991:92]. • „კაკალივით მრგვალია, ნათელი და მალია“ (თვალუბი) [ჯ. სონლულაშვილი 1991:96]. • „ორი გორგალი მაქვს, სადამდინაც მინდა, იქამდე მივუწვდენ“ (თვალუბი) [ჯ. სონლულაშვილი 1991:98]. • „ორი ცხოვრობს მეზობლადა, ვერ ხედავენ ერთმანეთსა“ (თვალუბი) [ჯ. სონლულაშვილი 1991:98]. • „ორი ძმა ერთად მიდის, ერთმანეთს ვერ ხედავს“ (თვალუბი) [ჯ. სონლულაშვილი 1991:98]. • „ქედს იქით-აქეთ ჩიტები ერთურთის გვერდით სხდებიან. ახლოს ცხოვრობენ მდგმურადა, თუმც ერთურთს ვერა ხვდებიან. ამ წამში რომ აქ არიან, იმწამში გაფრინდებიან (თვალუბი)“ [ექსპედიცია 2019]. • „ორი თოკი მაქვს და ყველასა სწვდება (თვალუბი)“ [ექსპედიცია 2019]. • „ერთად ორი მეზობელი დაბადებიდან არიან, ახლოს ცხოვრობენ მდგმურადა, თუმცა ერთურთს ვერა ხედავენ, ამ წამში რომ აქ არიან, იმ წამში გაფრინდებიან (თვალუბი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:488]. • „ამ წამს ჩემთან არიან, იმ წამს გაფრინდებიან, სხვისას ეძებენ ჯავარსა, თავისას ვერ მიხვდებიან (თვალუბი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:488]. • „მრგვალი ვარ და კუზიანი, გარს მასხია მცველებია, თუ რამე ჯავრი შემხვდა, წყალში ვცურავ, ვსველდებია (თვალუბი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:488]. • „აი და აგერ (თვალუბი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 	<p>ჭურია ცაშა ქაანჭუნია. – ჩემი პატარა აყირო ცას მისწვდება (თვალუბი)“ [კ. დანელია 1991:467].</p>	
--	--	--

<p>1965:48].</p> <ul style="list-style-type: none"> • „გავშალე ქვეყნის ოდენზე, დავკეცე ფარის ოდენზე (თვალეზი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:488]. • „კლდეზე სანთლები ანთია (თვალეზი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:588]. • „ჩემი თოკი ბაწარია, საცა გავკრავ, იქ წავა (თვალეზი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:488]. • „გავხსენ, ფიცარი, დავკრენ ისარნი (თვალეზი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:488]. • „ერთი რამ არის, სადაც მინდა, იქ გავუწვდენ (თვალეზი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:588]. • „ორნი არიან, ტოლნი არიან, ხან გაფრინდებიან, ხან მოფრინდებიან (თვალეზი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:488]. • „ორი ხარი მყავს, ერთი ქედს იქით მიბია, ერთი — ქედს აქეთ (თვალეზი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:588]. • „აი ჩემი თოფ-თოფელა, ცისკიდემდე მიმწვდენელა (თვალეზი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:489]. 		
<ul style="list-style-type: none"> • „ერთი ლაპარაკობს, ორი იცქირება“ (ენა და თვალეზი) [ჯ. სონდულაშვილი 1991:92]. 	-	-
<ul style="list-style-type: none"> • „ერთავ სრულ წყალში ძესავ, არც შრება, არცა ლპებავ“ (ენა) [ჯ. სონდულაშვილი 1991:92]. • „ერთი ხელსახოცი მაქვს, ვაშრე, ვაშრე ვერ გავაშრე“ (ენა) [ჯ. სონდულაშვილი 1991:93]. • „ვაშრე, ვაშრე, ვერ გავაშრე (ენა)“ [ექსპედიცია 2019]. • „ზოგჯერ ბლაგვია საოცრად, ზოგჯერ – ხმალივით ბასრი. ჩვენს არსებობას უმისოდ არ ექნებოდა აზრი (ენა)“ [ექსპედიცია 2019]. • „თუ მოინდომა ხვრელიდან გველს გამოიყვანს გარეთ. ხან შაქარივით ტკბილია, ხან – დარიშხანზე მწარე (ენა)“ [ექსპედიცია 2019]. • „წყალში ერთი კუნძი გდია, არცა ლპება, არცა შრება (ენა)“ [ექსპედიცია 2019]. • „ერთი რამ არი წითელი, ძირთაგან ამოსულია, 	<ul style="list-style-type: none"> • „ართი ჩქიმი ხეშ ქოსალი ვოსქირეე, ვოსქირეე დო დლასი ვა მასქირულუ. – ჩემი ერთი ხელსახოცი ვაშრე, ვაშრე, ვერ გავაშრე (ენა)“ [კ. დანელია 1991:467]. • „ჩქიმი ჭიჭე სალფეთქია ირო შოლირირე. 	-

<p>ძვლის კუბი აქვს და შიგა ზის, არსზედაც გადასულია, ავი და კარგი მისგან გვჭირს, მწარე და გემრიელია (ენა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:47].</p> <ul style="list-style-type: none"> • „წევს ვინმე წვრილსა კუბოსა, სულ აღმით ამოღებულსა, ავი და კარგი მისგან სჭირს ყოველ სულს დაბადებულსა (ენა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:487]. • „ჭკუა-გონების ფარხმალი, პატარა, მოუსვენარი, ზოგჯერ მალამოდ სახმარი, ზოგჯერ გველივით მკბენარი (ენა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:487]. • „თეთრ ქვებს უკან ფიცარია, არცა ლპება და არცა ხმებაო: ხან ტკბილია, ხან კი მწარე, უპატრონოდ არ კვდებაო (ენა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:487]. • „რძესავით ტკბილი. ნაღველივით მწარე (ენა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:487]. 	<p>– ჩემი პატარა ხელსახოცი მუდამ სველია (ენა)“ [კ. დანელია 1991:467].</p> <ul style="list-style-type: none"> • „ზღვას ართი კუნძი დინოძუ, ვართი სქირუ დო ვართი ცორდი“ – ზღვაში ერთი კუნძი დევს, არც შრება და არც ლპება (ენა) [ექსპედიცია 2019]. • „არძამ უმოსი მწარე დო არძამ უმოსი გემუანი“ – ყველაზე მეტად მწარე და ყველაზე მეტად გემრიელი (ენა) [ექსპედიცია 2019]. 	
<ul style="list-style-type: none"> • „ერთი ცეხვს, მეორე ურევს, მესამე ეუბნება: ჩამოყარეო“ (კბილები, ენა, კუჭი) [ჯ. სონღულაშვილი 1991:93]. • „თეთრა ლეწავს, წითლა აბრუნებს, ყორან ეძახის: ჩამოყარეო“ (კბილები, ენა, კუჭი) [ჯ. სონღულაშვილი 1991:95]. • „ერთი მოლაპარაკე, ორი მაცქერალი და ორი მსმენელი ერთ კვახზე სხედან (ენა, თვალები, ყურები და თავი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:487]. • „ერთი ლეწავს, მეორე ურევს, მესამე უძახის — ჩამოყარეო (კბილები, ენა და მუცელი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:489]. 	<p>–</p>	<p>–</p>
<p>–</p>	<p>–</p>	<ul style="list-style-type: none"> • „გალე ხორცი,

		დინახლე ტყეები. – გარეთ ხორცი, შიგნით ტყავი (კუჭი)“ [კ. დანელია 1991:467].
<ul style="list-style-type: none"> • „ოცდათორმეტი მცეხველი და ერთი მხვეტელი“ (კბილები და ენა) [ჯ. სონლულაშვილი 1991:98]. • „წითელ გორაზე ოცდათორმეტი თეთრი ცხენია (ენა და კბილები)“ [ექსპედიცია 2019]. • „ერთი ციხესიმაგრეა და ოცდათორმეტი მცველი ჰყავს (ენა და კბილები)“ [ექსპედიცია 2019]. 	<ul style="list-style-type: none"> • „ეჩიდოვითი მაჩხვარალი, ჭითანახე მაქოსალი. – ოცდაათი მცეხვაკი და ჭითანავას ასული მხვეტაკი (კბილები და ენა)“ [კ. დანელია 1991:467]. 	–
<ul style="list-style-type: none"> • „ერთი თახჩა მაქვს კენჭებით გამოტენილი“ (პირი) [ჯ. სონლულაშვილი 1991:92]. 	–	–
<ul style="list-style-type: none"> • „პატარია კოლოფანი ბროლით გამოტენილანი“ (პირი და კბილები) [ჯ. სონლულაშვილი 1991:99]. • „ერთი ყუთი მაქვს, სულ კენჭებით მოწყობილია (პირი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:489]. • „ბეჩიკუან შუკუნანი, ბროლით გამოტენილანი (პირი და კბილები)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:489]. 	<ul style="list-style-type: none"> • „ართი ჩქიმი ორტვინი გვალო ქუალეფითი მოროწვილი რე. – ჩემი ერთი ბოსტანი მთლად ქვებით არის მოკირწყლული (პირი და კბილები)“ [კ. დანელია 1991:467]. 	–
<ul style="list-style-type: none"> • „ერთი გომური მაქვს, შიგ სულ თეთრი ხარები მიბია“ (კბილები) [ჯ. სონლულაშვილი 1991:92]. • „ერთ ორმოში ოცდათორმეტი გოგრის თესლია (კბილები)“ [ექსპედიცია 2019]. 	–	–
<ul style="list-style-type: none"> • „ერთი კლდეა და იმ კლდეზე ორი გველია გაწოლილი“ (წარბები) [ჯ. სონლულაშვილი 1991:92]. • „ერთ მინდორზე ორი გველი წევს (წარბები)“ 	<ul style="list-style-type: none"> • „ჩქიმი ჭიჭე ჩე გვალაშა უჩა გვერეფი მუკომიჯან. 	–

<p>[„ხალხური სიბრძნე“ 1965:492].</p> <ul style="list-style-type: none"> • „ცაში ვერძები ჭიდაობენ (წარბები)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:492]. • „ორ ტბაზედა ორი გველი ემუქრიან ერთმანეთსა, რა გინდ ბევრი მიიწიონ, ვერ უკბენენ ერთმანეთსა (წარბები)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:492]. 	<p>– ჩემს პატარა თეთრ მთაზე შავი გველები მიწევს (შუბლი და წარბები)“ [კ. დანელია 1991:464].</p>	
<ul style="list-style-type: none"> • „ერთი რამეა, ყველაფერი შიგ შედის“ (ყური) [ჯ. სონღულაშვილი 1991:93]. • „ერთი პატარა რამე მაქვს, სუყველაფერი შიგ ჩადის (ყური)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:491]. 	<p>–</p>	<ul style="list-style-type: none"> • „ხორციშ ფოქვიშა მელე მოლე მითიენა, ქიანაშ ამბეს ქიმილანა, კინიი აშო გითიენა“ – ხორცის ღრმულში იქით-აქეთ შევლენ, ქვეყნის ამბავს მოიტანენ, ისევ უკან გამოვლენ (ყური და ხმები) [ექსპედიცია 2019].
<ul style="list-style-type: none"> • „ერთი სტუმარი გვეწვია, მისდღეში უსტუმრებული; ისეთი კერძი მივართვი, სუფრაზე დაუდებელი“ (ახალშობილი და დედის რძე) [ჯ. სონღულაშვილი 1991:93]. • „ერთი სტუმარი მეწვია, მისდრეში უსტუმრებელი, იმას საჭმელი მივართვი, სუფრაზე დაუდებელი (დედის რძე და ბავშვი)“ [ექსპედიცია 2019]. • „ერთი ბერი შემომესწრო, პირი ჰქონდა, ენა არა, ორი ცხვარი წინ მივართვი, წვენი სვა და ფოჩი არა (ახალდაბადებული ბავშვი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:486]. • „ერთი სტუმარი მეწვია მისდღემში უსტუმრებელი, ორი ულუფა მივართვი, სუფრაზე დაუდებელი (ბავშვი და დედის ძუძუები)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:487]. 	<ul style="list-style-type: none"> • „ელსამეთეშე მუნჯიქ მორთუ, პიჯი ჩანდ დო ნინა ვარ, ჟირი შხურეფი ქაწუდვეს, საწებელი ჭკომ დო ინა ვარ. – იერუსალიმიდან მუნჯი მოვიდა, პირი ჰქონდა და ენა არა, ორი ცხვარი წინ დაუდვეს, საწებელი ჭამა და ხორცი არა (ახალდაბადებულ 	<p>–</p>

	ი ბავშვი“ [კ. დანელია 1991:463].	
<ul style="list-style-type: none"> „კლდეზე ორი კოკა აყუდია (ძუძუები)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:492]. 	<ul style="list-style-type: none"> „ე მუ ორე, მუ ორე, ჟირი დერგი ყვალი გოლაშ მიკომთხორუნი? – ეს რა არის, რა არის: ორი ქილა ყველი მთაზე მაქვს დამარბული (ძუძუები)“ [კ. დანელია 1991:467]. 	–
<ul style="list-style-type: none"> „ვხვეტე, ვხვეტე, ვერ დავხვეტე“ (ცხვირი) [ჯ. სონდულაშვილი 1991:94]. „ორი ბოსელი მაქვს და ერთი ბოძი აქვს“ (ცხვირი) [ჯ. სონდულაშვილი 1991:98]. „ორი სახლი და ერთი ბოძი (ცხვირი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:492]. „თვალწინ მაქვს და ვერა ვხედავ (ცხვირი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:492]. „ჩემი პატარა ბოსელი ვხვეტე, ვხვეტე, ძლივს დავხვეტე (ცხვირი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:492]. 	–	–
–	–	<ul style="list-style-type: none"> „ჟირი მოწიკვილი, ხუთი მახეკალი. – ორი დასვრილი, ხუთი მწმენდავი (მხეკავი) (ცხვირი და ხელი)“ [კ. დანელია 1991:465].
<ul style="list-style-type: none"> „მალა მთაზე ტყეა ერთი, ჯერ შავია, მერე – თეთრი“ (თმა) [ჯ. სონდულაშვილი 1991:97]. „კაცზე მალაღი, ქუდზე დაბალი (თმა)“ [ექსპედიცია 2019]. 	–	–

<ul style="list-style-type: none"> • „დაუთვალავი ძმებითა ვცხოვრობდი მაღალ მთაზედა, მოვიდა რკინა, დაგვხოცა, დანები ება ყბაზედა (თმა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:487]. • „უნახნაოდ და უთესლოდ, უმიწოდ არის მოსული (თმა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:487]. • „კლდეზე აპეურები ჰკიდია (ქალის ნაწნავები)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:491]. 		
<ul style="list-style-type: none"> • „დამპატიუებ, ხარს დაგიკლავ ურქოსა და უწლიქოსა, დაგაბრძანებ დუქანშია, გაყიდინებ თამბაქოსა (ქოსა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:491]. 	-	-
<ul style="list-style-type: none"> • „ორბო, ორბო, მშვენიერო, მხარბოლონი გშვენიანო; მამულეთით ჩამოხვედი, მუხლნი ჩამაგვძვრებიანო“ (პატარძალი) [ჯ. სონლულაშვილი 1991:98]. 	-	-
<ul style="list-style-type: none"> • „ორ დედას ხუთ-ხუთი შვილი ჰყავს“ (ხელის თითები) [ჯ. სონლულაშვილი 1991:98]. • „წაკნი, წუკნი წაიკიდნენ, ხელით ეჭირათ ფარები“ (ხელის თითები) [ჯ. სონლულაშვილი 1991:104]. • „ხე მრუდე და ხე მართალი, აბია ხუთი მარცვალი“ (ხელი) [ჯ. სონლულაშვილი 1991:105]. • „ხე მრუნდი და ხე მართალი, წვერშია ხუთი მარცვალი (თითები)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:488]. 	<ul style="list-style-type: none"> • „ჯა- ლულა, ჯა - თინ, ჯა - ხუთი ნოყელამი. - ხე - მრუდე, ხე - სწორი, ხე - ხუთტოტიანი (ხელი და თითები)“ [კ. დანელია 1991:467]. 	-
<ul style="list-style-type: none"> • „ცერცვი, ცერცვი, ცერცობანი, ზედ ასხია ქერქობანი, არც იჭმება, არც ისმება, საკმარისად კარგობანი (მკლავი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:490]. 	-	-
<ul style="list-style-type: none"> • „ხორცის შამფური, რკინის მწვადი“ (თითი და ბეჭედი) [ჯ. სონლულაშვილი 1991:105]. • „ხუთნია ხუცურაულნი, ხუთთავ ფარები ჰკიდია (თითები და ფრჩხილები)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:488]. 		
<ul style="list-style-type: none"> • „წინ - ზურგი, უკან - მუცელი (ფეხის წვივი)“ [ექსპედიცია 2019]. 	<ul style="list-style-type: none"> • „წოხოლე ოჭიში დო უკახალე“ 	-

	ქვარა. – წინ ზურგი და უკან მუცელი (წვივი, კანჭი)“ [კ. დანელია 1991:467].	
• „ხუთი წავალთ, ოთხი მოვალთ“ (მკვდრის დამარხვა) [ჯ. სონღულაშვილი 1991:105].	–	–
სამოსელი, ქსოვილები და თავის მოვლის საგნები		
• „დღე – ბრიჯი და ღამე – ჩლუტი“ (წინდები) [ჯ. სონღულაშვილი 1991:92].	–	–
<ul style="list-style-type: none"> • „დაბმული დიან, დაზეზებულნი დგანან“ (ქლამნები) [ჯ. სონღულაშვილი 1991:91]. • „დავაბამ – დადის, აუშვებ – დგას“ (ქლამნები) [ჯ. სონღულაშვილი 1991:91]. • „ჯეელი ვარ, ბრმა ვარ, დავბერდები – თვალეზიანი“ (ქლამანი) [ჯ. სონღულაშვილი 1991:105]. • „თხა და ხარი დაძმობილდნენ რკინის შუამავლობითა“ (ფეხსაცმელი) [ჯ. სონღულაშვილი 1991:95]. • „როცა შეკრულია დადის და როცა გახსნილია – არა (ფეხსაცმელი)“ [ექსპედიცია 2019]. • „მკვდარი ცოცხალს მიაბრებინებს (ფეხსაცმელი)“ [ექსპედიცია 2019]. • „უღელი ხარი მყავს, დღე დავაბამ, ღამე ავუშვებ (ფეხსაცმელი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:493]. • „უთვალო იყო მიყვარდა, გათვალთანდა, შემძულდა (ფეხსაცმელი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:493]. • „სულიერისგან ვიშობე, ორმოცი თვალი მასხია, უსულოდ დავებეტები, არც ერთი აღარ ვარგია (ქლამანი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:493]. • „ახალი ვიყავი — ბრმა ვიყავ, დავბერდი გავთვალთანდი (ქლამანი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:493]. 	<ul style="list-style-type: none"> • „გუტენქენი ირო ლურც, ქიდაკირანქენი – გილურს. – აუშვებ – სძინავს. დავაბამ – დადის (ფეხსაცმელი)“ [კ. დანელია 1991:465-466]. • „ქიდვოკირინ – გგლურს, გოუტენი – გაჩენდ. – დავაბი – დადის, ავუშვი – დგას (ფეხსაცმელი)“ [კ. დანელია 1991:465]. • „ქოდვოკირანქინი – გილურს, გოვუტენქინი – სოთა ურს“ – რომ დავაბამ – დადის, რომ 	–

	გავუმჯობესებ – სად წავა?! (ფებსაცემელი) [ექსპედიცია 2019].	
• „შიგნიდან – წითელი, გარედან – შავი (კალოში)“ [ექსპედიცია 2019].	–	–
• „დაბმულ დიანო, დაზეზებული დგანანო (ჯღანი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:494].	–	–
• „ანაშალი, დანაშალი, ახვევია დედას (თავშალი)“ [ექსპედიცია 2019].	–	–
• „სანამ პატარა ვიყავი, ოთხი სოველი მიჭამია, გავიზარდე, მიწა მინგრევია, მოვკვდი, ქვეყანა მიხილია“ (ხზო, ხარი, ხარის ტყავის ქალამნები) [ჯ. სონლულაშვილი 1991:99].	–	–
• „ზურგზე ხე აქვს მაგარი, მუცელზე აქვს ჯაგარი“ (ჯაგარისი) [ჯ. სონლულაშვილი 1991:95].	–	–
• „ვინც ხელს იბანს წყალთან ერთად უნდა ამაქაფოს, მიკრობები დაგესევს, თუ არ ხმარობ (საპონს)“ [ექსპედიცია 2019].	–	–
<ul style="list-style-type: none"> • „კაცზე – მაღალი, სკამზე – დაბალი“ (ქუდი) [ჯ. სონლულაშვილი 1991:96]. • „ჯამი პირქვე დავდგი – სავსეა, პირალმა დავდგი – ცარიელია“ (ქუდი) [ჯ. სონლულაშვილი 1991:105]. • „მიწას იყო და ქვას, წითელიცაა თეთრიც. მარტო არ უყვარს ყოფნა, მოყვასის მშობას ცემობს. ეხუტებიან ერთურთს და მიიწევენ ზემოთ (ქუდი)“ [ექსპედიცია 2019]. • „ამ გამოცანის ამოხსნა მგონი არ გაგიძნელდება: თუ დავახურე – ივსება, ავხდი და – ცარიელდება (ქუდი)“ [ექსპედიცია 2019]. • „კაცზე მაღალი, ღორზე დაბალი (ქუდი)“ [ექსპედიცია 2019]. • „ერთნაირი ჯამია, კაცზე პირქვე ამხია (ქუდი)“ [ექსპედიცია 2019]. 	<ul style="list-style-type: none"> • „კატუში უდაბალაში, კოჩიში უმაღალაში. – კატაზე დაბალი, კაცზე მაღალი (ქუდი)“ [კ. დანელია 1991:466]. • „კოჩიში უმაღალაში, ლეჯიში უდაბალაში. – კაცზე მაღალი, ღორზე დაბალი (ქუდი)“ [კ. 	–

<ul style="list-style-type: none"> • „პირველ სავსე, პირლმა ცარიელი (ქუდი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:494]. • „დავბურავ – აივსება, ავხდი – დაცარიელდება (ქუდი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:494]. 	<p>დანელია 1991:466].</p>	
<ul style="list-style-type: none"> • „ორნი იყვნენ, ტოლნი იყვნენ, ორივენი დარბოდნენ და დადიოდნენ“ (ქოშები) [ჯ. სონლულაშვილი 1991:98]. • „აზინა – აზიზინისა, ყაჭინა აბრეშუმისა, ორსა მაღალსა ციხესა საძირკველი აქვს რკინისა (ქოშები)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:494]. • „ორნი არიან, ტოლნი არიან, ერთად მიდიან, მიიმღერიან (ქოშები)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:494]. 	<p>–</p>	<p>–</p>
<ul style="list-style-type: none"> • „აჯილ-აჯილს პიმპილა, დუშაყი აბრეშუმისა, ზედა აქვს ციხე-ქალაქი, საძირკველია რკინისა (ჩექმა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:494]. • „თხა და ძროხა დამშობილდა ნემსის შუამავლობითა (ჩექმა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:494]. 	<p>–</p>	<p>–</p>
<ul style="list-style-type: none"> • „ფეხნი მიდიან კავშიო, კოდნი მიდგან კარშიო, შენ მაგას ვერ ამოიცნობ, ადე გადი კარშიო (წრიაპი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:494]. 	<p>–</p>	<p>–</p>
<ul style="list-style-type: none"> • „ოქრო, ოქრო-ვერცხლია, ჟინჯილები ასხია, ვინც ამას ვერ გამოიცნობს, თავზე ლაფი ასხია“ (გვირგვინი) [ჯ. სონლულაშვილი 1991:98] 	<p>–</p>	<p>–</p>
<ul style="list-style-type: none"> • „პატარა ტიკლიკელასა ტყიდან ნახირი მოუდის“ (სავარცხელი) [ჯ. სონლულაშვილი 1991:98]. • „ასიანის მთაზედა ასი ცხვარი ყუყუნებს, ერთ ნუკრს ფეხი მოტეხია, ყველა იმას უყურებს (დგიმ-სავარცხელი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:503]. • „ფეხებს ვარხევ, მუცელს ვაღებ, პირ-დაღებულს ლუკას ვაძლევ (დგიმ-სავარცხელი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:503]. • „ასიანისა მთაზედა ასი თათარი დგასო, ასსაფეხი მოტეხია, ასი ასევე დგასო (დგიმ-სავარცხელი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:504]. 	<p>–</p>	<p>–</p>

<ul style="list-style-type: none"> • „პატარა წიკწიკელასა მთიდან თივა ჩამოჰქონდა“ (საკრეჭი მანქანა) [ჯ. სონღულაშვილი 1991:99]. 	-	-
<ul style="list-style-type: none"> • „ხე გადავჭერ, ზედ გადავაჯექ“ (შარვალი) [ჯ. სონღულაშვილი 1991:105]. • „ტოტები აქვს და ხე არ არის, უსულოა და დადის, აქ დაკვირვება არის საჭირო, პასუხს მიხვდებით ნამდვილს (შარვალი)“ [ექსპედიცია 2019]. • „ტოტები აქვს და ხე კი არ არის, უსულოა და დადის, აქ დაფიქრება არის მთავარი და პასუხს გეტყვი ნამდვილს (შარვალი)“ [ექსპედიცია 2019]. 	-	-
-	-	<ul style="list-style-type: none"> • „გევობხეჯ ოქროშ სკამს, გეუთვათუა ხეს, დალობა ქორწანსი და მეუკონი ხეს. – ვზივარ ოქროს სკამზე, ხელებს მოვუცაცუნებ, დობა თუ გწამს ხელები იქით გასწიე (აბრეშუმი)“ [კ. დანელია 1991:471].
<ul style="list-style-type: none"> • „ერთი შევყავი, ხუთი შევთხარე (ხელთათმანი)“ [ექსპედიცია 2019]. • „რასა აქვს ხუთი თითი და არც ერთი ფრჩხილი? (ხელთათმანი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:494]. 	-	-
<ul style="list-style-type: none"> • „დედალ-მამალი ტურაო, ერთმანეთს გადაბმულაო (ღილები და ღილის კილოები)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:494]. 	-	<ul style="list-style-type: none"> • „ჩემი კვარკვალია სქანი რხვილც. – ჩემი კვარკვალია მენს ხვრელში (ღილ-კილო)“ [კ. დანელია 1991:471].

სახლ-კარი, ავეჯი, საყოფაცხოვრებო ნივთები სახლისთვის		
<ul style="list-style-type: none"> • „ერთი კედლის წინ ხან ერთი ვარ, ხან – ორი“ (სარკე) [ჯ. სონღულაშვილი 1991:92]. • „პირი მზისა მიჭვრიტისა, შიგ რომ ტარალანა ზისა“ (სარკე) [ჯ. სონღულაშვილი 1991:99]. • „შავხედე და შემომხედა, ის არაფერს მეუბნება“ (სარკე) [ჯ. სონღულაშვილი 1991:102]. 	–	–
<ul style="list-style-type: none"> • „ერთი რამეა რკინისა, დარაჯი არის ბინისა“ (ურდული) [ჯ. სონღულაშვილი 1991:93]. • „ყველა მიწვება, მოწვება, ბებერი კარებს აწვება“ (ურდული) [„ხალხური სიბრძნე“ 1965:497]. 	–	–
<ul style="list-style-type: none"> • „მიდის, მოდის, ისევ იქ დგას“ (კარი) [ჯ. სონღულაშვილი 1991:97]. • „არც მიწას სწვდება, არც ცასა (კარი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:495]. • „მიდის, მოდის გაბრიელი, არავინ ჰყავს მადლიელი (კარი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:495]. • „მიდის, მოდის, იქვე კი დგას (კარი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:496]. 	<ul style="list-style-type: none"> • „მეურს, მოურს თეჟი გერე. – მიდის, მოდის იქვე დგას (კარი)“ [კ. დანელია 1991:465]. • „მეურს, მოურს, არდგირს გერე“ – მიდის, მოდის, ადგილზე დგას (კარი) [ექსპედიცია 2019]. • „ვიშა-აშო გიოურს დო ართი არდგირს გერე“ – აქეთ-იქით დადის და ერთ ადგილზე დგას (კარი) [ექსპედიცია 2019]. 	–
–	–	<ul style="list-style-type: none"> • „ვართი დიხას ონჭ დო ვართი ცას. – არც მიწას

		სწვდება და არც ცას (ჭიშკარი)“ [კ. დანელია 1991:471].
• „სახლის თავზე მთვარეო (კრამიტი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:496].	–	–
• „ერთი იმახის: „თავი“, მეორე იმახის: „წელი“, მესამე ეუბნება: „ყაირათი ქენი“ (დარბაზი, დედაბოძი და თავებე)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:495].	–	–
• „მასპინძელი ყველა იმას ართმევს ხელსა“ (კარის სახელური) [ჯ. სონლულაშვილი 1991:99].	–	–
• „უსულოა, უგულოა, ზურგი აქვს და თავი – არა. ოთხი ფეხი თან აქვს, მაგრამ ნაბიჯიც ვერ გაიარა (სკამი)“ [ექსპედიცია 2019].	–	–
• „გამოცანას მოგახსენებთ, დიდი არაფერია, ზოგან წითელ, ზოგან ყვითელ, ზოგან აღისფერია (ხალიჩა)“ [ექსპედიცია 2019].	–	–
• „ერთ რამეს მოგახსენებ, დიდი არაფერიაო, ზოგან წითელ, ზოგან ყვითელ, ზოგან აღისფერიაო (ხალიჩა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:510].	–	–
• „ოთხთა ძმთა ტანით ტოლთა თავზედ ხურავთ ერთი ქუდი“ (მაგიდა) [ჯ. სონლულაშვილი 1991:97].	• „ოთხი ჯიმაღენს ართი ქუდი გიოთუნა. – ოთხ ძმას ერთი ქუდი ახურავს (მაგიდა)“ [კ. დანელია 1991:466].	–
• „ოთხ ძმას ერთი ქუდი ხურავს (მაგიდა)“ [ექსპედიცია 2019].		
• „ოთხ კაცს ერთი ქუდი ახურავს (მაგიდა)“ [ექსპედიცია 2019].		
• „ოთხი – აბრა, ოთხი – დაბრა, ოთხი – იმის ამყოლიო; მაგრა ყავდეს, კარგა ყავდეს, არ წაიქცეს პატრონიო“ (სახლი) [ჯ. სონლულაშვილი 1991:97].	–	–
• „ოთხზევა და კარებჭრელი“ (ღუმელი) [ჯ. სონლულაშვილი 1991:98].	–	–
• „სახლში ძალი წევს, კუდი ბანზე აქვს“ (ღუმელი) [ჯ. სონლულაშვილი 1991:99].	–	–

<ul style="list-style-type: none"> • „ეს ჩვენი პატარა ეკლესია ხატებით არის მორთული (თონე)“ [ექსპედიცია 2019]. • „ერთი პატარა ეკლესია ხატებით არის სავსე (თონე)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:504]. 	-	-
<ul style="list-style-type: none"> • „უნაგრძლოდ წყალში გავალ“ (ეზო) [ჯ. სონღულაშვილი 1991:100]. 	-	-
<ul style="list-style-type: none"> • „უსულოსა, უგულოსა, ორი თავი აბია“ (მუთაქა) [ჯ. სონღულაშვილი 1991:100]. • „უსულოსა, უგულოსა, ორი პირი აქვს (მუთაქა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:493]. 	<ul style="list-style-type: none"> • „მელე-მოლე დუდამი. – ორივე მხრიდან თავიანი (მუთაქა)“ [კ. დანელია 1991:466]. 	-
<ul style="list-style-type: none"> • „არც ხელი აქვს, არც ფეხი და თეთრ პერანგს კი იცვამს (ბალიში)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:493]. • „აში-ბაში, თუნთრუბაში, სახელს გეტყვი, ვეღარ ახსნი (ბალიში)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:493]. 	-	-
<ul style="list-style-type: none"> • „გამოცანას მოგახსენებ, დიდი არაფერიაო, ზოგან ყვითელ, ზოგან წითელ, ზოგან ალისფერიაო“ (ფარდაგი) [ჯ. სონღულაშვილი 1991:91]. • „საცნაურას დაგიყენებ, საცნაურას ფერასაო, მუშუ ჭრელსა, მუშუ კვრელსა, მუშუ ვეფხვისფერასაო“ (ფარდაგი) [ჯ. სონღულაშვილი 1991:99]. 	-	-
<ul style="list-style-type: none"> • „ჩემო ნათლიდედა, გეტყვი, გეჩყინება, წაწექ წამოგაჩვენები, ოფლი გვედინება“ (საბანი) [ჯ. სონღულაშვილი 1991:102]. • „დღე აკეცილი, ღამე გაშლილი (საბანი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:493]. 	-	-
<ul style="list-style-type: none"> • „ერთი სასახლე მაქვს, საღამოს ავაგებ, დილას დავანგრევ (საწოლი)“ [ექსპედიცია 2019]. • „დღე ცარიელი, ღამე ტვირთიანი (საწოლი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:493]. 	-	-
-	-	<ul style="list-style-type: none"> • „ვითოჯირი არაბიში სქუა, თის

		<p>მიდგა თქუანქიუნი, – თავადიში სქუა. – თორმეტი არაბის შვილია, ამას ვინც გამოიცნობს, თავადის შვილია (ნაჭა)“ [კ. დანელია 1991:466].</p> <ul style="list-style-type: none"> • „უკმაკური ჭკადირი, ეშმაკიში ბანძლირი. – უკულმართად გაჭედილი, ეშმაკისაგან დახლართული (ნაჭა)“ [კ. დანელია 1991:466]. • „ეკიბოირი, მოკიბოირი“ – აწნული, დაწული (ნაჭა) [ექსპედიცია 2019].
–	–	<ul style="list-style-type: none"> • „ოშუმალი უღუ, ოჭკუმალი უღუ, ვაშუნს დო ვაჭკუმუნს. – სასმელი აქეს, საჭმელი აქეს, არ სვამს და არ ჭამს (საჭმლის შესანახი განჯინა)“ [კ. დანელია 1991:464].
<ul style="list-style-type: none"> • „ერთ ბომზე ერთი ოდა დგას (ქოლგა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:494]. 	–	<ul style="list-style-type: none"> • „ხან – ჟიდო, ხან – თუდო“ – „ხან – ზევით, ხან – ქვევით (ქოლგა) [ექსპედიცია 2019].
ცეცხლი		

<ul style="list-style-type: none"> • „გულზე ცეცხლი მიკივია, ტანი ზედ მადნება, ცრემლი მდის ნელ-ნელა“ (სანთელი) [ჯ. სონდულაშვილი 1991:91]. 	<p>–</p>	<ul style="list-style-type: none"> • „ჩემი ჭანდარას კვინჩაე გმადოხოდ, ჭვიტუუ, ჭვიტუუ დო ჯინჯიშა ქიგიოჭკომუ. – ჩემს ჭადარზე სკვინჩა შემოჯდა, იმდენი იკვნესა, რომ ძირამდე შეჭამა (სანთელი)“ [კ. დანელია 1991:468].
<ul style="list-style-type: none"> • „პატარა ვარ, მაგრამ თუ გამაბრაზეთ, ქვეყანას გადავწვავ (ასანთი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:495]. • „მცირე ბელელში ასი ხანძარი ძევს (ასანთი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:495]. 	<p>–</p>	<p>–</p>
<ul style="list-style-type: none"> • „დღე ქრება, ღამე ენთება (ლამფა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:496]. 	<p>–</p>	<p>–</p>
<ul style="list-style-type: none"> • „ერთხელ დაწვა არ მაკმარეს, მეორედაც ლამობენო, ქვეყანაზე ზამთარ-ზაფხულ შეშის ბადლად მხმარობენო (ნახშირი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:496]. 	<p>–</p>	<p>–</p>
<ul style="list-style-type: none"> • „ტყემ გამზარდა სიყვარულით, მიპატრონა არ მიმტერა, კაცმა მომჭრა, გადამაგდო, ცეცხლით გამანაცარმტვერა (შეშა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:497]. 	<p>–</p>	<p>–</p>
<ul style="list-style-type: none"> • „ეს რა ახეა მახეო? საკომს ეშმაკი ვნახეო; ცისკე უკიბოდ წავიდა, კვალი ვერ დავინახეო“ (კვამლი) [ჯ. სონდულაშვილი 1991:94]. • „ცაში წავიდა კაბალი, ვერვინ გახელა კვალია“ (კვამლი) [ჯ. სონდულაშვილი 1991:103]. • „ახიაო, მახიაო, ეშმაკების სახეაო, აგრე შერბოდა ზევითა, თვალით ცერა ვნახიაო (კვამლი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:496]. • „სახლის თავზე შავი ქოჩორა დედალი დადის (კვამლი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:496]. 	<p>–</p>	<p>–</p>

<ul style="list-style-type: none"> • „ყველა მიწვევა, მოწვევა, ჩირიკი ხეზე გაწვევაა (კვამლი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:496]. • „შეხე კურდღლის ბაჭიას, მაღლაავა, ძირს ჩამოვა, კვამლი არსად აჩნიასა (კვამლი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:496]. 		
<ul style="list-style-type: none"> • „სამი ძმანი არიან: ერთი მიდის, აღარ მოდის, მეორე ჭამს და ველარ ძღება, მესამე წევს და ველარ დგება“ (კვამლი, ცეცხლი, ნაცარი) [ჯ. სონღულაშვილი 1991:99]. • „ერთი წევს არა დგება, მეორე ჭამს — არა ძღება, მესამე მიდის და არა დგება (კერა, ცეცხლი და კვამლი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:496]. 	-	-
<ul style="list-style-type: none"> • „გამკვრენ, ცეცხლს ვისვრი, გამაჩერებენ — რკინა ვარ (კვესი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:511]. 	-	-
<ul style="list-style-type: none"> • „გინდ შეწვი და გინდ მოხარშე, გინდ კერიდან დაძარიო. გინდ გაცერი, გინდ გამტკიცე, ის დარჩება, რაც არიო (ნაცარი)“ [ექსპედიცია 2019]. 	-	-
<ul style="list-style-type: none"> • „ცხრანაირმა ფრინველმა, ერთი კვერცხი დასდო (ნაკვერჩხალი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:496]. 	-	-
<ul style="list-style-type: none"> • „პატარა ვარ, გამიფრთხილდი, თორემ დიდსა გავაჩენო (ნაპერწყალი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:496]. 	-	-
<ul style="list-style-type: none"> • „ლურჯი აბრეშუმი სარკმლისაკენ მიიწევს“ (ბოლი) [ჯ. სონღულაშვილი 1991:96]. • „ორი ფრინველი არის ჩემთან, მინდა მივწვდე, დავიჭირო, ვერ დამიჭერია (ბოლი, ორთქლი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:495]. • „ესე რა ახე-მახეო. ეშმაკებისა სახეო. ადგა და ზეცას წავიდა, კვალი ვერ დავინახეო (ბოლი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:495]. • „გაფრინდება ჩიტვითა, მაგრამ ჩიტი არ არის, უღელ გასწევს ხარივითა, მაგრამ ხარი არ არის (ორთქლი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:496]. 	-	-
<ul style="list-style-type: none"> • „სანამ დედა გამოჩნდებოდა, შვილი ქალაქს 	-	-

<p>მიდიოდა (ზოლი და ცეცხლი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:495].</p>		
<ul style="list-style-type: none"> • „შავი არის შაშვივითა, გაგაჯულა კაცივითა“ (ზუხარი) [ჯ. სონლულაშვილი 1991:102]. • „ვზივარ პირდაღებული, ყველა მე მიყურებს (ზუხარი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:495]. 	-	-
<ul style="list-style-type: none"> • „შავი არის შაშვივითა, გალაჯული კაცივითა (ზედადგარი)“ [ექსპედიცია 2019]. • „სამტყუპა კაკალი, სიცხეში მაგარი (ზედადგარი)“ [ექსპედიცია 2019]. • „სამფეხა ვარ და ერთგული, ცეცხლის ალით დაჩაგრული, მთელს სიცოცხლეში ასე ვარ, ან კი როგორ მიდგა სული (ზედადგარი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:504]. • „სამ კაცს ერთი ქული ახურავს (ზედადგარი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:504]. • „ერთი რამეა, სამ ფეხზე დგას (ზედადგარი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:504]. 	-	-
<ul style="list-style-type: none"> • „წითლის ხარის ნაწოლშია ბალახნ არ ამოდინო“ (ცეცხლი) [ჯ. სონლულაშვილი 1991:104]. • „ჭრის და არ აკაკუნებს (ცეცხლი)“ [ექსპედიცია 2019]. • „სადაც წვება ბალახი არ ამოდის (ცეცხლი)“ [ექსპედიცია 2019]. • „წითლის წიქრას ნაწოლზე ბალახნი არ ამოვლენო (ცეცხლი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:497]. • „ვზივარ შუა, არ მაქვს ფასი, შემომცქერის ყველა თვალში (ცეცხლი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:497]. • „ჩემი ნათლია, რაც უნდა შორს იყოს, ვიცნობ (ცეცხლი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:497]. • „ამოქროლდა ქვენა ქარო, ხარა უნდა ვახარხარო, გამოვაცხო თბილი პური და ბავშვები გავახარო (ცეცხლი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:497]. 	<ul style="list-style-type: none"> • „ჩემი ჭითა ჯაკელია ირო ართი დიხას გეჯან. – ჩემი წითელი დეკული მუდამ ერთ ადგილზე წევს (ცეცხლი და კერია)“ [კ. დანელია 1991:468]. 	<ul style="list-style-type: none"> • „ე მუე, მუიე, გიყორს დო ვა გაჯვიდინე ნი? – ეს რა არის, რა არის, გიყვარს და ვერ აკოცებ? (ცეცხლი)“ [კ. დანელია 1991:468].
-	-	<ul style="list-style-type: none"> • „ჩემი ჭიჭე

		ინდურია დუდი გიმე ირდუნია. – ჩემი პატარა ინდაური თავდაღმა იზრდებაო (ჭვარტლი)“ [კ. დანელია 1991:471].
ჭურჭლეულობა		
<ul style="list-style-type: none"> „ასი ხევი ავიარე, ასი ხე ვნახე ნათალი; ერთი ხე ვნახე ნათალი, ისიც გულგამონათალი“ (ვარცლი) [ჯ. სონდულაშვილი 1991:90]. „ხე დავიარე ხერგნელი, ხე ვერ ვიპოვე მართალი, ერთი ხე ვნახე მართალი, ისიც გულგამონათალი (ვარცლი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:498]. 	–	–
<ul style="list-style-type: none"> „ერთი ამბოზს, წავალ და ისევ მოვალო (კოკა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:498]. „ყველა კაცი მიწვა-მოწვა, ბასიმ, ჭიპი გააბზიკა (კოკა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:498]. 	–	<ul style="list-style-type: none"> „ე მუ ორე, მუ ორე; უკახალე ხე ჩანს, კურთხუს კინოლეჩანს. – ეს რა არის, რა არის, უკან ხელები აქვს, კუთხეში დევს (კოკა)“ [კ. დანელია 1991:464].
<ul style="list-style-type: none"> „ოდენი ოდენის ოდენა, თავი აქვს გოდრის ოდენა, ფეხი უგავს ძუკხა ძაღლსა, ხმაც აქვს მერცხლის ოდენა (კულა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:498]. „ერთი რამ არის უსულო, მდებარე მუცელ-ყელითა, წყალი სწყურია — ვერა სვამს, სხვანი ჩაასხმენ ხელითა, ლაპარაკობს და არ ისმის არა სჯულისა ენითა, თავზედაც ცეცხლსა მოიდებს, კაცსა აავსებს ლხენითა (კულა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:499]. 	–	–
<ul style="list-style-type: none"> „ლიპიანი დევია, მიწაში ზის ყელამდის. ძლიერ უყვარს ღვინის სმა, თეთრისა თუ ფერადის (ქვევრი)“ [ექსპედიცია 2019]. 	–	<ul style="list-style-type: none"> „იშო, დიხა, სი ფიხალი სი დიჭვი დო სი დიხალი, სი

<ul style="list-style-type: none"> • „რასაც ჩასძახებ, იმას ამოგძახებს (ქვევრი)“ [ექსპედიცია 2019]. • „ძნელად ნახავთ ქალაქში სოფელშია ბევრი, ყელამდე ზის მიწაში დიდმუცელა (ქვევრი)“ [ექსპედიცია 2019]. • „ერთი წითელი მამალი მიწიდან ამოვიოდა (ქვევრი, ჭური)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:472]. • „ასმუცლიან ი ბებერი სულაც არ ხმარობს საჭმელსა, ლოთი კი ისეთი არი, ვერ მოაჭარბებ სასმელსა (ქვევრი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:500]. 		<p>დიხაში ონხორალი. – იქით, მიწავ, შე ფიხალო, შენ დაიწვი და დაიდაგე, შენ მიწაში ჩასათხრელო (ქვევრი)“ [კ. დანელია 1991:470].</p> <ul style="list-style-type: none"> • „მუნდი – ცონგორო, ქორა – გოდორო, ლაფში – გილაბარბატელი, დიხას – დინოჭაბაკელი“ – უკანალი – გამხდარი, მუცელი – გოდორა [გოდორივით მრგვალი], ტუჩი – გადმო- ბრუნებული (გადმობზუებულ ი), მიწაში – ჩატკეპნილი (ქვევრი) [ექსპედიცია 2019].
<ul style="list-style-type: none"> • „მიიწმინდა, მოიწმინდა მიისკილისკამურაო, ქვევით მელიყური ყარა, ჩაითხელითხამურაო (ქვევრი და ღვინო)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:500]. 	–	–
–	–	<ul style="list-style-type: none"> • „პატონსქუა ანთელახე, ვამკაჯიკე, ვაგალახე. – ქალბატონი

		ანთელავას ასული, ვერც უზიძგებ, ვერც გალახავ (ქოთან)“ [კ. დანელია 1991:466].
<ul style="list-style-type: none"> „გარედან ვერცხლის ფერია, შიგა დგას ლაღისფერია (ზადია)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:497]. 	–	–
<ul style="list-style-type: none"> „ერთი პატარა რამა მაქვს ცხვირგრძელი და გაწვეტული, რამდენი ღვინო ჩავასხი, ვერა ვნახე გავსებული (ძაბრი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:500]. 	–	–
<ul style="list-style-type: none"> „ერთსა პატარა ალაგსა გარ ზღუდე შემოვლებულსა, ნიადაგ ნახავ მორწყულსა, აროდეს აყვავებულსა (თასი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:498]. 	–	–
<ul style="list-style-type: none"> „ეს ჩემი კუზურელია დღეცა და ღამეც ზეზეა (თუნგულა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:498]. 	–	–
<ul style="list-style-type: none"> „ერთ პატარა მინდორზე სულ თოვს (გობი, რომელზედაც ფევილსა სცრიან)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:497]. 	–	–
<ul style="list-style-type: none"> „გარეთ – ოქრო, შიგნით – ვერცხლი, ვერცხლში – წყალი, წყალში – ცეცხლი“ (სამოვარი) [ჯ. სონღულაშვილი 1991:91]. „ვერცხლში – წყალი, წყალში – ცეცხლი“ (სამოვარი) [ჯ. სონღულაშვილი 1991:94]. 	<ul style="list-style-type: none"> „ჟი – ცა, თუდო – დიხა, შქას დაჩხირი დო წყარი. – ზევით ცა, ქვევით – მიწა, შუაში – ცეცხლი და წყალი (სამოვარი)“ [კ. დანელია 1991:466]. 	–
<ul style="list-style-type: none"> „ერთი პატარა სოველი, გარგალად შემოვლებული, ბევრჯერ მინახავს მორწყული, არც ერთხელ აყვავებული“ (ჭვაბი) [ჯ. სონღულაშვილი 1991:92]. „წითელსა ეკლესიასა შავი შემოჯდა ყორანი“ (ჭვაბი) [ჯ. სონღულაშვილი 1991:104]. 	–	–

<ul style="list-style-type: none"> • „აკიბულისა კიბესა, როსტომიანის ციხესა, შევა ლომი და შეკვივა, ზედ მარგალიტი შესცვივა (საქვაბე და ქვაბი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:499]. • „შიგნით წიქარა, გარეთ გიშერა (ქვაბი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:500]. 		
<ul style="list-style-type: none"> • „ერთი ხარი მყავს, ბაგა-ბაგა ასხავს“ (საცერი) [ჯ. სონლულაშვილი 1991:93]. • „ატყდა ერთი ტყაპატყუპი და ვუყურებ მშვიდად, ქათქათელა ხორხომელა როგორ მოდის ციდან (საცერი)“ [ექსპედიცია 2019]. 	-	<ul style="list-style-type: none"> • „ატატე, ბატატე, გიჩქ დო ვაგარაგადე. – ატატე, ბატატე, იცი და ვერ იტყვი (საცერი)“ [კ. დანელია 1991:470]. • „ატკატკე – ბატკატკე, გიჩქუ დო ვაგარაგადე. – ატკატკე – ბატკატკე, იცი და ვერ იტყვი (საცერი)“ [კ. დანელია 1991:464]. • „ტკიპურ ტკიპურს იმახე. – ტკიპურ-ტკიპურს იმახის (საცერი)“ [კ. დანელია 1991:465].
<ul style="list-style-type: none"> • „ვერც გამოჭრის კაი მჭრელი, ვერც გამოჭრის ხარაზიო; ვინცა ამას გამოიცინობს, ის იქნება ლამაზიო“ (ჭიქს) [ჯ. სონლულაშვილი 1991:94]. • „ლალისფერად აყვავდება, ხელს უჭირავს ლამაზიო; ვერ გამოსჭრის კარგი მჭრელი, ვერ შეკერავს ხარაზიო“ (ჭიქს) [ჯ. სონლულაშვილი 1991:96]. 	<ul style="list-style-type: none"> • „ვართი აჭკადე ჭკადუსი დო ვართი აჭენე ხარაზის, ხეს მეჩანა ლამაზის. – ვერც მჭედელი გაჭედავს, ვერც მკერავი შეკერავს, ლამაზებს კი ხელში უჭირავთ (აძლევენ) (ჭიქს)“ [კ. დანელია 	-

	1991:471].	
<ul style="list-style-type: none"> • „ერთი ძროხა მყავს, სანამ კუდში ხელს არ წაავლებ, გომურში არ შედის (კოვზი)“ [ექსპედიცია 2019]. • „პატარა რამ კურტანია, ახლოს ტვირთის მომტანია (კოვზი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:498]. 	–	<ul style="list-style-type: none"> • „ნიჩვი მეჭვირი კუნთხუშა მირულე. – ცხვირმომწვარი კუთხისკენ გარბის (კოვზი)“ [კ. დანელია 1991:466].
<ul style="list-style-type: none"> • „აჯიჯარი, ბაჯიჯარი, ოთხი ფეხით მაბიჯარი (კიდობანი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:498]. 	–	–
<ul style="list-style-type: none"> • „უსულოსა, უგულოსა, შვიდი სარტყელი არტყია (კასრი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:498]. • „ერთი უსულო ბერია, ცხრა ქამარ მოუჭერია (კასრი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:498]. 	–	–
<ul style="list-style-type: none"> • „ყველა მიწვებ-მოწვება, მასპინძელი კუნტია (დოქი)“ [ექსპედიცია 2019]. • „დათვი ყუყს და ყურიუჩანს (დოქი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:498]. • „ერთი პატარა საყდარი, უსინათლო და ბნელია, გუმბათი გაღებული აქვს, სხვაგან კი ჩახურულია (დოქი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:498]. 	–	–
<ul style="list-style-type: none"> • „ასთვალა და გრძელკუდა (ქაფქი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:500]. 	–	–
<ul style="list-style-type: none"> • „მანი აქვს, კარი არა აქვს (ქილა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:500]. 	–	–
<ul style="list-style-type: none"> • „ცოცხალია ბალახსა სძოვს, მოკვდება და ღვინოსა სვამს“ (ტიკი) [ჯ. სონღულაშვილი 1991:103]. • „გარეთ გავა, გასუქდება, სახლში მოვა – დაფუკდება (გუდა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:497]. • „გამოცანას მოგახსენებ ჩვენს გაბერილ თხაზედაო, პირში სული აღარ უდგას, ღვინოს კი სვამს ძალზედაო (ტიკი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:499]. • „ერთი ცხვარი მყავს, რომ დავკლა, სისხლი არ 	<ul style="list-style-type: none"> • „თელი რენი – გილურც, დოღურუნი – ღვინც შუნც. – როცა ცოცხალია – დადის, მოკვდება და – ღვინოს სვამს (გუდა, ტიკი)“ [კ. დანელია 1991:470]. 	–

<p>გამოუვა (მოთაღის გუდა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:499].</p> <ul style="list-style-type: none"> • „სულიერი – უსულოზე, უსულო – ურჯულოზე (ტიკი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:499]. 	<ul style="list-style-type: none"> • „შური უდგუნი, გილურსუ, დოდურუნი, ღვინსუ მუნსუ“ – სული რომ უდგას, დადის, რომ მოკვდება, ღვინოს სვამს (გუდა) [ექსპედიცია 2019]. 	
<ul style="list-style-type: none"> • „ხე სორსალი – ხუთბოძალი (ლაფერთხა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:499]. 	-	-
<ul style="list-style-type: none"> • „თოკი სვამს, ხბო იბერება (ტიკჭორა)“ [ექსპედიცია 2019]. • „ღორი, ღორი, ღორლომელი, ტანდაბალი საქონელი, გარეთ გავა, გასუქდება, შინ შემოვა, შეწუხდება (ტიკჭორა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:499]. • „თითი სვამს, ხბო იბერება (ტიკჭორა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:499]. 	-	-
<ul style="list-style-type: none"> • „გარუჯული, გახრუკული, ყურეშია მიგდებული (ლასტი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:499]. 	-	-
<ul style="list-style-type: none"> • „კატა კლანჭებით ჰკიდია (კალათა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:498]. 	-	<ul style="list-style-type: none"> • „ბადიდი-კოჩი ნტერი მაფუ, ბოში-კათა ცხენი მაფუ, დობგორუნა, მეზკვათუნა, ჯინჯი იშენი თელი მაფუ. – მოხუცი კაცი მტრადა მყავს, ახალგაზრდა ცხენადა მყავს, მომძებნიან, მომჭრიან, ძირი მაინც მთელი მაქვს (კალათა და

		<p>თბილის ცნელი)“ [კ. დანელია 1991:470].</p> <ul style="list-style-type: none"> • „ბადგდი კოჩი ნტერი მაფუ, ქობჭუნან დო ქობხალგნა, გური ხოლო თელი მაფუ, ჩქიმი ჭკუა-განაჩენით – ქანა გგძორძლელო მაფუ. – მოხუცი კაცი მემტერება, მწვავენ და მთუთქვენ, გული მაინც მთელი მაქვს, ჩემი ჭკუა-განჩინებით – ქვეყანა გამომძლარი მყავს (კალათი, სარწყული, ხის ჩანი)“ [კ. დანელია 1991:470].
-	-	<ul style="list-style-type: none"> • „თუდო ჯა დო ჟი ქუა, თენა მის ვაუჩქუნი, თისი ოკო ჟიფუა. – ქვევით ხე და ზევით ქვა. ვინც ეს არ იცის, მას უნდა გალახვა (როდინი და ქვასანაყი)“ [კ. დანელია 1991:470]. • „ჟი – ქუა, თუდო – ჯა, მის ანა ვაარაგადეე, თის ოკო ჟიფუა“ – ზევით – ქვა, ქვევით – ხე, ვინც ამას ვერ იტყვის,

		იმას უნდა ცემა (ქვასანაყი) [ექსპედიცია 2019].
სასმელ-საჭმელი		
<ul style="list-style-type: none"> • „ავხადე ფირფიტელასა, ჩავხედე გულყვითელასა“ (ერბო) [ჯ. სონლულაშვილი 1991:89]. 	–	–
<ul style="list-style-type: none"> • „აქეთ გორა, იქით გორა, შუაში კი ლომი გორავს“ (ცომი) [ჯ. სონლულაშვილი 1991:90]. • „იქით გორი, აქეთ გორი, შუა იწვართება ლომი“ (ცომი) [ჯ. სონლულაშვილი 1991:96]. • „აქეთ ქედი, იქეთ ქედი, შიგ ლომი მოგორაობდა (პურის ცომი გობში)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:502]. 	–	–
<ul style="list-style-type: none"> • „კარს უკან წირპლიანი ბებერი ჩიფჩიფებს (კორკოტი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:502]. 	–	–
<ul style="list-style-type: none"> • „დედა – ტურფა, მამა – ჯღანკი, შვილი – გადარეული“ (ღვინო) [ჯ. სონლულაშვილი 1991:92]. • „მამა – დაგრეხილი, დედა – დაჭყლეტილი, შვილი – გადარეული“ (ღვინო) [ჯ. სონლულაშვილი 1991:97]. • „დედა ისევ ცოცხალი მყავს, მიწაშია წევს ძირსაო, ჩემი დანახვა კაცისთვის მართლა რომ რათმე ღირსაო, მაგრამ ვინც შემებრძოლება, ის ვერა ნახავს ლხინსაო, წაუქცევებს არ გაეუშვებ ვაჟკაცად ნაქებ გმირსაო, ჭკუას, გონებას ავურევ, ჩავაგდებ სადმე თხრილსაო, თუ თავი არ დამანება, გავუჩენ მუდმივ ჭირსაო (ღვინო)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:465-466]. • „ჯერ მწარეა, მერე ტკბილი, ბოლოს კი მატირებელი (ღვინო)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:471]. • „ბაღჩაში ფური აბია, ძუძუ ასხია მრავალი; რძე უხვად გამონაწველი, შორს გზაზედ არის მავალი. გემო მყავე აქვს, მანანას შეედარება ფერთა; უზომოდ მისი დამლევი მიწასა 	<ul style="list-style-type: none"> • „დიდა ჭკვერი, სქუა ხანგა. – დედა ჭკვიანი და შვილი გადარეული (ღვინო)“ [კ. დანელია 1991:471]. 	–

<p>დაჰგვის წვერითა (ღვინო)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:471].</p> <ul style="list-style-type: none"> • „მამა კოჭლი, დედა ბრუციანი, შვილი ფეთიანი (ღვინო)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:471]. • „ცოტა წამალია და ბევრი – საწამლავიო (ღვინო)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:472]. 		
<ul style="list-style-type: none"> • „შავი ზღვიდან წამოვიდა კაცი გუნებანიო, უჩინ-უჩინს გამაივლის მივა პიროფლიანიო“ (არყის გამოხდა) [ჯ. სონღულაშვილი 1991:102]. • „ჩემს იქით გორა ზედა წყალან გამაწკანწკარებენ (არაყი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:500]. 	–	–
<ul style="list-style-type: none"> • „ერთ რამეს სამჯერ შეჭამენ და ორჯერ დალევენ (რძე)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:503]. 	–	–
<ul style="list-style-type: none"> • „ერთი საჭმელია, რაც გინდა ბევრი მარილი უყო, მაინც უმარილოა“ (გაუფრცქვნილი კვერცხი) [ჯ. სონღულაშვილი 1991:93]. 	–	–
<ul style="list-style-type: none"> • „ერთი ტიკი მაქვს, ორნაირი ღვინო ასხია, რაც გინდა აჭანჭყარო, ერთმანეთს არ აერევა“ (კვერცხი) [ჯ. სონღულაშვილი 1991:93]. • „უარე, უარე, კარი ვერ ვუპოვე“ (კვერცხი) [ჯ. სონღულაშვილი 1991:100]. • „უსულო არის ორსული, სულიერისა მშობელი; შვილსა შობს, დედა მოკვდება, ვინ არის გამომცნობელი?“ (კვერცხი) [ჯ. სონღულაშვილი 1991:100]. • „შიგნით – ოქრო, გარეთ – ვერცხლი“ (კვერცხი) [ჯ. სონღულაშვილი 1991:102]. • „ერთ ტიკ-ჭორაში ორნაირი ღვინოა (კვერცხი)“ [ექსპედიცია 2019]. • „გამოცანა ცანია, თეთრი კაბა მაცვია, ხან გავიხდი, ხან ჩავიცვამ, ისევ თეთრი მაცვია (კვერცხი)“ [ექსპედიცია 2019]. • „ერთ სახლს ვუარე, ვუარე, კარები ვერ ვიპოვე (კვერცხი)“ [ექსპედიცია 2019]. 	<ul style="list-style-type: none"> • „ჩვენ ლაგვანს ჟირი ფერიში ღვინი ენოდგ. – ჩვენს ქვევრში ორი ფერის ღვინო ასხია (კვერცხი)“ [კ. დანელია 1991:465]. • „ჩემი ოდა სარაიას გუვოჯინი – დღას კარი ვა ბძირი. – ჩემს ოდა-სარაიას შევხედე (დავათვალიერე), ვერსად კარი ვერ ვნახე (კვერცხი)“ 	–

<ul style="list-style-type: none"> • „ერთი ეკლესია მქონდა, ვუარე, ვუარე, კარი ვერ ვუპოვე (კვერცხი)“ [ექსპედიცია 2019]. • „ერთი პატარა საყდარია, რამდენიც არ უნდა უარო, კარებს ვერ უპოვნი (კვერცხი)“ [ექსპედიცია 2019]. • „თეთრი კაბა მაცვია, ყვითელი მაქვს გულია, თვით მკვდარი ვარ, ცოცხალი ჩემგნით გამოსულია (კვერცხი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:480]. • „დაიბადა უსულო, შესჭამენ გემრიელადა, თუ არ შესჭამენ, მეორედ დედა შობს სულიერედა (კვერცხი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:501]. • „მინამ დედამ შვილი შობა, შვილი ფეხმძიმედ იყო (კვერცხი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:501]. • „ციხე ვნახე საკვირველი, სულ აგურით აგებული, შიგ ორპირი საქონელი, კარი არსად საპოვნელი (კვერცხი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:501]. • „უსულო ვნახე ორსული, სულიერისა მშობელი, შვილსა შობს – დედა მოკვდება, ვინ არის გამომცნობელი (კვერცხი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:501]. • „უსულო იყო, პატარა, არ ჰქონდა ფეხი, ხელები, დასცხა და სული ჩაედგა, გადაირბინა ველები (კვერცხი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:501]. • „ჩემ პატარა საყდარს ვუარე, ვუარე, კარი ვერსად ვუპოვნი (კვერცხი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:501]. • „როცა ცივია – თხელია, როცა გათბება – გაჰყინავს (კვერცხი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:501]. • „ერთი სახლი ყვითელ-გული, ურკინოდა აგებული, დასამტვრევინ ადვილია, არ სჭირდება ურო ცული (კვერცხი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:501]. • „სულიანსა – უსულო, უსულოსა – სულიანი (კვერცხი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:502]. 	<p>[ვ. დანელია 1991:466-467].</p> <ul style="list-style-type: none"> • „ჩემი ჩე ოხვამეს სოთინი კარი ვევილაბუ. – ჩემს თეთრ ეკლესიას არსად კარი არ ჰკიდია (კვერცხი)“ [ვ. დანელია 1991:466]. • „გალე ვარჩილი, დინახალე ოქრო. – გარეთ – ვერცხლი, შიგნით – ოქრო (კვერცხი)“ [ვ. დანელია 1991:466]. • „ართი ციხესიმაგრეს ჟირნერი დინოდგუ, მუსხეი გოკონი უთქვაფეე, ართმაჟიას ვეშეერიებუ“ – ერთ ციხესიმაგრეს ორნაირი ასხია, რამდენი გინდა თქვიფე, ერთმანეთს არშეერევა (კვერცხი) [ექსპედიცია 2019]. 	
--	--	--

<ul style="list-style-type: none"> • „არც ბინა აქვს, არც კარი აქვს (კვერცხი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:502]. 		
<ul style="list-style-type: none"> • „ცეცხლში გასკდება, წყალში დადნება, უმისობა როგორ იქნება?“ (მარილი) [ჯ. სონღულაშვილი 1991:103]. • „წყალში დნება, ცეცხლში სკდება, უმისობა არ იქნება (მარილი)“ [ექსპედიცია 2019]. • „წყალში იბადება და წყლისა ეშინია (მარილი)“ [ექსპედიცია 2019]. • „მიწაში დავიბადე, ცეცხლში მოვინათლე, წყალში ჩავვარდი – მთლად დავიკარგე (მარილი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:502]. • „არც უჩემოდ შესჭამს ვინმე, არც თუ მარტო მე მჭამს ვინმე (მარილი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:502]. • „წყალში ჩავაგდე – წყლად გადაიქცა, ცეცხლში ჩავაგე – ხმად გადაიქცა (მარილი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:502]. • „დიდი ლოდი ვარ, გულჩვილი, ყველასთვის სანატრელია, უჩემოდ სადილს ვერა ჭამს ვერცერი, ვერცა ღვდელია (მარილის ქვა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:502]. 	<p>–</p>	<p>–</p>
<p>–</p>	<p>–</p>	<ul style="list-style-type: none"> • „დოდგი სკამი, გუთვათვე ხე, გელი მუასკანიგე. – დადგი სკამი, ხელი მოუთათუნე, ადი, მამა თუ გიყვარს (მჭადი კაცზე)“ [კ. დანელია 1991:468].
<ul style="list-style-type: none"> • „რძის ნაწარმი მეცა ვარ, ენერგიის მარაგი. პურს წაუსვით მიირთვით გემრიელი (კარაქი)“ [ექსპედიცია 2019]. 	<p>–</p>	<p>–</p>
<ul style="list-style-type: none"> • „ყველაზე დიდიხმა რასა აქვს? (პურ-მარილს)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:503]. 	<p>–</p>	<p>–</p>
<ul style="list-style-type: none"> • „შიგნით ფარში, კუჭი კარში (ხინკალი)“ [ექსპედიცია 2019]. 	<p>–</p>	<p>–</p>

შრომა და შრომის იარაღები

<ul style="list-style-type: none"> • „აბანობელი ბატები აბანოს ებანებიან, იმათი ნასვამ-ნაჭამი ხელმწიფეს ეკადრებიან“ (წისქვილი) [ჯ. სონლულაშვილი 1991:89]. • „დათვი სჭამდა, რახრახებდა, მასპინძელი ყურს უგდებდა“ (წისქვილი) [ჯ. სონლულაშვილი 1991:92]. • „ერთი მიმინო მხარეთერი აბანოს ებანებოდა; ე, მაგის ნასრევ ისარი ხელმწიფეს ეკადრებოდა“ (წისქვილი) [ჯ. სონლულაშვილი 1991:92]. • „ზედადგარი, ზედ ნადგარი, ზედ ირემი გაწოლილი. ზევიდან აყრიან, ქვევით ჩამოდის“ (წისქვილი) [ჯ. სონლულაშვილი 1991:95]. • „თოფი ხისა, ტყვია წყლისა, ხეს ეცა და ქვა გაიქცა“ (წისქვილი) [ჯ. სონლულაშვილი 1991:95]. • „წივის, წივის წივოსანი, თავს დასტირის პატარა ქალი; ადე, ბიჭო, გაიხედე, მოდის, თუ აღარსად არი?“ (წისქვილი) [ჯ. სონლულაშვილი 1991:104]. • „ჭალაში ორი მგელია, ერთი ღრღნის, მეორე უყურებს“ (წისქვილი) [ჯ. სონლულაშვილი 1991:104]. • „ქალი იჯდა ტახტაზედა, ცრემლს იყრიდა კალთაზედა (წისქვილის ქვები)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:507]. • „კივის, კივის კივოსანი, თავს დასძახის თათარხანი: – ადე, ბულბულ, გაიხედე, მოდიან თუ არსად არი (წისქვილი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:507]. • „მთაში დათვი ღლოფინობდა, ალუჩანა ებას უქცევდა (წისქვილი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:507]. • „ნეტა რა ღმერთმან დაბადა და ჩვენთვის სარჩოდ ინება: მუდამ რბის და არა დგბეა, არც რბენა მოეწყინება, წყალი აქვს, მაგრამ არა 	<ul style="list-style-type: none"> • „ჯაში თოფი, წყარიში ტყვია. – ხის თოფი, წყლის ტყვია (წისქვილის ღარი)“ [კ. დანელია 1991:467]. • „ჯაში შქვილი, წყარიში საგანი, ჯიკის ვოცოთი დო ქუაქ ქოფურინ. – ხის მშვილდი, წყლის ისარი, ჯირკს ვესროლე და ქვა გაიქცა (გაფრინდა) (წისქვილი)“ [კ. დანელია 1991:470]. 	<ul style="list-style-type: none"> • „მეურს დო მიპალურუ, ქემეურს დო ქიმკალურუ“ – მიდის და მიპალურობს, მივა და მიაკვდება (წისქვილი) [ექსპედიცია 2019].
--	--	---

<p>სვამს, თავს მტვერი დაედინება (წისქვილი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:507].</p> <ul style="list-style-type: none"> • „ოხრო ხვრინავს, დევი ფშვრინავს, მასპინძელი სანთელს ანთებს (წისქვილი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:507]. • „აფირფიტულ ფირფიტა ფირფიტას ეფარებოდა, მისი ნასროლი ფინთიხი ხელმწიფეს ეკადრებოდა (წისქვილი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:507]. • „უსულოა, უგულოა, ჭამს და დადის (წისქვილი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:507]. • „ხის მშვილდი და წყლის ისარი, ჯირკს ვესროლე, ქვა გაფრინდა (წისქვილი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:508]. 		
<ul style="list-style-type: none"> • „ერთ უჩინმაჩინს ვიცნობ: თუ გეჯავრება იგი, არ აშენდება სახლი, არ შეიქმნება წიგნი. არაფერს მოგცემს ნატვრა, ანდა ვედრება ხატის, იმ უჩინმაჩინს თუ კი გულით არა სცემ პატივს (შრომა)“ [ექსპედიცია 2019]. 	-	-
<ul style="list-style-type: none"> • „შევხედე და შავი იყო, მივედი და ხრამი იყო (საწნახელი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:506]. 	-	-
<ul style="list-style-type: none"> • „გავალ, გავალ ქარივითა, ხმას გავიღებ ზარივითა, გლეხის ბიჭმა შემინახოს მარგალიტის თვალივითა (ნამგალი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:505]. • „არმიცანა, ცანა, ცანა, თხა მიდის ფიცარ-ფიცარა, სად მიხვალ, შე მოკაკულო? მე მივალ გამართულთანა (ნამგალი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:505]. • „ერთმა კუზიანმა მთელი მინდორი შეოიბინა (ნამგალი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:505]. 	-	-
<ul style="list-style-type: none"> • „ჩვენსა თავმოედანზედა დათვი აბრუნდა ლამზედა (კალოობა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:504]. 	-	-
<ul style="list-style-type: none"> • „თემ-თემად მოდის ლაშქარი, მოვა და მოიქცევისა, უწყალოდ ყრია დაჭრილი, სისხლი არ დაიქცევისა, ღმერთმა ეს მოგვცა საზრდელად, თუ კაცი მოიქცევისა (მკა)“ 	-	-

[„ხალხური სიბრძნე“ 1965:505].		
<ul style="list-style-type: none"> • „ზურგი აქვს ხისა, მუცელი – ქვისა; მიდის და მოდის, მარცვალსა ყრისა“ (ვეერი) [ჯ. სონღულაშვილი 1991:95]. • „სახლში მივალ, დამაყრიან კაჟა-კუჟუ-კუჟუნასა, გამისმენ და გამომისმენ ცალგვერდულა ხაზუნასა (ვეერი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:504]. • „გულზე ქვა, ზურგზეფიცარი, ზედა ზის მაყურებელი (ვეერი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:504]. • „მიდის მელა, მისთრევს ენა (ვეერი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:504]. 	–	–
<ul style="list-style-type: none"> • „არწივი წივის, მუხრანი ყვირის, მგელი ეპატრონება, ფუტუროს აყრის“ (გუთანი) [ჯ. სონღულაშვილი 1991:90]. • „ოსკი, ოსკის ოდენი, მოჯდა კოჭბის ოდენი, ნისკარტი ჰკრა ხუთასი, მთა გააპო ექვსასი (გუთანი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:503]. • „ორბი იჯდა ორასო, ფრთა გაშალა სამასო, ნისკარტი ჰკრა ოთხასო, კლდე გააპო ხუთასო“ (გუთნული) [ჯ. სონღულაშვილი 1991:98]. • „ანასაო, ბანასაო, წვერი უგავს დანასაო, ჯერ ხომ საფლავს დაუმზადებს, მერე მოძკის ყანასაო (გუთანი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:503]. • „დროით ვთესავ, დროით ვკრეფავ, თვითონ ვძლები — სხვასაც ვკვებავ (გუთანი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:503]. • „აკიბული კიბეები, ხოროსნები, ციხეები, შიგ აბიან ხოროსნები, დასძახიან ფელუნები (გუთანი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:503]. • „ღორღიანათ გავა მგელი, კუდწვრილი და გავასქელი (გუთანი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:503]. • „არწივი წივის, მუხრანი კივის, ლომი ეწევა, ფუტურო სკდება (გუთანი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:503]. 	–	–

<ul style="list-style-type: none"> • „თავშეხვეული თათარი გვერდებზე გეხახუნება (სარცხი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:505]. 	–	–
<p>მესამე ეუბნება: „ყაირათი ქენი“ (დარბაზი, დედაბოძი და თავზე)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:495].</p> <ul style="list-style-type: none"> • „ერთი კაცი ცხვარსა ჰკლავს, ცხვარი არ ტირის, კაცი კი ტირის (ხახვი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:471]. • „ერთი კვერცხი ხელთ მიჭირავს, ნახე როგორ ტკბილიაო; ნახევარი ცივი არის, ნახევარი თბილიაო (დედამიწა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:453]. • „ერთი კედლის წინ ხან ერთი ვარ, ხან – ორი“ (სარკე) [ჯ. სონლულაშვილი 1991:92]. • „ერთი კლდეა და იმ კლდეზე ორი გველია გაწოლილი“ (წარბები) [ჯ. სონლულაშვილი 1991:92]. • „ერთი კონა ჩალა მთაზე ჰკიდიაო (ცხენის კუდი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:476]. • „ერთი ლაპარაკობს, ორი იცქირება“ (ენა და თვალები) [ჯ. სონლულაშვილი 1991:92]. • „ერთი ლეწავს, მეორე ურევს, მესამე უმახის — ჩამოყარეო (კბილები, ენა და მუცელი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:489]. • „ერთი მიდის, ერთი ჭამს, ერთი გაჩერებულია (წყალი, თევზი, ქვა)“ [ექსპედიცია 2019]. • „ერთი მიმინო მხართეთერი აბანოს ებანებოდა; ე მაგის ნასრევ ისარი ხელმწიფეს ეკადრებოდა“ (წისქვილი) [ჯ. სონლულაშვილი 1991:92]. • „ერთი მოლაპარაკე, ორი მაცქერალი და ორი მსმენელი ერთ კვახზედა სხედან (პირი, თვალები, ყურები)“ [ექსპედიცია 2019]. • „ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, იქნა შვიდი, კვლავ თორმეტი, დასაბამით არის ხიდი განაკიდი, ვინც რომ ამას გამოიცნობს, მასთან არის ჰკუა დიდი (კვირა, თორმეტი თვე და წელიწადი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:454]. • „ერთი პატარა ბიჭია, სირბილით არის მაკუა“ 	<p>უკან იყურება (თხის რქა) [ექსპედიცია 2019].</p> <ul style="list-style-type: none"> • „ე მუ ორე, მუ ორე, ჟირი დერგი ყვალი გოლაშა მიკომთხორუნი? – ეს რა არის, რა არის: ორი ქილა ყველი მთაზე მაქვს დამარხული. (ძუბუები)“ [კ. დანელია 1991:467]. • „ე მუ ორე, მუ ორე; უკახალე ხე ჩანს, კურთხუს კინოლეჩანს. – ეს რა არის, რა არის, უკან ხელები აქვს, კუთხეში დევს. (კოკა)“ [კ. დანელია 1991:464]. • „ე მუ ორე, მუ ორე, თაქ მუიე მითოხენი, ქაჯი რე თუ ქაჯიმ სკუა“ – ეს რა არის, რა არის, აქ რა არის რომ ზის, ქაჯია თუ ქაჯის შვილი (ეშმაკი) [ექსპედიცია 2019]. • „ე მუ ორე, მუ ორე, ქიანას ქანჭუ დო იაგვანიშ დუს ვაგანჭუ“ – ეს რა არის, რა არის, ქვეყანას გასწვდა და ქვევრის თავს ვერ გასწვდა (ფული) [ექსპედიცია 2019]. • „ე მუ ორე, მუ ორე; ხონჩას ხორცი გეძუ, ხონჩაქი გეთუ, ხორციქ ქიგესქიდუ. – ეს რა არის, რა არის, ხონჩაზე ხორცი ძევს, ხონჩა გათავდა, ხორცი კი დარჩა. (ფეხსაცმელი და ფეხი)“ [კ. დანელია 1991:463]. • „ე მუ ორე, მუ ორე, ჯინს – ხომულა, მქას – ლადირი დო ჟი – ჭითა უშქური. – ეს რა არის, რა არის; ძირში – ხმელი, მუაში – ნედლი და ზევით – წითელი ვაშლი. (აღდგომა)“ [კ. დანელია 1991:468]. • „ეჩიდოვითი მაჩხვარალი, ჭითანახე მაქოსალი. – ოცდაათი მცეხვაკი და ჭითანავას
---	--

<p>(თითისტარი) [ჯ. სონლულაშვილი 1991:92].</p> <ul style="list-style-type: none"> • „ერთი პატარა ეკლესია ხატებით არის სავსე (თონე)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:504]. • „ერთი პატარა მანანა საყდრისა კარსა გალობდა, თავზე მოესხა მაზარა, კოჭამდის არა ჰფარავდა (შაშვი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:480]. • „ერთი პატარა მანანა სახლსა და კარსა ჰგალობდა; შავი ჩოხანი ჩაეცვა, წვივსა კი არა ფარავდა“ (შაშვი) [ჯ. სონლულაშვილი 1991:92]. • „ერთი პატარა მანანა ხან გაიცინებს, ხან არა“ (ციცინათელა) [ჯ. სონლულაშვილი 1991:92]. • „ერთი პატარა რამა მაქვს ცხვირგრძელი და გაწვეტული, რამდენი ღვინო ჩავასხი, ვერა ვნახე გავსებული (ძაბრი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:500]. • „ერთი პატარა რამე მაქვს, სუყველაფერი შიგ ჩადის (ყური)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:491]. • „ერთი პატარა საყდარია, რამდენიც არ უნდა უარო, კარებს ვერ უპოვნი (კვერცხი)“ [ექსპედიცია 2019]. • „ერთი პატარა საყდარი, უსინათლო და ბნელია, გუმბათი გაღებული აქვს, სხვაგან კი ჩახურულია (დოქი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:498]. • „ერთი პატარა სოველი, გარგალად შემოვლებული, ბევრჯერ მინახავს მორწყული, არც ერთხელ აყვავებული“ (ჭვაბი) [ჯ. სონლულაშვილი 1991:92]. • „ერთი პატარა ქილა არის, შიგ ხორხომელა ყრია (ფშატი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:463]. • „ერთი პირსახოცი მაქვს, ვკეცე, ვკეცე ვერ დავკეცე (გზა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:452]. • „ერთი რამ არის და ყველას უნდა“ (სახელი) [ჯ. სონლულაშვილი 1991:93]. • „ერთი რამ არის, ზეცაში იცის: ზამთარს და 	<p>ასული მხვეტავი. (კბილები და ენა)“ [კ. დანელია 1991:467].</p>
---	---

<p>ზაფხულს უცეცხლოდ იწვის (მზე)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:450].</p> <ul style="list-style-type: none"> • „ერთი რამ არის საწყალი, მალა გაუდის ცანცალი, ნეტავი შემატყობინა, რა არის მისი საგზალი (პეპელა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:484]. • „ერთი რამ არის უსულო, მდებარე მუცელ-ყელითა, წყალი სწყურია — ვერა სვამს, სხვანი ჩაასხმენ ხელითა, ლაპარაკობს და არ ისმის არა სჯულისა ენითა, თავზედაც ცეცხლსა მოიდეგს, კაცსა აავსებს ლხენითა (კულა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:499]. • „ერთი რამ არის ფრინველი უცხვირო, უყუროსანი, უკვერცხოდ შვილის მშობელი, ვითა ირემი ხბოსანი (ღამურა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:480]. • „ერთი რამ არი წითელი, ძირთაგან ამოსულია, ძვლის კუბი აქვს და შიგა ზის, არსზედაც გადასულია, ავი და კარგი მისგან გვჭირს, მწარე და გემრიელია (ენა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:47]. • „ერთი რამ არის ხმიანი, უჩინარი და ფრთიანი, ზღვასა და ხმელსა დაივლის, რომ მოუნდება ტრიალი, მას კაცი ვერ დააკავებს ამოდებული ხმლიანი (ქარი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:458]. • „ერთი რამა სულიერი, ვერ გაარჩევ თხიშია, მთელი ხარი დაუჭირავს, გაუჩრია პირშია (ტკიპა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:484]. • „ერთი რამა სულიერი მალა ზის და იხრის ყელსა (აბრეშუმის ჭია)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:482]. • „ერთი რამა სულიერი, მიწას დადის მკალივითა, ერთმანეთს რო დაინახვენ, ხმას მისცემენ ზარივითა (ცხვარი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:475]. • „ერთი რამა სულიერი ნელა-ნელა კრუსუნს იწყებს, როცა შვილებს ყველასა შობს, 	
---	--

<p>ორსუობას მაშინ იწყებს <i>(ქათამი)</i>“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:479].</p> <ul style="list-style-type: none"> • „ერთი რამა სულიერი, ყველა იმას კოცნის <i>(ლიტრა)</i>“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:499]. • „ერთი რამეა, გამკეთებელსაც სძულს, მყიდველსაც და პატრონსაც <i>(კუბო)</i>“ [ექსპედიცია 2019]. • „ერთი რამეა რკინისა, დარაჯი არის ბინისა“ <i>(ურდული)</i> [ჯ. სონლულაშვილი 1991:93]. • „ერთი რამ არის, სადაც მინდა, იქ გავუწვდენ <i>(თვალეზი)</i>“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:588]. • „ერთი რამეა, სამ ფეხზე დგას <i>(ზედადგარი)</i>“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:504]. • „ერთი რამე ასე იქმნა, ხილნარშია ისი მინდა. მრავალფერად შეფუთული, ტყაოსანად ისი მინდა. მარგალიტად ჩაწყობილი, ჯილოსანად ისი მინდა. ვინც რომ ამას გამოიცნობს, მეცნიერად ისი მინდა <i>(სიმინდი)</i>“ [ექსპედიცია 2019]. • „ერთი რამეა ყველაზე მაღალი და ღმერთზე დაბალი“ <i>(სიკვდილი)</i> [ჯ. სონლულაშვილი 1991:93]. • „ერთი რამეა, ყველაფერი შიგ შედის“ <i>(ყური)</i> [ჯ. სონლულაშვილი 1991:93]. • „ერთი რამე ვნახე, ეშმაკისა სახე, გარშემო შემოვუარე, კვალი ვერა ვნახე <i>(ჩრდილი)</i>“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:453]. • „ერთი რამა ვნახე – ეშმაკისა სახე, მაღლა-მაღლა დადიოდა ძირს დაედგა მახე, წვრილი ჩიტი გაბმულიყო, ჩემი თვალით ვნახე <i>(ობობა)</i>“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:484]. • „ერთი რამე სულიერი აზარ-ფაშას დაჰკარგვია, მიდის, მოდის, კვნესის, ხვნეშის, ჰკითხე, თუ რა დაჰკარგვია, მამამისის აკვაცობით შვილსა გვარი დაჰკარგვია, ცოცხალი ულამაზოა, მოკვდება და, რა კარგია! <i>(ღორი)</i>“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:474-475]. 	
--	--

- „ერთი რამე სულიერი, აზის ბროლის დანადარსა, სამ კვირესა და სამ დღესა, გამოიყვანს მთელ ლაშქარსა (კრუხი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:478].
- „ერთი რამე სულიერი ანადირე დანადარსა, სამ დღესა და სამ კვირასა გააცოცხლებს გადამკვდარსა (ქათამი და წიწილები)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:480].
- „ერთი რამე სულიერი დიდი ორბისა მსგავსია, თავზე ბალანი არა აქვს, გულზე ჯაგარი ასხია; ბოლო მოუგავს ბორბალსა, აგრე აქვს იმის მოდგმასა (ინდაური)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:477].
- „ერთი რამე სულიერი იჯდა ბროლსა და ნადარსა, ას სულ მკვდარსა გააცოცხლებს, სამი კვირის დანაყარსა“ (კრუხი) [ჯ. სონდულაშვილი 1991:93].
- „ერთი რამე სულიერი, კუდიანი და ჭრელია, ქათმის პატარა შვილთათვის სინსილ გამწყვეტელია (კაჭკაჭი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:477].
- „ერთი რამე სულიერი მთაში დადის მწყრალივითა; ცეცხლსა ძლიერ ერიდება, შეშა დააქვს ძვალისვითა; მე მინახავს დახვეოდნენ ბატონები ყმანივითა“ (ირემი) [ჯ. სონდულაშვილი 1991:93].
- „ერთი რამე სულიერი მინდორს გავა მკალივითა, ფარაჯასა წამოისხამს, ხმას გაუშვებს ზარივითა, გლეხიკაცი შეინახავს მარგალიტის თვალისვითა (ცხვარი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:475].
- „ერთი რამე სულიერი მიწა-მიწა მძრომელია, მეფისა და დედოფლისა თავზე წამომჯდომელია, სამჯერ გეტყვი მის სახელსა, აბა, მითხარ, რომელია? (მელია)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:474].
- „ერთი რამე სულიერი მიწა მიწა მძრომელია, კაი ვაჟიკაცისთვისა თავზე წამომდგომელია;

<p>სამჯერ გითხარ მის სახელი, აბა მითხარ, რომელია?“ (მელია) [ჯ. სონდულაშვილი 1991:93].</p> <ul style="list-style-type: none"> • „ერთი რამე სულიერი, მიწა-მიწა მძრომელია, კარგი ვაჟკაცისთვისა თავზე წამომდგომელია (სიკვდილი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:491]. • „ერთი რამე სულიერი საქათმეში მძრომელია, ყველამ იცის მისი საქმე გამოიციან რომელია (მელია)“ [ექსპედიცია 2019]. • „ერთი რამე სულიერი სახლს იკეთებს სადგომარსა, — თავისთვისა საკვდომარსა (აბრეშუმის ჭია)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:482]. • „ერთი რამე სულიერი უფეროსა უფეროა, ზურგი მიუგავს მაისსა, თებერვალსა მუცელია (ზაყაყი)“ [ექსპედიცია 2019]. • „ერთი რამე სულიერი შორით დამკრეფი ვარდისა, ჯერ ღვთისა მოსამსახურე, მერმე ყოველის კაცისა (ფუტკარი)“ [ექსპედიცია 2019]. • „ერთი რამე სულიერი ჩიტსა ჰგავდა სოსანსაო; მისი ფინთი ჩავაყარე შენს მკვდარსა და ცოცხალსაო“ (ფუტკარი) [ჯ. სონდულაშვილი 1991:93]. • „ერთი რამე სულიერი ხეს მიადგება მტრულადა, ხმელსა სცემს, ნედლი გამოაქვს და საზრდოს ხმარობს ტლბილადა (კოდალა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:478]. • „ერთი რამე ქვეყანაზე, ყოველს თვეზე იბადება, მინამ სხვა თვე დადგებოდეს, იგი კიდევაცა კვდება (მთვარე)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:451]. • „ერთი რამე შვენიერი ტურფად იქნევს ყელსა, იმის ნამუშევარი დაამშვენებს თემსა (აბრეშუმის ჭია)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:482]. • „ერთი რამ ვნახე უსულო, ხან თბილია, ხანაც გრილი, ზოგან დგას გაჩერებული, ზოგან 	
--	--

<p>ხმით იცის სირბილი, რასაც ხელს მოჰკრავს გადანთქავს, არ უნდა პირი და კბილი (მდინარე)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:453].</p> <ul style="list-style-type: none"> • „ერთი რამ, უცხოდ მავალი, ორი ჩნდა, გამიკვირდაო; თუ გავიქეცი, გამომყვა, თუ დავდექ, დადგა ისაო; თუ ხელში რამე ავიღე, მან ბარგი აიკიდაო. თქვენი ჭირიმე, მიშველეთ, ეს რა გადამეკიდაო“ (ჩრდილი) [ჯ. სონდულაშვილი 1991:93]. • „ერთი რამ უცხოდ ნაზარდი შორს წაიყვანა ძიძამა; იქ დახვდა ნათესავები, მაგრამ ვერ იცნო ბიძამა; ვერცა აწყინა სიცივემ, ვერცა სიციხემ მზისამა, რომელიც დარჩეს, იხაროს ნაყოფმა მამულისამა“ (ნამყენი) [ჯ. სონდულაშვილი 1991:93]. • „ერთი რამ უცხო ფრინველი ბუდიდან არის ბორისა, მას სანავარდოდ უყვარდა ქედები მაღლა გორისა (ქარი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:458]. • „ერთი რამ უცხო შვილია, შორს წაიყვანა ბიძამა, წინ დახვდნენ ნათესავები, მაგრამ ვერ იცნო ბიძამა (ნამყენი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:468]. • „ერთი რამე სულიერი ეშმაკების სახეო, ქვეით-ქვეით დადიოდა, ძირს გაეზა მახეო, პატარა ჩიტ დაეჭირა ჩემი თვალით ვნახეო.“ (ოზობა) [ჯ. სონდულაშვილი 1991:93]. • „ერთი რამცა, თეთრი რამცა, თეთრად გადამტკიცვილამცა; ვინც ამას ვერ გამოიცნობს, თხაც არის და ბეცი რამცა“ (ცა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:451]. • „ერთი რამცა, თეთრი რამცა, თეთრად გადაპენტვილამცა; ვინც ამას ვერ გამოიცნობს, ცეტიც არის, ბენტერამცა“ (ცა) [ჯ. სონდულაშვილი 1991:93]. • „ერთი სადგომი ვიცი, მუდამ დადის და ყვირის. არც ერთმა მისმა მდგმურმა, ლაპარაკი არ იცის (მდინარე და თევზები)“ 	
---	--

<p>[ექსპედიცია 2019].</p> <ul style="list-style-type: none"> • „ერთი სადგური ვიცი, მუდამ დადის და ღმუის; ვინც შიგა ცხოვრობს — ლაპარაკი არ იცის (თევზი და წყალი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:482]. • „ერთი სარტყელი მქონდა, ვკეცე, ვკეცე, ვერ დავკეცე“ (გზა) [ჯ. სონღულაშვილი 1991:93]. • „ერთი სასახლე მაქვს, საღამოს ავაგებ, დილას დავანგრევ (საწოლი)“ [ექსპედიცია 2019]. • „ერთი სახის სიმდიდრეა, მას ხელი არ ეკიდება, არც წართმევა შეიძლება და არც ფულით იყიდება, მოხუცი თუ ახალგაზრდა ამ სიმდიდრით იდიდება (ცოდნა)“ • „ერთი სახლი ყვითელ-გული, ურკინოდა აგებული, დასამტვრევად ადვილია, არ სჭირდება ურო ცული (კვერცხი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:501]. • „ერთი საჭმელია, რაც გინდა ბევრი მარილი უყო, მაინც უმარილოა“ (გაუფრცქენელი კვერცხი) [ჯ. სონღულაშვილი 1991:93]. • „ერთი სტუმარი გვეწვია, მისდღეში უსტუმრებული; ისეთი კერძი მივართვი, სუფრაზე დაუდებელი“ (ახალშობილი და დედის რძე) [ჯ. სონღულაშვილი 1991:93]. • „ერთი სტუმარი მეწვია, მისდღეში უსტუმრებელი, იმას საჭმელი მივართვი, სუფრაზე დაუდებელი (დედის რძე და ბავშვი)“ [ექსპედიცია 2019]. • „ერთი სტუმარი მეწვია მისდღემში უსტუმრებელი, ორი ულუფა მივართვი, სუფრაზე დაუდებელი (ბავშვი და დედის ძუძუები)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:487]. • „ერთი სულიერია, უკარო ციხიდან გამოდის (წიწილა)“ [ექსპედიცია 2019]. • „ერთი ტიკი მაქვს, ორნაირი ღვინო ასხია, რაც გინდა აჭანჭყარო, ერთმანეთს არ აერევა“ (კვერცხი) [ჯ. სონღულაშვილი 1991:93]. • „ერთი უსულო ბერია, ცხრა ქამარ მოუჭერია 	
--	--

<p>(კასრი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:498].</p> <ul style="list-style-type: none"> • „ერთი ქათამი მყავს: ფეხებით წყალსა სვამს, თავით კვერცხსა სდებს (მცენარე)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:468]. • „ერთი ქოჩორა მამალი მიწაში თავუყრელად ვერ ცხოვრობს (ნიორი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:469]. • „ერთი ყუთი მაქვს, სულ კენჭებით მოწყობილია (პირი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:489]. • „ერთი შევყავი, ხუთი შევთხარე (ხელთათმანი)“ [ექსპედიცია 2019]. • „ერთი ცეხვს, მეორე ურევს, მესამე ეუბნება: ჩამოყარო“ (კბილები, ენა, კუჭი) [ჯ. სონდულაშვილი 1991:93]. • „ერთი ციხესიმაგრეა და ოცდათორმეტი მცველი ჰყავს (ენა და კბილები)“ [ექსპედიცია 2019]. • „ერთი ციხე, ჩემი ციხე, ქვის კენჭით გამოჭიხტული (ვარსკვლავები)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:450]. • „ერთი ცხენი მყავს სოსანი, სოსანზედ უფრო სოსანი, წავა ისპანაჰს წყალს დალევს, ისევ შინ მოვა ცოცხალი (ღრუბელი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:459]. • „ერთი ცხენი მყავს სოსანი, სოსანზე კიდევ სოსანი; ინდოეთს წავა წყალს დალევს, აქავ მომივა მგოსანი“ (მერცხალი) [ჯ. სონდულაშვილი 1991:93]. • „ერთი ცხვარი მყავს, რომ დაველა, სისხლი არ გამოუვა (მოთალის გუდა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:499]. • „ერთი ძაღლი მყავს, წავა ტყეში – ყეფს, მოვა სახლში – დაეგდება (ცული)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:506]. • „ერთი ძროხა მყავს, სანამ კუდში ხელს არ წაავლებ, გომურში არ შედის (კოვზი)“ [ექსპედიცია 2019]. 	
--	--

- „ერთი წევს არა დგება, მეორე ჭამს — არა ძღება, მესამე მიდის და არა დგება (კერა, ცეცხლი და კვამლი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:496].
- „ერთი წითელი მამალი მიწიდან ამოვიოდა (ქვევრი, ჭური)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:472].
- „ერთი ჭურჭელი მაქვს, ნაპერწკლებით სავსეა (ცა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:452].
- „ერთი ხარი მყავს, ბაგა-ბაგა ასხავს“ (საცერი) [ჯ. სონდულაშვილი 1991:93].
- „ერთი ხეა ხერხოვანი, ზედ ასხია ცერცოვანი; არც იჭმება, არც ისმება, არცა ზედა გაისვლება“ (ცა) [ჯ. სონდულაშვილი 1991:93].
- „ერთი ხე იყო მართალი, ისიც გვერდგამონათალი, უკან კაცი მიჯდომია, ბრუტიანი და ცალ-თვალი (თოფი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:511].
- „ერთი ხელსახოცი მაქვს, ვაშრე, ვაშრე ვერ გავაშრე“ (ენა) [ჯ. სონდულაშვილი 1991:93].
- „ერთი ხე მიდგა ეკლისა, წითელ და თეთრი ფერისა (ვარდი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:461].
- „ერთი ხე მიდგა, თორმეტი ტოტი და სამას სამოცდახუთი ფოთოლი აქვს (წელიწადი, თვეები და დღეები)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:455].
- „ერთმა ვინმემ ფანჯრის მინა მორთო უცხო ფიგურებით, თბილი ქუდი დამახურა და ჩამაცვა ციგურები. აღმა-დაღმა მასრიალებს, დავერი, ყინჩად ვიყურები (ყინვა)“ [ექსპედიცია 2019].
- „ერთმა კუზიანმა მთელი მინდორი შეიორბინა (ნამგალი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:505].
- „ერთმა პატარა ბზიულამ ხალხი აავსო შარბათით, დაზამთრებამდე მუშაობს, არ იცის კვირა, შაბათი (ფუტკარი)“ [ექსპედიცია

<p>2019].</p> <ul style="list-style-type: none"> • „ერთ მგალობელ ენას ვიცნობ, ადგილზე დგას, თანაც დადის. ტანთ აცვია არაფერი, თავზე ჰხურავს მუზარადი (ზარი)“ [ექსპედიცია 2019]. • „ერთ მინდორზე დახტოდა ერთი უკუდო კატაო, რაც საკუდეზე დააკლდა ყურებზე მოემატაო (კურდღელი)“ [ექსპედიცია 2019]. • „ერთ მინდორზე ორი გველი წევს (წარბები)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:492]. • „ერთნაირი ცხოველია, სიარული იცის ნელი, მტრისგან თავის დასაცავად, ჯავშანი აქვს სქელი (კუ)“ [ექსპედიცია 2019]. • „ერთნაირი ჯამია, კაცზე პირქვე ამხია (ქული)“ [ექსპედიცია 2019]. • „ერთ პარიკმახერს ორი მაკლრატელი უჭირავს (მახრა)“ [ექსპედიცია 2019]. • „ერთ პატარა თავუნას თავზე ქოლგა ახურავს, სულ ღამ-ღამე დაფრინავს, თქვი რა ჰქვია (ღამურა)“ [ექსპედიცია 2019]. • „ერთ პატარა მინდორზე გრილი სიო ქრის, შიგ ღამაში ქალი ზის, სისხლის ღვარი სდის (ვარდი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:461]. • „ერთ პატარა მინდორზე სულ თოვს (გობი, რომელზედაც ფევილსა სცრიან)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:497]. • „ერთ პატარა ფირფიტელასა ტყიდან შემა ჩამოაქვს (სამართებელი)“ [ექსპედიცია 2019]. • „ერთ რამეს მოგახსენებ, დიდი არაფერიაო, ზოგან წითელ, ზოგან ყვითელ, ზოგან ალისფერიაო (ხალიჩა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:510]. • „ერთ რამეს სამჯერ შეჭამენ და ორჯერ დალევენ (რძე)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:503]. • „ერთსა ალვისა ხეზედა თორმეტი ტოტი ამია; სცვივა და სცვივა ფოთოლი, ისევ იმდენი ასხია“ (წელიწადი) [ჯ. სონდულაშვილი 	
---	--

<p>1991:94].</p> <ul style="list-style-type: none"> • „ერთსა ალვის ხეზედა თორმეტი ტოტი აბია, სცვივა და სცვივა ფურცელი, ისევ იმდენი ასხია (წელიწადი და თორმეტი თვე)“ [ექსპედიცია 2019]. • „ერთსა ალვის ხეზედა თორმეტი ტოტი გრძელია, ოთხ-ოთხი თხილი აბია, გამოსაცნობი ძნელია, შვიდ-შვიდი კურკა შიგ უდევს, ახალია და ძველია, ამისი გამომცნობელი ჭკვიანია და ბრძენია (წელიწადი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:455]. • „ერთსა ახსნას მოგახსენებ, გამოიცნობ, სიბრძნე გაქვსო, ერთს ქვეყანას ორთა ძმათა, ორთავ ერთი ფერი აქვსო, ერთი მუდამ სიყრმეზე დგას, ერთს სიბერე ახლო აქვსო, ერთს ჯარი ჰყავს უთვალავი, ერთსა მარტო ტახტი აქვსო (მზე და მთვარე)“ [ექსპედიცია 2019]. • „ერთსა კაცსა იმ საწყალსა, ზურგზე ცოლი აეკიდა, უკანიდან მტერი მისდევს, წინ მოკეთე წაეკიდა (მონადირე, თოფი და ნანადირევი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:505]. • „ერთსა პატარა ალაგსა გარ ზღუდე შემოვლებულსა, ნიადაგ ნახავ მორწყულსა, აროდეს აყვავებულსა (თასი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:498]. • „ერთსა რამეს მოგაბარებ უსულოსა, უგულოსა; ვინძლო ასე შეინახო, რწყილმა არსადუკბინოსა“ (თოჯინა) [ჯ. სონდულაშვილი 1991:94]. • „ერთსა რამეს სულიერსა ჯიხური ზურგით დააქვსო, თავისსა წილადობაზე ყველაზე დიდი რქა აქვსო (ლოკოკინა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:483]. • „ერთსა რამ უცხო საჭვრეტსა უდიან ტურფა სულები, ფერი მიუგავს ლალებსა, ყვიტელ იაგუნდს – გულები, ზურმუხტის ფერი ფურცლები გარსა აქვს შემორგულები 	
--	--

<p>(ვარდი)“[„ხალხური სიბრძნე“ 1965:461].</p> <ul style="list-style-type: none"> • „ერთსა რამ უცხო ფრინველსა, აქა და ყოველ კიდესა, ბოძალი აქვს და ვერ ისვრის, ზურგს უკან აიკიდებსა, მიწას თხრის, მაღლა აიტანს, შვილთათვის დაიუნჯებსა, მისი ხმა ყოველ სულიერს აქებს და განადიდებსა (მერცხალი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:479]. • „ერთ სახლს ვუარე, ვუარე, კარები ვერ ვიპოვე (კვერცხი)“ [ექსპედიცია 2019]. • „ერთს მინდორზე თესლი ვთესე, მწვანედ იყო ამოსული; შევყავ ხელი, ამოვიღე, ეკლით იყო შემოსილი“ (კიტრი) [ჯ. სონლულაშვილი 1991:94]. • „ერთ სოფელში ორსა კაცსა, ორსავე ერთი ფერი აქვსო; ერთი მუდამ სიყრმეზე დგა, ერთს სიბერე ახლო აქვსო; ერთსა – ჯარი უთვალავი, ერთს მარტოკა ტახტი აქვსო“ (მზე და მთვარე) [ჯ. სონლულაშვილი 1991:94]. • ერთ სულიერსა ამბობენ, უჩინარსა და ხმიანსა, ზღვასა და ხმელეთს დაივლის და შინ მოიტანს გრიალსა (ქარი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:458]. • „ერთ ორმოში ოცდათორმეტი გოგრის თესლია (კბილები)“ [ექსპედიცია 2019]. • „ერთ ტიკ-ჭორაში ორნაირი ღვინოა (კვერცხი)“ [ექსპედიცია 2019]. • „ერთ უჩინმაჩინს ვიცნობ: თუ გეჯავრება იგი, არ აშენდება სახლი, არ შეიქმნება წიგნი. არაფერს მოგცემს ნატვრა, ანდა ვედრება ხატის, იმ უჩინმაჩინს თუ კი გულით არა სცემ პატივს (შრომა)“ [ექსპედიცია 2019]. • „ერთ ფეხზე შეკუნტულია, ქუდი ჰხურავს თავზე, ტყეში უთვალავს შეხვედები, უფრო – ნაწვიმარზე (სოკო)“ [ექსპედიცია 2019]. • „ერთ ჩიტს ერთი სახლი აბარია (გასაღები)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:510]. • „ერთ ციკნიკელას მთიდან თივა ჩამოჰქონდა“ (სამართებელი) [ჯ. სონლულაშვილი 1991:94]. 	
---	--

<ul style="list-style-type: none"> • „ერთხელ დაწვა არ მაკმარეს, მეორედაც ლამობენო, ქვეყანაზე ზამთარ-ზაფხულ შემის ბაღლად მხმარობენო (ნახშირი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:496]. • „ერუმ-მარუმელა, ფეხი-ბანდრუმელა, მინდორ-მინდორ დაყიალობს, თავი კვანტრუმელა (ბატი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:477]. • „ესე კაცი რა კაცია, ცხრა ნაბადი რომ ასხია (სიმინდი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:470]. • „ესე რა ახე-მახეო. ეშმაკებისა სახეო. ადგა და ზეცას წავიდა, კვალი ვერ დავინახეო (ბოლი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:495]. • „ეს რა არის? მასრა არის; მასრას უკან კალო არის; კალო გაჭედული არის; კვიცი გაკრეჭილი არის“ (ყანა და ძნა) [ჯ. სონდულაშვილი 1991:94]. • „ეს რა ახეა მახეო? საკომს ეშმაკი ვნახეო; ცისკე უკიბოდ წავიდა, კვალი ვერ დავინახეო“ (კვამლი) [ჯ. სონდულაშვილი 1991:94]. • „ეს შავი ცხენი ნეფისა, სწრაფად ამღები ფეხისა, ლაგამს ვერავინ ამოსდებს კაცი ამ ჩვენი ქვეყნისა (რწყილი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:484]. • „ეს ჩემი ბაჩა მირბის და მიჭიხვინობს (მაკრატელი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:508]. • „ეს ჩემი ბინის გუმაგი არ ყფეს და არ იღრინება, სახლში არავის არ უშვებს პატრონმა თუ არ ინება (საკეტი)“ [ექსპედიცია 2019]. • „ეს ჩემი ელა სკუპაო კედელზე მიესკუპაო (ლოურსმანი)“ [ექსპედიცია 2019]. • „ეს ჩემი ელეყუდაო, კლდეზე აეყუდაო (ლანდი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:490]. • „ეს ჩემი თეთრი ქათამი ღელე-ღელე დაკირკიტობს (ქაფი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:453]. 	
---	--

<ul style="list-style-type: none"> • „ეს ჩემი კუზურელია დღეცა და ღამეც ზეზეა (თუნგულა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:498]. • „ეს ჩემი პატარა ვარია მიწაში კვერცხის მდებია“ (კარტოფილი) [ჯ. სონლულაშვილი 1991:94]. • „ეს ჩემი ცხენი სოსანი, სოსანზე უფრო სოსანი, წავა ინდოეთს წყალს დალევს, ისევ მომივა ცოცხალი (მერცხალი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:479]. • „ეს ჩვენი პატარა ეკლესია ხატებით არის მორთული (თონე)“ [ექსპედიცია 2019]. • „ეწერს ცეცხლი უკიდია, მუხას ეპრიალება, თუმცა არ სწვავს, მიდამოს ნათლად ეკრიალება (ცისარტყელა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:460]. 	
3	
<ul style="list-style-type: none"> • „ვა რა სახლი ავაშენე, ვა რა ჭინყარიო, შიგ შვევდი, დაგიძახე, ვერ გამირე კარო! (აბრეშუმის ჭია)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:482]. • „ვაშრე, ვაშრე, ვერ გავაშრე (ენა)“ [ექსპედიცია 2019]. • „ვდგები ადრე ადრინად, პირსა ვიბან ნამითაო; ოქროს თმასა გადავიშლი, ვიდგამ ოქროს გვირგვინსაო, მაღლიდან რომ გადმოვხედავ, ყველა მიძღვნის ღიმილსაო (მზე)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:450]. • „ველის პერანგი მაცვია, გავიხდი, აზნაური ვარ, ქლაქში წავალ სავაჭროდ, არ ვიცი სადაური ვარ (წაბლი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:463]. • „ვერც გამოჭრის კაი მჭრელი, ვერც გამოჭრის ხარაზიო; ვინცა ამას გამოიცნობს, ის იქნება ლამაზიო“ (ჭიქა) [ჯ. სონლულაშვილი 1991:94]. • „ვერც იყიდი, ვერც გაჰყიდი, უმისობაც არ იქნება“ (სიცოცხლე) [ჯ. სონლულაშვილი 1991:94]. 	<ul style="list-style-type: none"> • „ვართი აჭკადე ჭკადუსი დო ვართი აჭენე ხარაზის, ხეს მეჩანა ლამაზის. – ვერც მჭედელი გაჭედავს, ვერც მკერავი შეკერავს, ლამაზებს კი ხელში უჭირავთ (აძლევენ). (ჭიქა)“ [კ. დანელია 1991:471]. • „ვართი დიხას ონჭ დო ვართი ცას. – არც მიწას სწვდება და არც ცას. (ჭიშკარი)“ [კ. დანელია 1991:471]. • „ვითოჯირი არაბიში სქუა, თის მიდგა თქუანქიუნე, – თავადიში სქუა. – თორმეტი არაბის შვილია, ამას ვინც გამოიცნობს, თავადის შვილია. (ნაჭა)“ [კ. დანელია 1991:466]. • „ვითოჯირი კაჭკაჭი, ოთხი არწივი – არწივი – ართი კვერცხის სქუნე. – თორმეტი კაჭკაჭი და ოთხი არწივი ერთ კვერცხს დებს. (წელიწადი)“ [კ. დანელია 1991:468]. • „ვითოჯირი ჯიმაღენს ართი ორთუმალი მეუძგანა. – თორმეტ მმას ერთი სასთუმალი

<ul style="list-style-type: none"> • „ვერცხლში – წყალი, წყალში – ცეცხლი“ (სამოფარი) [ჯ. სონღულაშვილი 1991:94]. • „ვეძებ, რაც არ დამიკარგვს, არ მენახა – დავიჭირე. გავცივდი და ავად გავხდი, საქმე რისთვის დავიჭირე (მეთევზე)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:504]. • „ვზივარ კლდესა, ვიქნევ ხელსა; მოსწი მამაშენის მზესა“ (ხელსაფქვავე) [ჯ. სონღულაშვილი 1991:94]. • „ვზივარ პირდაღებული, ყველა მე მიყურებს (ბუხარი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:495]. • „ვზივარ შუა, არ მაქვს ფასი, შემომცქერის ყველა თვალში (ცეცხლი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:497]. • „ვთქვი და კიდეც ავასრულე, დევს დავადგი უნაგირი, თავისუფლად ზედ შედგება, თუნდ კაცი და თუნდაც ვირი (ხიდი)“ [ექსპედიცია 2019]. • „ვინცა ყიდულობს – ტირის, ვისთვისაც ყიდულობენ – ჩუმად არის (კუბო)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:489]. • „ვინც ხელს იბანს წყალთან ერთად უნდა ამაქაფოს, მიკრობები დაგესევა, თუ არ ხმარობ (საპონს)“ [ექსპედიცია 2019]. • „ვიცი, მაგრამ არ ვიცი (სიკვდილი)“ [ექსპედიცია 2019]. • „ვთვალე, ვთვალე, ვერ დავთვალე“ (ვარსკვლავები) [ჯ. სონღულაშვილი 1991:94]. • „ვიღაც – ყიდის, ვიღაც – ყიდულობს. ვინც ყიდულობს, ის თავისთვის არ ყიდულობს და ვისთვისაც ყიდულობენ იმისთვის მნიშვნელობა არა აქვს უყიდიან თუ არა (კუბო)“ [ექსპედიცია 2019]. • „ვპეცე, ვპეცე ვერ და“ (გზა) [ჯ. სონღულაშვილი 1991:94]. • „ვქსელე, დავქსელე, თეთრად დავქსელე, წითლად შევღებე, შავად ამოვჭერ“ (მაყვალი) [ჯ. სონღულაშვილი 1991:94]. 	<ul style="list-style-type: none"> • „უღევს. (წელიწადი და თორმეტი თვე)“ [კ. დანელია 1991:469]. • „ვიშა-აშო გიოურს დო ართი არდგირს გერე“ – აქეთ-იქით დადის და ერთ ადგილზე დგას (კარი) [ექსპედიცია 2019]. • „ვკიჩი, ვკიჩი, ვამაკიჩუ“ – ვპეცე, ვპეცე, ვერ დავპეცე (გზა) [ექსპედიცია 2019]. • „ვჭკირი, ვჭკირი, ვამაჭკირუ“ – ვჭერი, ვჭერი, ვერ გავჭერი (წყალი) [ექსპედიცია 2019].
---	--

<ul style="list-style-type: none"> • „<i>ვჭერი, ვჭერი, ვერ გავჭერი</i>“ (<i>წყალი</i>) [ჯ. სონღულაშვილი 1991:94]. • „<i>ვხვეტე, ვხვეტე, ვერ დავხვეტე</i>“ (<i>ცხვირი</i>) [ჯ. სონღულაშვილი 1991:94]. 	
ზ	
<ul style="list-style-type: none"> • „<i>ზამთარში მოდის, გაზაფხულზე მიდის, ზაფხულში კვდება და შემოდგომაზე ცოცხლდება (თოვლი)</i>“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:456]. • „<i>ზამთარში – მოკლე, ზაფხულში – გრძელი, გამოსაცნობად არ არის ძნელი (დღე)</i>“ [ექსპედიცია 2019]. • „<i>ზამთრით მთასა ვარ, ბარსა ვარ, ზაფხულით შინაური ვარ, ეკლის ბუსუსი მასხია, გამბერტყავ, აზნაური ვარ (ყანა)</i>“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:471]. • „<i>ზამთრით მოვალ, ზამთრით მივალ, ვინ გინახავთ ჩემისთანა, შარშან ამ დროს ახალგაზრდა – დღეს უძლური ბებრუხანა (ძველი და ახალი წელიწადი)</i>“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:454]. • „<i>ზაფხულში კარავს დაიცემს, ზამთარი შინაურია, ხშირად ასხია ეკალი, გასცვივა ბროწეულია (პურის ყანა)</i>“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:469]. • „<i>ზაქრია კორკოტაი სახლიანად მორბოდაო (ლოკოკინა)</i>“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:483]. • „<i>ზედადგარი, ზედ ნადგარი, ზედ ირემი გაწოლილი. ზევიდან აყრიან, ქვევით ჩამოდის</i>“ (<i>წისქვილი</i>) [ჯ. სონღულაშვილი 1991:95]. • „<i>ზევიდანა წამოვიდა კაბა-კაბა თხილოსანი, ყველა იმას ერიდება ქვეითი და ცხენოსანი (სეტყვა)</i>“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:457]. • „<i>ზევიდანა წამოვიდა კაბა-კუბა ჭრელოსანი, სულერთიან თან წამოჰყვა ქვეითი და ცხენოსანი (ღრუბელი და წვიმა)</i>“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:459]. 	<ul style="list-style-type: none"> • „<i>ზურაბია მოკვაკვილი</i>“ – ზურაბია მოკუნტული (<i>ჯიბის დანა, ჯაყვა</i>) [ექსპედიცია 2019]. • „<i>ზღვას ართი კუნძი დინოძუ, ვართი სქირუ დო ვართი გორდი</i>“ – ზღვაში ერთი კუნძი დევს, არც შრება და არც ლპება (<i>ენა</i>) [ექსპედიცია 2019].

<ul style="list-style-type: none"> • „მთა დამითოვა, შორე მომიახლოვდა, ორი გამისამდა (მოხუცებულობა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:490]. • „ზევითა მთა მომითოვა, დაბლა ბარი მამიწათხა. შორ მომავალი სტუმარი ერთობ ერთობ ახლოს დამისახლა (მოხუცებულობა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:490]. • „ზევით ცამა მოიღრუბლა, მოისკილისკამუჭურა, ქვევით მელამ კუდი ჩაჰყო, ჩაისკილისკამუჭურა (ზამთარი და ყინვა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:454]. • „ზეიდანა გამორბოდა ერთი ვინმე ჭრელოსანი, იმას ყველა დაემალაქვეითი და ცხენოსანი“ (სეტყვა) [ჯ. სონლულაშვილი 1991:95]. • „ზოგჯერ ბლაგვია საოცრად, ზოგჯერ – ხმალივით ბასრი. ჩვენს არსებობას უმისოდ არ ექნებოდა აზრი (ენა)“ [ექსპედიცია 2019]. • „ზოგჯერ მუცელტაშტი, თვალკაჟი, ფეხტაიჭი (კიბორჩხალა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:483]. • „ზურგზე ხე აქვს მაგარი, მუცელზე აქვს ჯაგარი“ (ჯაგრისი) [ჯ. სონლულაშვილი 1991:95]. • „ზურგზე ჰკიდია გროშები, თუმნები მილიონიანი, ფასად კი ბევრად არა ღირს, ადვილი საშოვნელია (საანგარიშო)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:506]. • „ზურგი აქვს ხისა, მუცელი – ქვისა; მიდის და მოდის, მარცვალსა ყრისა“ (კვერი) [ჯ. სონლულაშვილი 1991:95]. 	
თ	
<ul style="list-style-type: none"> • „თავვი გარბის ფიცარ-ფიცარ, კუდი გააქვს სათარ-სათარ (ნემსი და ძაფი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:509]. • „თავვი მირბის შარა-შარა, კუდი მიაქვს ჩქარა-ჩქარა (ნემსი და ძაფი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:509]. 	<ul style="list-style-type: none"> • „თელი რენი – გილურც, დოღურუნი – ღვინც შუნც. – როცა ცოცხალია – დადის, მოკვდება და – ღვინოს სვამს. (გუდა, ტიკი)“ [კ. დანელია 1991:470]. • „თოიჭკურიი ვორწყეუ, თორს

<ul style="list-style-type: none"> • „თავიდელა, კუდკანაფა (ცხენი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:476]. • „თავზე ბურბუმელა, ფეხზე ფუნტრუმელა“ (თოვლი) [ჯ. სონღულაშვილი 1991:95]. • „თავზედ გვირგვინი ადგია, მორთული მეფესავითა, ფეხებზედა აქვს დეზები, ცხენზედ მჯდომ მხედარსავითა (მამალი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:478]. • „თავზე ქუდი ახურია, თვითონა ჰგავს კაკალსა; შენ ამას ვერ გამოიცნობ, ნუ დაიწყებ კაკანსა (რკო)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:463]. • „თავი აქვს და თვალი არა, კუდი აქვს და ძუა არა (ლურსმანი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:511]. • „თავი აქვს, თვალი – არა (თხუნელა)“ [ექსპედიცია 2019]. • „თავი ბუზს უგავს, ფეხი ჩალასა, ნახტომი — დევის ქალასა, თვითონ ძლივს ჩანს — ხმა კი ისმის (კოლო)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:483]. • „თავი ბურბუმელა, ბოლო ფუნტრუმელა, თუ ამას ვერ გამოიცნობ, უჭკუო ხარ შენა (ბოლოკი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:465]. • „თავი ბუზს უგავს, ფეხი – ჩალასა, ნახტომი იცის დევის ქალასა“ (კალია) [ჯ. სონღულაშვილი 1991:95]. • „თავი ბუზს უგავს, ფეხი — ჩალასა, უცებ გადირბენს დევის ყანასა (კურდღელი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:473]. • „თავი გადავასხეპე აღმასივით ცულოთ და... ერთი თავის ადგილას ორი ამოუვიდა (დევი)“ [ექსპედიცია 2019]. • „თავი დაღმა, ფეხი აღმა და ფურცელი გარდიგარდმო (პრასი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:469]. • „თავი – მაღალი, ბოლო – ნამგალი“ (მამალი) [ჯ. სონღულაშვილი 1991:95]. • „თავი ოქრო, ბოლო ვერცხლი, შუა წელი რკინა, ეს თუ ვერ გამოიცანი დამპატიჟე შინა 	<p>გოონჯანქინი – ვაორწყეუ“</p> <p>– თვალდახუჭული ვხედავ, თვალს რომ გავახელ – ვერ ვხედავ (სიზმარი) [ექსპედიცია 2019].</p> <ul style="list-style-type: none"> • „თოლც კითი ვემიოგენი საქვარც ვაქიმინუნს. – თვალში თუ თითი არ ჰკარი, საქმეს არ გააკეთებს. (მაკრატელი)“ [კ. დანელია 1991:468]. • „თუდო – რკინა, ჟიდო – ხორცი, ჟიდო – ფიცარი დო ჟიდო – ხორცი“ – ქვემოთ – რკინა, ზემოთ – ხორცი, ზემოთ – ფიცარი და ზემოთ ხორცი (ცხენი, უნაგირი, კაცი) [ექსპედიცია 2019]. • „თუდო რკინა, ჟიდო ხორცი, უკული ჯა დო უკული კოჩი. – ქვევით რკინა, ზევით ხორცი, შემდეგ ხე და შემდეგ კაცი. (ნალი, ცხენი, კეხი, კაცი)“ [კ. დანელია 1991:466]. • „თუდო ჯა დო ჟი ქუა, თენა მის ვაუჩქუნი, თისი ოკო ჟიფუა. – ქვევით ხე და ზევით ქვა. ვინც ეს არ იცის, მას უნდა გალახვა. (როდინი და ქვასანაყი)“ [კ. დანელია 1991:470]. • „თხა პუნდუ მიარე, გოლა გეგნვოდიარე, გეკტიპონი, წყარი ქოვჩი, გოვტყაბარე – გეგიმოვჩი. – თხა მყავდა მიარე, მთა გადავაბალახებინე, ჩამოვიყვანე, წყალი ვასვი, გავატყავე (და) გავყიდე. (აბრეშუმის ჭია)“ [კ. დანელია 1991:465].
--	--

<p><i>(შემოდგომა, ზამთარი და ზაფხული)</i>“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:454].</p> <ul style="list-style-type: none"> • „თავი საბანში, ფეხები ჭინჭარში, ყვავილებს ვკრეფდი. არა მაქვს ხელში <i>(სიზმარი)</i>“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:491]. • „თავი უგავს სავსე მთვარეს, მარცვლები აქვს ერთობ ხშირი, დგას ამაყად და მთელი დღე მიუპყრია მზისკენ პირი <i>(მზესუმზირა)</i>“ [ექსპედიცია 2019]. • „თავი – ქვისა, ტანი – ხისა, ბალახს სჭამს და ნაცარს ყრისა“ <i>(ყალიონი)</i> [ჯ. სონდულაშვილი 1991:95]. • „თავი ხვლიკს უგავს, ტანი – ბორბალსა. ვინც ამას ვერ გამოიცნობს, ტყუილად დაიწყებს ბოდვასა <i>(ინდაური)</i>“ [ექსპედიცია 2019]. • „თავი– ხისა, ტანი – თხისა, გამომცემია სამი ხმისა <i>(სტვირი)</i>“ [ექსპედიცია 2019]. • „თავსავარცხელა, ლამაზი თავს ირჩენს მწერით, ობობით, ბუდე კი სუნიათი აქვს, ამ ფრინველს ჰქვია? <i>(ოფოფი)</i>“ [ექსპედიცია 2019]. • „თავს ანძრევს, ბოლოს არ არყევს, შუაში ჩაბალახობსა, ასხია ბევრი თვალეში, პატრონმა დაინახოსა <i>(პური, ყანა)</i>“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:469]. • „თავს გვაფარია ბანივით, მსუბუქია და ვრცელია, რაც უნდა მაღალი იყო, არ მოგიწვდება ხელია <i>(ცა)</i>“ [ექსპედიცია 2019]. • „თავს გვაფარია ბანივით, მსუბუქია და ვრცელია; რაც უნდა მაღალი იყვე, ვერ მოგიწვდება ხელია; არც უნდა ბოძი, კედელი, ფანჯარა, მასთან კარია, აბა, თუ გამოიცანი, მზად არის საჩუქარი“ <i>(ცა)</i> [ჯ. სონდულაშვილი 1991:95]. • „თავს მოვჭრი, გულს ამოვაცლი, ვასმევ და ვალაპარაკებ“ <i>(კალამი)</i> [ჯ. სონდულაშვილი 1991:95]. • „თავს ხერხი, ბოლოს ნამგალი <i>(მამალი)</i>“ 	
--	--

<p>[„ხალხური სიბრძნე“ 1965:478].</p> <ul style="list-style-type: none"> • „თავშებვეული აღმა გარბის (ნამყენი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:468]. • „თავშებვეული თათარი გვერდებზე გეხახუნება (სარცხი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:505]. • „თავებერხა, ბოლო ნამგალა“ (მამალი) [ჯ. სონლულაშვილი 1991:95]. • „თან დასდევენ ყოველთვის, აქ არის თუ იქ არის. ცხვარსა – მისი ბატკანი, თხას კი თავის... (ციკანი)“ [ექსპედიცია 2019]. • „თაფლზე ტკბილი, ქვაზე მძიმე, სასწორზე აუწონარი (ძილი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:492]. • „თაფლზე ტკბილი, შაქარზე ძვირი, არც ვაჭარი მოიტანს, არც ბაზარში გაიყიება (ძილი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:492]. • „თბილი წყლების ცხოველია, იგი კუდით იკბინება. არც მტერს ზოგავს, არც მოყვარეს, სულერთია ვინც იენება (მორიელი)“ [ექსპედიცია 2019]. • „თევზი არ არის — დაცურავს, კაცს არ ჰგავს, იგი, ბრძენია, პირველად ღმერთმა დასწყევლა მისი ჯიში და ძენია (გველი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:483]. • „თეთრად გავჩნდი, წითლად გავიზარდე, შვად დავბერდი (მაცვალი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:462]. • „თეთრად დავიბადე, წითლად გავიზარდე, შვად დავბერდი“ (მაცვალი) [ჯ. სონლულაშვილი 1991:95]. • თეთრად დავქსელე, წითლად მოვქსოვე, შვად შევლებე“ (მაცვალი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:462]. • „თეთრად მოვიდა და წყნარად წავიდა (თოვლი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:456]. • „თეთრა ლეწავს, წითლა აბრუნებს, ყორან ეძახის: ჩამოყარეო“ (კბილეზი, ენა, კუჭი) [ჯ. 	
--	--

<p>სონლულაშვილი 1991:95].</p> <ul style="list-style-type: none"> • „თეთრია, თეთრი არ არის (50 თეთრიანი)“ [ექსპედიცია 2019]. • „თეთრი ვარ, გამლილ მინდორსა ვარდივით მოვეფინები, სადაც რომ გამიჭირდება, ჯორს და ცხენს მოვეკიდები (კარავი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:495]. • „თეთრი კაბა მაცვია, ყვითელი მაქვს გულია, თვით მკვდარი ვარ, ცოცხალი ჩემგნით გამოსულია (კვერცხი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:480]. • „თეთრი პეპელა მოფრინდა თვალთ მიუწვდომელ ცაშია, ძირს დაჯდა, ფეხი მოირობა, ველარ გავედით კარშია (თოვლი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:456]. • „თეთრი პერანგი აცვია, თავი მიუგავს სინასა, მამაც-მამაცი კაცები მასზე გაწევენ ლხინასა (სოკო, მიქელა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:464]. • „თეთრი სახლი უსაძირკვლო, უსალუქოდ წოდებული, ხან შეკრული, ხან გახსნილი, ხან მგზავრი და ხან დებული (კარავი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:495]. • „თეთრი ქათამი, ბოლო კურტუმ, ნარიყალას ედებოდა, ხესა ესხა მარგალიტი, იქროს წვეთი ვარდებოდა (პურის თავთავი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:469]. • „თეთრი ქუჩუ-ქუჩუბელა გარეთ ბუდეს იბუდებდა(ნიორი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:468]. • „თეთრი ხნული, შავი თესლი, თესლი მთესველს ეუბნება“ (წიგნი) [ჯ. სონლულაშვილი 1991:95]. • „თეთრმა სუფრამ მთელი ქვეყანა დაფარა (თოვლი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:456]. • „თეთრ ქვებს უკან ფიცარია, არცა ლპება და არცა ხმებაო: ხან ტკბილია, ხან კი მწარე, უპატრონოდ არ კვდებაო (ენა)“ [„ხალხური 	
---	--

<p>სიბრძნე“ 1965:487].</p> <ul style="list-style-type: none"> • „თემ-თემად მოდის ლაშქარი, მოვა და მოიქცევის, უწყალოდ ყრია დაჭრილი, სისხლი არ დაიქცევისა, ღმერთმაესმოგვცასაზრდელად, თუ კაცი მოიქცევისა (შკა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:505]. • „თვალეზბრიალა, ავი ძუნძულეზს შიშისმგვრელი, ბეწვი რუხი და შავი აქვს, რა ჰქვია? (მგელი)“ [ექსპედიცია 2019]. • „თვალეზი ფრთხილად მიჭირავს, დაცვეტილი მაქვს ყურები, რაწამს გავიგებ მტრის მოსვლას, მოვკუცხლავ, გავემურები (კურდღელი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:473]. • „თვალთ უნახავი ყაჩალი, ცას ქვეშა ყველას ერევა, სახელმწიფო რომ დაედვას, ვერც ნახავს, ვერც მოერევა (სიკვდილი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:491]. • „თვალი აქვს და თავი არა, ძუა აქვს და კუდი არა (კიბო)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:483]. • „თვალი აქვს პატიოსანი, ხაზინას არ დაედება. ცეცხლისა ნაპერწკასა ჰგავს, აბედსაც არ მოედება (ციცინათელა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:485]. • „თვალში დიდი და ხელში არაფერი (ღრუბელი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:459]. • „თვალწინ მაქვს და ვერა ვხედავ (ცხვირი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:492]. • „თვინიერი, ცოტაც მორცხვი, წინ – ფიწალი, უკან – ცოცხი (ძროხა)“ [ექსპედიცია 2019]. • „თითი სვამს, ხბო იბერება (ტიკჭორა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:499]. • „თოთხმეტი დღე მეფობდა, მეთხუთმეტეს ავად გახდა, ოცდამერვეს მოკვდა და ისევ გაცოცხლდა (მთვარე)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:451]. • „თოკი სვამს და ტიკი იბერება“ (გოგრა) [ჯ. სონდულაშვილი 1991:95]. 	
--	--

<ul style="list-style-type: none"> • „თოკი სვამს, ხბო იბერება (ტიკჭორა)“ [ექსპედიცია 2019]. • „თორმეტმა არწივმა, ორმოცდარვა კაჭკაჭმა, სამას სამოცდახუთმა ჩიტმა ერთი კვერცხი დასდო (თვეები, კვირეები, დღეები, წელიწადი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:455]. • „თოფი ხისა, ტყვია წყლისა, ხეს ევა და ქვა გაიქცა“ (წისქვილი) [ჯ. სონლულაშვილი 1991:95]. • „თუ ადგება ცას აწვდება (გზა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:452]. • „თუ მოინდომა ხვრელიდან გველს გამოიყვანს გარეთ. ხან შაქარივით ტკბილია, ხან – დარიშხანზე მწარე (ენა)“ [ექსპედიცია 2019]. • „თუმცა ვყვავი სიმორცხვისგან, არ გინახავს ყვავილი, მაგრამ ბევრჯერ იტკბარუნებ პირს (ლელვი)“ [ექსპედიცია 2019]. • „თუმცა, თუმცა, სამჯერ თუმცა, კიდევ გეტყვი, გოგო ნუცა, მეხუთედაც მოგახსენებ, ვერც ახლა სცნობ, გოგო, თუმცა (ცა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:451]. • „თუმცა იგი შენ გეკუთვნის, რაზეც გეკითხები, მაგრამ შენზე უფრო მეტად ახსენებენ სხვები (სახელი)“ [ექსპედიცია 2019]. • „თუმცა მეფე არა მეჯია, არც ხმატკბილი მგოსანი, მომხიბლავი ჩიტუნა ვარ, ლამაზგვირგვინოსანი (ოფოფი)“ [ექსპედიცია 2019]. • „თუმცა სუსტი ციხე ვიყავ, მაგრამ ბევრი ჯარი მყავდა; როცა მტერმა დამანგრია ყველა ერთად დამეფანტა (საზამთრო)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:470]. • „თუმცა სუსტი ციხე ვიყავი, მაგრამ ბევრი ჯარი მყავდა, როცა მტერმა დამაქცია, ყველა ერთად გამეფანტა (ფუტკარი და სკა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:485]. 	
--	--

<ul style="list-style-type: none"> • „თხა და ძროხა დაძმობილდა ნემსის შუამავლობითა (ჩეჟმა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:494]. • „თხა და ხარი დაძმობილდნენ რკინის შუამავლობითა“ (ფეხსაცმელი) [ჯ. სონდულაშვილი 1991:95]. 	
<p>ო</p>	
<ul style="list-style-type: none"> • „იანო, ბიანო, ჩიბუხტარებიანო, დღე იმალებიანო, ღამე გამოდიანო (ვარსკვლავები)“ [ექსპედიცია 2019]. • „იანური, იანური, აბა დაჰკარ იანური. დღე და ღამე სულ სრიალებს, არ სწყინდება სიარული (საათის ისარი)“ [ექსპედიცია 2019]. • „იარაღია გრძელი, ერთი პირითა მჭრელი“ (ხმალი) [ჯ. სონდულაშვილი 1991:96]. • „იგი კაცი რა კაცია, ცხრაი ჩოხა რომ აცვია? (სიმინდის ტარო)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:471]. • „ითესება, იმარგლება, იწევა და არ იჭმევა (თამბაქო)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:466]. • „იკიკმაკური, სალაფერდუმი, გოჭკანტური (თოფის ჩახმახი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:511]. • „ისე არის ნათელი, არ სჭირდება სანთელი“ (დღე) [ჯ. სონდულაშვილი 1991:96]. • „ის ვინ არის: ორჯერ იბადება, გალობა იცის, არა ფასდება, როცა მოკვდება – არ იმარხება (მამალი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:478]. • „ის ვინ არის, რომ დილით მდიდრდება, საღამოთი ღარიბდება? (მენახირე)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:504]. • „ის ვინ არის, სულ არ არის, არც თავისთვის, არც სხვისთვისა, რასაც იშოვის ინახავს, იმ ერთი შავი დღისთვისა, გადაბრუნდება, მოკვდება, დარჩება ემზაკისათვისა (ძუნწი კაცი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:492]. • „ის რა არის, წყალში ჩააგდებ არ სველდება, ცეცხლში არ დაიწვება, ხმელეთზე იწყვერება 	<ul style="list-style-type: none"> • „ითაახუ, მინაახუ, მიირვიე დო მიკოკუნი“ – [ქვემოდან რომ] აფარია, [ზემოდან რომ აფარია, მირბის და მიკოხტაობს (ქათამი) [ექსპედიცია 2019]. • „იკირთ ჯიკუტიაქ, ქუცუ ჭიკიჭიტიიაქ. – წაიქცა ჯირკი, დაესია ჭიანჭველა. (ღორი და გოჭები)“ [კ. დანელია 1991:466]. • „ირთანსუ დო სქიბუ ვარე, ჭურჭულანს დო ჩიტი ვარე“ – ტრიალებს და დოლაბი არ არის, ჭიკიკებს და ჩიტი არ არის (საათი) [ექსპედიცია 2019]. • „ირო ქოუხვენთქუანდე, დღას ვე გიოდოხოდ. – რამდენიც უნდა ურტყა, არ დაემჩნევა. (წყალი)“ [კ. დანელია 1991:467]. • „იქიქინე – ისვირთინე, ჟერი წყურგილი თიშ იქილე, უკული დიდი მინდორი რე, თიში იქილე დიდი ტყა რე, თექი მიშექვაჩალგნი თინა მუ რე? – გაპობილს (და) გრძელის იქით ორი წყაროა, შემდეგ დიდი მინდორია, იმის იქით დიდი ტყეა, იქ რომ შრიალებს, ის რაა? (პირი, ცხვირი, თვალები, მუბლი, თმა)“ [კ. დანელია 1991:467]. • „იშო, დიხა, სი ფიხალი სი დიჭვი დო სი დიხალი, სი დიხაში ონხორალი.

<p>(<i>მზე</i>)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:450].</p> <ul style="list-style-type: none"> • „ის რა მხედარია, ცხენზე ზის და ფეხები ყურებზე აქვს დაწყობილი (<i>სათვალე</i>)“ [ექსპედიცია 2019]. • „ის რომელი ცხოველია, ჩუმად რომ დაიარება, კატის კნავილს თუ გაიგებს, იმწამსვე დაიმალება (<i>თავგი</i>)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:473]. • „ის ცალფეხა კაცუნა, იბადება ტყეში, თავზე ქოლგა ახურავს, უყვარს წვიმა თქეში (<i>სოკო</i>)“ [ექსპედიცია 2019]. • „იქით გორას ქორი კივის, აქეთ გორას შევარდენი, შუა ხოხობ ჩამოტირის:—მაგათ ხელში ჩავვარები. მომკვლენ, აღარც-კი შემჭამენ, სახმელეთოდ დავვარდება (<i>წისქვილის ქეები და მარცვლები</i>)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:507]. • „იქით გორი, აქეთ გორი, შუა იწვართება ლომი“ (<i>ცომი</i>) [ჯ. სონლულაშვილი 1991:96]. • „იქნებ წამში მიმიხვდე, არ დაგჭირდეს წვალება: დღისით ცალთვალაა და ღამით – ათასთვალება (<i>ცა</i>)“ [ექსპედიცია 2019]. • „იფიქრე და გამოიცნობ, რა ვარ ანდა ვინა ვარ: გამტყორცნე და ჩვესობი მტრის გულის განსაგმირავად (<i>ისარი</i>)“ [ექსპედიცია 2019]. • „იქ, ჰორიზონტზე რომ მოჩანს იმ შორეული მთებიდან, თეთრი არწივი აფრინდა, ფართოდ გაშალა ფრთები და შავი არწივი იფრინა და გამოცლილი ყანწივით ტრამალზე გადაისროლა ის შავფრთიანი არწივი (<i>დღე</i>)“ [ექსპედიცია 2019]. • „იღება კარი, შემოდის ქალი, თეთრი ნარ-ნარი, ცივი, ლამაზი (<i>თოვლი</i>)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:456]. • „იჭრება, იჩეხება, მაგიდაზე იდება და არ იჭმევა (<i>კარტი</i>)“ [ექსპედიცია 2019]. • „იხარშება და არ იჭმევა (<i>დაფნის ფოთილი</i>)“ [ექსპედიცია 2019]. 	<ul style="list-style-type: none"> • – იქით, მიწავ, შე ფიხალო, შენ დაიწვი და დაიდაგე, შენ მიწაში ჩასათხრელო. (<i>ქვევრი</i>)“ [კ. დანელია 1991:470]. • „იშო მეურც მეხიცალო, აშო მეურც ლეხიცალო, წყარიში ინანთხეფიცალო. – იქით მიდის მეხივით, აქეთ მოდის ავადმყოფივით, – წყალში ჩავარდნილივით. (<i>ყვერული</i>)“ [კ. დანელია 1991:466]. • „იშქი-ფიშქინე, გადავარდინე, მოუქანჩე დო ქოვოტაკინე. – გადავარდინე, მოვსწიე და დავატაკე. (<i>საქსოვი</i>)“ [კ. დანელია 1991:470].
---	--

<ul style="list-style-type: none"> • „იხვი – წყალში, კუდი – ცაში (ცისარტყელა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:460]. 	
<p>3</p>	
<ul style="list-style-type: none"> • „კაბად იქსოვს ბადეს, ბუზებს უგებს მახეს“ (ობობა) [ჯ. სონღულაშვილი 1991:96]. • „კავკავ ლობეს ხელი შევყავ, კაპასმა ძაღლმა მიკბინა (ჭინჭარი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:463]. • „კაკალივით მრგვალია, ნათელი და ძალია“ (თვალი) [ჯ. სონღულაშვილი 1991:96]. • „კამსი, კუმსი, კამსარასა, ნადირობს და სჭამს არასა (თოფი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:511]. • „კარს უკან წირპლიანი ბებერი ჩიფჩიფებს (კორკოტი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:502]. • „კატა კლანჭებით ჰკიდია (კალათა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:498]. • „კაცზე – მაღალი, სკამზე – დაბალი“ (ქუდი) [ჯ. სონღულაშვილი 1991:96]. • „კაცი თეთრ კაცს ჰკლავს; ცხვარი არ ტირის, კაცი ტირის“ (ხახვი) [ჯ. სონღულაშვილი 1991:96]. • „კაცმა თქვა და ღმერთმა ბრძანა: მდევეს დავადგათ უნაგირი; არცა უნდა თივა-ქერი, არცა ლაგამ-უნაგირი“ (ხიდი) [ჯ. სონღულაშვილი 1991:96]. • „კაცმა თქვა და ღმერთმა ბრძანა: მდევეს დავადგათ უნაგირი; ვაი თუ მდევი გაიპაროს, თან წაიღოს უნაგირი“ (ტივი) [ჯ. სონღულაშვილი 1991:96]. • „კაცს ერთი აქვს, ქალს – ორი (გვარი)“ [ექსპედიცია 2019]. • „კაცზე მაღალი, ქუდზე დაბალი (თმა)“ [ექსპედიცია 2019]. • „კაცზე მაღალი, ღორზე დაბალი (ქუდი)“ [ექსპედიცია 2019]. • „კაჭკაჭმა ნაჭახჭახევმა, გასჭრა მზენი და მთვარენი, იმისმა მამიდაშვილმა ზედ მოაკერა ფარენი (მაკრატელი, ნემსი და ძაფი)“ 	<ul style="list-style-type: none"> • „კატუ ზღვას ელახე, პირჯვარს იწერს, თიში ნარაგადის ირკოჩი იჯერს. – კატა ზღვის (ნაპირზე) ზის, პირჯვარს იწერს, იმის ნათქვამს ყველა იჯერებს. (სასწორი)“ [კ. დანელია 1991:464]. • „კატუში უდაბალაში, კოჩიში უმაღალაში. – კატაზე დაბალი, კაცზე მაღალი. (ქუდი)“ [კ. დანელია 1991:466]. • „კოჩიში უმაღალაში, ლეჯიში უდაბალაში. – კაცზე მაღალი, ღორზე დაბალი. (ქუდი)“ [კ. დანელია 1991:466]. • „კუსაანს დო მუთუნ ვააჭუ, გორუნს დო მუთუნ ვადინაფუ“ – კვენესის და არაფერი არ ტკივა, ეძებს და არაფერი არ დაჰკარგვია (ღორი) [ექსპედიცია 2019]. • „კუჩხი ვაჩანს – გილუურცუ, ფსუა ჩანც დო ვაფურინე. – ფეხი არა აქვს – დადის, ფრთა აქვს და – ვერ ფრენს. (თევზი)“ [კ. დანელია 1991:469].

<p>[„ხალხური სიბრძნე“ 1965:508].</p> <ul style="list-style-type: none"> • „კბილები აქვს, მაგრამ ჭამა არ შეუძლია (ხერხი)“ [ექსპედიცია 2019]. • „კედელზე კიდია და რახრახებს (მოტოციკლეტი)“ [ექსპედიცია 2019]. • „კედელი გავარღვიე, შიგნეული ვჭამე, კენჭები კი გადავყარე (საზამთრო)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:470]. • „კვერცხსა სდებს – ქათამი არ არის; ბალახს სძოვს – ძროხა არ არის; წყალშია – თევზი არ არის“ (კუ) [ჯ. სონღულაშვილი 1991:96]. • „კვერცხსა დებს, ქათამი არ არის (კუ)“ [ექსპედიცია 2019]. • „კვნესის არა სტკივა რა; ეძებს, არა დაჰკარგვია რა“ (ღორი) [ჯ. სონღულაშვილი 1991:96]. • „კვიის, კვიის კივოსანი, თავს დასძახის თათარხანი: – ადე, ბულბულ, გაიხედე, მოდიან თუ არსად არი (წისქვილი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:507]. • „კიკი-კიკი, კიკი-ვაშლი, ზედ ასხია წვრილი ვაშლი, არც იჭმევა, არც ისმევა, არცა ზედა გაისვლება (ვარსკვლავები)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:450]. • „კიკლი, კიკლი, კიბესაო, როსტომიანთ ციხესაო; ზედ კურდღელი შემომჯდარა, აწკაპუნებს კბილებსაო“ (ზარი) [ჯ. სონღულაშვილი 1991:96]. • „კიკლი-კიკლი კიბესაო, ხორასტულა ციხესაო, იქ რომ ლომი ბრდღვინავდა, ნაჟინულები ცვიოდა (ელვა და ქუხილი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:455]. • „კიკნა, კიკნა კიბესაო, ზურმუხტების ციხესაო, ზევით დათვი ყვიროდაო, ქვეშ ბალანი ცვიოდაო (საჩეჩელი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:506]. • „კიკნი, კიკნი კიბესა, ზემოთ ხტიან ციხესა, აწკარუნებს კბილებსა (ზარი)“ [ექსპედიცია 	
--	--

<p>2019].</p> <ul style="list-style-type: none"> • „კიჭი, კიჭი, კიჭინასო, მკვდარს ცოცხალი მიჭირავსო, ღმერთო, ჰკითხე კიჭინასო, რა უბრალოდ მიჭირავსო (ზორკილი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:510]. • „კლდეზე აპეურები ჰკიდია (ქალის ნაწნავები)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:491]. • „კლდეზე ორი კოკა აყუდია (ბუძულები)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:492]. • „კლდეზე სანთლები ანთია (თვალეები)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:588]. • „კლდეზე ცალფეხა სახლი მიდგა (სოკო)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:464]. • „კოლო-ბუზთა საძულველი მწერი არის სისხლისმსმელი, კოლო-ბუზის დასაჭერად გაბმული აქვს წვრილი ქსელი (ობობა)“ • „კოჭდაბალს და გაბერილსა ტანთ ჩაუცვამს ასი კაბა (კომბოსტო)“ [ექსპედიცია 2019]. • „კუბოს ფიცარს ვაგლიჯავთ, გულსა ვჭამთ, თანა ვაფურთხებთ (მზესუმზირა)“ [ექსპედიცია 2019]. • „კუდი მოკლე, ყური გრძელი, უყვარს დილა ნამით სველი, ჩავარდება განსაცდელში, არავინ ყავს მშველელი (კურდღელი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:473]. • „კუდმოწყვეტილ მელას ქვეყანა წინ გადუდგა და ვერავინ დაიჭირა (ტყვია)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:511]. • „კუზიანს ბარგი ავკიდე, ჭიჭიკავ კარი გამიღე (კოვზი და პირი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:498]. • „კუნტა პაპას წამოუსხამს თავის ძველი ახალუხი, ქვევით მიაქვს რახარუხი (ქუხილი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:459]. • „კუნწულებად ხეებზე ბრწყინავს როგორც ლალი, ზოგან წითლად მწიფდება, ზოგან შავიც არის. აბა კარგად დაფიქრდი, თქვი რა ქვია (ბალი)“ [ექსპედიცია 2019]. 	
--	--

<ul style="list-style-type: none"> „კუტი მამა, მარგალიტი დედა და გიჟი შვილი (ვაზი, ყურძენი და ღვინო)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:465]. 	
ლ	
<ul style="list-style-type: none"> „ლალისფერად აყვავდება, ხელს უჭირავს ლამაზიო; ვერ გამოსჭრის კარგი მჭრელი, ვერ შეკერავს ხარაზიო“ (ჭიქა) [ჯ. სონდულაშვილი 1991:96]. „ლურჯი აბრეშუმის სარკმლისაკენ მიიწევს“ (ბოლი) [ჯ. სონდულაშვილი 1991:96]. 	<ul style="list-style-type: none"> „ლენჩეთიშე ლენჩიქ მორთუ, ვაშუნს, ვაჭკუნს დო ღვინს არწყენს. – ლენჩეთიდან ლენჩი მოვიდა, არ სვამს, არ ჭამს და ღვინოს არწყევს. (წურბელი)“ [კ. დანელია 1991:464].
მ	
<ul style="list-style-type: none"> „მალენ, მალენ, მალენი, კაცნი ჩიბუხტარენი. დღისით გარეთ არ გამოვლენ, ღამე შინ არ შემოვლენ (ვარსკვლავები)“ [ექსპედიცია 2019]. „მამა არ დაბადებულა, შვილი ქალაქს მიდიოდა (კომლი)“ [ექსპედიცია 2019]. „მამა – დაგრეხილი, დედა – დაწყლეტილი, შვილი – გადარეული“ (ღვინო) [ჯ. სონდულაშვილი 1991:97]. „მამა კოჭლი, დედა ბრუციანი, შვილი ფეთიანი (ღვინო)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:471]. „მამა – მიგრეხილ-მოგრეხილი, დედა – არც თუ ნაზი, შვილი – სულ გადარეული, თქვი რა ქვია (ვაზი)“ [ექსპედიცია 2019]. „მანჭიას და მიმბამველს მხიარული აქვს ბუნება, ზოოპარკში რომ მივდივართ, გვიყვარს იმისი ყურება (მაიმუნი)“ [ექსპედიცია 2019]. „მარად მწვანე ბუჩქი არის, ხის ტოტზე ზის არხენად, იმ ხეს სისხლი ამოსწოვა, გაჩენის დღე აწყევლინა. არც ფოთოლი შეარჩინა, არც ნაყოფი ახეირა (ფითრი)“ [ექსპედიცია 2019]. „მასხარაშვილთ ქალი ვიყავ, მაჭარაშვილის პატარძალი; კამის, კუმის კაბა მეცვა, ღილი მქონდა ასი ცალი (ყურძენი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:472]. 	<ul style="list-style-type: none"> „მა დო სი, დო სუმი კოჩი, სუმიშას ვითოხუთი კოჩი, ჟაარნეჩი დო ვითი კოჩი – მუზგმა რენი, ქვგათქვენ და, სი იყუაფუქ ჯგირი კოჩი. – მე და შენ და სამი კაცი, სამჯერ თხუთმეტი კაცი, ორმოცდაათი კაცი – რამდენი იქნება, თუ იტყვი, შენ იქნები კარგი კაცი. (ასი)“ [კ. დანელია 1991:465]. „მეღე-მოღე დუდამი. – ორივე მხრიდან თავიანი. (მუთაქა)“ [კ. დანელია 1991:466]. „მეურს დო კინი იჯინე. – მიდის და უკან იხედება. (რქა)“ [კ. დანელია 1991:471]. „მეურს დო ნაქური ვამიოხე. – მიდის და ნაფეხური არ ჩანს. (ნავი, გემი)“ [კ. დანელია 1991:471]. „მეურს დო უკახე იჯინე“ – მიდის და უკან იყურება (თხის რქა) [ექსპედიცია 2019]. „მეურსი დო მეღობუნც. – მიდის და მიღობავს. (ნემსი)“ [კ. დანელია 1991:468]. „მეურს დო მიპალურუ, ქემეურს დო ქიმკალურუ“ – მიდის და მიპალურობს, მივა და

<ul style="list-style-type: none"> • „მაღალ სერზე გამდგარიყო დიდი უზუმბერა, კუდით პირჯვარსა იწერდა, ღმერთმა არ უშველა (ცხენი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:476]. • „მაღლა ბატი ტრიალებს, ძირს ბუმბუი ფრიალებს (საჩეჩელი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:509]. • „მაღლა დადის საქსოვართა, დაბლა დადის საცოცართა (ობობა)“ [ექსპედიცია 2019]. • „მაღლა დახტის ცხენივითა, იკბინება, არ წივისო, მისი ხორცი არ იჭმება, როგორც კვერცხი არწივისო (რწყილი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:484]. • „მაღლა ერთი, დაბლა ოთხი, უკან კიდევ ბევრი მრავალი (მიცვალებული და გამსვენებლები)“ [ექსპედიცია 2019]. • „მაღლა ვარ, ფეხნი ძირს მისხენ, ვარსკვლავთა ვემუდარები, მწარე ვარ შესახედავად, გულით – მზეს გავედარები (კაკალი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:502]. • „მაღლა ვზივარ ბაქანზედა, წვერი მცვივა კალათზედა (საჩეჩელი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:508]. • „მაღლა ვზივარ თახჩაშია, წვერი მცვივა კალთაშია“ (საჩეჩელი) [ჯ. სონდულაშვილი 1991:97]. • „მაღლა კიდობანი შევკარ აკნისაო, ბაკნისაო; კურტუმები ჩავალაგე ციკნისა და ბატკნისაო“ (ბროწყელი) [ჯ. სონდულაშვილი 1991:97]. • „მაღლა მთაზე ტყეა ერთი, ჯერ შავია, მერე – თეთრი“ (თმა) [ჯ. სონდულაშვილი 1991:97]. • „მაღლა ცამან მოიწმინდა, მოისკამურ-სკამურაო. ძირს მელიამ ფეხი ჩაჰკრა, ჩაჰკრა, ჩააწკარუნაო (ყინვა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:460]. • „მაღლიდანა წამოვიდა... ვაი, დედა, ქუდი, ჩაჩი!“ (კაკალი) [ჯ. სონდულაშვილი 1991:97]. • „მაღლიდანა წამოვიდა თავში გიშით 	<p>მიაკვდება (წისქვილი) [ექსპედიცია 2019].</p> <ul style="list-style-type: none"> • „მეურს, მეურს, მიპალურუ, ქიმეურს დო ქიმკალურუ. – მიდის, მიდის მიპალურობს, რომ მივა და – მიაკვდება. (წყალი და წისქვილის ბორბალი)“ [კ. დანელია 1991:467]. • „მეურს, მოურს, არდგირს გერე“ – მიდის, მოდის, ადგილზე დგას (კარი) [ექსპედიცია 2019]. • „მეურს, მოურს თექი გერე. – მიდის, მოდის იქვე დგას. (კარი)“ [კ. დანელია 1991:465]. • „მეურც დო მეჭარუნც. – მიდის და წერს. (ლოკოკინა)“ [კ. დანელია 1991:469]. • „მიშუშია, მიშუშია! მიშუშიას – მირკენჭია; მირკენჭიას – მიშვიტია; მიშვიტიას – მიფაფია; მიფაფიას – მინდორია; მინდორიას – ფარონი მატრბაია“ (პირსახე) [ი. ყიფშიძე 1914:388]. • „მოვდირიკი ცა, მოვკორობი მურიცხეფი. – მოვდრიკე ცა, მოვკრიფე ვარსკვლავები. (თხილი)“ [კ. დანელია 1991:469]. • „მოიზოჯუ პატონიცალო, მიდაძაგვე ჯოლორიცალო. – ბატონივით მობრძანებულხარ, ძალივით წაძუნძულდი. (თოვლი)“ [კ. დანელია 1991:467].
---	---

<p>გიშერაო, იყრეინა ტყავ-ნაბადი გამოვარდა მიშველაო“ (კაკალი) [ჯ. სონდულაშვილი 1991:97].</p> <ul style="list-style-type: none"> • „მალლიდანა წამოვიდა კუდმოჭრილი მელა, ქვეყანა იმას დაედვა, ვერვინ შუაჩერა (მეხი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:457]. • „მალლიდანა წამოვიდა მაიშხუმი, შხამარა, დაბლიდანა მიეგება მისკუმის კამარა“ (წვიმა) [ჯ. სონდულაშვილი 1991:97]. • „მალლიდანა წამოვიდა, ნაბადმა ვერ დამფარაო, დამასველა ფეხებამდე, მიტხარ რაა, მასხარაო? (წვიმა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:460]. • „მალლიდანა წამოვიდა უთვალავი ბჟირივითა, ნაყოფი მიწას დააგო, შემოგვიხტა ჭირივითა, ვხედავდით და ვერ ვშველოდით, ყველა დაგვსვა ტირილითა (სეტყვა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:457]. • „მალლიდანა წამოვიდა, შავითა და ბნელითაო, ზოგსა გული შეუწუხდა, ზოგი ელის ლხენითაო (ღრუბელი და წვიმა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:459]. • „მალლითა რომ აიხედავ, დაინახავ მწვანესა, ხოლო რომ ჩამოიხედავ, დაინახავ ყვითელსა (ფოთოლი გაზაფხულზე და შემოდგომაზე)“ [ექსპედიცია 2019]. • „მე ჩემი ნიყვი, ბატონის კარს ვიყვი, ნიყვი შინ შევიპატოჟეს, მე კი დავრჩი ბრიყვი. აცან ნიყო, მე რა გიყო, თავი ცეცხლშია წაგიყო (სიმინდის ტარო)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:471]. • „მივა, მოვა ქარავანი, არ უცვება ქალამანი (ჭიანჭველა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:485]. • „მიიწმინდა, მოიწმინდა მიისკილისკამურაო, ქვევით მელიყური ყარა, ჩაითხელითხამურაო (ქვეერი და ღვინო)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:500]. • „მირბის მელა, მისდევს ძერა (ნემსი და ძაფი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:509]. 	
--	--

<ul style="list-style-type: none"> • „მირბის, მიჰქროლავს უჩინრად, მიჰკივის, როგორც მთვრალია, კლდეებზე დადის უვნებლად, ვერ შეაყენებს წყალია, იმისი წესი ეს არის, მოხვედრა თქვენი ვალია (ქარი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:458]. • „მიწაზე რკინა, რკინაზე ძვალი, ძვალზე ხორცი, ხორცზე ტყავი, ტყავზე ხე, ხეზე ბალიში, ბალიშზე კაცი, კაცზე ქუდი (ცხენი, მხედარი და უნაგირი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:476]. • „მიწაში დავიბადე, ცეცხლში მოვინათლე, წყალში ჩავვარდი – მთლად დავიკარგე (მარლი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:502]. • „მიწაში ცხოვრობს, მიწას თხრის მთაში არის თუ ბარშია. ფრთხილი, მშიშარა, მსუქანი, გოჭს რომ ჩამოჰგავს რა ჰქვია? (მაჩვი)“ [ექსპედიცია 2019]. • „მგონი გამოიცნობ და ეს არც გასაკვირია: ღმერთს რომ ცეცხლი მოსტაცა, ის რომელი გმირია? (ამირანი)“ [ექსპედიცია 2019]. • „მგონი ყველა მისია, ქვეყნად ნემსი რაც კია. ზოგი მიწას მოჰფინა, ზოგიც ზედვე ასხია (ფიჭვი)“ [ექსპედიცია 2019]. • „მე აქაური არა ვარ, ცხელი ქვეყნიდან მოვედი. ტანი და ფეხი ერთი მაქვს, ხელეზად – მარაოები (პალმა)“ [ექსპედიცია 2019]. • „მე ვყვიროდი, იგი დუმდა, გავჩუმდი და ახმაურდა (ექო)“ [ექსპედიცია 2019]. • „მეც კი მაქვს, შენც კი გაქვს და გარუჯულ ჯირკსაც (ჩრდილი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:453]. • „მე ძმა მყავა შავი სახისა, არა ჩემი დედ-მამისა, ხან კვდება და ხან ცოცხლდება, არის სხვადასხვა ტანისა (ლანდი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:489]. • „მთაზე ჩამოწოლილა გავაზ-გავაზი გველიო, ჩამოხედავდა ჭალასა, ეგ არის ჩემი ველიო (ზვავი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:452]. 	
--	--

<ul style="list-style-type: none"> • „მთას გასცდა, ბარს გასცდა, წყალს ვერ გასცდა (თოვლი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:456]. • „მთას იქით კაცი მარხია, მთას აქეთ სუნი გადმოდის (ნიორი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:469]. • „მთაში დათვი ღლოფინობდა, ალუჩანა ყბას უქცევდა (წისქვილი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:507]. • „მიდის – კვალი არა რჩება, ჭრის – სისხლი არ დინდება, თლის – ნაფოტი არ ცვივა (ნაფი, წყალი და ნიჩაბი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:505]. • „მიდის, მიდის, მირაკლრაკებს მინდორს გავა, გაიშლება; ვინც იმას არ გამოიცნობს, სულ ჭკუიდან შეიშლება“ (ცხვარი) [ჯ. სონდულაშვილი 1991:97]. • „მიდის, მიდის, მირაკრაკებს, დადგება და გაიშლება (ცხვრის ფარა)“ [ექსპედიცია 2019]. • „მიდის მელა, მისტრევს ენა (კვერი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:504]. • „მიდის, მოდის გაბრიელი, არავინ ჰყავს მადლიელი (კარი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:495]. • „მიდის, მოდის, ისევ იქ დგას“ (კარი) [ჯ. სონდულაშვილი 1991:97]. • „მიდის, მოდის, იქვე კი დგას (კარი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:496]. • „მიდის, მოდის – კვალს არ აჩენს (ნაფი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:511]. • „მინამ დედამ შვილი შობა, შვილი ფეხმძიმედ იყო (კვერცხი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:501]. • „მინდვრიდან მოდიოდა დიდი უსარბელა, თავი ბურბუშელა, ფეხი კუნტრუშელა, დაიჩოქებს, კაცს შეისვამს, ზურგი კოკომელა (აქლემი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:472]. • „მინდორ-მინდორ მოდიოდა ერთი 	
---	--

<p>უსურბელა, თავი ბურბუშელა, ფეხი კუნტრუშელა. დაიზუკებს კაცს შეისვამს, ზურგი კორკოშელა (<i>აქლემი</i>)“ [ექსპედიცია 2019].</p> <ul style="list-style-type: none"> • „მისი გაცნობა შენთვისაც მსურდა ამდენი ხანია... დედა არის თუ მამაა, ორივე წვეროსანია (<i>თხა</i>)“ [ექსპედიცია 2019]. • „მიწას იყო და ქვაა, წითელიცაა თეთრიც. მარტო არ უყვარს ყოფნა, მოყვასის ძმობას ცემობს. ეხუტებიან ერთურთს და მიიწევენ ზემოთ (<i>ქუდი</i>)“ [ექსპედიცია 2019]. • „მიწაში ცხოვრობს, მიწას ჭამს, საკვებს არავის ართმევს. გაჭრი და ორად იქცევა თუ გადაურჩა ქათმებს (<i>ჭიაყელა</i>)“ [ექსპედიცია 2019]. • „მიწის გულში ცხოვრობს ცოლითა და შვილით. მემადაროეა სახელმობვეჭილი (<i>თხუნელა</i>)“ [ექსპედიცია 2019]. • „მიწის შესაჭმელი მგლის შესაჭმელს მიჰყავს (<i>კაცი და ცხენი</i>)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:489]. • „მკვახეს შევჭამ – დაგახრჩობ, მწიფე წამლად დაგედები (<i>ზია</i>)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:465]. • „მკვახეს ჭამენ, მწიფეს – არა (<i>კიტრი</i>)“ [ექსპედიცია 2019]. • „მკვახეს ჭამენ, მწიფეს – არა. ეტანება დიდ-პატარა (<i>კიტრი</i>)“ [ექსპედიცია 2019]. • მკვდარია და ცოცხალია (<i>თესლი</i>)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:466]. • „მკვდარია, ჰყავს ორი, ქვეყანას კვებავს (<i>ულელი და ორი ხარი</i>)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:474]. • „მკვდარი ცოცხალს იჭერს (<i>მახე</i>)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:505]. • „მკვდარი ცოცხალს მთარბენინებს (<i>ფეხსაცმელი</i>)“ [ექსპედიცია 2019]. • „მკვდარსა ვჭამ და კუბოსა ვყრი“ 	
---	--

<p>(<i>მზესუმზირა</i>) [ჯ. სონღულაშვილი 1991:97].</p> <ul style="list-style-type: none"> • „მკვდარსა ვჭამ და კუბოს ვაგდებ (<i>მზესუმზირა</i>)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:467]. • „მობრძანდება ბეგსავითა, წაეთრევა ძალსავითა (<i>ზამთარი</i>)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:454]. • „მოდგა და მოდგა ლაშქარი, მოდგა და მოიყარაო, უომრად სისხლმა იდინა, უჩხუბრად გაიყარაო (<i>წურბელა</i>)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:485]. • „მოდი, ბიჭო, დავიძინოთ, ხუჭუ-ხუჭუ ვქნათო, ბანჯგვლიანი-ბუნჯგვლიანი ერთმანეთსა ვკრათო“ (<i>წამწამები</i>) [ჯ. სონღულაშვილი 1991:97]. • „მოვა ქაჯსავითა, დაჯდება მეფესავითა, წავა წყალსავითა (<i>თოვლი</i>)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:456]. • „მოვდივარ მომელოდიან, მოვალ და მემალეებიან (<i>წვიმა</i>)“ [ექსპედიცია 2019]. • „მოველ, ჯოხი მივაყუდე კარსა ვენახისასაო; მოსულიყო მოეპარნა ქალსა ეშმაკისასაო“ (<i>ზრდილი</i>) [ჯ. სონღულაშვილი 1991:97]. • „მოვიდა შავი მოზვერი, წაიქცა მთელი სოფელი (<i>ღამე</i>)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:454]. • „მოვიდა თეთრი მოზვერი, გააგდო შავი მოზვერი“ (<i>დღე და ღამე</i>) [ჯ. სონღულაშვილი 1991:97]. • „მრგვალი ვარ და კუზიანი, გარს მასხია მცველებია, თუ რამე ჯავრი შემხვდა, წყალში ვცურავ, ვსველდებია (<i>თვალეები</i>)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:488]. • „მრგვალი ხე და ტყავია, ჯოხით დასაკრავია“ (<i>დოლი</i>) [ჯ. სონღულაშვილი 1991:97]. • „მსოფლიოს გასწვდა და ქვეყანას არ ეყო“ (<i>ფული</i>) [ჯ. სონღულაშვილი 1991:97]. • „მუშა ვარ დაულაღვი, მძიმე ნაბიჯით 	
---	--

<p>დავალო, უსმელ-უჭმელი საქმეზე რა წამსაც გინდა, მზა ვარო. გულში თუ ვიგრძნე წრიპინი დაუკეცავი გზა ვარო (საათი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:512].</p> <ul style="list-style-type: none"> • „მუცლიდანა ჭამს, ზურგიდანა ყრის (სალაშინი)“ [ექსპედიცია 2019]. • „მუხა ნათე ლაშაფლა, ენაძვირ-მოლაპარაკე. ხელმწიფე ლამაზად ვნახე (მუხა, თელა, ნაძვი და წიფელა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:462]. • „მშრომელი ავი, ნაშრომი ტკბილი, ცეცხლი მოედო, მიილტვის ზეცას (ფუტკარი, თაფლი და სანთელი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:484]. • „მცირე ბელელში ასი ხანძარი ძევს (ასანთი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:495]. • „მწვანე ზღვა, წითელი წყალი, შიგ შავი თევზები (საზამთრო)“ [ექსპედიცია 2019]. 	
<p>6</p>	
<ul style="list-style-type: none"> • „ნაირფერი კაბები მაქვს, მამკობს ნაზი ფრთები; გაზაფხულის ყვავილების სურნელებით ვტკბები; დილის მზეზე ვიბადები და ბინდისას ვკვდები (პეპელა)“ [ექსპედიცია 2019]. • „ნახშირის ნათესავი ვარ, მაგრამ თვისებით სხვა ვარ: ვარ ყველა ქვაზე მაგარი, ტანაც ძვირფასი ქვა ვარ (ალმასი)“ [ექსპედიცია 2019]. • „ნეტა რა არის მისთანა, ამომავალი მზისთანა, წყალში რომ ფეხი უდგია იმ ოქროს ჩარდახისთანა (ცისარტყელა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:460]. • „ნეტა რა ღმერთმან დაბადა და ჩვენთვის სარჩოდ ინება: მუდამ რბის და არა დგბეა, არც რბენა მოეწყინება, წყალი აქვს, მაგრამ არა სვამს, თავს მტვერი დაედინება (წისკვილი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:507]. • „ნორჩი იყო – მივირთმევედი თავის მწვანე კაბიანად. გახმა, კაბა გავხადე და ეზო დამინაგვიანა. ვხარშე, ვხარშე, ძლივს 	<ul style="list-style-type: none"> • „ნიჩვი მეჭვირი კუნთხუშა მირულე. – ცხვირმოძწვარი კუთხისკენ გარბის. (კოვზი)“ [კ. დანელია 1991:466].

<p>მოგზარზე, რა ჰქვიან და რა ჰქვიანა (ლობიო)“ [ექსპედიცია 2019].</p>	
<p>ო</p>	
<ul style="list-style-type: none"> • „ოდენი ოდენის ოდენა, თავი აქვს გოდრის ოდენა, ფეხი უგავს ძუკხა ძაღლსა, ხმაც აქვს მერცხლის ოდენა (კულა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:498]. • „ოთლო-თოთლო, ოთხო ბოძო, ზევით მთაო სათიბაო, ქვევით წყარო სადინარო (ცხვარი)“ [ექსპედიცია 2019]. • „ოთლო, თოთლო, ფეხბაკუკა, თავქარქაშა (ზაყაყი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:481]. • „ოთხთა ძმათა ტანით ტოლთა თავზედ ხურავთ ერთი ქუდი“ (მაგიდა) [ჯ. სონლულაშვილი 1991:97]. • „ოთხი – აბრა, ოთხი – დაბრა, ოთხი – იმის ამყოლიო; მაგრა ყავდეს, კარგა ყავდეს, არ წაიქცეს პატრონიო“ (სახლი) [ჯ. სონლულაშვილი 1991:97]. • „ოთხი ასოთი დასწერე ხმელი ბალახის სახელი (თივა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:466]. • „ოთხი დანია, ჩადიან, ჩაიმღერიან ჩარბასა“ (ძროხის ძუძუები) [ჯ. სონლულაშვილი 1991:98]. • „ოთხი – ოქრო, ოთხი – ვერცხლი, ოთხი – ბოლო დროს რკინაო; ამის გამომცნობი კაცი აბა, წამოდგეს წინაო; ან ჩამოასხი ხელადა, ან დამპატიჟე შინაო.“ (თვეები) [ჯ. სონლულაშვილი 1991:98]. • „ოთხ კაცს ერთი ქუდი ახურავს (მაგიდა)“ [ექსპედიცია 2019]. • „ოთხკუთხედი და რქები აქვს (ძველებური ანტენიანი ტელევიზორი)“ [ექსპედიცია 2019]. • „ოთხ ძმას ერთი ქუდი ხურავს (მაგიდა)“ [ექსპედიცია 2019]. • „ოთხი ძმანი არიან, ერთ ქვაბში ჩაიმღერიან“ 	<ul style="list-style-type: none"> • „ოთხი ჯიმა კოც ართი სამარეშა დუდი ონუჭოფუ. – ოთხ ძმაკაცს ერთ სამარეში აქვთ თავი ჩაყოფილი. (ძროხის ძუძუები და კათხა)“ [კ. დანელია 1991:470]. • „ოთხი ჯიმაღენს ართი ქუდი გოთუნა. – ოთხ ძმას ერთი ქუდი ახურავს. (მაგიდა)“ [კ. დანელია 1991:466]. • „ოთხი ჯიმაღეფი ართი ოთახუს მთარენა დო ართიანს ვაარწყენა“ – ოთხი ძმა ერთ ოთახში ცხოვრობენ და ერთმანეთს ვერ ხედავენ (ნიგვზის გული) [ექსპედიცია 2019]. • „ორბი, ორბი კვარკვანტია, ორბიში კუდელი ანარკია. – ორბი, ორბი ბურთივითა, ორბის კუდი ანაკლიაში. (მზე და მისი სხივები)“ [კ. დანელია 1991:468]. • „ოში ქილა ლაიტი ქოჩე, ვემკიდვანც ქონც. ჟიროშ მათრახი გაიშქვენი ვადუვალუანს თოლს. – ასი ფუთი სიმინდი რომ აჭამო, ქონს არ მოიკიდებს, ორასი მათრახი რომ დაჰკრა, თვალს არ დაახამხამებს. (ზღაპარი)“ [კ. დანელია 1991:469]. • „ოშუმალი ულუ, ოჭკუმალი ულუ, ვაშუნს დო ვაჭკუმუნს. – სასმელი აქვს, საჭმელი აქვს, არ სვამს და არ ჭამს. (საჭმლის შესანახი განჯინა)“ [კ. დანელია 1991:464]. • „ოჭუმარეს ოთხი კუჩხით გილურც, ონდღეს – ჟირით, ონჯუას – სუმით. – დილით ოთხი ფეხით დადის,

<p><i>(ძროხის ძუძუები)</i> [ჯ. სონლულაშვილი 1991:98].</p> <ul style="list-style-type: none"> • „ოთხნი აგებენ ციხესა, მეხუთე ზედ იარება <i>(წინდის ჩხირები)</i>“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:510]. • „ოთხნი არიან, ტოლნი არიან, ერთად ჩადიან, ჩაიმღერიან <i>(ძროხის ძუძუები)</i>“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:476]. • „ოთხნი არიან, ძმანი არიან, ბაღჩას ჩადიან, ჩაიმღერიან <i>(ძროხის ძუძუები და ვედრო)</i>“ [ექსპედიცია 2019]. • „ოთხო ბოძო, ზედადგარო, ქვევით წყაროვ, სადინარო, ზევით, ველო, სათიბველო“ <i>(ცხვარი)</i> [ჯ. სონლულაშვილი 1991:98]. • „ოთხფეხა და კარებჭრელი“ <i>(ღუმელი)</i> [ჯ. სონლულაშვილი 1991:98]. • „ორბი იჯდა ორასო, ფრთა გაშალა სამასო, ნისკარტი ჰკრა ოთხასო, კლდე გააპო ხუთასო“ <i>(გუთნეული)</i> [ჯ. სონლულაშვილი 1991:98]. • „ორბი-ორბი ორასი, ფრთა გაშალა სამასი, ნისკარტი სცხო ოთხასი, კლდე გააპო ხუთასი <i>(არწივი)</i>“ [ექსპედიცია 2019]. • „ორბო, ორბო, მშვენიერო, მხარბოლონი გშვენიანო; მამულეთით ჩამოხვედი, მუხლნი ჩამაგძვრებიანო“ <i>(პატარძალი)</i> [ჯ. სონლულაშვილი 1991:98]. • „ორ დედას ხუთ ხუთი შვილი ჰყავს“ <i>(ხელის თითები)</i> [ჯ. სონლულაშვილი 1991:98]. • „ორია ორის ოდენა, ლობიოს პარკის ოდენა, მაჭანკლობა შეუძლიან ორი ადამიანის ოდენა“ <i>(მაკრატელი)</i> [ჯ. სონლულაშვილი 1991:98]. • „ორი არენას, ოთხი კორენას, თორმეტი ყანჭაპურას, არცერთი კირკიტელას <i>(ძუძუები: 2 თხას, 4 ძროხას, 12 ღორს, ქათამს არცერთი)</i>“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:476]. • „ორი ბოსელი მაქვს და ერთი ბოძი აქვს“ 	<p>შუადღეს – ორით, საღამოს – სამით. <i>(კაცი)</i>“ [კ. დანელია 1991:471].</p> <ul style="list-style-type: none"> • „ოყოთესი, ქუა ვარდ, მაცოთამალი კოჩი ვარდ, ფსუამი დოჰვილეს დო ჩიტი ვარდ. – ისროლეს და ქვა არ იყო, მსროლელი კაცი არ იყო, ფრთიანი დაკლეს და ჩიტი არ იყო. <i>(ზადე და თევზი)</i>“ [კ. დანელია 1991:469-470]. • „ოყოთესი, ქუა ვა რდგ, მაცოთამალი კოჩი ვა რდგ, ფსუამი დოჰვილესგ დო ჩიტი ვა რდგ“ – ისროლეს – ქვა არ იყო, მსროლელი – კაცი არ იყო, ფრთიანი მოკლეს და ჩიტი არ იყო. <i>(საპონი, ქალი, თევზი)</i> [ი. ყიფშიძე 1914:388].
---	---

<p>(<i>ცხვირი</i>) [ჯ. სონღულაშვილი 1991:98].</p> <ul style="list-style-type: none"> • „ორი გორგალი მაქვს, სადამდინაც მინდა, იქამდე მივუწვდენ“ (<i>თვალეზი</i>) [ჯ. სონღულაშვილი 1991:98]. • „ორი თავი აქვს, ექვსი ფეხი აქვს, წელზე კული აზია (<i>სასწორი</i>)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:506]. • „ორი თოკი მაქვს და ყველასა სწვდება (<i>თვალეზი</i>)“ [ექსპედიცია 2019]. • „ორი – ოლოლსა, ოთხი – კოლოლსა, არც ერთი – აჩლატუნესა“ (<i>ძუძუები ძროხის, ცხვრის და არა აქვს ქათამს</i>) [ჯ. სონღულაშვილი 1991:98]. • „ორი ორბისოდენა, თავი კაკლისოდენა, შემოჰკრავს და დაიძახებს. მე ვარ ქვეყნისოდენა (<i>მამალი</i>)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:479]. • „ორი ორბიტონა, თავი გორგიტონა, ფეხები ციგას მიუგავს, ენა მერცხლიტონა (<i>ჯარა</i>)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:508]. • „ორი – ოროლასა, ოთხი – ტოროლასა, თორმეტი – დასტაღანსა, არცერთი – ყაზანდარსა (<i>ცხვრის, ძროხის, ღორის ძუძუები და ქათამს არ აქვს</i>)“ [ექსპედიცია 2019]. • „ორი – ონანასო, ოთხი – ჩაბარ კონასაო, არც ერთი კივილ – ბატსაო“ (<i>ძუძუები ცხვრის, ძროხის და არ აქვს ბატს</i>) [ჯ. სონღულაშვილი 1991:98]. • „ორია ორის ოდენა, ლობიოს პარკის ოდენა, მაჭანკლობა შეუძლიან ორი ადამიანის ოდენა“ (<i>მაკრატელი</i>) [ჯ. სონღულაშვილი 1991:98]. • „ორი სახლი და ერთი ბოძი (<i>ცხვირი</i>)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:492]. • „ორი სინი მაქვს, ერთმანეთის მოპირდაპირეა (<i>ცა და დედამიწა</i>)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:451]. 	
---	--

- „ორი ფრინველი არის ჩემთან, მინდა მივწვდე, დავიჭირო, ვერ დამიჭერია (ზოლი, ორთქლი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:495].
- „ორი ცხოვრობს მეზობლადა, ვერ ხედავენ ერთმანეთსა“ (თვალეზი) [ჯ. სონლულაშვილი 1991:98].
- „ორი ძმა ერთად მიდის, ერთმანეთს ვერ ხედავს“ (თვალეზი) [ჯ. სონლულაშვილი 1991:98].
- „ორი ძმა წყალს ჩასჩერებია, ერთიმეორეს უცქერიან და ერთმანეთს კი ვერ ეკარებიან (მდინარის ნაპირები)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:453].
- „ორი წვერი, ორი რგოლი, შუაშია ლურსმანი“ (მაკრატელი) [ჯ. სონლულაშვილი 1991:98].
- „ორი წვერო, ორი რკალი, შუაში ერთი ლურსმანი (მაკრატელი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:508].
- „ორი ხარი მყავს, ერთი ქედს იქით მიბია, ერთი — ქედს აქეთ (თვალეზი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:588].
- „ორი ხმიადი მაქვს – ერთი თბილია, ერთი ცივია (მზე და მთვარე)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:450].
- „ორმო ბნელი, შიგ მოზვერი, ძნელად მოსაბრუნებელი“ (ქარქაში და ხმალი) [ჯ. სონლულაშვილი 1991:98].
- „ორნი არიან, ტოლნი არიან, გზას მიდიან, მიიმღერიან (ზორბლეზი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:503].
- „ორნი არიან, ტოლნი არიან, დარბაზს ჩადიან, ჩაიმღერიან“ (ცხვრის ძუძუები) [ჯ. სონლულაშვილი 1991:98].
- „ორნი არიან, ტოლნი არიან, ერთად მიდიან, მიიმღერიან (ქოშები)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:494].
- „ორნი არიან, ტოლნი არიან, ერთ ტახტზე სხედან, ერთად სამეფოდ (მზე და მთვარე)“

<p>[„ხალხური სიბრძნე“ 1965:450].</p> <ul style="list-style-type: none"> • „ორნი არიან, ტოლნი არიან, მიდიან, მიიმდერიან (ურმის ბორბლები)“ [ექსპედიცია 2019]. • „ორნი არიან, ტოლნი არიან, ხან გაფრინდებიან, ხან მოფრინდებიან (თვალეები)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:488]. • „ორნი იყვნენ, ტოლნი იყვნენ, ორივენი დარბოდნენ და დადიოდნენ“ (ქოშები) [ჯ. სონლულაშვილი 1991:98]. • „ორ ტბაზედა ორი გველი ემუქრიან ერთმანეთსა, რა გინდ ბევრი მიიწიონ, ვერ უკბენენ ერთმანეთსა (წარბები)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:492]. • „ორჯერ უკბილო, ერთხელ კბილიანი (ადამიანი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:486]. • „ორჯერ შობილი ერთხელა კვდება (ქათამი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:479]. • „ორჯერ შობილი, ერთხელ მკვდარი“ (ქათამი) [ჯ. სონლულაშვილი 1991:98]. • „ოსკი, ოსკის ოდენი, მოჯდა კოჭბის ოდენი, ნისკარტი ჰკრა ხუთასი, მთა გააპო ექვსასი (გუთანნი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:503]. • „ოქრო ვარ, ოქროსფრად ვბზინავ, ოქროდ შესხმული ღერზედა; დიდს და პატარას ვუყვარვარ შეწითლებული ცეცხლზედა (სიმინდი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:471]. • „ოქრო, ოქრო ვერცხლია, ბიმბილები ასხია, ვინც ამას არ მიხვდება, თავზე ლაფი ასხია (სიმინდი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:470]. • „ოქრო, ოქრო — ვერცხლიაო, ტანს ფარფლები ასხიაო; მის ქვეყანას მოშორდება, მუხლი ალას ასხიაო (თევზი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:482]. • „ოქრო, ოქრო ვერცხლია, ჟინჟილები ასხია, ვინც ამას ვერ გამოიცნობს, თავზე ლაფი ასხია“ (გვირგვინი) [ჯ. სონლულაშვილი 1991:98]. 	
---	--

<ul style="list-style-type: none"> • „ოცდაათმა ჩიტმა ერთი კვერცხი დასდო (თვე)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:454]. • „ოცდათორმეტი მცეხველი და ერთი მხვეტელი“ (ეპიგრამები და ენა) [ჯ. სონლულაშვილი 1991:98]. • „ობრო ხვრინავს, დევი ფშვრინავს, მასპინძელი სანთელს ანთებს (წისქვილი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:507]. 	
<p>პ</p>	
<ul style="list-style-type: none"> • „პარკში – ფქვილი, ფქვილში – ჩხირი (ფშატი)“ [ექსპედიცია 2019]. • „პატარა არის საწყალი, მაღლა გაუდის ცანცარი“ (პეპელა) [ჯ. სონლულაშვილი 1991:98]. • „პატარა ბოსტანი მქონდა, ვკენჭე, ვკენჭე, ვერ აკვენჭე (ვარსკვლავები)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:449]. • „პატარა და „უჰ!“ (რწყილი) [ჯ. სონლულაშვილი 1991:98]. • „პატარა ვარ, გამიფრთხილდი, თორემ დიდსა გავაჩენო (ნაპერწყალი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:496]. • „პატარა ვარ, მაგრამ თუ გამაბრაზეთ, ქვეყანას გადავწვავ (ასანთი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:495]. • „პატარა ვარ, უჩინარი, ყველასათვის უწყინარი, ჩემი სტვენა ყველას მოსწონს, ღარიბია თუ მდიდარი (ბულბული)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:477]. • „პატარა რამ კურტანია, ახლოს ტვირთის მომტანია (კოვზი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:498]. • „პატარა ტიკლიკელასა ტყიდან ნახირი მოუდის“ (სავარცხელი) [ჯ. სონლულაშვილი 1991:98]. • „პატარა წიკწიკელო, ბატონის საყვარელო“ (ფული) [ჯ. სონლულაშვილი 1991:99]. • „პატარა წიკწიკელასა მთიდან თივა 	<ul style="list-style-type: none"> • „პატონსქუა ანთელახე, ვამკაჯიკე, ვაგალახე. – ქალბატონი ანთელავას ასული, ვერც უბიძგებ, ვერც ვალახავ. (ქოთან)“ [კ. დანელია 1991:466]. • „პიჯი ვა ჩანს, ნინა ვა ჩანს, მარა ნაულერით რაგადანს. – პირი არა აქვს, ენა არა აქვს, მაგრამ ნაფეხურებით ლაპარაკობს. (კალამი და ფანქარი)“ [კ. დანელია 1991:466].

<p>ჩამოჭონდა“ (საკრეჭო მანქანა) [ჯ. სონლულაშვილი 1991:99].</p> <ul style="list-style-type: none"> • „პატარია კოლოფანი ბროლით გამოტენილანი“ (პირი და კბილები) [ჯ. სონლულაშვილი 1991:99]. • „პაწაწინა მწერია, შალეულის მტერია“ (ზრზილი) [ჯ. სონლულაშვილი 1991:99]. • „პირი მზისა მიჭვრიტისა, შიგ რომ ტარალანა ზისა“ (სარკე) [ჯ. სონლულაშვილი 1991:99]. • „პირქვე სავსე, პირღმა ცარიელი (ქუდი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:494]. 	
<p>ქ</p>	
<p>–</p>	<ul style="list-style-type: none"> • „ჟირი – აკომჰა, ჟირი – ფიცარი, ჟირი – ცუჯი, ართი – ლისმარი“ – ორი – ფანჯარა, ორი – ფიცარი, ორი – ყური, ერთი – ლურსმანი (მაკრატელი) [ექსპედიცია 2019]. • „ჟი – ქუა, თუდო – ჯა, მის ანა ვაარაგადე, თის ოკო ჟიფუა“ – ზევით – ქვა, ქვევით – ხე, ვინც ამას ვერ იტყვის, იმას უნდა ცემა (ქვასანაყი) [ექსპედიცია 2019]. • „ჟირი მოწიკვილი, ხუთი მახეკალი. – ორი დასვრილი, ხუთი მწმენდავი (მხეკავი). (ცხვირი და ხელი)“ [კ. დანელია 1991:465]. • „ჟირი ფიცარი, ჟირი აკომჰა, ართი ლისმარი. – ორი ფიცარი, ორი ფანჯარა, ერთი ლურსმანი. (მაკრატელი)“ [კ. დანელია 1991:466]. • „ჟირიშ იბადებუ, ართიშ ლურუ. – ორჯერ იბადება, ერთხელ კვდება. (ქათამი)“ [კ. დანელია 1991:466]. • „ჟირი ჯიმა-კათა ართი კუბოს ინოდ. – ორი ძმაკაცი ერთ კუბოში ასვენია. (კაკლის ლებნები)“ [კ. დანელია 1991:469].

	<ul style="list-style-type: none"> • „ჟი – ცა, თუდო – დიხა, შქას – დაჩხირი დო წყარი. – ზევით – ცა, ქვევით – მიწა, შუაში – ცეცხლი და წყალი. (სამოვარი)“ [კ. დანელია 1991:466].
რ	
<ul style="list-style-type: none"> • „რადო-რადო, მუცელ-ტაშტო, ფეხ-ტაიჭო, ზურგ-საბადო (ცხვარი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:475]. • „რა არი — გვარი არა შობსს, არც ოდეს გადაშენდება, რა სხვა-სხვა გვარსა მიუდგეს, მით იშვეს, მითი შენდება, რაზომც პატივი მიაპყრა, მამა არ დაუმშვენდება, რომ გაიზრდება, მაშინა ზურგი არ შეუსვენდება! (ჯორი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:476]. • „რა არის: თესვენ, მარგვლიან და მერე განამტკიცებენ, სმენ და არ სჭამენ, ფიცს სდებენ, პატარა ჭურჭლით ხმარობენ, ვინც ითხოვს, ყველას მისცემენ (თუთუნი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:466]. • „რა არის ქვეყნად ისეთი, რაც ყველაფერს სჭირდება (სახელი)“ [ექსპედიცია 2019]. • „რა არის ჩემი სახელი, გამოიცანით, ბავშვებო. კუდმოკლე ვარ და ყურგრძელი, კომბოსტოც მიყვარს, სტაფილოც (კურდღელი)“ [ექსპედიცია 2019]. • „რა გვარ გლახა უნდა იქნეს, ერთ დღეს ქვეყანას თავს აცნობს (სიკვდილი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:490]. • „რა იქნება ხვალ, რა იყო გუშინ? (დღე)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:454]. • „რა იცი და რა არ გახსოვს?“ (სიკვდილი და დაბადება) [ჯ. სონლულაშვილი 1991:99]. • „რასა აქვს ხუთი თითი და არც ერთი ფრჩხილი? (ხელთათმანი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:494]. • „რასაც ჩასძახებ, იმას ამოგძახებს (ქვევარი)“ [ექსპედიცია 2019]. 	<ul style="list-style-type: none"> • „რკინაშ ხოს ბამბეშ კუდეი იკააბუ“ – რკინის ხარს ბამბის კუდი აბია (ნემსი და ძაფი) [ექსპედიცია 2019].

<ul style="list-style-type: none"> • „რა უფრო მშვენიერია, რა უფრო ღონიერია, რა უფრო მალია? (გაზაფხული, შემოდგომა, თვალი ადამიანისა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:454]. • „რაც ქვეყნიერება დაარსებულა, მაშინ დაბადებულა და ჯერ წელიწადი არ შესრულებია“ (მთვარე) [ჯ. სონღულაშვილი 1991:99]. • „რაც ჩვენთვის ძვირფასია, არ ვაფასებთ მას. დაკარგავთ და... ფაფუ (ჯანმრთელობა)“ [ექსპედიცია 2019]. • „რისი ცეცხლია, რომ არაფერს არა სწვავ? (ციცინათელისა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:485]. • „რკინის ცხენს ბამბის კუდი აბია (ნემსი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:509]. • „რკინის ხარს ბამბის კუდი აბია“ (ნემსი და ძაფი) [ჯ. სონღულაშვილი 1991:99]. • „როდესაც ტვინი სავსეა, გული ცარიელია. როდესაც გული სავსეა, ტვინი ცარიელია (ქვიშის საათი)“ [ექსპედიცია 2019]. • „რომელი ბალახია, რომ ბრმაც კი გამოიცნობს? (ეკალი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:461]. • „რომელი სულიერია — უკარო ციხიდან რო გამოდის? (წიწილა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:480]. • „როცა ადამი და ევა დაიბადა, ისიც მაშინ დაიბადა, ჯერ ერთი წლისაც არ არის (მთვარე)“ [ექსპედიცია 2019]. • „როცა სჭირდებათ – აგდებენ, როცა არ სჭირდებათ – იღებენ (ლუზა)“ [ექსპედიცია 2019]. • „როცა შეკრულია დადის და როცა გახსნილია – არა (ფეხსაცმელი)“ [ექსპედიცია 2019]. • „როცა ცივია – თხელია, როცა გათბება – გაჰყინავს (კვერცხი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:501]. 	
--	--

<ul style="list-style-type: none"> • „რძესავით ტკბილი. ნალველივით მწარე (ენა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:487]. • „რძის ნაწარმი მეცა ვარ, ენერგიის მარაგი. პურს წაუსვით მიირთვით გემრიელი (კარაქი)“ [ექსპედიცია 2019]. • „რძისფერი სისხლი ჩამოსდის გაკაწრულს ანდა გაპობილს. ბუერა ფოთლები აქვს და თაფლივით ტკბილი ნაყოფი (ლუღვი)“ [ექსპედიცია 2019]. • „რწყილმა კეჟო დაბადა (ბოლოკი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:465]. 	
ს	
<ul style="list-style-type: none"> • „საბელმა წყალი დალია და ზაქი გაიბერაო (გოგრა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:465]. • „საბძელს უკან კვახია, დედამიწა გახია“ (თხუნელა) [ჯ. სონღულაშვილი 1991:99]. • „საბძელს უკან ტახია, დედამიწა გახია (თხუნელა)“ [ექსპედიცია 2019]. • „სადაც წვება ბალახი არ ამოდის (ცეცხლი)“ [ექსპედიცია 2019]. • „– საით მიხვალ, კაკულიავ? – შენთან მოვალ, ფშიკურიავ (ნამგალი და ყანა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:505]. • „საიმედო ცხოველია ლხინშიც, გასაჭირშიც. ხან ბალახობს იალაღზე, ხან რკინა აქვს პირში (ცხენი)“ [ექსპედიცია 2019]. • „საკერებელს ვაკერებდი უნემსოდ და უმაფოდო (ცხენის დანალვა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:474]. • „სამი ძმანი არიან: ერთი მიდის, აღარ მოდის, მეორე ჭამს და ველარ ძღება, მესამე წევს და ველარ დგება“ (კვამლი, ცეცხლი, ნაცარი) [ჯ. სონღულაშვილი 1991:99]. • „სამ კაცს ერთი ქული ახურავს (ზედადგარი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:504]. • „სამსახურს კარგად ასრულებს, ჯამაგირს კი არ ვაძლევეო, სამაგიეროდ ხან და ხან ვაჭმევ და კიდევ ვასმევო, არც არის ტიტველ- 	<ul style="list-style-type: none"> • „სკანიჯგუა მიკააქუნს, ვართი ჭკომუნს, ვართი მუნს, მუნაფიი დღას ვაძირუნქ დო ჩხანაიას გილარსუნს“ – შენნაირი აცვია, არც ჭამს, არც სვამს, მოღრუბლულ დღეს ვერ ნახავ, მზიან დღეს დაგყვება (ჩრდილი) [ექსპედიცია 2019]. • „სუმარქ ქემორთ, მენძელი ოკოფ. ცუდექ აკომჰაშე კვლეულ. – სტუმარი მოვიდა. მასპინძელი დაიჭირა, სახლი ფანჯარაში გაძვრა. (მეთევზე, თევზი, წყალი და ბადე)“ [კ. დანელია 1991:470]. • „სუმი შხურქ სუმი ხუუ, სუმი პირჩე ხარხუუ, შარას ქიგილახუუ. სუმქ მიდართ, სუმქ ქემორთ, სუმქ ოგორუო გორთუ მუზგმა რე? – სამმა ცხვარმა – სამი დაბადა, სამივე პირთეთრი დაბადა, გზაზე დაბადა, სამი წავიდა, სამი მოვიდა, სამი საძებნი შეიქმნა. რამდენია? (ექსი)“ [კ. დანელია 1991:465]. • „სუმი ჩიტემქ ქუმორთეს, რიტუ-რატუ დიძახეს: ქიანას სუმი ხელუა ორკუნია. – სამი ჩიტი მოვიდა, რიტუ-რატუ დაიძახეს: ქვეყანას სამი ხელოზა

<p>შიშველი, თუმცა ტანზე არას ვაცმევო (ძალი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:476].</p> <ul style="list-style-type: none"> • „სამტყუპა კაკალი, სიცხეში მაგარი (ზედადგარი)“ [ექსპედიცია 2019]. • „სამფეხა ვარ და ერთგული, ცეცხლის ალით დაჩაგრული, მთელს სიცოცხლეში ასე ვარ, ან კი როგორ მიდგა სული (ზედადგარი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:504]. • „სანამ დედა გამოჩნდებოდა, შვილი ქალაქს მიდიოდა (ბოლი და ცეცხლი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:495]. • „სანამ მწვანეა ვჭამთ და კარგად რომ გაყვითლდება, აღარ ვარგა (კიტრი)“ [ექსპედიცია 2019]. • „სანამ პატარა ვიყავი, ოთხი სოველი მიჭამია, გავიზარდე, მიწა მინგრევია, მოვკვდი, ქვეყანა მიხილია“ (ზბო, ხარი, ხარის ტყავის ქალამნები) [ჯ. სონღულაშვილი 1991:99]. • „საქართველოში ბევრია ქალაქი სავსე მშვენებით, თბილისს რა ქალაქს ვუწოდებთ, თქვი მე არ მოგეშველები (დედაქალაქი)“ [ექსპედიცია 2019]. • „საქოლის კარსა მისულან ყვავი, ყორანი, ჭილყვავი, შაშვი მისულა საშველად, შეუშვერია ნისკარტი (კლიტე-გასადები)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:511]. • „საცნაურას დაგიყენებ, საცნაურას ფერასაო, შუშუ ჭრელსა, შუშუ კვრელსა, შუშუ ვეფხვისფერასაო“ (ფარდაგი) [ჯ. სონღულაშვილი 1991:99]. • „სახლი ავაგე ხისა, არა – ნაფოტისა. შედიან და გამოდიან, წყალობაა ღვთისა (სკა)“ [ექსპედიცია 2019]. • „სახლი ავაგე ხისაო, არ არის ნაფოტისაო, შედიან და გამოდიან, ბრძანება არი ღვთისაო (ფუტკარი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:484]. • „სახლი ავაგე ხისაო, არ იყო ნაფოტოსაო, შესვლა და აღარ გამოსვლა, წესია ბუნებისაო 	<p>აკლიაო. (ზღვაზე ხიდი არ გაიდება, ცაზე კიბე არ მიიდგმება, აღმა შარვალი არ გაიხდება)“ [კ. დანელია 1991:464].</p> <ul style="list-style-type: none"> • „სუმი ჯიმა კოს ათასი შტიკამი ყარაული გურე. – სამ ძმაკაცს ათასი ხიმტიანი ყარაული უდგას. (წაბლი)“ [კ. დანელია 1991:469]. • „სქირუ მულავდვი დო შოლირი გაკლუოსარგალე, სუმი ქაქთუორჭიპი დო ჟირი – ქუთქუოკვეწელე. – მშრალი ჩავდევი, სველი გამოვათირე, სამი შემოვუჭირე და ორი – ჩამოვკიდე. (ლაგამი, უნაგირი და უზანგი)“ [კ. დანელია 1991:464].
---	--

<p>(კუბო)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:489].</p> <ul style="list-style-type: none"> • „სახლი ავაშენე ხისა, არ არის ნაფოტისა, შედიან და გამოდიან, ბრძანება არის ღვთისა“ (სკა) [ჯ. სონლულაშვილი 1991:99]. • „სახლი ასეთი, აგეთი, კალწიბახურათ ნაგები, შიგა ქალი ზის ლამაზი, არა აქვს კარი საღები“ (კვერცხი და წიწილა) [ჯ. სონლულაშვილი 1991:99]. • „სახლი ვიწრო, ჯალაბ დიდი, მეტად ვიწროდ აგებული, ისარს გესვრის და არა გკლავს, განძია ღვთით დიდებული (ფუტკარი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:484]. • „სახლი მაქვს აგეთ მაგეთი, ოქროს ყაჭ-ყაჭით ნაგები, შიგა ვზივარ და ვიძახი, კარი არცა აქვს საღები“ (წიწილა) [ჯ. სონლულაშვილი 1991:99]. • „სახლის თავზე მთვარეო (კრამიტი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:496]. • „სახლის თავზე შავი ქოჩორა დედალი დადის (კვამლი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:496]. • „სახლი ხმაურობს, მცხოვრებლები ჩუმიდ არიან. მოვიდა მილიცია, მცხოვრებლები დაიჭირა, სახლი ფანჯრიდან გაიპარა (მდინარე, თევზები, მეზადური)“ [ექსპედიცია 2019]. • „სახლი ხმაურობს — შინ მყოფნი ჩუმიდ არიან (წყალი და თევზები)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:481]. • „სახლში მივალ, დამაყრიან კაჟა-კუჟუ-კუჟუნასა, გამისმენ და გამომისმენ ცალგვერდულა ხაზუნასა (კვერი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:504]. • „სახლში ძალი წევს, კუდი ბანზე აქვს“ (ღუმელი) [ჯ. სონლულაშვილი 1991:99]. • „სახურავზე ვდგავარ, ყრუ ვარ, თანაც ბრმა ვარ... მაგრამ თუ კი რამეს ხედავ, ანდა ისმენ, ჩემით, ჩემით ისევ (ანტენა)“ [ექსპედიცია 2019]. 	
--	--

<ul style="list-style-type: none"> • „სივაჟკაციტ მოზუნძლული, სიბერეში გამართული (გვიმრა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:461]. • „სილამაზით თავს ვიწონებ, ყელი მომიღერებია, ვინც ჩემი კოცნა ინება — არვინ მომიმღერებია (წყლის ლიტრა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:500]. • „სიმბოლოა მშვიდობის, სათნოა და მეტად მშვიდი, ზოგჯერ როგორც ფოსტის შიკრიკს სარგებლობა მოაქვს დიდი (მტრედი)“ [ექსპედიცია 2019]. • „სირის, სირის ქათამო, სველი ფრთები გასხია, ბუდიდან რომ გამოხვალ, ფიცხლავ სული გაგცვივა“ (თევზი) [ჯ. სონღულაშვილი 1991:99]. • „სტუმარი თუ მასპინძელი ყველა იმას ართმევს ხელსა“ (კარის სახელური) [ჯ. სონღულაშვილი 1991:99]. • „სუფთა მსუბუქი ფრინველი, შორით მომტანი ვარდისა, ჯერ ცისა მოსამსახურე, მერე ყოველი კაცისა (ფუტკარი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:484]. • „სულ ბუჩქებად იზრდება, თავს ნიავი დაჰხარის. გზის პირებზე მწიფდება, შავ კუნწულად (მაყვალი)“ [ექსპედიცია 2019]. • „სულიანსა – უსულო, უსულოსა – სულიანი (კვერცხი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:502]. • „სულიერისგან ვიშობე, ორმოცი თვალი მასხია, უსულოდ დავებეტები, არც ერთი აღარ ვარგია (ქალამანი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:493]. • „სულიერი – უსულოზე, უსულო – ურჯულოზე (ტიკი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:499]. • „სულ პატარა მწერი არის, ფუფუსა და მშრომელია, სხვა დროს შრომობს ზამთარს არა აბა მითხარი რომელია? (ფუტკარი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:484]. 	
---	--

<ul style="list-style-type: none"> „სუფრაზე იღება, იჭრება და არ იჭმევა (სანაძლეო)“ [ექსპედიცია 2019]. 	
ტ	
<ul style="list-style-type: none"> „ტანი მაქვს ეკლიანიო, გული კი — ეშხიანიო (ზღარბი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:473]. „ტანმაღალსა და ტანწვრილსა ხის ქუდი მხურავს თავზედა, ბამბა, მატყლი, აბრეშუმი – ხშირად მაცვია ტანზედა, ბატონად დედაკაცი მყავს, ის ფიქრობს ჩემს აკარგ ზედა, ის მაცმევს, იგივე მათიტვლებს, ჩემს კაბებს ჰყიდის სხვაზედა (კვირისთავი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:508]. „ტანშიშველი, ფეხშიშველი, სახელს გეტყვი, ვერ აიცნო“ (შველი) [ჯ. სონღულაშვილი 1991:100]. „ტანშიშველი, ფეხშიშველი, სახელს გეტყვი, ვერ გიშველი (შველი)“ [ექსპედიცია 2019]. „ტანშიშველი, ფეხშიშველი, სახელს გეტყვი, ვერ მიხვდები“ (შველი) [ჯ. სონღულაშვილი 1991:101]. „ტვირთმზიდავი ცხოველია, ხან რძე დააქვს, ხან მაწონი. დინჯად დადის მაგრამ საწყალს ჭკუა არ აქვს მოსაწონი (ვირი)“ [ექსპედიცია 2019]. „ტირის, ტირის ქალაქი, არა მოქალაქენი, ღმერთო, მიეც ზარბაზი, დააჩუმე ქალაქი (ცხვარი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:475]. „ტირის, ტირის ქალაქიო, მთელ მოქალაქენიო, წავაფარე ზარათიო, გავაჩუმე ქალაქიო (კრუხ-წიწილა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:478]. „ტოტები აქვს და ხე არ არის, უსულოა და დადის, აქ დაკვირვება არის საჭირო, პასუხს მიხვდებით ნამდვილს (შარვალი)“ [ექსპედიცია 2019]. „ტოტები აქვს და ხე კი არ არის, უსულოა და დადის, აქ დაფიქრება არის მთავარი და პასუხს გეტყვი ნამდვილს (შარვალი)“ 	<ul style="list-style-type: none"> „ტკიპურ-ტკიპურს იძახებ. – ტკიპურ-ტკიპურს იძახის. (საცერი)“ [კ. დანელია 1991:465]. „მუნდი – ცონგორო, ქორა – გოდორო, ლაფში – გილაბარბატელი, დიხას – დინოჭაბაკელი“ – უკანალი – გამხდარი, მუცელი – გოდორა [გოდორივით მრგვალი], ტუჩი – გადმობრუნებული (გადმოზუებული), მიწაში – ჩატკეპნილი (ქვევრი) [ექსპედიცია 2019]. „ტყას დეებად, ტყას დეესახ, გითილოფნი, ვაჭრუა ქიდიჭყ. – ტყეში დაიბადა, ტყეში გაჩნდა, გამოვიდა (და) ვაჭრობა დაიწყო. (ხის ადლი)“ [კ. დანელია 1991:470]. „ტყას დეფსახი, ტყას დეზავდი, გითიბილი დო დიდი დიბაძხი. – ტყეში ჩავისახე, ტყეში დავიბადე, გამოვედი და ხმამალა დავიძახე. (ღომის საცეხვი ურო)“ [კ. დანელია 1991:466].

<p>[ექსპედიცია 2019].</p> <ul style="list-style-type: none"> • „ტყავი ფასობს, ხორცი — არა, ქათმებს დასდევს წარა-მარა (შელია)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:474]. • „ტყემ გამზარდა სიყვარულით, მიპატრონა არ მიმტერა, კაცმა მომჭრა, გადამაგდო, ცეცხლით გამანაცარმტვერა (შეშა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:497]. • „ტყეში დავიბადე, ტყეში გავიზარდე, სახლში მოვედი, „კუკუ“ დავიძახე“ (ფული) [ჯ. სონდულაშვილი 1991:100]. • „ტყეში დავიბადე, ტყეში გავიზარდე, სოფელს ჩამოვედი, ვაჭრობა ვისწავლე (სასწორი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:506]. • „ტყეში ფიჩხი გადავუშვი (წვიმა)“ [ექსპედიცია 2019]. • „ტყეში ცალფეხა დედაბერი დგას (სოკო)“ [ექსპედიცია 2019]. • „ტყეში ცალფეხა სკამია“ (სოკო) [ჯ. სონდულაშვილი 1991:100]. • „ტყეში წითელხალათა ბიჭი დგას (შინდი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:463]. • „ტყეში წირპლიანი დედაბერი იდგა (ზღმარტლი)“ [ექსპედიცია 2019]. • „ტყეში ხარი შემვიარდა, გამო, გამო გიშერაო, ნაბდის ქუდი იქ დააგდო, გამოვარდა შიშველაო (წაბლი)“ [ექსპედიცია 2019]. • „ტყეში ხარი შემვიარდა, გამო-გამო გიშერაო. ნაბდის ქურქი იქ დააგდო, გამოვარდა შიშველაო (წაბლი)“ [ექსპედიცია 2019]. • „ტყეში ხარი შემვიარდა, გამო, გამო გიშერაო, ნაბდის ჩულქი იქ დააგდო, გამოვარდა შიშველაო (წაბლი)“ [ექსპედიცია 2019]. • „ტყეში ხარი შემვიარდა: – გამო, გამო, გიშერაო! – ნაბდის ძველა იქ დააგდო, გამოვარდა შიშველაო (თხილი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:462]. • „ტყეში ხარი შემვიარდა; გამო, გამო, გიშერაო, 	
--	--

<p>ნაზდის ძველა იქ დაადო, გამოვარდა შიშველაო“ (წაბლი) [ჯ. სონდულაშვილი 1991:100].</p> <ul style="list-style-type: none"> • „ტყიდან წუწიანი ბებერი იყურება“ (ზღმარტლი) [ჯ. სონდულაშვილი 1991:100]. 	
უ	
<ul style="list-style-type: none"> • „უარე, უარე, კარი ვერ ვუპოვე“ (კვერცხი) [ჯ. სონდულაშვილი 1991:100]. • „უდაბნოს გემს უწოდებენ, ცხოველია ტანმაღალი, უშნო, უსწორ-მასწორია, არ სჭირდება „ფეხზე ნალი. იშვიათი ამტანია, უცნაური აქვს თვისება, უჭმელ-უსმელ შეუძლია რამდენიმე დღეს გაძლება (აქლემი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:473]. • „უდედოდ დაბადებული, უჭმელად გამოზრდილია, ზაფხულში ბევრი ვინატრე მისი საამო ჩრდილია (ხე)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:464]. • „უენოდ ლაპარაკობს, უფეხოდ მარდად დარბის. კაცთან ხშირად ბაასობს, თუმცა უსულო არის (საათი)“ [ექსპედიცია 2019]. • „უთვალო იყო მიყვარდა, გათვალიანდა, შემძულდა (ფეხსაცმელი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:493]. • „უკურტუმო ქათამი ღობეს უკან ჩავფალი (კარტოფილი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:467]. • „უმი არ იჭმევა, მოვხარშავთ და ვაგდებთ (დაფნა)“ [ექსპედიცია 2019]. • „უმთოსა მთასა, უგზოსა გზასა, იჯდა ლიპორტი, იქმოდა გზასა (სამართებელი)“ [ექსპედიცია 2019]. • „უმძღვრო ყანაო და უთვალავ თესლიო (ცა და ვარსკვლავები)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:451]. • „უნაგრილოდ გაღმა გაველ (ხმა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:492]. • „უნაგრილოდ წყალში გავალ“ (ეზო) [ჯ. 	<ul style="list-style-type: none"> • „უდირგნს დორინს (დგრინს), უსირინს – სირინს, ორბიში კუდელი მენათნც. – უდირგნს – დორინს, უსირინს – სირინს, ორბის კუდი ანათებს. (ელვა და გრგვინვა)“ [კ. დანელია 1991:464]. • „უკმაკური ჭკადირი, ეშმაკიში ბანძღირი. – უკუღმართად გაჭედილი, ეშმაკისაგან დახლართული. (ნაჭა)“ [კ. დანელია 1991:466]. • „უშურეს დო უგურეს დუს დაჩხირი ქიგიორძეს“ – უსულოს და უგულოს თავზე ცეცხლი დაანთეს (ჩიბუხი) [ექსპედიცია 2019]. • „უტა, ჩუტა, უტა, ჩუტა, ზოგი სავსე, ზოგი ფშუტა. (პურის თავთავი)“ [კ. დანელია 1991:465]. • „უშუმური, უჭკომური, კებურს ელანგვანაფილი. – უჭმელ-უსმელი, კერასთან გასუქებული. (თითისტარი)“ [კ. დანელია 1991:470]. • „უჩა რე ზესქვიცალო, წყარს მეურცუ რაშიცალო. – შავი არის შაშვივითა, წყალში ცურავს რაშივითა. (წურბელი)“ [კ. დანელია 1991:469]. • „უჩას ჭითა ურულუანს. – შავს წითელი უვლის (ურბენს). (ქვაბი და ცეცხლი)“ [კ. დანელია 1991:468]. • „უჩა ჯაკელა მეზუმინუნც, ჩე ჯაკელა

<p>სონლულაშვილი 1991:100].</p> <ul style="list-style-type: none"> • „უნახნაოდ და უთესლოდ, უმიწოდ არის მოსული (თმა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:487]. • „უნდა მიცნობდეს კარგად კრუხი სცნობია ვისაც, ჩემი სახელი ჰქვია, უხსენებელის შვილსაც (წიწილა)“ [ექსპედიცია 2019]. • „უპიროა, საჭმელს არ ჭამს, მაგრამ იგი ხარბად წყალს სვამს“ (ღრუბელი) [ჯ. სონლულაშვილი 1991:100]. • „ურემი მირბის, ხელნები დგანან (წყალი და წყლის ნაპირები)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:453]. • „უსაზღვრო ყანა, უთვალავი ძნა“ (ცა და ვარსკვლავები) [ჯ. სონლულაშვილი 1991:100]. • „უსახლკაროა ამ ქვეყნად დაეხეტება მწირივით. ხან იდუმალი ჩურჩულით, ხან ჟინიანი წივილით (ქარი)“ [ექსპედიცია 2019]. • „უსულო არის ორსული, სულიერისა მშობელი; შვილსა შობს, დედა მოკვდება, ვინ არის გამომცნობელი?“ (კვერცხი) [ჯ. სონლულაშვილი 1991:100]. • „უსულოა, უგულოა, ზურგი აქვს და თავი – არა. ოთხი ფეხი თან აქვს, მაგრამ ნაბიჯიც ვერ გაიარა (სკამი)“ [ექსპედიცია 2019]. • „უსულოა, უგულოა, ჭამს და დადის (წისქვილი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:507]. • „უსულო და უსხეულო, ხორციელი სახე არის, რასაც იზამ, იმას იზამს, უცნაური რამე არის (ლანდი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:490]. • „უსულო ვნახე ორსული, სულიერისა მშობელი, შვილსა შობს – დედა მოკვდება, ვინ არის გამომცნობელი (კვერცხი და ქათამი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:478]. • „უსულო იყო, პატარა, არ ჰქონდა ფეხი, ხელები, დასცხა და სული ჩაედგა, გადაირბინა ველები (კვერცხი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:501]. 	<p>მოზუმინუნც.</p> <p>– შავი ფური მიზმუის, თეთრი ფური მოზმუის. (დღე და ღამე)“ [კ. დანელია 1991:468].</p>
---	--

<ul style="list-style-type: none"> • „უსულოსა, უგულოსა ზურგზე მოსვლია ბალანი (ზეზე ხავსი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:464]. • უსულო მამა დედაცემს მხარში შეუდგა, უშველა, დედამა მშობა ტირილით, მემოყვრებიან სუყველა (ყურძენი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:472]. • „უსულოსა, უგულოსა, ორი თავი აბია“ (მუთაქს) [ჯ. სონდულაშვილი 1991:100]. • „უსულოსა, უგულოსა, ორი პირი აქვს (მუთაქს)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:493]. • „უსულოსა, უგულოსა, შვიდი სარტყელი არტყია (კასრი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:498]. • „უსულოსა, უგულოსა, ცხრა პერანგი აცვია (სიმინდი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:471]. • „უტანოა, ცარიელა კუდი არის, თვით ძჩატეა, თავი კი აქვს ფუთიანი (ურო)“ [ექსპედიცია 2019]. • „უტი-უტი უხტალია, უხტალს ზევით გუდალია, გუდალ ზევით — ფიქალია, ფიქალ ზევით მიკრიჭია, მიკრიჭ ზევით მიჭყიტა, მიჭყიტ ზევით მთაი არის, მთაზე ტყეა (ადამიანი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:486]. • „უფანჯრო და უკარებო, შიგ ხალხითა სავსე“ (საზამთრო) [ჯ. სონდულაშვილი 1991:100]. • „უფერო ვარ მივცინცილობ, უგონო ვარ მივიმღერი, ზამთარშია დაწუნებულს ზაფხულშია არ მყავს მტერი (ქარი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:458]. • „უფეხოა, მაგრამ დადის, იმის ძალა ყველგან გადის“ (ფული) [ჯ. სონდულაშვილი 1991:100]. • „უფეხო ვარ, მივცინცილობ, უენო ვარ – მივიმღერი, ზამთარ-ზამთარ დაწუნებულს ზაფხულში კი არ მყავს მტერი (მდინარე)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:452]. 	
---	--

<ul style="list-style-type: none"> • „უფხო, უძვლო, ველის ნადირი (ჭიანჭველა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:485]. • „უფხო, უძვლო, წყლის ნადირი, ვინც იმას არ გამოიცინობს, გამართოს ერთი სადილი“ (წურბელა) [ჯ. სონლულაშვილი 1991:100]. • „უღელი ხარი მყავს, დღე დავაბამ, ღამე ავუშვებ (ფეხსაცმელი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:493]. • „უყვავილო ხილი მიდგა ბატონთან გამოსაჩენი, ვინც ამას ვერ გამოიცინობს, ის არის გამოსარჩევი (ლეღვი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:467]. • „უჩინარია თვალითა, შემოვარდება ძალითა“ (ჭარი) [ჯ. სონლულაშვილი 1991:100]. • „უჩინ ბოსლის ყურეშია თეთრებს ისრებს ისვრიანო“ (რძის მოწველა) [ჯ. სონლულაშვილი 1991:100]. • „უძვლო, უფხო, წყლის ნადირი (წურბელა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:485]. • „უწყლოდ, უმიწოდ ნაზარდი, ნახე, რა ტურფა ხარის“ (ირმის რეს) [ჯ. სონლულაშვილი 1991:100]. • „უხელოდ, უფეხოდ კარებს ალებს (ჭარი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:458]. • „უხილავია, ვერ ხედავს თვალი, ისე კი მეტად დიდი აქვს ძალი, ზოგჯერ სახლს ანგრევს და არხევს ტყეებს, ძირფესვიანად თხრის დიდრონ ხეებს, ხშირად მოჰყვება წვიმა, ავდარი, აბა ვინ მიხვდა, გვითხარ, რა არი? (ჭარიშხალი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:458-459]. • „უხნავ-უთესად მოსული, ზამთარს მიწაში სძინავსო, თეთრი პერანგი აცვია, თავი მიუგავს ინასო (სოკო, ნიყვი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:464]. 	
ფ	
<ul style="list-style-type: none"> • „ფაჩაფუჩი, მიქელაო, გამოვარდა ტიტველაო (სიმინდი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:470]. 	<ul style="list-style-type: none"> • „ფხუმე, ფხუმე, ვამახუმუ“ – ვაგროვე, ვაგროვე, ვერ შევაგროვე

<ul style="list-style-type: none"> • „ფერი აქვს ინისა, მტერია რკინისა“ (ჯანგი) [ჯ. სონლულაშვილი 1991:101]. • „ფეხებს ვარხევ, მუცელს ვაღებ, პირ-დაღებულს ლუკას ვაძლევ (დგიმ-სავარცხელი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:503]. • „ფეხებში ხელი მომკიდეს, ზღვაში ჩამიშვეს თავითა, ზღვიდან რომ ამომიყვანეს მოვრწყე სისხლითა შავითა (კალამი და მელანი)“ [ექსპედიცია 2019]. • „ფეხნი მიდიან კავშიო, კოდნი მიდგან კარშიო, შენ მაგას ვერ ამოიცნობ, ადე გადი კარშიო (წრიაპი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:494]. • „ფეხში რომ ხელი მომკიდეს, ზღვაში ჩამკიდეს თავითა. რომ ამომიღეს თეთრი გზა მოვრწყე ცრემლითა შავითა (კალამი)“ [ექსპედიცია 2019]. • „ფეხშიშველი, ტანშიშველი, სახელს გეტყვი, ვერ მიხვდები“ (შველი) [ჯ. სონლულაშვილი 1991:101]. • „ფრთები აქვს და არა ფრინავს, პირი აქვს და არა გმინავს, უფეხოა, მაგრამ დარბის (თევზი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:482]. • „ფრინველია გრძელკუდა, ჭარტალა, ქურდბაცაცა“ (კაჭკაჭი) [ჯ. სონლულაშვილი 1991:101]. • „ფრინველია ღამისა, მინდორს წმენდავს თავვისგან“ (ზუ) [ჯ. სონლულაშვილი 1991:101]. 	<p>(გზა) [ექსპედიცია 2019].</p>
ქ	
<ul style="list-style-type: none"> • „ქათამი შავი, ავგლიჯე თავი, შევჭამე მხარი, აბა ვინ არი?“ (ყურძენი) [ჯ. სონლულაშვილი 1991:101]. • „ქალი იჯდა ტახტაზედა, ცრემლს იყრიდა კალთაზედა (წისქვილის ქვები)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:507]. • „ქელი-ქელ ჩამოწოლილა გავაზ-გავაზა გველიო; ქვეითგენ ჩაიცქირება, იქ არის ჩემი 	<ul style="list-style-type: none"> • „ქა გედგუ დო ოჩი ვარე. ჯას გორუნს დო კოჩი ვარე. – რქა აქვს და ვაცი არ არის, ხეს დაეძებს და კაცი არ არის. (ლოკოკინა)“ [კ. დანელია 1991:465]. • „ქანაში მასქილიდაფარი ჯაში წვანც წემოყუც. – ქვეყნის მარჩენალი ხის წვერზე

<p>ველიო“ (ბუ) [ჯ. სონლულაშვილი 1991:101].</p> <ul style="list-style-type: none"> • „ქედს იქით-აქეთ ჩიტები ერთურთის გვერდით სხდებიან. ახლოს ცხოვრობენ მდგმურადა, თუმც ერთურთს ვერა ხვდებიან. ამ წამში რომ აქ არიან, იმწამში გაფრინდებიან (თვალეზი)“ [ექსპედიცია 2019]. • „ქვეყანასა სწვდება, ქვევრის პირს – ვერა (ფული)“ [ექსპედიცია 2019]. • „ქორქოლამ დაიქორქოლა, გარს შემოესხა შვილები, არც იყო მისი შვილები, არც მისი შვილიშვილები (ყვერულა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:480]. • „ქვეყანას მოსავს, ჭურის თავს კი არ გადასწვდება (ნემსი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:509]. • „ქვეყნის ჯარი ლაშქარს მიდის, შენ რას შვები, კინკარაო? ჩოხა, ჩაჩი მივატოვე, გადმოვვარდი ტვლიპანაო (კაკალი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:502]. • „ქურდი სახლში შეიპარა, სახლი ფანჯრიდან გაიპარა; ქურდი დაიჭირეს და შეჭამეს (თევზი და ბადე)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:482]. 	<p>ჩაცუცქულა. (თოხი)“ [კ. დანელია 1991:468].</p> <ul style="list-style-type: none"> • „ქვარა – გოდორი, დუდი – ქოჩორი, ბორკი – სოსორო. – მუცელი – გაბერილი, თავი – ქოჩრიანი, ფეხი – წვრილი. (კეხერა მსხალი)“ [კ. დანელია 1991:464]. • „ქვარა გოდორო, დუდი მოკალურელი, ჰო, მუს ილაყაფუ დიდა ღურელი. – მუცელგამობერილი, თავმოგრეხილი, რა კარგად უკრავს ის დედამკვდარი. (ჩონგური)“ [კ. დანელია 1991:465]. • „ქიანას ქაგნაანჭუ, იაგვანს ვამნაანჭ. – ქვეყანას სწვდება, ქვევრის თავს კი ვერა. (ფული)“ [კ. დანელია 1991:471]. • „ქიდვოკირინ – გელურს, გოუტენი – გაჩენდ. – დავაბი – დადის, ავუშვი – დგას. (ფეხსაცმელი)“ [კ. დანელია 1991:465]. • „ქოდვოკირანქინი – გიოურს, გოვუტენქინი – სოთა ურს“ – რომ დავაბამ – დადის, რომ გავუშვებ – სად წავა?! (ფეხსაცმელი) [ექსპედიცია 2019]. • „ქომოლი ვორდი, ოსურო გოვრთი, ჩეიმი ვაპუნდუ, შხვაში მოვრდი. – კაცი ვიყავ, ქალად ვიქეც, ჩემი არ მყავდა, სხვისი გავზარდე. (ყვერული)“ [კ. დანელია 1991:466]. • „ქორა – ჭკომუნს, ოჭიში – ორღვანს“ – მუცელი – ჭამს, ზურგი – ყრის (შალაშინი) [ექსპედიცია 2019].
ღ	
<ul style="list-style-type: none"> • „ღამე ქრება, დღე ენთება (მზე)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:450]. • „ღამე შევდგი ცხრილითა, აღარ იყო დილითა (ვარსკვლავები)“ [ექსპედიცია 2019]. 	<p>–</p>

<ul style="list-style-type: none"> • „ღამით – ვარდი, დღისით – დარდი (ცოლი)“ [ექსპედიცია 2019]. • „ღამით ტბას და გუბურას სად იყო და სად არა, ვილაც უჩინმაჩინმა სარკე გადააფარა (ყინული)“ [ექსპედიცია 2019]. • „ღამლამობით მოვფრინდები და დავგოგავ მიწაზეო, დილით იმწამს გავფრინდები, როგორც გამოჩნდება მზეო (ნამი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:457]. • „ლიპიანი დევია, მიწაში ზის ყელამდის. ძლიერ უყვარს ღვინის სმა, თეთრისა თუ ფერადის (ჭვეერი)“ [ექსპედიცია 2019]. • „ღმერთი ვერ ხედავს, მეფე – ხანდახან, ჩვენ – ყოველთვისა (ტოლი, ამხანაგი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:491] • „ღობე რანგისა, შიგ კაცი ზის ბანგისა, საყელო დარამბაზისა, ტანზე აცვია რაზმისა“ (სალოცავი ხატები) [ჯ. სონღულაშვილი 1991:101]. • „ღობერ, ღობერ – უჰ, უჰ! (ჭინჭარი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:463]. • „ღობეს იქით წინ საბიჯგით, მის წვენსა სვამს ჭინკა ბიჭი (ვაზი)“ [ექსპედიცია 2019]. • „ღობეში ხელი შევყავი, ავმა ძაღლმა მიკბინა“ (ჭინჭარი) [ჯ. სონღულაშვილი 1991:101]. • „ღობეში ხელი შევყავი, ბომბორა ძაღლმა მიკბინა (ჭინჭარი)“ [ექსპედიცია 2019]. • „ღორი, ღორი, ღორლომელი, ტანდაბალი საქონელი, გარეთ გავა, გასუქდება, შინ შემოვა, შეწუხდება (ტიკჭორა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:499]. • „ღორლიანათ გავა მგელი, კუდწვრილი და გავასქელი (გუთანნი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:503]. • „ღამისფერი ნადირია, დახტუნაობს ნება-ნება. არც მგელია, არც ძაღლია, ძაღლივით კი იკბინება (რწყილი)“ [ექსპედიცია 2019]. 	
--	--

<ul style="list-style-type: none"> • „ყარაბული ბამბაო, დილით კარს მოგვადგაო, არც რა ჰქონდა მარხილი, არც რას გამოგვადგაო (თოვლი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:456]. • „ყელი ევისა, ფერი დევისა, ხტომა ვერძისა, ხმა ზურაბისა (ზაყაყი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:481]. • „ყვავილი ვარ ყვითელგულა, სხვა ყვავილებს არ ვედრები, რა ვუყოთ რომ სუნი არ მაქვს, წამლად მაინც გამოვდგები (გვირილა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:461]. • „ყველაზე დიდიხმა რასა აქვს? (პურ-მარილს)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:503]. • „ყველა კაცი მიწვა-მოწვა, ბასიმ, ჭიპი გააბზიკა (კოკა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:498]. • „ყველამ იცის ქათმის გემო, უჰ, რა გემრიელია. ეშმაკი და მატყუარა ვინ ვიქნები (მელია)“ [ექსპედიცი 2019]. • „ყველა მიწვება, მოწვება, ბებერი კარებს აწვება (ურდული)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:497]. • „ყველა მიწვება, მოწვება, ერთი ისევ კუნტია“ (ლიტრა) [ჯ. სონღულაშვილი 1991:101]. • „ყველა მიწვებ-მოწვება, მასპინძელი კუნტია (დოქი)“ [ექსპედიცია 2019]. • „ყველა მიწვება, მოწვება, ჩირიკი ხეზე გაწვებაა (კვამლი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:496]. • „ყველა ხე აღმა იზრდება და ერთი ხე თავქვე იზრდება (ძროხის კუდი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:476]. • „ყოველ თვისა და თვის თავზე ვარდი იშლება კლდის თავზე“ (მთვარე) [ჯ. სონღულაშვილი 1991:101]. • ყოველ თვისა და თვის თავზედ, ვარდი ამოდის კლდის თავზედ (მთვარე)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:451]. 	<p style="text-align: center;">–</p>
---	--------------------------------------

<ul style="list-style-type: none"> • „ყური დამიგდეთ კარგად, აბა, ვინ უმაღლესი მიხვდება? თვალდახუჭული ხედავ, გაახელდა გაქრება (სიზმარი)“ [ექსპედიცია 2019]. 	
შ	
<ul style="list-style-type: none"> • „შავი არის და შავი არ არის, კბენა იცის და ძაღლი არ არის (ბუზი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:483]. • „შავი არის შაშვივითა, გაგაჯულა კაცივითა“ (ბუზარი) [ჯ. სონლულაშვილი 1991:102]. • „შავი არის შაშვივითა, გალაჯული კაცივითა (ზედადგარი)“ [ექსპედიცია 2019]. • „შავი არის შაშვივითა, თეთრი არის თოვლივითა, მრგვალი არის კვერცხივითა, გრძელი არის ბუზივითა (კაჭკაჭი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:477]. • „შავი არის შაშვივითა, იკბინება ძაღლივითა (რწყილი)“ [ექსპედიცია 2019]. • „შავი არის შაშვივითა, იკბინება ძაღლივითა, გაძღება და გაგორდება კუდა მეძებარივითა (წურბელა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:485]. • „შავი არი შაშვივითა, იკბინება ძაღლივითა, პატრონს ღამით ათამაშებს ქამანჩა და სტვირივითა (რწყილი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:484]. • „შავი არის შაშვივითა, იკბინება ძაღლივითა, საჭმელია თაფლივითა (მაყვალი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:462]. • „შავი არის შაშვივითა, იკბინება ძაღლივითა; წელში ისე ათამაშებს ქამანჩა და სტვირივითა“ (რწყილი) [ჯ. სონლულაშვილი 1991:102]. • „შავი არის შაშვივითა, მაგრამ შავი არ არის, გაფრინდება ჩიტისვითა, მაგრამ ჩიტი არ არის. უღელს გასწევს ხარისვითა, მაგრამ ხარი არ არის (ხარაბუზა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:485]. • „შავია – ყვავი არ არი, თეთრია – ყველი არ 	<ul style="list-style-type: none"> • „შარას ოსური გილარენი – ფურჩაში კაბა მუკაქუნცუ – (მუკანწყუმალო თინა მოკო). ოქროში ძუძუეფი მიკოჩანც, – (მუკაჭკომალო თინა მოკო). – გზაზე რომ ქალი დგას – ფურჩის კაბა აცვია – (გასახდელად ის მინდა), ოქროს ძუძუეფი ასხია – (მოსაკბეჩად ის მინდა). (სიმინდის ტარო)“ [კ. დანელია 1991:464]. • „შური უდგუნი, გილუურსუ, დოღურუნი, ღვინსუ შუნსუ“ – სული რომ უდგას, დადის, რომ მოკვდება, ღვინოს სვამს (გუდა) [ექსპედიცია 2019].

<p>არი, კუდი აქვს – თაგვი არ არი <i>(ბოლოკი)</i>“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:465].</p> <ul style="list-style-type: none"> • „შავი ზღვიდან წამოვიდა კაცი გუნებთანო, უჩინ-უჩინს გამაივლის მივა პიროფლიანო“ <i>(არყის გამოხდა)</i> [ჯ. სონლულაშვილი 1991:102]. • „შავი მოდის შავითაო, შავი ბრაგა-ბრუგითაო, წითლად თვალი აეხვია შავი აბრეშუმითაო <i>(ელვა, ქუხილი, მეხი)</i>“ [ჯ. სონლულაშვილი 1991:95]. • „შავი მოდის შავითა, შავი რახარუხითა, შავსა თვალი ავუხვიე თეთრი აბრეშუმითა <i>(ღრუბელი)</i>“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:459]. • „შავია მოლოზანსა ჰგავს, ტყეში გადაყუდებულსა, არც რას გეტყვის მართალსა, არც არას გამრუდებულსა, თითო ყოველ კაცს თან ახლავს, ყოველ სულს დაბადებულსა <i>(ლანდი)</i>“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:489]. • „შავ კუბოში თეთრი კაცი წევს <i>(მზესუმზირა)</i>“ [ექსპედიცია 2019]. • „შავმა დედაბერმა ცრემლები დაჰყარა, მთვარემ დახედა და მზემ მოიპარა <i>(ნამი)</i>“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:457]. • „შავს მიწასა მაყრიან, მწვანედ ამოუვა ძირი, შტო მრავალი დაბერდება, ფოთოლი აქვს მეტად ხშირი, მწვანე, მკვახე ხილი იცის, საჭმელია მეტად გრილი <i>(კიტრი)</i>“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:467]. • „შავხედე და შემომხედა, ის არაფერს მეუბნება“ <i>(სარკე)</i> [ჯ. სონლულაშვილი 1991:102]. • „შაშვს ბოლო შავი მიაქვს <i>(ბოლოშავი)</i>“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:477]. • „შედგება ლომი ხის წვერსა, შეაყრევინებს ჩინჩხლებსა <i>(კოდალა)</i>“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:478]. • „შევა შავად, გამოვა წითლად <i>(კიბო)</i>“ 	
---	--

<p>[„ხალხური სიბრძნე“ 1965:483].</p> <ul style="list-style-type: none"> • „შევდგი ტაფა, ჩავდე დუმა, დადნა ტაფა, არა დუმა (ქალამანი და ფეხი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:494]. • „შევხედე და შავი იყო, მივედი და მკვდარი იყო, ფეხები რო დავუჭირე – ნაცობარი ამოიღო (მაკრატელი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:508]. • „შევხედე და შავი იყო, მივედი და ხრამი იყო (საწნახელი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:506]. • „შევხედე: ყანაში არის ლამაზი, ულვაშიანი (სიმინდი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:470]. • „შეიქნა გრიალ-გრიალი, კატა გამოხტა რქიანი, ანთიმოზ ჩექმებიანი, ზოსიმე ხანჯალიანი და ვირი ნალეზიანი (ვენახი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:466]. • „შემოვუარე კერიას, ხელი მოვკიდე ღრენიას (ჭინჭარი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:463]. • „შენ რომ გეზიზღება, მას უყვარხარ. შენ რომ დაეძებ, ის გემალეზა (ტილი)“ [ექსპედიცია 2019]. • „შეხედავ – ფრინველია, დაჯდება – კატა არი (ბუ)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:477]. • „შეხე კურდღლის ბაჭიას, მალლაავა, ძირს ჩამოვა, კვამლი არსად აჩნიასა (კვამლი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:496]. • „შიდი ფერი მმოსია, ვჩნდები წვიმის შემდეგ, ცას და მიწას ვაერთებ, ნელა ვქრები მერე (ცისარტყელა)“ [ექსპედიცია 2019]. • „შიდი ფიცარი, შვიდად სეკრული, ვერც ხელმწიფე ტეხს, ვერც მისი ჯარი“ (დიდმარხვა) [ჯ. სონდულაშვილი 1991:102]. • „შიგნიდან იფრცქვნება, გარედან იჭმევა (ქათმის კუჭი)“ [ექსპედიცია 2019]. • „შიგნიდან საფრცქვნელი, გარედან საჭმელი (ქათმის კუჭი)“ [ექსპედიცია 2019]. • „შიგნიდან – წითელი, გარედან – შავი (კალოში)“ [ექსპედიცია 2019]. 	
--	--

<ul style="list-style-type: none"> • „შიგნით გული, გურგუმელი, გარეთ კანი ატლასია, მას რომ ჯარი ახვევია, შუბოსანი ათასია (წაბლი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:463]. • „შიგნით გული გურგუმელი, გარეთ კანი ატლასია, რაც იმაში ჯარი არის, თუ არ მეტი ათასისა“ (ბროწეული) [ჯ. სონღულაშვილი 1991:102]. • „შიგნით – ოქრო, გარეთ – ვერცხლი“ (კვერცხი) [ჯ. სონღულაშვილი 1991:102]. • „შიგნით ტყავი – გარეთ ხორცი (ქათმის კუჭი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:502]. • „შიგნით ფარში, კუჭი კარში (ხინკალი)“ [ექსპედიცია 2019]. • „შიგნით წიქრა, გარეთ გიშერა (ქვაბი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:500]. • „შიგნით – ხვრელა, გარეთ – ჭრელა, „უკუს“-ს დასაძახებელა (თოფი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:511]. • „შორით მოსულსა სტუმარსა თეთრი აცვია ტანზედა. თუ ხელი ახლე – გაწყრება, გაიპარება წამზედა (თოვლი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:456]. • „შუალამე, ელეღ-ვარდი, მოგოგავდა ბინდისასა, ყავარჯენსა მოიქნევდა, ტანმოკლესა, გიშრისასა (მთვარე)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:451]. • „შუაში აბლაბუდაა, მთელს სახლს კი ანათებს (ნათურა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:510]. • „შხამიანი მწერია, ფუტკარივით ფრენია, იკბინება კუდიდან, ფუტკარსა ყრის ბუდიდან“ (კრაზანა) [ჯ. სონღულაშვილი 1991:102]. 	
ჩ	
<ul style="list-style-type: none"> • „ჩავაგდე ოსპის ოდენი, ამოჯდა კოჭბის ოდენი (ბოლოკი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:465]. • „ჩავაგდე ფრჩხილის ოდენა, მოვწყვიტე 	<ul style="list-style-type: none"> • „ჩე რენდო კვერცხი ვარე, უჩა რე დო ზესქვი ვარე, კუდელი ჩანც – ჩიტი ვარე. – თეთრია და კვერცხი არ არის, შავია

<p>დერვის ოდენა (გოგრა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:465].</p> <ul style="list-style-type: none"> • „ჩახტა ბებერი, ჩაჰყვა ლაშქარი (კრუბ-წიწილა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:478]. • „ჩემი დეკეულაი სირბილით გაიმაკება“ (თითისტარი) [ჯ. სონდულაშვილი 1991:102]. • „ჩემი ბებოს ბაღჩაში, სადაც ეზოს ბოლოა, მზეზე ბრწყინავს ათასი ალისფერი ლოლუა (წიწაკა)“ [ექსპედიცია 2019]. • „ჩემი თეთრი ვარია, სირბილითა მკია (თითისტარი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:509]. • „ჩემი თეთრი ქათამი ღობის უკან ჩავფალი“ (წიორი) [ჯ. სონდულაშვილი 1991:102]. • „ჩემი თოკი ბაწარია, საცა გავკრავ, იქ წავა (თვალეზი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:488]. • „ჩემი ნათლია, რაც უნდა შორს იყოს, ვიცნობ (ცეცხლი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:497]. • „ჩემი პატარა ბოსელი ვხვეტე, ვხვეტე, ძლივს დავხვეტე (ცხვირი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:492]. • „ჩემი პატარა იობა, წამოსულიყო თიობა, წინ – თივა, უკან – იობა, შიგა-შიგ ჩამოდიოდა“ (ობობა) [ჯ. სონდულაშვილი 1991:102]. • „ჩემი პატარა მიმინო გულით ეშმაკის მახეა, ისე მომიქსოვს წინდებსა, თვალითაც ვერა ვნახე“ (ობობა) [ჯ. სონდულაშვილი 1991:102]. • „ჩემი რქადაგრებილი ჰედილა მაღლა ქედზე ტრიალებდა (ქარი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:458]. • „ჩემი საცერი ქედ და ქედ გადმოდიოდა (მზე)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:450]. • „ჩემი ციკან-ბატკანი ბანზე კუნტრუმობენ“ (ხორხომელა) [ჯ. სონდულაშვილი 1991:102]. • „ჩემო ნათლიდედა, გეტყვი, გეწყინება, წაწექ წამოგაწეები, ოფლი გვედინება“ (საბანი) [ჯ. სონდულაშვილი 1991:102]. • „ჩემო ძმაო, ოხობია, რაღაც მომიბარებია, არც 	<p>და შაში არ არის, კული აქვს და ჩიტი არ არის. (ბოლოკი)“ [კ. დანელია 1991:468].</p> <ul style="list-style-type: none"> • „ჩეს ჰკუმუნც დო უჩას ორღვანც. – თეთრს ჰამს და შავსა ყრის. (ჩიჩიხი)“ [კ. დანელია 1991:470]. • „ჩე ქუდუორშვე, ჭითა ქიშვოში, უჩათ გეკვოფში. – თეთრი დავესელე, წითელი ჩავაქსოვე, შავით გავავსე. (ყურძენი იზაბელა)“ [კ. დანელია 1991:471]. • „ჩე ცვანა დო უჩა თასი, მინჯე გიორაგადანსი“ – თეთრი ყანა და შავი თესლი, პატრონი რომ დაალაპარაკებს. (დაწერილი) [ი. ყიფშიძე 1914:388]. • „ჩქიმი კვარკვალაია სქანი რხვილც. – ჩემი კვარკვალაია შენს ხვრელში. (დილ-კილო)“ [კ. დანელია 1991:471]. • „ჩქიმი ოდა-სარაიას გუვოჯინი – დღას კარი ვა ბძირი. – ჩემს ოდა-სარაიას შევხედე (დავათვალიერე), ვერსად კარი ვერ ვნახე. (კვერცხი)“ [კ. დანელია 1991:466-467]. • „ჩქიმი ორტვინს ჭითა მუმუი დიაყვიანს“ – ჩემს ბოსტანში წითელი მამალი ყივის (წიწაკა) [ექსპედიცია 2019]. • „ჩქიმი უჩა ჯოღორი კარს გეჯან, ვალალუნს, ვაგაჩამუ, ცუდემა იშო ვემგაშქვანს. – ჩემი შავი ძალლი კართან წევს, არც ყევს, არც გკბენს, სახლში კი არ შევიშვებს. (ბოქლომი)“ [კ. დანელია 1991:468]. • „ჩქიმი ქოთომი ქოჩორე, გაიანთხი დო გოჩოლე.
--	---

<p>შესვა და არც შეჭამო, ისე მომიბარებია (ზია)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:464].</p> <ul style="list-style-type: none"> • „ჩემ პატარა საყდარს ვუარე, ვუარე, კარი ვერსად ვუპოვნე (კვერცხი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:501]. • „ჩემს იქითი გორაზედა, ცივა ჰკიდავ კუდიტაო (სვილი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:463]. • „ჩემს იქით გორაზედა წყალან გამაწკანწკარებენ (არაყი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:500]. • „ჩვენებიანათ ბაღშია ჯამი ჯამზე ამხია, ვინც ამას ვერ გამოიცნობს, თავზე ლაფი ასხია“ (კომბოსტო) [ჯ. სონლულაშვილი 1991:102]. • „ჩვენი ბუხრის უკან ერთი ხმიადი აყუდია (მთვარე)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:451]. • „ჩვენი მოხუცი ბერია, იმისი საქმე ძნელია, გარეთ მამაცობს, შინ შევა, ცრემლები სცვივა ბევრია (ყინვა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:460]. • „ჩვენი სახლის კუთხეში ეშმაკი ჰკიდა (დამბაჩა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:510]. • „ჩვენ კალოზე იარება ერთი უზუმბარა, თავით ბურბუშელა, ფეხით კუნტრუშელა, კუდიტ პირჯვარს დაიწერავს, ალუხ-მალუხელა“ (კალია) [ჯ. სონლულაშვილი 1991:102]. • „ჩვენსა ბერძნები მოვიდნენ, დაღვინიანდნენ, წავიდნენ, წყალში უნაოდ გავიდნენ (წურბელა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:485]. • „ჩვენსა თავმოედანზედა დათვი აბრუნდა ლაშზედა (კალოობა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:504]. • „ჩვენს იქითა გორაზედა, კუპრი ამოდენაზედა (ვეძა, მყავე წყალი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:452]. • „ჩვენს იქითი გორაზედა კატა ჰკიდავ 	<ul style="list-style-type: none"> – ჩემო ქათამო, ქოჩრიანო, დაეცი და გაცალე. (თოფი, ჩახმახი)“ [კ. დანელია 1991:471]. • „ჩქიმი ჩე ოხვამეს სოთინი კარი ვევილაბუ. – ჩემს თეთრ ეკლესიას არსად კარი არ ჰკიდა. (კვერცხი)“ [კ. დანელია 1991:466]. • „ჩქიმი ჩე ქოთომი ღალეს ელაქვაქვალუნი. – ჩემი თეთრი ქათამი რუზე თამაშობს. (წყლის ქაფი)“ [კ. დანელია 1991:467]. • „ჩქიმი ჭანდარიას კვინჩაქ გგმადოხოდ, ჭვიტუუ, ჭვიტუუ დო ჯინჯიშა ქიგიოჭკომუ. – ჩემს ჭადარზე სკვინჩა შემოგდა, იმდენი იკვნესა, რომ ძირამდე შეჭამა. (სანთელი)“ [კ. დანელია 1991:468]. • „ჩქიმი ჭითა ჯაკელია ირო ართი დიხას გეჯან. – ჩემი წითელი დეკეული მუდამ ერთ ადგილზე წევს. (ცეცხლი და კერია)“ [კ. დანელია 1991:468]. • „ჩქიმი ჭიჭე ინდურია დუდი გიმე ირდუნია. – ჩემი პატარა ინდაური თავდაღმა იზრდებო. (ჭვარტლი)“ [კ. დანელია 1991:471]. • „ჩქიმ ჭიჭე კოლოფიშა ჟირი ხატი ინომსვანჯ. – ჩემს პატარა კოლოფში ორი ხატი მისვენია. (კაკალი)“ [კ. დანელია 1991:469]. • „ჩქიმი ჭიჭე ორტვინიას დაჩხირი ინიფაფალ. – ჩემს პატარა ბოსტანში ცეცხლი ლაპლაპებს. (ჩიბუხი)“ [კ. დანელია 1991:465].
---	--

<p>კუდიტაო“ (ხორბლის თავთავი) [ჯ. სონდულაშვილი 1991:103].</p> <ul style="list-style-type: none"> • „ჩვენს კარებზე ბევრი მოვა მატიტელა, ღრინჭოლაო, წამოდგება, დაიყვირებს გაბერილი ტიკჭორაო“ (სახედარი) [ჯ. სონდულაშვილი 1991:103]. • „ჩვენს კარებზე წამოწვება დიდი უზურმელა, თავი ბურბუმელა, ფეხი კუნტრუმელა, კუდიტ პირჯვარს იწერდა, არუმ-მარუმელა“ (ჯარა) [ჯ. სონდულაშვილი 1991:103]. • „ჩვენს შინაურ თხას წაგავს, ბინადარია მთისა, მაღალ კლდეებზე ნავარდობს, ბარში აქვს შიში მტრისა (ჯიხვი)“ [ექსპედიცია 2019]. • „ჩვენ ხუთნი დანი ვიყავით, არც ერთს არ გვექონდა ზრდილობა, იმ თავიდანვე თან დაგვეყვა ერთი მეორის ცილობა (წინდის ჩხირები)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:510]. • „ჩირგვთან ვცხოვრობთ ჯგუფადა, ბავშვები გვყავს სტუმრადა (მარწყვი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:462]. • „ჩლიტიანი, ბლიტიანი, ტყეში გამოიყურება (ზღმარტლი)“ [ექსპედიცია 2019]. • „ჩუმად მოფრინდება, ჩუმად დაჯდება, დალკება და აყვირდება (თოვლი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:456]. • „ჩურჩხელა ვნახე კახური, თეთრად უჩანდა სახეო, ავიღე ხელში, დამიდნა, ნამცეციც ვერარ ვნახეო (ყინულის ლოლო)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:460]. • „ჩხირია გაყიდულიო, ფევილია დაუფქველიო, გუდა შეუკერავიო (ფშატი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:463]. 	<ul style="list-style-type: none"> • „ჩქიმი ჭიჭე სალფეთქია ირო შოლირირე. – ჩემი პატარა ხელსახოცი მუდამ სველია. (ენა)“ [კ. დანელია 1991:467]. • „ჩქიმი ჭიჭე ჩე გვალაშა უჩა გვერეფი მუკომიჯან. – ჩემს პატარა თეთრ მთაზე შავი გველები მიწევს. (შუბლი და წარბები)“ [კ. დანელია 1991:464]. • „ჩქიმი ჭიჭე ჩუვანიაშე ჟირი ჩოგანი ღუმუს ეშუვოგანქ. – ჩემი პატარა ქვაბიდან ორი ჩოგანი ღომი ამომაქვს. (კაკალი)“ [კ. დანელია 1991:469]. • „ჩქიმი ჭიჭე ჭურია ცაშა ქაანჭუნია. – ჩემი პატარა აყირო ცას მისწვდება. (თვალი)“ [კ. დანელია 1991:467]. • „ჩქინ ლაგვანს ჟირი ფერიში ღვინი ენოდგ. – ჩვენს ქვევრში ორი ფერის ღვინო ასხია. (კვერცხი)“ [კ. დანელია 1991:465].
ვ	
<ul style="list-style-type: none"> • „ცა დამეხურა, მთა დამეთოვლა, წისქვილები მგელმა დამიჭამა, ქვევრში ღვინო დამიჭანგდა (მოხუცებულბა: ცა—თვალივი, მთა—თავი, წისქვილები—კბილები, ღვინო—სისხლი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:490]. 	<ul style="list-style-type: none"> • „ცხენი ქუვორულე, კურტანქ ართი დიხას ქუდასქიდუ დო ცხენი ირიართო მირულე. – ცხენი გავაჭენე, კურტანი ერთ ადგილას დარჩა, და ცხენი სულ

<ul style="list-style-type: none"> • „ცა ვდრიკე და ვარსკვლავი ვკრიფე (თხილი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:462]. • „ცალფეხა ვარ, ერთი თმა მაქვს, მეტის-მეტი გრძელია, ღარიბისა და მდიდრისთვის უჩემობა ძნელია (ნემსი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:509]. • „ცალფეხა სკამი მაქვს ტყეში (სოკო)“ [ექსპედიცია 2019]. • „ცასა მოუწმენდიაო, მოუკანკრაჩებიაო, მელას კული გადუგდია, გადუჯინჯილებიაო (თხილი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:462]. • „ცას ვკიდე ხელი, ვერ ვკიდე, ვარსკვლავებს დავედარები; ქერქი მაქვს მეტად მწარე და ფერთ ლალს დავედარები; თასი მიბოძეთ, დავყარო იაგუნდი და ლალები“ (ბროწეული) [ჯ. სონდულაშვილი 1991:103]. • „ცას კოკროჭინაჰკივია სიგრძითა და სიგანითა, პირტამდისინ სავსე არის თხილითა და ციკანითა“ (ბროწეული) [ჯ. სონდულაშვილი 1991:103]. • „ცა ქუდად აქვს და დედამიწა – ქლამნად (ავდარი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:455]. • „ცაში დავფრინავ ხშირად, მიწა ზეც დავიარები, წყალზედაც კარგად დავცურავ, არა მჭირდება ნავეები (გედი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:477]. • „ცაში ვერძები ჭიდაობენ (წარბები)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:492]. • „ცაში მიდგან კიდობანი, ელვისანი-გელვისანი, შიგა სხედან ქორნი, კვერნი, თხისანი და ვერძისანი (ვარსკვლავები)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:449]. • „ცაში წავიდა კაბალი, ვერვინ გახელა კვალია“ (კვამლი) [ჯ. სონდულაშვილი 1991:103]. • „ცერცვი, ცერცვი, ცერცობანი, ზედ ასხია ქერქობანი, არც იჭმება, არც ისმება, საკმარისად კარგობანი (მკლავი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:490]. 	<p>მირბის. (ხიდი და წყალი)“ [კ. დანელია 1991:463-464].</p>
---	--

<ul style="list-style-type: none"> • „ცეცხლში გასკდება, წყალში დადნება, უმისობა როგორ იქნება?“ (მარილი) [ჯ. სონდულაშვილი 1991:103]. • „ცეცხლში დავიბადე, ცეცხლში გავიზარდე, ტყეში გავედი, დიდი დავიძახე (ცული)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:507]. • „ციხე ვნახე საკვირველი, სულ აგურით აგებული, შიგ ორპირი საქონელი, კარი არსად საპოვნელი (კვერცხი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:501]. • „ცოტა წამალია და ბევრი – საწამლაგო (ღვინო)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:472]. • „ცოცხალია ბალახსა სძოვს, მოკვდება და ღვინოსა სვამს“ (ტიკი) [ჯ. სონდულაშვილი 1991:103]. • „ცოცხალი მკვდარსა სცემს, მკვდარი უმოწყალოდა ყვირის“ (ზარი) [ჯ. სონდულაშვილი 1991:103]. • „ცოცხალს – მკვდარი, მკვდარს ცოცხალი ამოჰყავს (ბადე და თევზი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:481]. • „ცხოველია ფერად ჭრელი, უცნაური კისერგრძელი. სპილოზე ტანმალა და ფეხმარდი მარბენალი (ქირაფი)“ [ექსპედიცია 2019]. • „ცხოვრობს უსხეულოდ, ლაპარაკობს უენოდ, არავინ მას არ ხედავს, ყველას კი ესმის (ქარი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:458]. • „ცხრა ახალუხი აცვია, მის გახდას ის არ აპირებს, ვინც გახდის თვალეებს აუწვავს, ცხარე ცრემლებით ატირებს (ხახვი)“ [ექსპედიცია 2019]. • „ცხრანაირმა ფრინველმა, ერთი კვერცხი დასდო (ნაკვერჩხალი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:496]. 	
<p>ბ</p>	
<ul style="list-style-type: none"> • „ძალი წევს და კუდი ღრინავს (ჯარა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:508]. • „ძალი წევს და კუდი ღრინავს, სახელური 	<p>–</p>

<p>იძაბება“ (ჯარა) [ჯ. სონლულაშვილი 1991:103].</p> <ul style="list-style-type: none"> • „ძიამ ცხოველი მაჩუქს წაბლისფერბეწვებიანი, თვალდიდა, სახელამაზი, ბაკუნა, თვალეზწყლიანი (ზოჩოლა)“ [ექსპედიცია 2019]. • „ძილში ფხიზლობს, თვალს არ ხუჭავს. ყურები აქვს მეტად დიდი. თუ კომბოსტო გითესია, არ შეჭამოს გაუფრთხილდი (კურდღელი)“ [ექსპედიცია 2019]. • „ძირი – მიწასა, ტანი – ბაგასა, თავი – შენს ყველაყასა“ (ყანა) [ჯ. სონლულაშვილი 1991:103]. • „ძირი მიწას, შუა საბძელს, თავი მკვდარსა და ცოცხალსა (პურის თავთავი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:469]. • „ძირი – ხმელი, შუა – ნედლი, კატარწაპირპილებული (ქათამი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:480]. • „ძირს თავი, მალსა ფეხები (პრასი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:469]. • „ძირს მარხია ორი ტოტი, ზევიდან ვზივარ ხესა, დიასახლისს ვეხმარები, სამოსლისთვის ვიქნებ ხელსა, შვილო, შვილო, ავაგოგებ, შესაწმანად ერთად ძმებსა (სამუხველი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:506]. • „ძნელად ნახავთ ქალაქში სოფელშია ბევრი, ყელამდე ზის მიწაში დიდმუცელა (ქვევრი)“ [ექსპედიცია 2019]. • „ძროხის ქვაბი, ადამიანის ხორცი, ცხვრის ქაფი (ქალამანი, წმინდა, ფეხი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:493]. 	
<p>წ</p>	
<ul style="list-style-type: none"> • „წადი, ისეთი ხორცი მომიტანე, არც იყვეს დედლის, არც მამლისა (სოკო)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:464]. • „წავალ – მნატრობენ, მოვალ – მემალეებიან (მზე)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:450]. • „წაიქცევა წიფელაო, დაეხვევა ჭინჭველაო 	<ul style="list-style-type: none"> • „წოხოლე მეურს დო უკახაე იჯინე“ – წინ მიდის და უკან იყურება (თხის რქა) [ექსპედიცია 2019]. • „წოხოლე ლეკური, უკახალე საფანტი. – წინ ხმალი (ლეკური), უკან ტყვია. (თხა)“ [კ. დანელია 1991:465].

<p>(ღორი გოჭებით)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:475].</p> <ul style="list-style-type: none"> • „წაკნი, წუკნი წაიკიდნენ, ხელით ეჭირათ ფარები“ (ხელის თითები) [ჯ. სონლულაშვილი 1991:104]. • „წამში ერთია, წელიწადში – ორი, თვეში – არცერთი (ასო-ბეგრა წ)“ [ექსპედიცია 2019]. • „წევს ვინმე წვრილსა კუბოსა, სულ აღმით ამოღებულსა, ავი და კარგი მისგან სჭირს ყოველ სულს დაბადებულსა (ენა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:487]. • „წელში წვრილი, ტანმდალი, თავზე ასხია კაკალი (შვრია, ჯიქურა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:471]. • „წვერი აქვს, კაცი არ არის; ბალახს მოვს, ცხენი არ არის; რქები აქვს, ხარი არ არის (თხა)“ [ექსპედიცია 2019]. • „წვერ ულვაშიანი ვინ იბადება? (თხა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:474]. • „წივის, წივის წივოსანი, თავს დასტირის პატარა ქალი; ადე, ბიჭო, გაიხედე, მოდის, თუ აღარსად არი?“ (წისქვილი) [ჯ. სონლულაშვილი 1991:104]. • „წითელ გორაზე ოცდათორმეტი თეთრი ცხენია (ენა და კბილები)“ [ექსპედიცია 2019]. • „წითელი მუცელი, შავი პირსაკრავი (ასკილი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:461]. • „წითელი ქვევრი, შავი სარქველი, შიგნითა ყრია ხაზარ-ხუზარი“ (ასკილი) [ჯ. სონლულაშვილი 1991:104]. • „წითელი ქვევრი, შავი სარქველი, შიგ რაღაც ყრია ხაზარ-ხუზარი“ (ასკილი) [„ხალხური სიბრძნე“ 1965:461]. • „წითელი ქვევრი, შავი სარქველი, შიგ ხომორ-ხომორი“ (ასკილი) [„ხალხური სიბრძნე“ 1965:461]. • „წითელი შავს ურბენს (ცეცხლის ალი ქვაბის გარშემო)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:497]. 	<ul style="list-style-type: none"> • „წოხოლე ოჭიში დო უკახალე ქვარა. – წინ ზურგი და უკან მუცელი. (წვივი, კანჭი)“ [კ. დანელია 1991:467]. • „წყარს დებად, წყარს დესახ, ეშელ დო დობტურობა ქიდიჭყუ. – წყალში დაიბადა, წყალში ჩაისახა, ამოვიდა და ექიმობა დაიწყო. (წურბელი)“ [კ. დანელია 1991:469]. • „წყარს ინორე – ჩხომი ვარე, იდიარს – ჩხოუ ვარე, ლულუნუნს – ტორონჯი ვარე. – წყალშია – თევზი არ არის, ბალახობს – ძროხა არ არის, ლულუნუნს – მტრედი არ არის. (ბაყაყი)“ [კ. დანელია 1991:469].
---	--

<ul style="list-style-type: none"> • „წითელი ხარი აბია, ორთავ ფეხებით კავშია, ვინც ამას ვერ გამოიცნობს, ადგეს, გავიდეს კარშია (ენდრო)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:461]. • „წითელსა ეკლესიასა შავი შემოჯდა ყორანი“ (ქვაბი) [ჯ. სონღულაშვილი 1991:104]. • „წითელ ჭურში წითელი კენჭები აწყვია (ბროწეული)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:465]. • „წითლის წიქარას ნაწოლზე ბალახნი არ ამოვლენო (ცეცხლი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:497]. • „წითლის ხარის ნაწოლშია ბალახნი არ ამოდიანო“ (ცეცხლი) [ჯ. სონღულაშვილი 1991:104]. • „წინ – ზურგი, უკან – მუცელი (ფეხის წვივი)“ [ექსპედიცია 2019]. • „წინ ფანფალი, უკან ლაშქარი (კრუხ-წიწილა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:478]. • „წისქვილის კარზე ჩხუბობდნენ ჭავი, ჭუვი და ჭიკარტი, ყვავი საშველად გარბოდა, წინ გაეშვირა ნისკარტი (ოფოფი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:479]. • „წიწვი, წიწვი ვაშლი, ზედ ასხია წვრილი ვაშლი; არც იჭმება, არც ისმება, არცა ზედა შეისვლება“ (ანწლი) [ჯ. სონღულაშვილი 1991:104]. • „წყალია და წყალში არ იძირება (ყინული)“ [ექსპედიცია 2019]. • „წყალს სვამს და მუცელი ებერება (კვახი)“ [ექსპედიცია 2019]. • „წყალში დაიბადა, წყალში გაიზარდა, როცა ამოვიდა — ექიმი გახდა (წურბელა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:485]. • „წყალში დნება, ცეცხლში სკდება, უმისობა არ იქნება (მარილი)“ [ექსპედიცია 2019]. • „წყალში ერთი კუნძი გდია, არცა ლპება, არცა შრება (ენა)“ [ექსპედიცია 2019]. • „წყალში ზის – თევზი არ არის, ბალახს ძოვს – 	
---	--

<p>ძროხა არ არის. ლულუნებს – მტრედი არ არის, გამოიცანი, რა არის? (ზაყაყი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:481].</p> <ul style="list-style-type: none"> • „წყალში ზის, მაგრამ თევზი არ არის (ზაყაყი)“ [ექსპედიცია 2019]. • „წყალში იბადება და წყლისა ეშინია (მარილი)“ [ექსპედიცია 2019]. • „წყალში ჩავაგდე – წყლად გადაიქცა, ცეცხლში ჩავაგე – ხმად გადაიქცა (მარილი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:502]. • „წყობ-წყობისად დადიან, წყობა ბარაქიანნი. წყლის პირას ჩამოსხდებიან ციხე-ქალაქიანნი (წეროები)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:481]. 	
ჭ	
<ul style="list-style-type: none"> • „ჭალაშია შავ-თეთრ თხორიკან ჩამორბიანო (ზამთარ-ზაფხული)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:454]. • „ჭალაში ორი მგელია, ერთი ღრღნის, მეორე უყურებს“ (წისკვილი) [ჯ. სონლულაშვილი 1991:104]. • „ჭალა-ჭალა მოდიოდა უზუმბარა რქიანი, მოვიდა და დაიბერტყა ფეხი ტალახიანი“ (ფუტკარი) [ჯ. სონლულაშვილი 1991:104]. • „ჭალა-ჭალა შამადიან სამნი ჭრელნი პეპელანი; სამნივ იმას იძახიან დავლიენით მჭედელანი“ (ხატის დროშები) [ჯ. სონლულაშვილი 1991:104]. • „ჭაობების ბინადარი, ყიყინა და ამაყი, იბერება, თვალებს კარკლავს, თქვი ვინ არის (ზაყაყი)“ [ექსპედიცია 2019]. • „ჭაობებში ბინადრობს, დღე და ღამე ბობოქრობს“ (ზაყაყი) [ჯ. სონლულაშვილი 1991:104]. • „ჭკვიანო, შენ მეცნიერო, ეს გამოცანა რააო: ერთი რამ მკვდარი ქონება, ორსავ სოფელსა კმარაო, გაზრდის და გაადიდკაცებს, წახდენაზედაც მზააო (პურის ყანა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:469]. 	<ul style="list-style-type: none"> • „ჭითას უჩა გაქვაქვალო. – წითელს შავი დასტრიალებს. (კურკანტელა და შაშვი)“ [კ. დანელია 1991:465]. • „ჭიჭე ვორდინი, პუხა ვორდი, მიბრდინი – გიბთინი. – პატარაობისას კუზიანი ვიყავ, გავიზარდე და – გავიმართე. (გვიმრა)“ [კ. დანელია 1991:469].

<ul style="list-style-type: none"> • „ჭკუა-გონების ფარხმალი, პატარა, მოუსვენარი, ზოგჯერ მალამოდ სახმარი, ზოგჯერ გველივით მკბენარი (ენა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:487]. • „ჭრის და არ აკაკუნებს (ცეცხლი)“ [ექსპედიცია 2019]. 	
ბ	
<ul style="list-style-type: none"> • „ხალიჩა მაქვს, არ დაიბერტყება, ოქროები მაქვს, არ დაითვლება (ცა და ვარსკვლავები)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:451]. • „ხან არის მოკლე, ხან არის გრძელი, გამოსაცნობად არ არის ძნელი“ (დღე და ღამე) [ჯ. სონდულაშვილი 1991:104]. • „ხან გაჩნდება, ხან გაქრება, ხან აღარსად არარ არი, სხვა დროში თუ გამოჩნდება, თორემ ზამთარში არ არის (ელვა)“ [ჯ. სონდულაშვილი 1991:95]. • „ხან გაცეკვებს ხორუმს, ხანაც – განდაგანას. დღენიადავ სცემენ, მაგრამ სტკივა განა? (დოლი)“ [ექსპედიცია 2019]. • „ხან ტყიან ფერდს აივლის, ხან ცაივლის ხევს. რა მოსვლია? – ზედ შუბლზე ამოსვლია ხე (ირემი)“ [ექსპედიცია 2019]. • „ხან ძველია, ხან ახალი, ხან ბურთია, ხან ნამგალი (მთვარე)“ [ექსპედიცია 2019]. • „ხარი არ არის – რქები აქვს, ვირი არ არის – კურტანი (ლოკოკინა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:483]. • „ხარი ბოსელში შევაგდე, კუდი ხელში შემრჩა (მსხალი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:468]. • ხეა, ხეა, ხეა მბალი, ზედ ასხია კახა მბალი, არც იჭმევა, არც ისმევა, არცა ზედა გაისვლება (ანწლი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:461]. • „ხე გადავჭერ, ზედ გადავაჯექ“ (შარვალი) [ჯ. სონდულაშვილი 1991:105]. • „ხე გავთაღე ხისაო, არა ნაფოტისაო; შედიან და გამოდიან ანგელოზნი ღვთისაო“ (სკა) [ჯ. სონდულაშვილი 1991:105]. 	<ul style="list-style-type: none"> • „ხან – ჟიღო, ხან – თუღო“ – „ხან – ზევით, ხან – ქვევით (ქოლგა)“ [ექსპედიცია 2019]. • „ხეშა აშგანტირე დო ცუდეშა ვემინტირე“ – ხელში გეტევა და სახლში ვერშეეტევა (ჭოკი) [ექსპედიცია 2019]. • „ხეშა ქაშგანტირე, ბაღეს ვემთინტირე. – ხელში ჩაგეტევა, ბელელში – არა. (ჭოკი)“ [კ. დანელია 1991:469]. • „ხორციმ ფოქვიშა მელე მოლე მითიენა, ქიანაშ ამბეს ქიმიილანა, კინიი აშო გითიენა“ – ხორცის ღრმულში იქით-აქეთ შევლენ, ქვეყნის ამზავს მოიტანენ, ისევ უკან გამოვლენ (ყური და ხმები) [ექსპედიცია 2019]. • „ხოჯი რკინაში, კუდელი ბამბეში. – რკინის ხარი, ბამბის კუდი. (ნემსი და ძაფი)“ [კ. დანელია 1991:466].

<ul style="list-style-type: none"> • „ხე დავიარე ხერგნელი, ხე ვერ ვიპოვე მართალი, ერთი ხე ვნახე მართალი, ისიც გულგამონათალი (ვარცლი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:498]. • „ხე ვარ, ხე მრუდად გაზრდილი, ვერ შემომწვდება ნადირი, შენ მოდი ენკენისთვეში, თუ ვერ გაჭამო სადილი (ლეღვი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:467]. • „ხეზე ზის შავჩოხიანი, ოქროსნისკარტა ფრენია, სიმღერა იცის, ზოგ-ზოგი ბულბული შემირცხვენია (შაშვი)“ [ექსპედიცია 2019]. • „ხეზე ფეტვის ბუდეა (ლეღვი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:467]. • „ხეზე ცხოვრობს და ხანდახან დაფრინავს, როგორც ჩიტი, ფრთები არა აქვს რითი? არის ნაზი და პაწია, ტანზე ქათიბი აცვია, არა უბრალო ჩითი (ციყვი)“ [ექსპედიცია 2019]. • „ხელში მეტევა, სახლში კი არა (ჭოკი, კაკლის დასაბერტყი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:508]. • „ხე მრუდე და ხე მართალი, აბია ხუთი მარცვალი“ (ხელი) [ჯ. სონდულაშვილი 1991:105]. • „ხე მრუნდი და ხე მართალი, წვერშია ხუთი მარცვალი (თითები)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:488]. • „ხე მრუდი და ხე მართალი, წვერში ება ცხრა მარცვალი (ყურბენი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:472]. • „ხეს ვაშლი აბია, სახელს ვამბობ – აგია (ზია)“ [ექსპედიცია 2019]. • „ხე სორსალი – ხუთბოძალი (ლაფერთხა)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:499]. • „ხე, ხე, ხერეჯანდი, ზედ ასხია სერეჯანდი. არც იჭმევა, არც ისმევა, არც ზედ ხეზე აისვლებს (ანწლი)“ [ექსპედიცია 2019]. • „ხის ზურგი და ქვის მუცელი, რვა ფეხი და ორი თავი (კვერი და ხარები)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:504]. 	
--	--

<ul style="list-style-type: none"> • „ხის მშვილდი და წყლის ისარი, ჯირკს ვესროლე, ქვა გაფრინდა (წისქვილი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:508]. • „ხის ტოტებზე შემომსხდარან ქართ ნანანავები, პაწაწინა ბიჭები, სვანურქუდიანები (რკო)“ [ექსპედიცია 2019]. • „ხმა აქვს თოფსავით, ცეცხლიც მასავით, რასაც მოხვდება, აქცევს ფერფლსავით (მეხი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:456]. • „ხმა ისმის და თვითონ არ ჩანს (ქუხილი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:459]. • „ხმალი დაკარ, ვერ გავკვეთე (ჰაერი)“ [ექსპედიცია 1019]. • „ხმამალლა ყვირილი იცის და დახტის როგორც კალია, კურდღელივით აქვს თვაები, ცხოვრობს იქ, სადაც წყალია (ზაყაყი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:481]. • „ხმელეთზეც ცხოვრობს, წყალშიაც – ასეთი ჯიში მოსდგამს. პატარობისას თევზსა ჰგავს, თავი მიუგავს კომბალს (ზაყაყი)“ [ექსპედიცია 2019]. • „ხორცის შამფური, რკინის მწვადი“ (თითი და ბეჭედი) [ჯ. სონლულაშვილი 1991:105]. • „ხრუკია ხურხუმელია, მიწა-მიწა მძრომელია (მელია)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:474]. • „ხუთი თავი, ოთხი სული, ასი თითი (მიცვალებული)“ [ექსპედიცია 2019]. • „ხუთი რქა აქვს, ხუთი ძვალი (ზღმარტლი)“ [ექსპედიცია 2019]. • „ხუთი წავალთ, ოთხი მოვალთ“ (მკვდრის დამარხვა) [ჯ. სონლულაშვილი 1991:105]. • „ხუთნია ხუცურაული, ხუთნი აგებენ ციხესა“ (წინდის ჩხირები) [ჯ. სონლულაშვილი 1991:105]. • „ხუთნია ხუცურაულნი, ხუთთავ ფარები ჰკიდია (თითები და ფრჩხილები)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:488]. • „ხუთნი ძმანი არიან, ოთხნი ციხეს აშენებენ, 	
---	--

<p>მეხუთე სულ თავს უვლის“ (წინდის ჩხირები) [ჯ. სონდულაშვილი 1991:105].</p>	
ჯ	
<ul style="list-style-type: none"> • „ჯამი პირქვე დავდგი – სავსეა, პირადმა დავდგი – ცარიელია“ (ქუდი) [ჯ. სონდულაშვილი 1991:105]. • „ჯეელი ვარ, ბრმა ვარ, დავბერდები – თვალეზიანი“ (ქალამანი) [ჯ. სონდულაშვილი 1991:105]. • „ჯერ მწარეა, მერე ტკბილი, ბოლოს კი მატირებელი (ღვინო)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:471]. • „ჯერ ოთხი, მერე ორი, შემდეგ სამი (ადამიანი)“ [ექსპედიცია 2019]. • „ჯერ რკინა, მერე ძვალი, მერე ხორცი, მერე ხე და მერე კაცი (ცხენიან-უნაგირიანი კაცი)“ [ექსპედიცია 2019]. • „ჯირვის ძირიდან თეთრი კვერცხი გამოგორდა (ღრუბელი)“ [„ხალხური სიბრძნე“ 1965:459]. 	<ul style="list-style-type: none"> • „ჯა გემიდგუ უფოსვეთ, ჩიტი გემარე უბორკეთი, აშებელი უკუჩხეთ, ობჭოფი უხელეთ. – ხე უფესვოდ მიდგას, ჩიტი უფესვოდ შემომჯდარა, ავედი უფეხოდ, დავიჭირე უხელოდ. (ტყუილი)“ [კ. დანელია 1991:468]. • „ჯამში ომპა და რკინაში ცუდე. – ხის დიარე და რკინის სახლი. (უთო)“ [კ. დანელია 1991:466]. • „ჯას ჯა მოულუდო ჯას ულუ ჯამანგირი, ვართი სქანი ცხენი მოკონ დო ვართი სქანი ონანგირი. – ხეს ხე მოაქვს და ხეს აქვს ხელფასი (ჯამაგირი), არც შენი ცხენი მინდა და არც შენი უნაგირი. (მატარებელი)“ [კ. დანელია 1991:465]. • „ჯა – ლულა, ჯა – თინ, ჯა – ხუთი ნოყელამი. – ხე – მრუდე, ხე – სწორი, ხე – ხუთტოტიანი. (ხელი და თითები)“ [კ. დანელია 1991:467]. • „ჯაშა ეშურც, კოჩი ვარე, ქალეფი გედგუ, ხოჯი ვარე, ჭარუნც დო მწერალი ვარე. – ხეზე ადის – კაცი არ არის, რქები აქვს – ხარი არ არის, წერს და მწერალი არ არის. (ლოკოკინა)“ [კ. დანელია 1991:469]. • „ჯამი თოფი, წყარიში ტყვია. – ხის თოფი, წყლის ტყვია. (წისქვილის დარი)“ [კ. დანელია 1991:467]. • „ჯამი შქვილი, წყარიში საგანი, ჯიკის ვოკოთი დო ქუაქქოფურინ. – ხის მშვილდი, წყლის ისარი, ჯირკს

	<p>ვესროლე და ქვა გაიქცა (გაფრინდა). (წისქვილი)“ [კ. დანელია 1991:470].</p> <ul style="list-style-type: none"> • „ჯინც მიოვალენც, წვანც მიოგურგინანც. – ძირში იელვებს, წინ (წვერზე) იქუხებს. (თოფი)“ [კ. დანელია 1991:471].
ჰ	
–	–